

This is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC) project:

---

**Author:**

**Title:** IBERIA-COLCHIS Researches on the Archaeology and History of Georgia in the Classical and Early Medieval Period 12

---

The DSCC is part of the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library.

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from the Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: <http://dcaa.hosting.nyu.edu/takedown-notice>



DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION



NYU | ISAW




# იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის  
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

## IBERIA - COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia  
in the Classical and Early Medieval Period



№ **12**

**2016**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის  
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი  
GEORGIAN NATIONAL MUSEUM  
Journal of Otar Lordkipanidze Centre of Archaeology



# იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის  
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

## IBERIA-COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia  
in the Classical and Early Medieval Period

# 12

თბილისი 2016 Tbilisi

**მთ. რედაქტორი:** გელა გამყრელიძე

**სარედაქციო-სარეცენზიო საბჭო:**

ზურაბ ბრაგვაძე, დევიდ ბრაუნდი, ნინო ლორთქიფანიძე,  
დარეჯან კაჭარავა, მარინე კვაჭაძე, გურამ კვიციანი,  
დავით მინდორაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი,  
ვახტანგ შატბერაშვილი, მათა ჩარკვიანი

**ტექნიკური უზრუნველყოფა:** ირაკლი ხუციშვილი

**Editor-in-Chief:** Gela Gamkrelidze

**Editorial & Reviewers Board:**

Z. Bragvadze, D. Braund (UK), N. Lordkipanidze,  
D. Kacharava, M. Kvatchadze, G. Kvirkevelia, D. Mindorashvili,  
M. Charkviani, G. Narimanishvili, V. Shatberashvili

**Layout:** Irakli Khutsishvili

**See the web site:**

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/31099>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/25201>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/13542>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/13546>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/9572>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/9572>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/31101>

[http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/149898/1/Iberia\\_Kolxeti\\_2015\\_N11.pdf](http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/149898/1/Iberia_Kolxeti_2015_N11.pdf)

<http://dSPACE.nplg.gov.ge/browse?type=author&value=Gamkrelidze%2C+Gela>

**Address:** Otar Lordkipanidze Centre of Archaeology

14, D. Uznadze str. Tbilisi, 0102, Georgia

E-mail: [iberiacolchis@yahoo.com](mailto:iberiacolchis@yahoo.com).

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 2016

ISSN 1512-4207

UDC 94(479.22)+902. ი-315

## შინაარსი

## CONTENTS

ნათელა ჯაბუა, გელა გამყრელიძე, თამარ ჩეკურიშვილი, <b>არქიტექტურისა და მშენებლობის შესახებ ძველ საქართველოში</b> (ძვ.წ. VI – ახ.წ. VII სს) (Natela Jabua, Gela Gamkrelidze, Tamar Chekurishvili, <b>ABOUT ARCHITECTURE AND CONSTRUCTION IN GEORGIA; 6<sup>th</sup> century BC - 7<sup>th</sup> century AD</b> ) .....5
თინათინ ჭანიშვილი, <b>პინცეტი საქართველოს არქეოლოგიური არტეფაქტებიდან</b> (Tinatin Chanishvili, <b>TWEEZERS FROM GEORGIA</b> ) ..... 68
კახა კახიანი, ვახტანგ ნიკოლაიშვილი, მერაბ ძნელაძე, ელგუჯა გლიგვაშვილი, <b>ჯავახეთში, სოფ. პატარა გონდროსთან ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები</b> (Kakha Kakhiani, Vakhtang Nikolaishvili, Merab Dznelaze, Elguja Gligvashvili, <b>THE REPORT OF ARCHAEOLOGICAL WORKS HELD IN JAVAJHETI, NEAR THE VILLAGE PATARAGONDRIO</b> )..... 80
ქეთევან რამიშვილი, <b>გლიფტიკური ნანარბი ქუშანანთგორის სამაროვნის №1 სამარხიდან</b> (Ketevan Ramishvili, <b>GLYPHICAL PRODUCTION FROM QUSHANAANTGORA BURIAL #1</b> ) ..... 97
ნანა კაპანაძე, <b>ზემო იმერეთი ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ სივრცეში</b> (Nana Kapanadze, <b>UPPER IMERETI IN THE POLITICAL AND CULTURAL SYSTEM OF GEORGIA OF EARLY MEDIEVAL PERIOD</b> ) ..... 111
ნუცა ყიფიანი, <b>არიმასპი პელიკეზე</b> (Nutca Kipiani, <b>ARIMASPI ON PELIKE</b> ) ..... 121
მარიკა მშვილდაძე, ქეთევან დიღმელაშვილი, <b>მცხეთაში აღმოჩენილი ერთი გემის განსაზღვრისათვის</b> (Marika Mshvildadze, Ketevan Digmelashvili, <b>FOR THE DEFINITION OF ONE GEM DISCOVERED IN MTSKHETA</b> ) ..... 124
ზურაბ ბრავაძე, <b>ძვერის არქეოლოგიური ძეგლები</b> (Zurab Bragvadze, <b>ARCHAEOLOGICAL SITES OF DZEVRI</b> )..... 131
დარეჯან კაჭარავა, სულხან ხარაბაძე, <b>ახლად აღმოჩენილი სამარხები ვანიდან; I ნაწილი (გაძარცვული სამარხები)</b> (Darejan Kacharava, Sul Khan Kharabadze, <b>(RECENTLY REVEALED GRAVES FROM THE VAVI CITY SITE; Part I; Robbed graves)</b> ) .....157
ნინო კალანდაძე, თეიმურაზ ფარჯანაძე, ნინო თავართქილაძე, მარიამ მჭედლიშვილი, სალომე ახალაძე, <b>დედოფლის გორაზე აღმოჩენილი არტეფაქტების რესტავრაცია და კვლევა</b> (Nino Kalandadze, Teimuraz Parjanadze, Nino Tavartkiladze, Mariam Mchedlishvili, Salome Akhhaladze, <b>RESTORATION AND STUDY OF ARTIFACTS FOUND AT DEDOPLISGORA</b> ) .....194

**რეცენზიები:**

რეცენზია — ქველი ქართული სამკაული, ნინო ლორთქიფანიძე ..... 202  
რეცენზია — შინვალის სამაროვანი. თბ. 2015, ვ. ჩიხლაძე ..... 207

**PAPERS IN ENGLISH:**

Gela Gamkrelidze, Vakhtang Shatberashvili, Marine Pirtskhalava, Maia Charkviani, Revaz Davlianidze,  
TYPOLOGICAL ANALYSIS AND STATISTICAL DATA OF WEAPONS FROM THE CEMETERIES OF 5<sup>th</sup> –4<sup>th</sup> CENTURIES  
BC EXCAVATED IN GEORGIA. ....209

SUMMARIES .....231

Abbreviations .....239

ინფორმაცია ავტორებისათვის .....240

## **არქიტექტურისა და მშენებლობის შესახებ ძველ საქართველოში (ძვ.წ. VI – ახ.წ. VII სს)**

საქართველო იმ ქვეყნების რიგს განეკუთვნება, რომელთა ტერიტორიაზე სამშენებლო საქმე უძველესი დროიდან განვითარდა. ზომიერი სარტყლისათვის დამახასიათებელი კლიმატი აქ ცხოვრებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ადამიანი ჯერ ბუნებრივ გამოქვაბულებს და დროებით სადგომებს აფარებდა თავს, შემდგომ კი საცხოვრისის აშენებაზე დაიწყო ზრუნვა. ეს პრობლემა გააქტიურდა სამინათმოქმედო საქმიანობის დაწყების ხანიდან, როცა მოსავლის მოყვანის და ჭირნახულის დაბინავებისას დადგა ხანგრძლივად ერთ ადგილზე ცხოვრების საკითხი. რეალურად ამან განაპირობა სამშენებლო საქმის და არქიტექტურის, როგორც ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი დარგის, ფორმირებისთვის საფუძვლის მომზადება. საქართველოს ტერიტორიაზე ამ მნიშვნელოვანი პროცესის მიმდინარეობაზე წარმოდგენას ადრესამინათმოქმედო კულტურის ნამოსახლარები გვიქმნის. ნათელია, რომ ამ ეპოქის ადამიანმა შესძლო ბუნებაში არსებული თიხის და ნყლის მეშვეობით სამშენებლო მასალის – ალიზის შექმნა და მისთვის ესოდენ საჭირო საცხოვრისის აგება.

განვითარების შემდგომ პროცესს წარმოაჩენს თავდაპირველი მარტივი სტრუქტურის თანდათანობით გარდაქმნის, კონსტრუქციული, უტილიტარული თუ გარკვეული იდეურ-მხატვრული საკითხების გადაჭრის მცდელობები, რაც საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევის შედეგად დადასტურებულ ძეგლებში კარგად ვლინდება. ეს არტეფაქტები უაღრესად ღირებულ მასალას წარმოადგენს ხუროთმოძღვრების გენეზისის, ცალკეული არქიტექტურული ფორმების, სამშენებლო საშუალებებისა თუ

ხერხების, ათასწლეულების განმავლობაში სამშენებლო გამოცდილების მემკვიდრეობითობის კვლევის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში შესაფერისი პირობები იყო არა მხოლოდ ხუროთმოძღვრების ჩასახვის, არამედ მისი ინტენსიურად განვითარებისათვის. მრავალფეროვანი ლანდშაფტი და ნაირგვარი სამშენებლო მასალის არსებობა ის მოცემულობა იყო, რამაც დროთა ვითარებაში მდიდარი ხუროთმოძღვრული ტრადიციების ფორმირებას შეუწყო ხელი. ეს პროცესი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ხის თუ ქვის რესურსის ათვისების და შესაბამისი სამშენებლო ხერხების დაუფლების გზით სხვადასხვა ლანდშაფტურ თუ კლიმატურ პირობებში განსხვავებულად წარიმართა. შედეგად შეიქმნა მრავალგვარი არქიტექტურული ფორმის ჩამოყალიბების და ხუროთმოძღვრების დინამიურად განვითარების პერსპექტივა. სამშენებლო საქმიანობის გააქტიურებას ბრინჯაოსა და შემდგომ რკინის ეპოქებში შრომის იარაღების გაუმჯობესებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი.

ამდენად, საქართველოში არსებობდა ობიექტური პირობები არქიტექტურის ჩასახვა-განვითარებისათვის, რაზეც მის ტერიტორიაზე მიკვლეული უძველესი ძეგლების სიმრავლე და მათი ქრონოლოგია მეტყველებს. ეს ნაგებობები უტყუარად ადასტურებს სამშენებლო საქმის ხანგრძლივი და მრავალმხრივი გამოცდილების არსებობას ძვ.წ. I ათასწლეულისთვის. ამას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს ხუროთმოძღვრების შესწავლისათვის ჩვენთვის საინტერესო პერიოდში (ძვ.წ. VI-ახ.წ. VII სს.), რომელიც ორ, წინაქრისტიანულ და ადრექრისტიანულ ხანას მოიცავს. ამ ეპოქებში არქიტექტურა და სამშენებლო საქმე

განსხვავებული ხასიათისაა, რასაც ისტორიულ-კულტურული კონტექსტი თუ რიგი სხვა ფაქტორები განაპირობებს. თუმცა მჭიდრო კავშირის არსებობაც უდაოა, რაც ხუროთმოძღვრებისა და სამშენებლო გამოცდილების მემკვიდრეობითობით არის განპირობებული. ადრექრისტიანული ეტაპი ქმნის იმ ნიადაგს, რომელზეც შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის მიღწევები იქნა დაფუძნებული.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდების, განსაკუთრებით წინაქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლების და არქიტექტურაში მიმდინარე პროცესების შესწავლას ართულებს ნაგებობების შესახებ არსებული ინფორმაციის ფრაგმენტულობა. ეს აძნელებს და ხშირად შეუძლებელს ხდის მათი თავდაპირველი სახის სრულფასოვნად აღდგენას. მიუხედავად ამისა, არსებული არტეფაქტები ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის წარმოჩენის და ხუროთმოძღვრების განვითარების ძირითადი მიმართულების დადგენის შესაძლებლობას იძლევა.

**წინა პერიოდის მოკლე მიმოხილვა.** საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანების ცხოვრების კვალი პალეოლითის, მეზოლითისა და ნეოლითის პერიოდებშია დადასტურებული. ამ დროს ძირითადად ღია ტიპის დროებით სადგომებს, ეხება და გამოქვაბულებს იყენებდნენ. საგანგებოდ აგებული მუდმივი საცხოვრისი და სოფლის ტიპის პირველი დასახლებები ადრესამინათმომქმედო კულტურის ეტაპზე ჩნდება. ძვ.წ. VI-V ათასწლეულებით დათარიღებული ამ კულტურის გავრცელების არეალი სცდება საქართველოს ფარგლებს და ამდენად შეიძლება საერთო აღმოსავლურ კულტურად მოვიხაროთ, რომლის მნიშვნელოვანი პუნქტები დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზეა დადასტურებული. ისინი ძირითადად კონცენტრირებულია ქვემო ქართლში მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადების, ხრამისა და დებედას, აუზში. ისინი ერთმანეთისაგან 10-15 კმ-ის დაშორებით 3-5 სოფლისაგან შემდ-

გარ კომპაქტურ ჯგუფებად იყო განლაგებული. თავად სოფლები უმეტესად ბორცვებზე იყო გაშენებული. დასახლებისთვის ადგილის შერჩევასა საგანგებოდ იყო გათვალისწინებული წყლის რესურთან სიახლოვე, ქარების მოძრაობის მიმართულება თუ სხვა კლიმატურ-გეოგრაფიული თავისებურებები, რაც აშკარად მიუთითებს იმ პერიოდის ადამიანის გარემო პირობებზე დაკვირვების და გარკვეული გამოცდილების დაგროვების უნარზე. ამგვარი დასახლებებია – შულავერის გორა, იმირის-გორა, არუხლო, წითელი გორები, ხრამის დიდი გორა, ნოფი, ამირანის გორა და სხვ. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ნამოსახლარები შულავერ-შომთეფვეს სახელითაც მოიხსენიება [ჯაფარიძე ოთ., 2003 : 87].

ამ პუნქტებში არქეოლოგიური კვლევა-ძიება თვალსაჩინოდ ავლენს ინტენსიური ცხოვრების კვალს. შეინიშნება ნაგებობათა გადაკეთების, თავად დასახლების ფართობის შემცირების ან გაზრდის კვალი, რაც მოსახლეობის ერთ ადგილზე ხანგრძლივად ცხოვრების შესახებ მეტყველებს. ნაგებობები მეტწილად წრიული მოედნის გარშემო უსისტემოდ იყო განლაგებული. ძირითად საშენ მასალას წარმოადგენდა ალიზის აგური, რომელიც ალუვიური, წვრილმარცვლოვანი, ღია მონაცრისფრო-მოყვითალო ფერის თიხისგან მზადდებოდა. აგურები გამოუნვაავი, მზეზე გამომშრალი იყო და კედლის წყობაში ჰორიზონტალურად, ცალპირად ლაგდებოდა. ისინი თიხის ხსნარით უკავშირდებოდა ერთმანეთს. კედლები და იატაკი თიხის ხსნარითვე იყო შელესილი. ნაგებობები გეგმაში წრიული ან ელიფსური ფორმისა იყო. კედლებს საძირკველი არ გააჩნდა. ისინი პირდაპირ დედაქანზე ან მიწის ზედაპირზე იყო ამოყვანილი. ნაგებობის სიდიდე მისი ფუნქციით განისაზღვრებოდა. დიდი (2,5-5 მ. დიამეტრის) საცხოვრებელს წარმოადგენდა, საშუალო (1,5-2 მ.) დამხმრე სათავსს, ხოლო მცირე (0,5-0,75მ) საკვების შესანახი ორმო იყო [აბრამიშვილი....., 2000: 7-8].



საცხოვრისის ტიპის ევოლუციის შემდეგ ეტაპს ქმნის მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები (ძვ.წ. IV ათასწ. მეორე ნახ. - III ათასწ. პირველი ნახ.) [ჯაფარიძე ოთ., 2003: 102]. დასახლებები მდინარეთა გასწვრივ, ერთმანეთისაგან 2-4 კილომეტრით იყო დაშორებული. დასახლებისათვის შერჩეული იყო ბუნებრივად კარგად დაცული ადგილები, შემადლებათა და წყალგამყოფი მთაგრეხილების თხემი და ფერდობები. კვადრატული დაგეგმარების დასახლებაში სახლები ერთმანეთის მიმართ მეტ-ნაკლებად სწორ რიგებად იყო განლაგებული, რის საშუალებას მათი სწორკუთხა გეგმა იძლეოდა. ზოგჯერ სახლები ერთმანეთს გვერდითი ან უკანა კედლებით ებჯინებოდა, რაც მჭიდროდ დაკავშირებული სახლების ჯგუფს ქმნიდა. ცალკეული სახლები მცირე მოედნების ირგვლივ იყო განლაგებული. ნიშანდობლივია, რომ სახლების ორიენტაცია თითოეულ დასახლებაში ემორჩილებოდა კლიმატური პირობების (ქარების და მზის სხივების მიმართულების) გათვლისწინების პრინციპს. საინტერესოა, რომ სწორკუთხა სახლებს კუთხეები გეგმაში მომრგალებული ჰქონდა, რაც მისი აგების სპეციფიკით, კედლებში ვერტიკალურად მდგარი ხის მასალის გამოყენებით, იყო განპირობებული.

სამშენებლო საქმის განვითარების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია მტკვარ-არაქსის კულტურაში ახალი მასალის და სამშენებლო წესების დანერგვა, რაც ნოვაციას წარმოადგენდა. თუ ადრესამინათმოქმედო კულტურაში ძირითადი საშენი მასალა თიხა და ალიზ-აგური იყო, საცხოვრისს კი წრიული გეგმა ჰქონდა, მტკვარ-არაქსის კულტურაში აქტიურად შემოდის ხის მასალა, მისი კარკასად და საყრდენად გამოყენების წესი. ეს ნაგებობის სწორკუთხა მოხაზულობას და ბანური გადახურვის მოწყობას უზრუნველყოფდა. აღსანიშნავია, რომ ცალკეულ რეგიონებში ქვის მასალის გამოყენების მაგალითებიც ფიქსირდება. ხის და მით უფრო ქვის გამოყენება, ცხადია, უმთავრესად სამეურნეო ია-

რალის გაუმჯობესებას და ლითონის (ბრინჯაოს) გამოყენებას უკავშირდება და სამშენებლო საქმის განვითარებას ადასტურებს. ამგვარი ძეგლებია ხიზანანთ-გორა, ქვაცხელები, გუდაბერტყა, ციხიაგორა, ნაცარგორა და სხვა.

ხიზანანთ-გორა და ქვაცხელები ახალი ტიპის სახლების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის. გარკვეული ტრანსფორმაციის ნიშნები ჯერ კიდევ ადრესამინათმოქმედო კულტურის გვიან ეტაპზე ფიქსირდება (იმირის გორას საყრდენიანი სახლი), თუმცა მთელი სისრულით სიახლე სწორედ ამ დასახლებებში გამოვლინდა. ამ პერიოდის საცხოვრისის ტიპიური ნიმუშია ქვაცხელას საცხოვრისი.

ქვაცხელას ყველა საცხოვრისი ერთმანეთის მსგავსია. ისინი 30-50 კვ.მ ფართობის ნაგებობებია, რომლებიც სწორკუთხა მოხაზულობისაა, ოდნავ მომრგვლებული კუთხეებით. თითოეული ნაგებობა შედგებოდა ორი ნაწილისაგან: თითქმის კვადრატული გეგმარების საცხოვრებელი ოთახისა და სამეურნეო დანიშნულების დერეფნის - ერთგვარი წინკარისაგან. ნაგებობაში შესასვლელი საფასადო მხარეს, წინკარში იყო გაჭრილი. მის მოპირდაპირედ ოთახში შესასვლელი კარი მდებარეობდა. რელიეფის შესაბამისად, შენობის ორი ნაწილის დონეები შეიძლება განსხვავებული ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში ოთახში შესასვლელად საფეხურები იყო გამართული. საცხოვრებელი ოთახის უკანა კედლის გასწვრივ მდებარეობდა ოდნავ შემადლებული (10-15სმ სიმაღლის და 70-80სმ სიგანის) ბაქანი, რომელიც მეცნიერთა აზრით საკულტო რიტუალის შესასრულებლად იყო განკუთვნილი. ოთახის ცენტრში გამართული იყო კერა. მის უკან მდგარი ხის ბოძი ბრტყელ გადახურვას იჭერდა. კერიის თავზე უნდა ყოფილიყო საკვალმე ღიობი, საიდანაც სინათლეც შემოდებოდა.

ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მოსახლეობა ისევ მღვიმეებში ცხოვრობდა. მაგალითად:

ცუცხვათის მღვიმე, საგვარჯილე და სხვ. [ჯაფარიძე ოთ., 2003: 126]. დასახლებები გვხვდება სანაპირო ზოლის მახლობლად. ისინი მდებარეობდა უმეტესად ჭაობიან ადგილებში და ამიტომ არხებით გარშემორტყმულ ხელოვნურ ბორცვებზე იყო განლაგებული. ძირითად სამშენებლო მასალას ხე ნარმოადგენდა. ასეთი დასახლებებია ისპანი, ანაკლია, ფიჩორი და სხვ. [ჯაფარიძე ოთ., 2003: 129-132]. აღსანიშნავია, რომ კოლხეთის დაბლობზე მომდევნო პერიოდის ნამოსახლარებიც (ნამჭედური, ნოსირი, ანაკლია და სხვა) მსგავსი სახისაა და მნიშვნელოვნად არ განსხვავდება წინამორბედი ხანის ნიმუშებისაგან [ჯაფარიძე ოთ., 2003: 186-187].

ადრებრინჯაოს ხანის დასასრულიდან, მთელი შუაბრინჯაოს ხანის განმავლობაში (ძვ.წ. III-II ათასწლეულის დასაწყისი) სამშენებლო საქმის განვითარების დონე ყველაზე უკეთ აისახა გრანდიოზული ყორღანული სამარხების მშენებლობაში. თრიალეთის ანუ დიდი ყორღანების კულტურა ნათელყოფს, რომ ძვ.წ. III –II ათასწლეულებში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას ჩამოყალიბებული რწმენა-ნარმოდგენები და იდეოლოგია გააჩნდა. საყურადღებოა, რომ ამ საზოგადოების განვითარების დონე გრანდიოზული სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად მატერიალური თუ ადამიანური რესურსების მობილიზების საშუალებას იძლეოდა. ამასთანავე არსებობდა დახვეწილ ნივთებზე მოთხოვნა და მათი მაღალოსტატურად შესრულების შესაძლებლობა. ამდენად, დიდი ყორღანების კულტურის ძეგლებში დაკრძალვის წესი და დასაკრძალავი ნაგებობის მასშტაბი, მდიდრული ინვენტარის სიმრავლე, შემორჩენილი ნიმუშების ხასიათი და გამოსახულებების შინაარსი ნათლად მეტყველებს ძველ აღმოსავლურ სამყაროსთან სიახლოვესა და საერთო მიდგომების არსებობაზე, რასაც, ცხადია, დიდი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა გააჩნია.

საქართველოში დადასტურებულია მეგალითური ნაგებობები. ნალკის, თეთრინყაროს

და სამხრეთ საქართველოს სხვა რაიონებში შემორჩენილია მენჰირები, ხოლო დოლმენები ძირითადად აფხზეთშია (ეშერა, აჭანდარა, ოთხარა). მნიშვნელოვანია, რომ გამოვლენილია ე.წ. ციკლოპური წყობით ნაგები ციხეები (გოხნარი, შაორი, ავრანლო, ქოროლო, ჩხიკვთა და სხვ.). ამგვარი ნაგებობების არსებობა თავისთავად სამშენებლო საქმის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე, მნიშვნელოვანი ტექნიკურ-კონსტრუქციული საკითხების გადაწყვეტის, მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების კარგად ორგანიზების შესაძლებლობაზე მიუთითებს.

როგორც მოკლე მიმოხილვა ცხადყოფს, ძვ.წ. I ათასწლეულისთვის საქართველოში ხუროთმოძღვრების და სამშენებლო საქმის განვითარების დონე სათანადო საფუძველს ქმნიდა ახალი ეპოქის შესაბამისი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

საისტორიო წერილობით წყაროებში ჰეროდოტე, ქსენოფონტი, სტრაბონი, არიანე, ლეონტი მროველი სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ კავკასიონის ქედიდან ვანის ტბამდე ტერიტორიაზე მდინარეების მტკვრის, რიონის, ჭოროხისა და ნაწილობრივ არაქსის აუზებში მოსახლე ძველი ქართველური მოდგმის ხალხს. ესენია კოლხები, იბერები, ხალიბები, მოსუნიკები, სასპერები, მაკრონები, ჰენიოხები, მოსხები, ტაოხები, აფსილები, ტიბარენები, სანიგები; შემდგომ ჭანები, ლაზები, სვანები, ეგრნი, ქართნი და ა.შ. [იხ. საქართველო და ქართველების აღმნიშვნელი... 1993]. ამ ტერიტორიაზე ანტიკურ ეპოქაში ჩამოყალიბდა და პოლიტიკური ჰეგემონობა მოიპოვა კოლხეთისა (rsp. ლაზიკის, ეგრისის) და იბერიის (rsp. ქართლის) სამეფოებმა.

**წინაქრისტიანული საქართველოს არქიტექტურა, სამშენებლო მასალები და ხერხები.** საზოგადოდ, საქართველოში სამშენებლო მასალის რესურსი საკმაოდ მრავალფეროვანია. როგორც აღინიშნა, უძველეს ნამოსახლარებში (ძვ.წ.V-1V ათასწ.) ნაგებობები ალიზით იყო აგებული. ეს საშენი მასალა ათასწლეულების გან-

მავლობაში გამოიყენებოდა. თავდაპირველად დასტურდება მხოლოდ ალიზით ნაგები (მაგ.:შულავერის გორა, არუხლო, იმირის გორა), შემდგომ ხის კარკასის (მაგ.:ქვაცხელა) და ქვის საფუძველზე ამოყვანილი კედლები (მაგ.: ამირანის გორა). აღსანიშნავია, რომ ალიზს ფართოდ იყენებენ ძვ.წ. პირველ ათასწლეულშიც. მაგალითად ძვ.წ. IV-III სს-ის ციხიაგორას 1,5 მეტრი სისქის ქვის კედლებს ალიზის წყობა აგრძელებს [ცქიტიშვილი,2003:11-25]; ხოლო ძვ.წ. II-I სს-ის დედოფლის მინდორის გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი მთლიანად ალიზის აგურით (ზომები:50 X 50 X 15სმ) არის ნაგები [გაგომიძე,1981:102-116]. ალიზის აგური გამოიყენება ასევე აღმოსავლეთ საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობებშიც.

აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად ალიზის აგურის ორი სახეობა გვხვდება: კვადრატული და მართკუთხედის ფორმის. მართკუთხედი კვადრატის ნახევარს უტოლდება. ქართლის ალიზის აგური დამზადებულია ბზენარევი თიხისაგან, მაკავშირებლად ნაცარშერეული თიხის ხსნარია გამოყენებული. მას არ ეტყობა დამტამპვის კვალი. მისი სიგრძე საშუალოდ 52 სმ-ია. დასავლეთ საქართველოშიც იგივე ტიპისა და პროპორციების ალიზი გვხვდება. მაგალითად: ვანის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ალიზის აგურის ზომებია 50 სმ X 50 სმ X 11 სმ და 50 სმ X 22 სმ X 11 სმ. ალიზის გამოყენება მკვეთრად შემცირდა ძვ.წ. პირველი ათასწლეულის დასასრულს, რაც კირის დუღაბის გავრცელებას უკავშირდება.

ხშირ შემთხვევაში ალიზის კედლებს ქვის კვადრების ცოკოლზე აგებდნენ. ალიზის წყობას ჰორიზონტალური რიგები ახასიათებდა. შემაკავშირებლად თიხის ხსნარი გამოიყენებოდა. კედელს შელესილობა მონოლითურ იერს ანიჭებდა. კედლის სიმტკიცისათვის, განსაკუთრებით საფორტიფიკაციო ნაგებობებში, ალიზის წყობას ხის ძელებით ამაგრებდნენ, როგორც გრძივად, ასევე განივად. ხშირად მიმართავდნენ კონტრფორსებსაც.

საქართველოში ფართოდ გამოიყენებოდა თიხაც, რომელიც ბუნებრივ მასალას წარმოადგენს. მას ხსნარის სახით შელესილობისათვის, ალიზის წყობის შემაკავშირებლად, იატაკისა და ბანური გადახურვის მოსაწყობად იყენებდნენ.

ხე ერთ-ერთ ძირითად საშენ მასალას წარმოადგენდა საქართველოში, განსაკუთრებით კოლხეთში. ტყეებით მდიდარი მხარე სათანადო მასალის მოპოვების კარგ შესაძლებლობას ქმნიდა. კოლხეთში ტყეების სიუხვეს და ხის ნაგებობების სიმრავლეს აღნიშნავენ ბერძენი და რომაელი ავტორებიც – ჰიპოკრატე, ქსენოფონტი, აპოლონიოს როდოსელი, პომპონიუს მელა, ვიტრუვიუსი, სტრაბონი და სხვ. ხით ნაგები სამოსახლოები აქ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან არის დადასტურებული. ხისგან აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, კოშკებს, ზღუდე-მესერებს, გამაგრებულ სამოსახლოებს [იხ. გამყრელიძე, 2002: 111-121]. აღსანიშნავია, რომ ხის ძელებით ნაგებ ე.წ. კოლხურ სახლს საგანგებოდ ეხება რომაელი არქიტექტორი ვიტრუვიუსი თავის ცნობილ ტრაქტატში “არქიტექტურის ათი წიგნი” (ვიტრუვიუს, II, I, 4), რაც კოლხეთში ხის ხუროთმოძღვრების თავისებური ნიმუშების არსებობას ადასტურებს. ხეს იყენებდნენ ასევე დამხმარე მასალად, მაგალითად, ალიზის წყობის გასამაგრებლად, გადახურვის მოსაწყობად, კოჭებისა და სვეტების დასამზადებლად და სხვ.

რაც შეეხება ქვის მასალას, საქართველოში მისი ბუნებრივი რესურსი საკმაოდ მრავალფეროვანია. საშენ მასალად გამოიყენებოდა როგორც ვულკანური ქანები – ანდეზიტო-ბაზალტი, ასევე უფრო ადვილად დასამუშავებელი ქვიშაქვა, ტუფი და მათთან შედარებით მტკიცე კირქვა. აქტიურად იყენებდნენ რიყის ქვას [აბრამიშვილი..., 2000: 47]. აღსანიშნავია, რომ მასალის ტრანსპორტირების სირთულე მშენებლობაში ძირითადად ადგილობრივი წარმოშობის ქანების გამოყენებას განაპირობებდა. როგორც ცნობილია, ხის თუ ქვის საშენი მასალის და-

მუშავეებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამშენებლო იარაღს, ამდენად რკინის ხანის დადგომამ ახალი შესაძლებლობები შექმნა საშენი მასალის ფორმის, მისი ზედაპირის დამუშავების და დეკორით შემკობის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია ცალკეული სამშენებლო იარაღებიც. ასე მაგალითად, წინამურის ნამოსახლარზე აღმოჩნდა სატეხი, რომელიც, სავარაუდოდ, დიდი კვადრების დასამუშავებლად გამოიყენებოდა. სარკინეს ნამოსახლარზე გამოვლინდა ქვისმთელეთა იარაღები. განსაკუთრებით საინტერესოა არმაზისხევში, შიდა ციხის ტერიტორიაზე, აღმოჩენილი ბრინჯაოს ფარგალი. მბრუნავი ჩარხის კვალია დაფიქსირებული სარკინეში კოლონებისა და ნახევარკოლონების ფრაგმენტებზე [იხ. აფაქიძე, 1963:206-214; აბრამიშვილი.....,2000:47-48]. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს საკმაოდ მრავალფეროვანი ტექნიკური საშუალებების არსებობაზე, რაც სამშენებლო საქმის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

ძვ.წ. VI-V სს-ში ჯერ კიდევ გვხვდება დაუმუშავებელი ქვის მშრალი წყობა შემაკავშირებლების გარეშე, ხოლო ძვ. წ. IV ს-დან მკვიდრდება ქვის კვადრებად გათლის წესი. კვადრები მშრალად ეწყობა. შემაკავშირებლად, უმეტეს შემთხვევაში, კვადრებში ამოკვეთილ ბუდეებში ჩამაგრებული ხის (მუხის) ან ლითონის ე.წ. მერცხლის კუდის სახის პირონები გამოიყენება (მაგ.: არმაზციხე, გორი, წინამური). გვხვდება აგრეთვე ბუდეების ტყვიით ჩადულების შემთხვევებიც. კედლის წყობაში თარაზული გადაბმისათვის ისრისპირისებური, ხოლო შვეული გადაბმისათვის პრიზმის ფორმის პირონები გამოიყენება. კვადრების წყობას ჰორიზონტალური რიგები ახასიათებს, თუმცა თავად რიგები არათანაბარი სიმაღლისაა. კვადრები ქანში ამოკვეთილ ბუდეებშია ჩასმული. ქანობიანი რელიეფის შემთხვევაში კვადრების პირველი რიგი საფეხურებადაა განლაგებული. წყობაში ჰორიზონტალური რიგები სხვადასხვა

სიმაღლისაა ქვების ზომის შესაბამისად. ნაგებობის კუთხეებში განსაკუთრებული კუთხური კვადრები, ე. წ. საკიდურები გამოიყენებოდა. ძვ.წ. I ათასწლეულის დასასრულისთვის, ძირითადად ძვ.წ. II-I საუკუნეებიდან, გამოიყენება რუსტებიანი წყობა (მაგ.: მცხეთა, ვანი, უფლისციხე). ასეთ ნაგებობებში ქვის კვადრის გათლილ ნაწიბურებს შორის მოქცეული დაუმუშავებელი ზედაპირით შექმნილი მხატვრული ეფექტი კედელს თავისებურ მხატვრულ გამომსახველობას სძენდა. გამოიყენებოდა ასევე კარგად დამუშავებული ქვის კვადრებიანი წყობა. კედლის სისქეში კვადრებით შედგენილ პერანგებს შორის არე ძირითადად რიყის, ფლეთილი ქვის და თიხის ხსნარით იყო შევსებული. ცალკეულ ნაგებობებში გვხვდება სუფთა კვადრული წყობაც. საფორტიფიკაციო, საცხოვრებელ და რიგით ნაგებობებში შერეული, ქვისა და აგურის წყობაა დაფიქსირებული [იხ. აფაქიძე, 1963: 24-31; აბრამიშვილი....., 2000: 47-48]. საგულისხმოა, რომ რიგი ნაგებობების კედლის წყობაში გამოიყენებოდა ქვევიდან ზევით ქვის კვადრების ზომის შემცირების წესი, რაც აღმოსავლური, განსაკუთრებით ძველი ირანული, ხუროთმოძღვრებისათვის იყო დამახასიათებელი (მაგ.: კიროსის აკლდამა) და ნაგებობის სიმაღლის ილუზორული გაზრდის ეფექტს ქმნიდა.

ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოდან კირის დუღაბის გავრცელებამ ახალი შესაძლებლობები შექმნა ქვის არქიტექტურის განვითარების თვალსაზრისით. ეს უკავშირდება როგორც ნაგებობის კონსტრუქციული მდგრადობის გაზრდის, ასევე სივრცის ორგანიზების მრავალფეროვანი ხერხის, თალის, კამარის თუ სხვა არქიტექტურულ-მხატვრული საშუალებების გამოყენების დანერგვას. ძვ.წ. III ს-ში უკვე გვხვდება კირხსნარის ანუ კირდუღაბის გამოყენების ცალკეული შემთხვევები. ახალი წელთაღრიცხვიდან კირხსნარი ფართოდ ვრცელდება როგორც შავიზღვისპირეთში, ასევე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ

კირხსნარი გამოიყენებოდა დანაყილ კერამიკასთან ერთად (ჰიდრაულიკური ხსნარი) და ამდენად ჰიდროიზოლაციის ფუნქციასაც ასრულებდა.

წინაქრისტიანულ ხანაში სამშენებლო ტექნიკის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სიახლეები იწერება. ვითარდება საყრდენ-კოჭოვანი სისტემა, რასაც უფლისციხის დარბაზში მისი იმიტაციაც ადასტურებს. გვხვდება კამაროვანი გადახურვა (მცხეთის აკლდამა), ასევე სავარაუდოა გადახურვის სხვა ფორმების გამოყენებაც. ბანური, თიხატკეპნილი გადახურვის პარალელურად საქართველოში ფართოდ გავრცელდა კრამიტით გადახურვის იმ ეპოქისათვის მონიწვე წესი, რასაც არქეოლოგიურ მასალაში მრავლად აღმოჩენილი ბრტყელი და ღარისებრი კრამიტი ადასტურებს. ძვ.წ. IV – III სს-დან კრამიტი ფართოდ ვრცელდება და იწყება მისი ადგილობრივად წარმოება. კრამიტით თავდაპირველად საკულტო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები იხურებოდა. მოგვიანებით, კრამიტის წარმოების განვითარებასთან ერთად, ის საცხოვრებელ სახლებშიც გამოიყენებოდა. გავრცელებული იყო კრამიტის ორფერდა სახურავი, ცალკეულ შემთხვევაში კი ცალფერდა სახურავიც. კრამიტს იყენებდნენ აგრეთვე სამარხების მოსაწყობად და აკლდამების გადასახურად.

აღმოსავლეთ საქართველოში ორი სახის კრამიტი გვხვდება: ბრტყელი და ღარისებრი. მცხეთური ბრტყელი კრამიტი ფართო ტრაპეციისებრი მოყვანილობისაა, გრძივი გვერდები აკეცილი აქვს. კრამიტის სიგრძეა 52,5 სმ, 50 სმ, 46,5 სმ. სიგანე თავში - 44,6 სმ, 41,5 სმ, 37,5 სმ; ბოლოში - 36 სმ, 30,5 სმ, 29, 5 სმ. კიდეების სიმაღლე გარედან 5-6 სმ-ია. ღარისებრი კრამიტი წარმოადგენს თიხის ღარს, რომლის ქვედა ნაწილი უფრო ფართოა. კრამიტის სიგრძეა 48,3 სმ, 50 სმ. ფართო ნაწილის სიგანეა 19,5 სმ, 21,3 სმ; ვიწროსი - 14,6 სმ, 13,8 სმ. აღსანიშნავია, რომ მცხეთის ღარისებრი კრამიტს ახასიათებს

თავისებურება. კერძოდ, გარე ზედაპირზე აქვს ქიმი, რომელიც ზედა მწკრივის ღარისებრი კრამიტს იჭერს. მცხეთური კრამიტის ზედაპირზე წვეტიანი იარაღით სხვადასხვა ნიშნები იყო გამოსახული. კრამიტი იღებებოდა. მის საღებავს მოყავისფრო და მონითალო ფერი და თხელი კონსისტენცია ჰქონდა [აფაქიძე, 1963: 49-75].

აღსანიშნავია ნასტაკისის ნამოსახლარზე აღმოჩენილი კრამიტები. ბრტყელი კრამიტის სიგრძეა 57,5 სმ – 73 სმ; ღარისებრის 47სმ – 66,5 სმ. ნასტაკისის ნამოსახლარის კრამიტთან ახლოს დგას ციხიანორას ნამოსახლარის კრამიტიც. კრამიტები შეღებილია წითლად და აქვთ ბერძნული ნიშნები, რომლებიც დამზადებული კრამიტის რაოდენობაზე მიუთითებენ. დედოფლის მინდორის ნამოსახლარზეც წითლად შეღებილი კრამიტებია აღმოჩენილი, რომელთა სიგრძეც 57 სმ-ს აღწევს [აბრამიშვილი ....., 2000: 48-49].

კრამიტს ფართოდ იყენებდნენ დასავლეთ საქართველოშიც. ვანის ნამოსახლარზე აღმოჩენილი კრამიტებიდან უმეტესობა ადგილობრივია, თუმცა გვხვდება სინოპური კრამიტიც – როგორც ბრტყელი, ასევე ღარისებრი. ვანის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ბრტყელი კრამიტი სწორკუთხა მოყვანილობისაა, გრძივი გვერდები აკეცილი აქვს. კრამიტის სიგრძეა 50 სმ; სიგანე 38 სმ. გვხვდება უფრო დიდი ზომის კრამიტიც – სიგრძით 64 სმ, სიგანით 52,5 სმ. კრამიტი მცხეთურის მსგავსად აქაც ფიცრებისაგან შეკრულ დაზგაზე მზადდებოდა, ოღონდ ფორმის მისაცემად აქ სპეციალურ ჩარჩოს და მოსასწორებელ იარაღს იყენებდნენ. ბრტყელი კრამიტის აკეცილი კიდეების ფორმირება ჩარჩოშივე ან ჩარჩოდან ამოღების შემდეგ ხდებოდა [ახვლედიანი, 1999: 3-36]. ვანის ნამოსახლარზე, კრამიტების ნაშთებთან ერთად აღმოჩენილია რკინის ბრტყელი, კუთხეებმოხრილი სალტეები, რომლებსაც ბოლოზე სამანჭვლე ნახვრეტი აქვს. ეს რკინის 20-22 სანტიმეტრის სიგრძის და 5-6 სანტიმეტრის სიგანის სალტეები, სავარაუდოდ, კრამიტის სამაგრები იყო.

ლარისებრი კრამიტის ანალოგიურად მზადდებოდა ასევე კერამიკული მიწები წყალსადენი სისტემებისთვის, რომელთა არსებობა თავისთავად სამშენებლო-საინჟინრო საქმის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე მიუთითებს. საყურადღებოა, რომ ძალისის ნამოსახლარზე აღმოჩენილია ტყვიისაგან დამზადებული წყალსადენის მიწებიც. ძალზე მნიშვნელოვანია წინაქრისტიანულ საქართველოში აბანოების ე.წ. ჰიპოკაუსტური სისტემის გავრცელება, რომელიც რომაული მცირე თერმების გათბობის სისტემის მსგავსია.

საქართველოში საინჟინრო საქმე საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული. ამაზე მეტყველებს, მაგალითად, ვანში ქალაქის კარიბჭესთან დაფიქსირებული მოკირწყლული ქვაფენილი. მას ძალზე დიდი მნიშვნელობა გააჩნია, რადგან ნათლად ადასტურებს როგორც გზის მარშრუტის შედგენის, ასევე თავად საგზაო სამუშაოების მაღალ დონეზე შესრულების გამოცდილების არსებობას. ამდენად, სავარაუდოა, რომ საქართველოში მეტ-ნაკლებად გამართული საგზაო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა შეიძლება ყოფილიყო, რის აუცილებლობას ქვეყნის გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობის სპეციფიკაც განაპირობებდა.

**ნამოსახლარები, საცხოვრისები.** საზოგადოდ, ნებისმიერ ეპოქასა თუ რეგიონში ნაგებობების უმრავლესობას საცხოვრებელი ფუნქცია გააჩნია. შესაბამისად, ძველ საქართველოშიც ამ ტიპის შენობები მრავლად შენდებოდა, მაგრამ სხვადასხვარი მიზეზით დაზიანების, სახეცვლის და განადგურების გამო მათ შესახებ სრული ინფორმაციის მოპოვება გართულებულია. ამდენად, ჩვენი ცოდნა წინაქრისტიანული ხანის საცხოვრისების შესახებ არასრულია, თუმცა რიგი საკითხების გარკვევა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია.

კოლხეთი და ნაწილობრივ იბერია მთებით შემოსაზღვრული რეგიონები იყო, რაც სამხედრო-სტრატეგიულად გარკვეულ ბუნებ-

რივ დამცავ არეს ქმნიდა. ნოყიერი ნიადაგი, მრავალფეროვანი რელიეფი, ზომიერი კლიმატი, ჰიდრორესურსების სიმრავლე, მადნეული, ფლორისა და ფაუნის მრავალსახეობა საზოგადოების პროგრესისათვის კარგ საფუძველს იძლეოდა. უპირატესად კი ამაზე იყო დამოკიდებული საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების დონე. აქედან გამომდინარე, კოლხეთში, ცენტრით მდინარე რიონზე და იბერიაში – მდ. მტკვარზე თავისებური ისტორიულ-კულტურული არე ჩამოყალიბდა. მათ გეოპოლიტიკურად ერთ-ერთი საკვანძო ტერიტორია ეკავათ. აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გარკვეული თანხვედრა. ძველი საქართველოს ისტორიული განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბიოგეოგარემომ: კლიმატმა, ნიადაგმა, რელიეფმა, მადნეულმა, ზღვამ, ტბებმა, მდინარეებმა, ფლორამ [გამყრელიძე, 1993]. საქართველოს მთიანეთის ბორცვ-გორაკები, ხეობები, სერები, ტაფობები, ზეგნები და დაბლობი თავიანთი ბუნებრივი გარემოთი დასასახლებლად მოსახერხებელია. აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება საშენი მასალა: ხე, ქვა, თიხა. საქართველოს რელიეფი ორ ძირითად განსხვავებულ ნაწილად იყოფა: მთა-მთისწინეთად და ბარ-დაბლობად. მთა-მთისწინეთი კავკასიონის მთავარი ქედი და გვერდითი ქედებია. მათაც მრავალი განშტოება აქვს, რომლებიც მთისწინა ზოლში გადადის და ბარისაკენ ეშვება. დიდ და მცირე კავკასიონს შორის ლიხის ქედი მდებარეობს. ამ მთიანეთში გადადიოდა ბილიკ-გზები, რომლებითაც ძველი მოსახლეობა დანარჩენ სამყაროს უკავშირდებოდა. მდინარე რიონ-ყვირილა ანუ ფასისი და მდინარე მტკვარი ანუ კუროსი თავისი მდებარეობით მოხერხებული სავაჭრო-სატრანზიტო გზა იყო (იხ. სტრაბონი XI, II, 17; XI, VII, 3; პლინიუს სეკუნდუსი VI, 52). სწორედ ამ გზის გაყოლებაზე მდებარეობს ანტიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების ნამოსახლარები, რომელთა არქეოლოგიური კვლევის დროსაც აღმოჩნდა შემოტა-

ნილი უცხოური ნაწარმი — კერამიკა, სამკაულები, მონეტები, ლითონისა და მინის ჭურჭელი. ასეთი ნამოსახლარები აღმოჩენილია მდ. რიონ-ყვირილას გაყოლებაზე შორაპანში, კლდეეთში, ვარციხეში, ვანში, შუამთაში, ფარცხანაყანებში, სოფ. მთისძირში, დაბლაგომში, დაფნარში, საჯავახოში, პატარა ფოთში, ჭალადიძეში და ფოთთან, პალიასტომის ტბასთან. მდ. მტკვრის აუზში აღმოჩენილია: ზღუდერში, ურბნისში, უფლისციხეში, ყანჩაეთში, ძალისაში, ციხიაგორასთან, ნასტაკისში, სამადლოში, სარკინესა და მცხეთაში.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებული მონაცემების მიხედვით ნინაქრისტიანული ხანის ნამოსახლართა ტიპოლოგია საკმაოდ მრავალფეროვანია. ამ პერიოდში გარკვეული სახეცვლით არსებობას აგრძელებს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები. ჩნდება ქალაქური ტიპის სამოსახლოები: ნამარნუ (აბაშის მუნიციპალიტეტი) და ფიჩორი (გალის მახლობლად), რომლებიც ზომით სხვებზე დიდია. დასავლეთ საქართველოში სამშენებლო მასალად ძირითადად ისევ ხე და თიხა გამოიყენება. გავრცელებულია ნაგებობათა ორი ტიპი: ჯარგვალისებური და თიხით შეღესილი წნული კედლებით ამოყვანილი. ასეთი ნამოსახლარები აღმოჩენილია ნამჭედურზე, ნახვამუზე, ნოსირში, ანაკლიაში, ტამიშში, კისტრიკში და სხვ. [ჯაფარიძე ოთ., 2003: 194].

კოლხეთის ტერიტორიაზე ჭაობიან ადგილებში ნამოსახლარები ხელოვნურ ბორცვებზე იყო განლაგებული და გარშემო არხები შემოუყვებოდა. ამგვარი წესის დამკვიდრება იმაზე მიუთითებს, რომ სამოსახლოს მოწყობისას კარგად ითვალისწინებდნენ გარემო პირობების სპეციფიკას. ამ ხერხით ერთდროულად აგვარებდნენ წყლის დაწრევისა და თავდაცვის პრობლემას. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთ ხელოვნურ ბორცვებს შედარებით მოზრდილი ბუნებრივი ბორცვის ირგვლივ აწყობდნენ. სამოსახლოებში თავად ნაგებობები ხის მორებისაგან მოწყობილ მოედნებზე იყო ამოყვანილი. აღსანიშნავია,

რომ საცხოვრებელი ნაგებობა ყველაზე კარგად სიმაგრის ნამოსახლარზეა (ხობის მუნიციპალიტეტი) შემორჩენილი და ძვ.წ. VI-V სს-ით თარიღდება. ის შედგება რამდენიმე ძეგლურად ნაგები სწორკუთხა გეგმის მქონე ოთახისა და დამხმარე სათავსოებისაგან [ლორთქიფანიძე ოთ., 2002: 167].

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე განსხვავებული, ღია ტიპის სამოსახლოები აღმოჩნდა. საცხოვრისებისთვის დამახასიათებელია ოთხკუთხა გეგმარება და თიხატკეპნილი იატაკი [ჯაფარიძე ოთ., 2003: 194]. ქ. ოჩამჩირეს მახლობლად გიენოსში მიკვლეულია ძვ.წ. VI-V სს-ის კოლხურის იდენტური ნამოსახლარი. აქ ხელოვნურ ბორცვებზე განლაგებული ხის საცხოვრებელი ნაგებობები და ნახევრადმინურები თავდაცვითი თხრილით იყო გარშემორტყმული [ლორთქიფანიძე ოთ. 2002 : 190-191]. რაც შეეხება კოლხეთის შიდა რაიონების ნამოსახლარებს, მათ შესახებ ინფორმაცია ძალზე მწირია. საინტერესოა ვანის ნაქალაქარიდან 10 კმ-ის დაშორებულ სოფ. მთისძირში აღმოჩენილი ძვ.წ. IV ს-ის საფორტიფიკაციო ნაგებობა. აქ ბუნებრივ ბორცვზე გამოვლინდა სწორკუთხა გეგმის მქონე კოშკის ნაშთები. საკმაოდ სქელი კედლები ქვითა და ხის მასალით იყო ნაგები და თიხით იყო შეღესილი [გამყრელიძე, 1982: 29-100]. როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველოს სამოსახლოების მშენებლობისას ძალზე კარგად იყო გათვალისწინებული გარემო პირობების თავისებურებები და სამენი მასალის რესურსი. შედეგად ოპტიმალურად იყო გადანყვტილი როგორც უტილიტარული, ასევე თავდაცვის საკითხები.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებს, დასავლეთ საქართველოს ნიმუშებთან გარკვეული მსგავსების მიუხედავად, მკვეთრად გამოხატული ლოკალური თავისებურებები გააჩნია [ლორთქიფანიძე ოთ., 2002: 102-123]. აღმოსავლეთ საქართველოში საშენ მასალად გამოიყენება ფლეთილი ქვა, ხე

და თიხა. დასახლებები მდებარეობს როგორც ბუნებრივ ბორცვებსა და ტერასებზე, ასევე გაშლილ ლანდშაფტზე. ზოგიერთ ნამოსახლარს თავდაცვითი ნაგებობა ახლავს [ჯაფარიძე ოთ., 2003: 221]. მათი ფართობი საკმაოდ ვრცელია და ისინი პროტოქალაქურ დასახლებებად არის მიჩნეული. მაგალითად: თრელიგორები, ხოვლეგორა, სამთავრო, უფლისციხის მიდამოები და სხვ. ასეთი ნამოსახლარის ცენტრს წარმოადგენდა გამაგრებული შემადგენლობა, რომელზეც, სავარაუდოდ, სამლოცველო და საზოგადოების დანიშნულებული ფენის საცხოვრებლები უნდა მდგარიყო. საფორტიფიკაციო სისტემას ქმნიდა თხრილი და ზღუდე-კედელი, რომელიც ქვით, ხითა და ალიზით იყო ნაგები. გამაგრებული ადგილის გარშემო რიგითი მოსახლეობის საცხოვრებელი ნაგებობები იყო განთავსებული. ასეთი ნამოსახლარის მოშორებით აღმოჩენილია სახელოსნო უბნები.

საცხოვრებელი ნაგებობა (მაგ.: თრელიგორები) წარმოადგენდა ერთსათავსოიან ნახევრადმინურს ბანური გადახურვით. ზოგიერთ ნაგებობაში დადასტურებულია დედაბოძის არსებობა. კედლები ნაგები იყო ფლეთილი და რიყის ქვისაგან. შემაკავშირებლად თიხის ხსნარი გამოიყენებოდა. ამ პერიოდის საცხოვრებელ ნაგებობაში სივრცის დანაწევრება სხვადასხვა ფუნქციის მიხედვით ხდებოდა. გამოვლენილია საცხოვრებელი ნაწილი, ბაგა, ქურა, რომელთა გვერდზე, შემადგენულ ადგილას გამართული იყო სხვადასხვა ფორმის სამსხვერპლო. კახეთის ტერიტორიაზე, ქართლისაგან განსხვავებით, საკრალური დანიშნულების ნაგებობა-სამლოცველოს სამოსახლოს გარეთ აგებდნენ. აქ ჭურჭელსა თუ ორმოებში სხვადასხვა შესაწირი იყო მოთავსებული, რაც ამ ნაგებობების დანიშნულებაზე მეტყველებს. ისინი ქვით ნაგები და ყორით შემოფარგლული იყო. ასეთ სამლოცველოებს მიეკუთვნება: მელაანი, შილდა, მელილელე I და მელილელე II [ჯაფარიძე ოთ., 2003 : 225-226].

ძველი ნელთალრიცხვის მიწურულამდე ნამოსახლარების არქიტექტურაში არსებითი იცვლილებები არ შეინიშნება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საცხოვრისებში კრამიტის გამოყენების ინტესივობის ზრდა, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია [ახვლედიანი, 1999: 3]. ახალი ნელთალრიცხვის პირველი საუკუნეები მთელს კავკასიაში და მათ შორის საქართველოში რომის პოლიტიკური და კულტურული გავლენის დამყარებით აღინიშნა. ეს სამშენებლო საქმესა და არქიტექტურაშიც აისახა. რომაული გავლენა ქალაქური ტიპის დასახლებებში უფრო ნათლად ფიქსირდება. რიგითი სამოსახლოები კი დიდწილად აგრძელებს ძველ სამშენებლო ტრადიციებს. ამის მაგალითია მდ. კარსნისხევის შესართავთან აღმოჩენილი ნამოსახლარი, ე.წ. ხელოსანთა უბანი. ნამოსახლარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ნაშთები. საცხოვრებელ სახლებს აქვთ სწორკუთხა გეგმა. საძირკველი და კედლები ნაგებია თიხის ხსნარით შეკავშირებული ფლეთილი ქვით. სახურავი კრამიტისაა, იატაკი თიხატკეპნილი, ცენტრალურ ნაწილში კერით. საცხოვრებელს ებმის მარტივი ტიპის სამეურნეო დანიშნულების სათავსი, სადაც ასევე კერაა დადასტურებული. საცხოვრებელი ნაგებობების სამხრეთით აღმოჩენილია თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები [ლორთქიფანიძე ოთ., 2002 : 255-256].

ამრიგად, საცხოვრებლების მშენებლობის თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო ვითარება აღინიშნება. გრძელდება საცხოვრებელი ნაგებობის სივრცის ცენტრულად გააზრების საერთო ტენდენცია, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ადრესამონათმოქმედო ხანიდან იღებს სათავეს. სივრცის გააზრების ამგვარი მიდგომა ადგილობრივი ხუროთმოძღვრების ერთერთ არსებით მახასიათებლად წარმოჩნდება. იმავდროულად ვლინდება განსხვავებანი საშენ მასალასა და დასახლების ხასიათში, რაც სხვადასხვა რეგიონის კლიმატურ-გე-



ოგრაფიული პირობების თუ ლანდშაფტის თავისებურებებით არის განპირობებული და არქიტექტურული ხერხების მრავალფეროვნებას განაპირობებს.

### **ურბანული ცენტრების ფორმირება.**

ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში იწყება ურბანული ცენტრების ფორმირების პროცესი, რომელიც მომდევნო საუკუნეებში უშუალოდ ქალაქური ტიპის დასახლებების გაჩენით გრძელდება, რაც, ცხადია, სამშენებლო საქმიანობის გააქტიურებას უკავშირდება. ქალაქების წარმოშობის შესახებ არსებობს როგორც მატერიალური მონაცემები, ასევე წერილობითი წყაროები. პირველი ცნობები კოლხურ ქალაქებს ეხება. მეცნიერთა ნაწილი არგონავტების მითში მოხსენიებულ ქალაქ აიას კოლხეთს უკავშირებს [იხ. ლორთქიფანიძე ოთ., 2002: 140-153]. ურარტუს მეფის სარდური II-ის წარწერაში მოხსენიებულია ქალაქი ილდამუსა, რომელიც ურარტელებმა დაიპყრეს ძვ.წ. 747-742 წლებში [სინ, I. 1970 : 387]. ეს ქალაქები სამწუხაროდ მიკვლეული არ არის.

ეპიგრაფიკული წყაროები ძირითადად კონკრეტული ქალაქის ან მისი დასახლების შესახებ იძლევა ინფორმაციას. გვხვდება სხვადასხვა ენაზე (მაგ.: არამეული, ბერძნული, ლათინური) შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლები. “ქართლის ცხოვრების” მემათიანე ლეონტი მროველი ქალაქების წარმოშობის საკითხს ქართველთა ეთნარქებს უკავშირებს. ლეონტის მიხედვით ქართლოსის ცოლმა ააშენა რუსთავი, მცხეთოსმა — მცხეთა, ოძრხსოსმა — ოძრხე და თუხარისი ჯავახოსმა — წუნდა და არტაანი, უფლოსმა უფლისციხე, ურბნისი და კასპი. ამ და სხვა ქართულ თუ უცხოურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ქალაქების ნაწილი დღესაც არსებობს, ნაწილი კი არქეოლოგიურად არის შესწავლილი. ზოგიერთი დღემდე არ არის მიკვლეული, მაგალითად, კულხას ქალაქები, შავი ზღვის სანაპიროზე გაშენებული ბერძნული კოლონიები, ზოგიერთი რომაული სიმაგრე და სხვ. საზოგადოდ, ურ-

ბანული ცხოვრების წესის დანერგვა საზოგადოების განვითარების შესაბამისი დონის და სათანადო ეკონომიკური თუ სოციალური პირობების არსებობის შემთხვევაში ხდება. საქართველოში ქალაქური ტიპის დასახლებათა გაჩენა ან უკვე არსებული დასახლების ქალაქად გადაქცევის პროცესი ძვ.წ. IV-III სს.-ში იწყება. არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა, რომ მაგალითად, უფლისციხეში, მცხეთაში, რუსთავში გაცილებით ადრეულ ხანაში არსებული დასახლებები ქალაქებად დაახლოებით ამ საუკუნეებში ჩამოყალიბდა.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში ქალაქების ფორმირების პროცესს ხელი შეუწყო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ და ბერძნული ფაქტორიების გაჩენამ ზღვისპირეთში. ამდენად, ეს ფაქტი აქ ქალაქების წარმოშობის დამატებით სტიმულად იქცა (მაგ: ფასისი, გიენოსი, დიოსკურია). ნელნელა ქალაქური ტიპის დასახლებები შეიქმნა კოლხეთის შიდა მხარეშიც (მაგ.: ვანი, ქუთაისი, საირხე). ზღვისპირეთის გარდა სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ ქალაქების წარმოშობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეუწყო ხელი. როგორც ცნობილია, საქართველოში გადიოდა საერთაშორისო ვაჭრობისათვის მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზები, რომელთა მარშრუტი ძირითადად მდინარეების გასწვრივ მიემართებოდა. სწორედ ამ ადგილებში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები და გაშენდა უმეტესი ქალაქები.

საზოგადოდ, ქალაქების ფორმირებისას უმთავრესია ცხოვრებისათვის საჭირო პირობების არსებობა. ეს უპირველესად ეხება სასმელი წყლის საკმარისი რესურსით და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგების უზრუნველყოფას. სასიცოცხლოდ აუცილებელი ამ პირობების გარდა დიდი ყურადღება ექცეოდა თავდაცვითი პრობლემატიკის გადანყვეტას. ამიტომ ქალაქებისათვის ადგილს უმეტესად ბორცვებსა თუ მთისწინეთში არჩევდნენ, სადაც უკეთ შეიძლებოდა ზღუდეების აგება და

საფორტიფიკაციო ნაგებობების მეშვეობით თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელება. ქალაქის ტიპის დასახლებას გამოარჩევდა საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ნაგებობების არსებობა. ასევე იყო სავაჭრო ადგილები (ბაზრობა) ან ამ ფუნქციისთვის აგებული საგანგებო შენობები. დროთა განმავლობაში ყალიბდება ქალაქური ტიპის საცხოვრებელი სახლები. ქალაქის ტერიტორია შემოსაზღვრული იყო კედლებით. ამას გარდა არსებობდა შიდა ციხე (აკროპოლისი), რომელიც დამატებით თავდაცვის საშუალებას წარმოადგენდა.

მცხეთაში აღმოჩენილი ახ.წ. IV საუკუნის ქვის ეპიტაფია – “ავრელი აქოლისი, არქიტექტორი და არქიზოგრაფი” ნათლად ადასტურებს, რომ საქართველოში არსებობდა ურბანული განაშენიანების ხელმძღვანელის სპეციალური თანამდებობა. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ წინაქრისტიანულ ხანაში ქალაქმშენებლობა საკმაოდ მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო განვითარებული. ამ აზრს ამყარებს ძვ.წ. I საუკუნის ცნობილი ისტორიკოსისა და გეოგრაფის სტრაბონის ცნობაც იბერიის არქიტექტურულად გამართული ქალაქებისა და დაბების შესახებ. კერძოდ, ის წერს “იბერია უმეტესად კარგად არის დასახლებული ქალაქებით, სოფლებით, იქ არის კრამიტის სახურავები, სახლები არქიტექტურულად მონუმენტური, ბაზრები და სხვა... (სტრაბონი, XI, III, 1,2) არქეოლოგიურ მასალაში მრავლად აღმოჩენილი ბრტყელი და ლარისებრი კრამიტი, ადასტურებს ამ ცნობის რეალობას. ამასთან, თავად კრამიტის ზომა და წონა, მიუთითებს იმ ნაგებობათა სიმტკიცესა და მდგრადობაზე, რომლებიც ამგვარი კრამიტით იყო გადახურული.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მეტნაკლებად შესწავლილია რიგი ნაქალაქარები, როგორცაა მცხეთა, უფლისციხე, ძალისა, ურბნისი, ვანი, ბიჭვინთა და სხვ. ამ მონაცემების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ წინაქრისტიანულ საქართველოში საკმაოდ კარგად იყო განვითარებული ურბანული ხუროთ-

მოდღვრება. სათანადოდ არჩევდნენ ადგილს ქალაქმშენებლობისათვის და კარგად ითვალისწინებდნენ როგორც თავდაცვის, ასევე კომუნიკაციისთვის საჭირო პირობების არსებობას. საფორტიფიკაციო სისტემის შექმნისას მკაფიოდ იაზრებდნენ ლანდშაფტის თავისებურებას. სათანადოდ ფლობდნენ ქალაქის დაგეგმარების თუ სამშენებლო-კონსტრუქციული საკითხების გადანყვევების ხერხებსა და საშუალებებს.

დღეისათვის ყველაზე ძველ ქალაქური ტიპის დასახლებად მიჩნეულია სამადლო, რომელიც მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ორი ბორცვზე, დაახლოებით 16 ჰა-ზე, ტერასებზე იყო გაშენებული. მისი მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი. აქ კირქვის კარგად გათლილი კვადრები და კრამიტია დადასტურებული. ბორცვის თავზე დაფიქსირდა მოზრდილი ნაგებობის ნაშთები. კერძოდ, გამოვლინდა 4 მეტრამდე სიგანის კედელი, საფასადო მხარეს სამი რიზალიტით. მას, სავარაუდოდ, კვადრატული გეგმარება და საკულტო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. მტკვრის მარცხენა ნაპირზე სამადლოს გასწვრივ, ნასტაკის ველზე, ასევე აღმოჩენილია ურბანული დასახლების კვალი. სამადლო-ნასტაკისი, სავარაუდოდ, ერთი ქალაქის ორ ნაწილს წარმოადგენდა. ის ძვ.წ. II ს-შია დანგრეული [იხ. გაგოშიძე, 1979].

აღმოსავლეთ საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ ნაქალაქარებს შორის უმნიშვნელოვანესია მცხეთა, რომელიც იბერიის დედაქალაქს წარმოადგენდა. მცხეთა მრავალწერილობით წყაროში მოიხსენიება. ძველი მცხეთა მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესართავთან, ახლანდელ ქ. მცხეთასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა. ჯერ კიდევ 1844 წელს დასტამბულ სტატიაში პლატონ იოსელიანი აღნიშნავდა, რომ მცხეთაში არის ნანგრევები, რომლებიც შეუსწავლელიაო. 1867 წელს მდ. მტკვრის ნაპირზე, ბაგინეთსა და რკინიგზის ხიდს შორის, 75 წელს ამოკვეთილი ქვათილი (ე.წ. ვესპასიანეს) წარწ-

ერთ აღმოჩნდა. 1871 წელს ნატურალისტი ფრიდრიხ ბაიერი სამთავროს მინდორზე რამდენიმე სამარხს თხრის [იხ. გამყრელიძე, 2010: 18].

მცხეთაში, 1938-1940 წლებში ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური სამუშაოები სამთავროს სამაროვანზე ჩატარდა. 1975 წლიდან ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით მცხეთაში არქეოლოგიური კვლევა განახლდა. “სამთავროს სამაროვანზე” 1871 წლიდან დღემდე 4300-მდე სამარხია არქეოლოგიურად შესწავლილი. არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა აგრეთვე არმაზციხეზე, მცხეთის გორაზე, სვეტიცხოველთან და კარსნისხევეში. ხსენებულ ადგილებში სხვადასხვა ხანის ნამოსახლარ-ნაგებობათა ნაშთები გამოვლინდა (იხ. კრებ. მცხეთა I-XII).

მცხეთის დასავლეთით, არმაზისხევისა და მდ. მტკვრის შესართავთან, ტერასაზე არმაზისხევის II-III სს-ის ცნობილი არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს. აქ სასახლის ნაგებობების ნაშთები, აბანო და მდიდრული ნეკროპოლი (სარკოფაგები, ქვის ფილებით ნაგები სამარხები, კრამიტსამარხი, ორმოსამარხები) გაითხარა. სასახლის ნაშთების კედლებით შემოსაზღვრულ სივრცეში სვეტების, ბაზისა და არქიტრავის ფრაგმენტები აღმოჩნდა. აქვე კრამიტის ნატეხები და დამწვარი ხის ნაშთებია. სასახლიდან, რომელიც ქვიშაქვითაა ნაშენი, ორი ოთახის საძირკველია შემორჩენილი უკან ღია ეზო სჩანს. მდ. მტკვრისაკენ კი აბანო მდებარეობდა. ამ აბანოიანი სასახლის სამხრეთით, ერთოთახიანი ნაგებობის ნანგრევებია. ხსენებული ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთით მარანი აღმოჩნდა, სადაც 50 ქვევრი დადასტურდა. ქვის ნახსენები ნაგებობები, აბანო და მარანი არმაზისხევის დიდებულთა სასახლე-რეზიდენციის ერთიან კომპლექსად ითვლება. ამ კომპლექსის აბანო (22,7 X 8,7მ) ყველაზე კარგად არის შემორჩენილი. მისი საძირკველი რიყის ქვისაა. აბანო საცეცხლის, გასახდელი ოთახის, ცივი, ცხელი და თბილი აუზებისაგან

შედგებოდა. აუზების ფსკერის ქვეშ განთავსებული მილები არხს უერთდება, რომელიც მდ. მტკვარში ჩაედინება. გათბობის სისტემა ცხელი აბანოს ქვევითაა მოწყობილი, რომელზეც მრგვალი და ოთხკუთხა აგურების (20-ამდე აგური) მცირე სვეტებია მოთავსებული. აბანო ე.წ. რომაული ტიპისას ჰგავს [აფაქიძე 1963:34-38].

არმაზციხე ანუ ბაგინეთი ქართლის მთის ტერასებზე მდებარეობს. მას ჩრდილოეთიდან მდ. მტკვარი, აღმოსავლეთიდან კარსნისხევი, ხოლო დასავლეთიდან არმაზისხევი ერტყმის. არმაზციხე საისტორიო წყაროებში მოიხსენიება — მოქცევაი ქართლისაში, ქართლის ცხოვრებაში [მქ 1963: 82,95; ქც I,1955: 8,19,43]; აგრეთვე, სტრაბონის, პტოლემეაიოსის, დიონ კასიოსის, ვახუშტი ბაგრატიონის და სხვა თხზულებებში [იხ. ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, 2013 362-363].

1889 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა არმაზციხეზე გათხარა ნაგებობა, სადაც ქვათლილები, ალიზის აგური, კრამიტი, ჭურჭელი და კედლის შელესილობაზე ქალის გამოსახულება იქნა გამოვლენილი [იხ. კავლელაშვილი 1996: 133-149, გამყრელიძე, 2010:24]. 1945 - 49 წლებში მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაგინეთის რაზმმა არმაზციხის ზღუდის მცირე მონაკვეთი, ნაგებობების ნანგრევები და მდიდრული სამარხები გამოავლინა. 1975 წლიდან აქ კვლავ განახლდა გათხრები. ე.წ. სვეტებიანი დარბაზის დასავლეთით, რიყის ქვით ნაგები კედლები და ლომის გამოსახულებიანი კარნიზი აღმოჩნდა. აქვე გაითხარა აბანო და საკულტო ნაგებობა.

ნაქალაქარზე აღმოჩენილია ქვაზე შესრულებული სამშენებლო წარწერები: „... მეფის მამამძუძემ და ეზოსმოდღარმა გააკეთებინა თავის სახსრით მიწისქვეშა წყალსადენი და აბანო და შესწირა დრაქონთის დედოფალს...“; „... მეფის, ვოლოგეზეს ასულს, იბერთა დიდი მეფის ამაზასპეს მეუღლეს, ანაგრანესმა, მამამძუძემ და ეზოსმოდღარმა, საკუთარი სახსრით აგებული აბანო შესწირა“

რა...”. [დანვრილებით იხ. ყაუხჩიშვილი, 2004: 227- 228].

არმაზციხის ნაქალაქარი 30 ჰა-მდე ტერიტორიაზე ვრცელდება, რომელიც ქვით ნაგები გალავნით იყო შემოზღუდული. ის ქართლის მთის ტერასებზეა გაშენებული. არმაზციხის ნაქალაქარის საფორტიფიკაციო სისტემა ქართლის მთის, კარსნისხევის პირას გამავალ მცირე ქედს ჩამოუყვება და მდ. მტკვრამდე აღწევს. არმაზციხის სამხრეთ მხარეს ზღუდის ორი რიგია შემორჩენილი. კოშკი, რომელიც ქართლის მთის ზემო მხარეს დგას ქვიშაქვის ლოდებითაა ნაგები. კედლის სიგანე აქ 3.0 მეტრამდეა. კედელი და კოშკები ქვათლილების მშრალი ნყოფით არის ნაგები. კედლების საძირკველის ქვები კლდეში ამოკვეთილ ბუდეებშია ჩასმული, რომელზეც უმეტესად ალიზის კედელია ამოყვანილი. ქვების მშრალი ნყოფის დამაკავშირებლად გამოყენებულია სხვადასხვა ფორმის ამოკვეთილი ბუდეები, რომლებშიაც ლითონის სამაგრები თავსდება. ალიზის აგურები თიხის ხსნარით არის შეკავშირებული. ალიზის მასას ამაგრებს ნყოფაში ჩატანებული ხის ძელები. კოშკები ბრტყელი და ღარიანი კრამიტით ყოფილა გადახურული. ქართლის მთის წვერზე გალავნის ფრაგმენტები და ქვათლილით ნაგები სივრცე გამოვლინდა. ეს ის ადგილია სადაც “ქართლის ცხოვრების” მიხედვით არმაზის ღვთაება იყო აღმართული. ქვედა ტერასის აღმოსავლეთ მხარეს მართკუთხა ე.წ. სვეტებიანი დარბაზი მდებარეობს, რომლის სიგრძე 20, 5 მ, ხოლო სიგანე 8,9 მ-ია. კედლების სისქე, 1,7 მ-მდეა. დარბაზის კედლები ქვათლილების მშრალი ნყოფით და ალიზით არის აგებული. დარბაზის ცენტრში, გრძივად განლაგებული ექვსი სვეტის ბაზა, კრამიტები და ხის ძელების ნაშთები დადასტურდა. აქვე ქვის კაპიტელი, ბრინჯაოს ბრტყელთავიანი ლურსმნები და სხვა არტეფაქტები აღმოჩნდა. ე.წ. სვეტებიან დარბაზს ჩრდილოეთიდან ფლეთილი ქვით ნაშენი ოროთახიანი ნაგებობა ებჯინება [იხ. ნიკოლაიშვილი 2011: 16-26].

ქვედა ტერასაზე, ე.წ. სვეტებიანი დარბაზიდან დასავლეთით, ოთხკუთხა გარშემოწერილობის საკულტო ნაგებობა გაითხარა (ე.წ. ექვსაფსიდიანი ტაძარი), რომელიც ქვათლილით და ალიზით არის ნაგები. გადასახურად ბრტყელი და ღარიანობის კრამიტია გამოყენებული. ძირითადი დარბაზის ფართობი 200 კვ. მ-ია და დერეფნებით უკავშირდება დასავლეთით მდებარე მარანს, რომელშიც 16 ქვევრია. დარბაზში ქვიშაქვის ბაზა (დმ. 1,25 მ) და მოჩუქურთმებული კაპიტელი დადასტურდა. აქვე აღმოჩნდა ქანდაკების კვარცხლბეკი. დადასტურდა ასევე კარნიზის, რელიეფებისა და ქანდაკებების ფრაგმენტები; მონითალოდ გამომწვარი თიხის ჭურჭელი, რკინის ისრისპირები, აბჯრის ფირფიტები, ქვის ყუმბარები, I - III სს-ის მონეტები და სხვ. [იხ. ნიკოლაიშვილი 1996: 23-25].

არმაზციხე წყლით კარსნისხევიდან მარაგდებოდა. წყალი თიხის მილების და არხების საშუალებით ცისტერნებში გროვდებოდა. ნაგებობათა უმეტესი ნაწილი სანიტარული კვანძებით და კოლექტორებითაა აღჭურვილი. ძირითადი კოლექტორი მტკვარში ჩაედინებოდა. არმაზციხის ტერიტორიაზე რომაული ტიპის აბანოები გაითხარა, რომლებსაც ცივი, თბილი და ცხელი განყოფილები აქვთ. მათი შემადგენელი ნაწილებია აბაზანები, წყალსადენები და ცხელი აბანოს ქვემოთ მდებარე გათბობის სისტემა. აბანოები ნაგებია ფლეთილი ქვით. შიდა კედლები და აბაზანები შელესილია ჰიდრაულიკური ხსნარით.

არმაზციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, კარსნისხევთან გაითხარა I - III სს-ის დასახლება. აქ დადასტურდა სამეთუნეო საწარმო და ქვევრებიანი მარანი. დასახლება ტერასულადაა განლაგებული. ნაგებობები ღარიანი და ბრტყელი კრამიტით იყო დახურული. კედლები ნაგებია ქვიშაქვით [ნიკოლაიშვილი 1993: 4].

არმაზციხის ქვედა დასავლეთ მხარეს, კლდოვანი ფერდობის ძირში, 1951 წ. მავ-

ზოლუემის ტიპის აკლადამა გაითხარა. ის მშრალი ნყოფით, ქვიშაქვის კვადრებით არის აგებული. აღმოსავლეთ კედელში კარია. იატაკი სწორკუთხა ფილებით არის მოგებული. ორფერდა სახურავი ღარიანი და ბრტყელი კრამიტით არის დახურული. აკლადამა I საუკუნით თარიღდება. არმაზციხის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, კლდის შვერილზე, აღმოჩნდა კვადრებით ნაგები II ს. მეორე აკლადამა [ლომთათიძე, ციციშვილი, 1951: 641-648; ნიკოლაიშვილი, 2011:44-45].

მცხეთის ჩრდილოეთ მხარეს ღართისკარის ხევი მდებარეობს, რომელიც მდ. არაგვის მარჯვენა მხრიდან ერთვის. აქ გაითხარა სასიმაგრო სისტემა, რომლის ნაშთები არაგვის ორივე ნაპირზეა გამოვლენილი. ის ბრინჯილეღესა და ღართისკარის ხევებს შორის არის მოქცეული. საფორტიფიკაციო სისტემის ზღუდე-კედლები შიომღვიმე-სხალტბის ქედიდან იწყება და მდ. არაგვისაკენ ეშვება. სასიმაგრო სისტემის მონაკვეთები საგურამოს ქედთანაც დაფიქსირდა, რომელსაც ზედაზნის მთისაკენ აქვს მიმართულება. ღართისკარის არქეოლოგიურად შესწავლილ სასიმაგრო ზღუდე-კედლებში ექვსი, 7 X 7მ ოთხკუთხა კოშკი გამოვლინდა, რომლებიც ერთმანეთისაგან 50მ-ით არის დაშორებული. ზღუდე-კედლები და კოშკები აგებულია ხის ძელებით გამაგრებულ რიყის ქვით შექმნილ საძირკველზე, რომელზეც 3 მ სისქის ალიზის კედელია ამოყვანილი [აფაქიძე ... 1989: 22-24].

ღართისკარის სასიმაგრო სისტემა არაგვის მარცხენა მხარეს, წინამურისკენაც ვრცელდება. აქ არაერთი არქეოლოგიური ძეგლია გამოვლენილი. წინამურის მიდამოებში მიკვლეულ იქნა ნამოსახლარის ნაშთები, რომელიც ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული ქალაქ "სევსამორასთან" არის გაიგივებული [ყაუხჩიშვილი, 1957: 129; აფაქიძე, 1958: 119]. ეს ადგილია სოფ. წინამურის ჩრდილოეთით, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე. სამწუხაროდ ჯერ მხოლოდ მცირე მონაკვეთი გაითხარა, სადაც ქვიშაქვის თლილი ქვის ნაგებობები გამოვლინდა. კედლები

მშრალი ნყოფითაა ნაგები. აქ დიდი რაოდენობით ბრტყელი და ღარიანობის კრამიტი აღმოჩნდა [იხ. აფაქიძე 1958: 119-140; 1963: 182-199].

სარკინე, რომელიც ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ (იხ. ქც 1: 15,18; 17,21; 18,10) მოიხსენიება, მცხეთის დასავლეთით 7 კმ-ის დაშორებით, შიომღვიმის მიდამოებში, სავანეთის ქედსა და გრძელ მინდორზე ლოკალიზდება. სარკინეში არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 1946, 1954-1956, 1971-1975, 1979-1980 წლებში. აქ ანტიკური ხანის ნაგებობებს, რკინის საწარმოთა ნაშთებს და არქიტექტურულ დეტალებს მიაკვლიეს. შეისწავლეს ნაქალაქარის დასავლეთით მდებარე კარიბჭის კომპლექსიც. ციხესიმაგრის და რკინის სახელოსნოს ნაშთები სავანეთის ქედის ფერდზე და ე.წ. გრძელ მინდორზე დადასტურდა. სარკინეს ტერიტორიაზე აღმოჩნდა რკინის გამოსადნობი სახელოსნო, რომელიც რამდენიმე განყოფილებისაგან შედგებოდა. აქ დადასტურდა რკინის ცულეები, რკინისტარიანი ნიჩაბი, რკინის ისრისპირები, შუბისპირი, იარაღების ნამზადები და სხვ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გრძელ მინდორზე აღმოჩენილი კირქვის ორვოლუტიანი კაპიტელი, ქვიშაქვის ბაზა, ნახევარსვეტისა და ლავგარდანის ფრაგმენტები [იხ. აფაქიძე, 1963: 206-214]. სარკინეში გამოვლინდა ტერასულად განლაგებული, ქვათილებით, ალიზის აგურითა და ხის მასალით ნაგები შენობების ნაშთები, რომელიც ბრტყელი და ღარიანი კრამიტით იყო გადახურული. იატაკი თიხის ფილებით იყო მოგებული. სარკინეს ნაქალაქარი ძვ. წ. II-I სს-ით თარიღდება [იხ. ბოხოჩაძე 1973: 36-45].

ურბნისის ნაქალაქარი მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ურბნისის ტერიტორიაზე, ქ. ქარელიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 კმ-ზე მდებარეობს. ამ ტერიტორიაზე რამდენიმე არქეოლოგიური არტეფაქტი 1893 წელს აღმოჩნდა. გასული საუკუნის 60-იან წლებში წარმო-

ბული არქეოლოგიური გათხრების (ხელმძღვანელი პ. ზაქარაია) შედეგად 22 ჰექტარზე ნაქალაქარის გამაგრების სისტემის სამი პერიოდი გამოვლინდა. ძვ.წ. IV-III სს-ის ქალაქს გარს უვლიდა რიყის ქვით ნაგები 4 მეტრი სიგანის ზღუდე, რომელიც ნაგები იყო ქვით და ალიზით (0,52x0,52x0,12 სმ). ქალაქს სამხრეთიდან, მდ. მტკვარი ჩამოუდიოდა. გალავანი გამაგრებული იყო 18 ნახევარწრიული კოშკით. ნაქალაქარის ტერიტორიაზე ნაშთების და კერამიკის გამოსაწვავი სანარმოს ნაშთები გაითხარა. აქვე დადასტურდა 18.5x11,5 მ ფართობის აბანო, რომელიც ნაგებია ფლეთილი ქვითა და აგურით. ის ცივი, თბილი და ცხელი განყოფილებისაგან შედგება. იატაკის ქვეშ კალორიფერების სისტემა იყო მოწყობილი. აბანოს კამაროვანი გადახურვა ჰქონდა. IV ს-ში ნაგებობები ხანძრის შედეგად არის განადგურებული. დაფიქსირდა საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ნაგებობები [ზაქარაია, 1965: 69-80; ჭილაშვილი, 1964: 29-59].

მუხრანის ვაკეზე, მდ. ნარეკვავთან, ახლანდელი სოფ. ძალისას ტერიტორიაზე, ძალისას ძველი ნაქალაქარი მდებარეობს. აქ 1971-85 წლებში არქეოლოგიურ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ალ. ბოხოჩაძე. გათხრების შედეგად ძვ.წ. II - ახ.წ. VII სს-ის ნაქალაქარის ნაშთები გამოვლინდა. აღმოჩნდა მრავალსათავსიანი ე.წ. სასახლე, საცხოვრებელი ნაგებობები, სასახლის და საზოგადოებრივი დანიშნულების აბანოები, წყალსადენის ქსელი, აგურით მოკირწყლული ქუჩები და მოედნები, მოზაიკები, არქიტექტურული დეტალები და სხვ. ნაქალაქარის ტერიტორიაზე სამშენებლო მასალად ალიზის აგური, რიყის ქვა, ტუფისა და ქვიშაქვის ქვათლილები, აგური, კერამიკული ფილები, ბრტყელი და ღარიანი კრამიტები იყო გამოყენებული.

ე.წ. სასახლე 2500 კვ. მ ფართობისაა და 30-მდე სხვადასხვა სიდიდის, ფორმისა და დანიშნულების სათავსისაგან შედგება. მის ცენტრში კვადრატული გეგმის (8,35მ X 8,35 მ)

ქვიშაქვისა და ტუფის ქვათლილებით მოგებული ღია ეზოა, რომლის შუაგულში შემორჩენილია 28.5 კვ. მ ოთხკუთხა აუზი. ამ აუზის იატაკის ქვეშ გამოყვანილი ყოფილა თიხის მილი, რომელიც დასავლეთით მდებარე წყალგამყოფი ჭიდან მოედინებოდა. კომპლექსში შედიოდა ასევე აბანო. ის რომაული ტიპისაა და სამი, ცივი, თბილი და ცხელი განყოფილება გააჩნია. აბანოს ცხელი და თბილი განყოფილების იატაკი კალორიფერზეა გამართული. თითო სვეტი შედგება 20-მდე წრიული ერთმანეთზე დადებული აგურისაგან [ბოხოჩაძე, 1977: 17-24; 1981: 36-85]. აბანოს ცივ, თბილ განყოფილებებს და გასახდელს მოზაიკური იატაკი ამკობს. გამორჩეული მხატვრული ღირებულება გააჩნია დიონისესა და არიადნას გამოსახულებიან მოზაიკურ კომპოზიციას, რომელიც ე.წ. "დიონისეს სახლის" იატაკზეა გამოსახული. ძალისის კომპლექსის ერთ-ერთი მასშტაბური ნაგებობაა 395 კვ. მ. ფართობის აუზი. მისი კედლები თლილი, ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი ქვიშაქვის ფილებით არის მოპირკეთებული. აუზის თითოეული გვერდის ცენტრში ნახევარწრიული მოხაზულობის აფსიდაა. ჩრდილოეთ აფსიდაში 9 საფეხურიანი კიბეა გამართული. მისი მეშვეობით ის აბანოს უკავშირდებოდა. აუზის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, იატაკის დონეზე, 0.3 მ დმ-ს ტრაპია მოწყობილი. ძალისას ეს კომპლექსი ახ. წ. I-III სს-ით თარიღდება [ბოხოჩაძე, 1987: 25-30].

ძველ ნაქალაქარებს შორის გამორჩეულია უფლისციხე, თითქმის მთლიანად კლდეში ნაკვეთი ქალაქი [ყიფიანი, 2002]. ის გორიდან აღმოსავლეთით 8 კმ-ის დაშორებით, სოფ. ქვახვრელის მოპირდაპირედ, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. უფლისციხე მოიხსენიება მრავალ წერილობით წყაროში. ის საუკუნეების განმავლობაში, მათ შორის შუა საუკუნეების პერიოდშიც, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. თუმცა მისი არქიტექტურული სახის ფორმირების არსებითი ეტაპი ძვ.წ. IV - ახ.წ. II საუკუნეებია. აქ პირველი გათხრები 1852 წელს ჩატარებია დიმიტრი

მელვინეთუხუცესიშვილს, რომელსაც აუგეგმავს ნაგებობანი, გაუთხრია ორსვეტიანი დარბაზი, სადაც აღმოჩნდა სვეტის ფრაგმენტები და კერამიკის ნატეხები. უფლისციხის სისტემატური გათხრები 1957 წლიდან დაიწყო. არქეოლოგიურ ექსპედიციას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ შ. ამირანაშვილი, თ. სანიკიძე, დ. ხახუთაიშვილი.

უფლისციხის ნაქალაქარი დაქანებული რელიეფის მქონე ქვიშაქვის მასივშია ამოკვეთილი და ნაგები. მისი დასავლეთი და სამხრეთი მხარე შვეული კლდოვანი ფერდითაა დაცული. აღმოსავლეთიდან კი კედლითაა გამაგრებული. ეს მძლავრი კედელი სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის თვალსაზრისით არმაზციხისა და წინამურის თავდაცვითი კედლების ანალოგიურია. კლდეში ნაკვეთი გვირაბი მდ. მტკვარზე გადის და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. ამდენად, ქალაქს კარგად გააზრებული საფორტიფიკაციო სისტემა აქვს.

უფლისციხე ფერდობზე ტერასებადაა გაშენებული და სამი ნაწილისაგან შედგება. მთავარი შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან იყო და ცენტრალურ ქუჩას უკავშირდებოდა. უმთავრესი ნაგებობანი ცენტრალურ ნაწილშია აღმოჩენილი. თითოეული მათგანი დამოუკიდებელ კომპლექსს წარმოადგენს, რომელთა წინ ღია ეზოებია მოწყობილი. კლდეში ნაკვეთი კომპლექსების მთავარი სათავსი უმეტეს შემთხვევაში კამარითაა დაგვირგვინებული. მის უკან ან სამ მხარეს განლაგებულია გაცილებით დაბალი, ბრტყელჭერიანი ოთახები. როგორც ცნობილია, კლდის ხუროთმოძღვრება ძალზე სპეციფიკურია. არქიტექტურულ-მხატვრული სახის შექმნისას ამგვარ ნაგებობებში სხვადასხვა საშენი მასალისთვის სახასიათო ელემენტების იმიტაციას მიმართავენ. უფლისციხეშიც ცალკეული დარბაზების მხატვრულ მორთულობაში ასეთი მიდგომაა გამოყენებული. კლდეში გამოკვეთილია შესაბამისი ეპოქის ქვის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები (მაგ.: კეს-

ონები, პილასტრები, იმპოსტები), ასევე ხის კონსტრუქციებისათვის სახასიათო ფორმები. ნაქალაქარის გათხრებმა გამოავლინა საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო დანიშნულების არაერთი ნაგებობა [იხ. ხახუთაიშვილი, 1965; ლეჟავა 1979, 7-8, 16-17; მელითაური 1969: 21, ხიმშიაშვილი, 1986].

დასავლეთ საქართველოს ძველი ქალაქებიდან არქეოლოგიურად ერთ-ერთი უკეთ შესწავლილი ნაქალაქარია ვანი. აქ ქალაქობამდე პერიოდის ნაგებობების კვალიც არის დადასტურებული. კერძოდ აღმოჩენილია ძვ. წ. VI-IV სს-ით დათარიღებული ხის ნაგებობის ნაშთები, რომლებიც საკულტო ფუნქციის მქონედ არის მიჩნეული [ლორთქიფანიძე ოთ. 2002: 168]. ძველმა დასახლებამ ურბანული იერსახე, სავარაუდოდ, ძვ. წ. III ს-ის მიწურულიდან მიიღო.

ვანის ძველი ნაქალაქარი მდ. რიონის მარცხენა შენაკადის, მდ. სულორის მარცხენა ნაპირზე, ქალაქ ვანის დასავლეთით მდებარეობს. ის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაფერდებულ სამკუთხა ბორცვზე, ქვედა, ცენტრალურ და ზედა ტერასებზეა განლაგებული და 8 ჰექტარს მოიცავს. ვანში სიძველეთა აღმოჩენის შესახებ პირველი ცნობები ადგილობრივ პრესაში ჯერ კიდევ 1876 წელს გამოქვეყნდა. აქ პირველი არქეოლოგიური გათხრები ექვთიმე თაყაიშვილმა ჩაატარა. 1947 წლიდან ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიურ შესწავლას ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელები ნ. ხომტარია, ოთ. ლორთქიფანიძე), ხოლო 1977 წლიდან არქეოლოგიური კვლევის ცენტრი ოთარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით აწარმოებდა.

ვანის ნაქალაქარის სასიმაგრო კედლებში კომპეხია გამართული და მცირე ხევეების კედლებს მიუყვება. გამოყენებულია წრიული და მრავალკუთხა კომპეხები, კურტინები. ჩრდილოეთით მდებარეობს მთავარი კარიბჭე, რომელიც ურთიერთგამიჯნული ორი კარისაგან, ნახევარწრიული კომპის, საკურთხეველისა

და საგუშაგო ნაგებობებისაგან შედგება. ქალაქის მეორე შესასვლელი აღმოსავლეთ მხარეს იყო. ამ კარის მომდევნო შიდა სივრცე სწორკუთხაა. მის მომიჯნავე სათავსოში კოლხური ქვევრები აღმოჩნდა. იქვე, გარეთ, წყლით მომარაგებისათვის, მოზრდილი რეზერვუარია კლდეში ამოკვეთილი. ძველი ქალაქის კედლები ქვათლილებითა და ალიზით იყო ამოყვანილი. ქვის თლილი კვადრები მჭიდროდ წყობას ქმნიდა. ქალაქს გააჩნდა მძლავრი თავდაცვითი სისტემა და, ბუნებრივია, დამცველი რაზმებიც ეყოლებოდა (იხ. ვანი, კრებ. I–XI).

ქალაქს დიდი სამშენებლო პოტენციალი ჰქონდა. დაფიქსირდა კრამიტის, ალიზის აგურის დამამზადებელი და რუსტირებული ქვის სათლელები, მშენებლობის ადგილას მასალის მიმტანი საშუალებები და ა.შ. ყოველივე ეს ნათელყოფს, რომ არსებობდა სათანადო სამშენებლო-საინჟინრო ცოდნა და ფართომასშტაბიანი სამუშაოების ორგანიზების საშუალება. ვანის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში მიკვლეულია დიდძალი ადგილობრივი წარმოების კერამიკული ნაწარმი და უცხოური – სინოპური, როდოსული, ქიოსური, კნიდის, კოსის კერამიკული გადასატანი ტარა. ასევე აღმოჩნდა მცირეაზიური შავი და წითელლაქიანი კერამიკა. ყოველივე ეს აქტიური სავაჭრო კავშირების არსებობაზე მიუთითებს. მრავლად გამოვლენილი ტერაკოტების დასამზადებელი ყალიბები, ვერტიკალური საქსოვი დაზგის საწაფები, მრავალგვარი საბრძოლო იარაღი, ოქრომჭედლობის მაღალმხატვრული ნიმუშები ქალაქის ეკონომიკურ სიძლიერეს ადასტურებს, რაც ქალაქის განაშენიანების და მის არქიტექტურული გაფორმების მრავალფეროვნებაშიც აისახა.

ნაქალაქარზე აღმოჩენილია საზოგადოებრივი და საკულტო ნაგებობების ნაშთები. როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე ძველი ნაგებობა ზედა ტერასაზე აღმოჩენილი ხის ე.წ. სამლოცველოა. ასევე ადრეულია ცენტრალურ ტერასაზე ოთხკუთხა, თეთრი ქვის

და ხის ძელებით ნაგები შენობის ნაშთები. შემდგომ პერიოდს მიეკუთვნება ზედა ტერასაზე გათხრილი კედლები. ცენტრალური ტერასის ზედა მხარეს ე.წ. მოზაიკურიატაკიანი რამდენიმე სათავსოიანი ნაგებობის ნაშთები გაითხარა [იხ. ხოშტარია, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, 1972: 179;]. ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში თლილი ქვის საფეხურიანი ნაგებობა აღმოჩნდა [იხ. ფირცხალავა, ყიფიანი, 1986: 53]. აქვე გაითხარა 10 მეტრი დიამეტრის მქონე წრიული ნაგებობის ნაშთები [იხ. ლორთქიფანიძე, ფუთურიძე..... 1972:201]. ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე ალიზის კედლებიანი ნაგებობა აღმოჩნდა, რომელშიც 40 კოლხური ამფორა დადასტურდა. აქვე გამოვლინდა კოშკის და თავდაცვითი კედლების ნაშთები. ზედა ტერასაზე გაითხარა რვასაფეხურიანი ქვათლილებით მოგებული სწორკუთხა მოედანი. აქვე დადასტურდა რამდენიმე მცირე ზომის ნაგებობა. ქვედა ტერასაზე, კარიბჭის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 100 მ-ის დაშორებით გამოვლინდა დიდი ზომის სატაძარო კომპლექსი (800 მ<sup>2</sup>). მიკვლეულია კოშკისებური ნაგებობის, საფეხურიანი სამსხვერპლოს, სვეტებიანი დარბაზისა და შემონიშნულობათა შესანახი სპეციალური ნაგებობის ნაშთები. გარდა ამისა, ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები, რომელთა ფუნქციაც ჯერჯერობით ნათლად განსაზღვრული არ არის.

ვანის ნაქალაქარის მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობების საძირკველი ლითონის სამაგრებით გადაბმული, კარგად გათლილი, რუსტირებული კვადრებით, ხოლო კედლები ალიზით იყო ნაგები. კვადრების პერანგული წყობის შიდა არე თიხითა და ქვით იყო შევსებული. ფართოდ გამოიყენებოდა ხის მასალაც, ასევე რკინისა და ბრინჯაოს დეტალები. ნაგებობები უმეტესად კრამიტით იყო გადახურული. ქალაქის კარგად გააზრებულ სასიმაგრო სისტემაში ჩანს ანტიკური საფორტიფიკაციო



პრინციპების ცოდნა. ქალაქში მრავლად იდგა მრავალფეროვანი დეკორით მორთული ნაგებობები და ქუჩებს სკულპტურები ამშვენებდა. ამას ადასტურებს აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი არქიტექტურული დეკორის დეტალები და სკულპტურათა ფრაგმენტები [იხ. ლორთქიფანიძე ოთ., 2002 : 233]. აღსანიშნავია, რომ ცენტრალურ ტერასაზე გამოვლენილ ნაგებობაში კორინთული ორდერის კირქვის სამი კაპიტელი აღმოჩნდა. ისინი ძვ.წ. II-I საუკუნეებს მიეკუთვნება. ამავე ტერასაზე დაფიქსირდა საინტერესო არქიტექტურული დეტალები. მათ შორის წვიმის წყლის სადინარისთვის განკუთვნილი ლომის თავის ორი ქვის გამოსახულება. აღმოჩენილი არტეფაქტების ხასიათი მეტყველებს იმის შესახებ, რომ ვანის ნაქალაქარის ურბანული იერსახე იმ ეპოქის მოწინავე, ძირითადად, ანტიკური ტრადიციების შესაბამისად იყო გააზრებული.

სოხუმიდან ჩრდილო-დასავლეთით 8 კმ-ის დაშორებით მდებარე ეშერის ნაქალაქარი ძვ.წ. II-I საუკუნეებით თარიღდება. ის 6 ჰექტარს მოიცავს და მდინარე გუმისთის მარჯვენა ნაპირზე, ზღვიდან ნახევარ კილომეტრზე, ბორცვის ორ ტერასაზეა განლაგებული. ნაქალაქარის კედლები ქვიშაქვის კვადრებითაა ამოყვანილი, რომელზედაც ალიზის აგურების წყობაა გამართული. ნაქალაქარის მცირე ნაწილია არქეოლოგიურად გამოვლენილი. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გაითხარა საფორტიფიკაციო ნაგებობის სისტემა — კედლები და კოშკები, რომლებსაც ოთხკუთხა გეგმა აქვს და ნაგებია თლილი ქვით და ალიზით. აგრეთვე დადასტურდა რამდენიმე ნაგებობა, წყალსადენის მილები, კრამიტები და სხვ. [იხ. შამბა, 1980: 10-60].

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან რომის იმპერიის ინტერესი შავი ზღვის სანაპიროს მიმართ უფრო გააქტიურდა. აქ შენდება რომაული სიმაგრეები. ამის შესახებ ფაქტობრივი მასალის გარდა ცნობებს გვანვდის წერილობითი წყაროებიც. აღსანიშნავია ფლავიუს არიანეს პერიპლუსი,

რომელიც ახ.წ. 131 წლის აფსაროსის, ფასისის, დიოსკურიის (სებასტოპოლისი) ინსპექციის შედეგებს ასახავს. არიანეს ცნობით აფსაროსში (თანამედროვე გონიო) რომაელთა ხუთი კოჰორტა მდგარა. სიმაგრეს ჰქონდა გალავანი და თხრილი. მდინარე ფასისში შესვლისას მარცხენა ნაპირზე ფასიანელთა ქალღვთაების ქანდაკება იყო აღმართული. აქვე ოთხასი რჩეული მეომარი იყო განთავსებული. თავდაცვით კედელს ორმაგი თხრილი შემოუყვებოდა. ადრე კედელი თიხის იყო, ხის კოშკებით, არიანეს დროს, კი კედელიცა და კოშკებიც გამომწვარი აგურისაგან ყოფილა ნაგები. სიმაგრის გარეთ გადამდგარ მეომართა და მოვაჭრეთა სახლები იყო განლაგებული. არიანემ ეს ტერიტორიაც გაამაგრა თხრილით. დიოსკურიაშიც სიმაგრე გალავნისა და თხრილისაგან შედგებოდა [სინ. I 1970 : 549-550].

სამწუხაროდ, ამ ცნობებში მოხსენიებული ყველა პუნქტი არ არის იდენტიფიცირებული. კოლხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიურად შესწავლილია აფსაროსი (გონიო), სადაც შემორჩენილია სწორკუთხა გეგმის მქონე სიმაგრე (4,8 ჰა), 18 კოშკით [იხ. გონიო-აფსაროსი, კრებ. I-VIII]. სიმაგრის შიგნით შუა საუკუნეების არქ. მასალებთან ერთად დაფიქსირებულია ახ.წ. I-IV სს-ის ნაშთებიც. ფასისისა და დიოსკურიის ციხეები ჯერ აღმოჩენილი არ არის.

კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული რომაული სიმაგრეებიდან მეტ-ნაკლებად კარგადაა შესწავლილი პიტინტი (ბიჭვინთა). ახ.წ. II-VI სს-ის ბიჭვინთის ნაქალაქარი სოხუმიდან ჩრდილო-დასავლეთით, ბიჭვინთის კონცხზე, მდ. ბზიფის შესართავის აღმოსავლეთით, ახლანდელი ქ. ბიჭვინთის ტერიტორიაზე მდებარეობს. ის წერილობით წყაროებში სხვადასხვა სახელით იხსენიება: პიტინტი (არიანე, ამიანე მარცელინე) პიტინუსი (სვიდა, პროკოპი კესარიელი), ბიჭვინტა (ქც) და სხვ. [იხ. ტოპოგრაფიკული ლექსიკონი, 2013:112-113]. 1952-1989 წწ. ნაქალაქარის არქეოლოგიურ გათხრებს

ხელმძღვანელობდნენ ანდრია აფაქიძე და შემდეგ გურამ ლორთქიფანიძე.

ნაქალაქარის ტერიტორია 6,7 ჰა-ს მოიცავს [იხ. დიდი პიტიუნტი, კრებ., I-III.]. შენობები ნაგებია ქვის კვადრებით და აგურით. ნაქალაქარი შედგება კასტელუმისა და კანაბესაგან. კასტელუმი კვადრატული გეგმისაა და გამაგრებულია 15 კოშკით. მისი გალავნის კედლები ქვით არის აგებული, შემაკავშირებლად კირხსნარია გამოყენებული. კასტელუმის კოშკებს ოთხკუთხა, მრავალკუთხა და ნახევარწრიული გეგმა აქვს. მის ცენტრში გამოვლენილია მოზრდილი კვადრატული გეგმარების შენობა. აქვეა 240 კვ. მ-ის ფართობის შენობა. მათი იატაკი მოლესილია ჰიდრავლიკური ხსნარით. სიმაგრის მშენებლობის დაწყება ახ. წ. II ს-ის შუა წლებს უკავშირდება. ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილია, ასევე წყალსადენისა და კოლექტორის სისტემა. კედელთან ხუთგანყოფილებიანი (საცეცხლე, გასახდელი, ცივი, თბილი, ცხელი) ე.წ. რომაული ტიპის აბანოა [ლორთქიფანიძე გ., 1991: 87, 90]. ქალაქის სამოქალაქო დასახლება (კანაბე), ნახევარწრიული გეგმისაა. მისი გალავანი 11 კოშკით არის გამაგრებული. აქვე მდებარეობს ადრე შუა საუკუნეების სამნავიანი ბაზილიკა, რომელის იატაკი მოზაიკით იყო შემკული [ციციშვილი, 1977: 83-101].

შავი ზღვის სანაპიროზე ქ. სოხუმის (ცხუმის) ადგილზე ლოკალიზდება დიოსკურია, რომელსაც ახ.წ. I ს-დან სებასტოპოლისი ეწოდა (იხ. სტრაბონის „გეოგრაფია“ XI, II, 16; პლინიუსის გაიუს სეკუნდუს „ბუნების ისტორია“ VI, 15-16; პომპონიუს მელას „ქვეყნიერების აღწერილობა“; ფლავიუს არიანეს „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“; კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ და სხვ. [იხ. ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, 2013:485]).

სოხუმში, მდ. ბესლეთის სანაპიროზე, არქეოლოგიური გათხრები ჯერ კიდევ 1886 წელს ჩაუტარებიათ. შემდეგ, 1922-1926 წლებში სოხუმსა და მის შემოგარენში არქე-

ოლოგიური სადაზვერვო სამუშაოები ისევ აწარმოეს. 1951 წელს სოხუმის მთაზე არქეოლოგიური გათხრები ჩაატარეს ალ. კალანდაძემ და მ. თრაფშმა. 1958-1959 წწ. სოხუმის ნაციხართან არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდნენ ან. აფაქიძე და გ. შამბა. აღსანიშნავია, რომ სოხუმის ყურის ფსკერზე აღმოჩნდა მარმარილოს რელიეფური სტელა [იხ. გამყრელიძე, 1997: 3-19].

სოხუმის სანაპიროზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ახ.წ. I-IV სს კასტელუმის ტიპის ციხესიმაგრის ნაშთები გამოვლინდა. კედლები ნაგებია ქვით, აგურითა და კირხსნარით. აქ ოთხკუთხა კოშკები და 90 მ. სიგრძის თავდაცვითი კედელია შემორჩენილი. აღნიშნული ციხესიმაგრის ტერიტორიაზე აღმოჩენილია მრავალფეროვანი არქეოლოგიური არტეფაქტები [იხ. თრაფში, 1969: 298-315; 318-351].

ამრიგად, ძვ.წ. IV — ახ.წ. III საუკუნეებში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საქალაქო ცენტრების შექმნის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. ეს ნათლად მეტყველებს სოციალ-ეკონომიკურ წინსვლაზე, რაც ხუროთმოძღვრების განვითარებას უწყობს ხელს. ურბანული მშენებლობების წარმოებას მრავალი ინოვაციის გავრცელება უკავშირდება. ნათლად ვლინდება მონინავე უცხოური ტენდენციების კვალიც. კოლხეთში თავდაპირველად ბერძნულ-ელინისტური, ხოლო იბერიის სამეფოში ირანული კულტურის გავლენა დომინირებს. ახალი წელთაღრიცხვიდან როგორც აღმოსავლეთ, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ურბანულ ცხოვრებაში ნათლად ჩანს რომის ზეგავლენის შედეგები [გამყრელიძე, 2011: 76- 91].

**წინაქრისტიანული ხანის არქიტექტურული ნაგებობები:** საქართველოში წინაქრისტიანული ხანის ნაგებობები ძირითადად ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. ამდენად გაძნელებულია არა მხოლოდ მათი სივრცული გადაწყვეტის რეკონსტრუქცია,

არამედ ხშირ შემთხვევაში გეგმის სრულად წარმოდგენაც. ეს, ცხადია, ართულებს, როგორც ამ ნაგებობების არქიტექტურული სახის, ასევე მათი ფუნქციის ზუსტად განსაზღვრას. თუმცა არსებობს არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი რიგი ძეგლები, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის წინაქრისტიანული ხანის ნაგებობების გეგმარებასა თუ არქიტექტურული გადაწყვეტის ხასიათზე.

საზოგადოდ, იდეოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობიდან გამომდინარე ყველა ეპოქაში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა საკულტო არქიტექტურას. სატაძრო ნაგებობების მშენებლობა ინტელექტუალური, მატერიალური თუ სამშენებლო რესურსის მაქსიმალური მობილიზების ხარჯზე ხდება. შესაბამისად ამ ძეგლების გამოვლენა და შესწავლა უაღრესად ღირებული ინფორმაციის წარმოჩენის საშუალებას იძლევა.

წინაქრისტიანულ საქართველოში სხვადასხვა გეგმარების ნაგებობების ნაშთებია შემორჩენილი, რომლებიც შეიძლება საკულტო არქიტექტურის ნიმუშად მივიჩნიოთ. ამ საკითხის სრულფასოვნად გარკვევას ართულებს არა მხოლოდ ნაგებობების ცუდი დაცულობა, არამედ მწირი ინფორმაცია ძველ საქართველოში რწმენა-წარმოდგენების შესახებ. ამ თვალსაზრისით უფრო მკაფიო სურათია ცეცხლის ტაძრებთან მიმართებაში, რადგან ამ რელიგიის მოთხოვნებსა და არქიტექტურულ პრინციპებთან შესაბამისობის გარკვევა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია.

სატაძრო არქიტექტურის საყურადღებო ნიმუშებია შემორჩენილი ვანის ნაქალაქარში. აქ, ქვედა ტერასაზე დადასტურებულია შთამბეჭდავი ზომის (800 კვ.მ) ტაძრის ნაშთები, რომელიც შედგებოდა სამხვერპლოს, დარბაზის და შემოწირულობების შესანახი სპეციალური სათავსისაგან [მათიაშვილი, 2013 :4-29]. დარბაზში საყრდენის ორი ბაზაა დაფიქსირებული *in situ*, რაც თვალნათლივ მიაწინებს სვეტებიანი სტრუქტურის არსებობაზე.

წინაქრისტიანული ხანის საკულტო ნაგებობებს შორის გამორჩეული მნიშვნელობისაა ციხიაგორას და დედოფლის მინდორის კომპლექსები. ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდის სხვა ნაგებობებისგან განსხვავებით მათი არქიტექტურული სახის და ფუნქციის განსაზღვრა მეტ-ნაკლები სისრულით არის შესაძლებელი, რაც განუზომლად ზრდის მათ მნიშვნელობას. ისინი წარმოადგენენ ცეცხლის ტაძრებს, რომელთა გეგმა დაფუძნებულია ამ ტიპის ნაგებობისათვის სახასიათო ე.წ. კვადრატი კვადრატში პრინციპზე. თავად ფაქტი ცეცხლის ტაძრების აგებისა საქართველოში მრავლისმეტყველია და ზოროასტრიზმის, ფართო გაგებით კი ირანის, გავლენაზე მეტყველებს. ეს ნათლად აისახება არქიტექტურულ გადაწყვეტაში, თუმცა ამავედროულად აღინიშნება მთელი რიგი თავისებურებებიც. საყურადღებია, რომ ასევე ცეცხლის ტაძარად არის მიჩნეული ოთხსაყრდენიანი კლდეში ნაკვეთი კვადრატული გეგმის ნაგებობა უფლისციხეში, რომელიც VI საუკუნეში სამნავიან ბაზილიკად გადააკეთეს [ყიფიანი 2000: 101-109].

ციხიაგორა სოფ. კავთისხევიდან ჩრდილოეთით, ქ. კასპისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, მდ. კავთურასა და მდ.შავწყალას შესართავთან, მცირე გორაზე მდებარეობს. ის 1971 წლიდან გ. ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა. 0,5 ჰექტარ ფართობზე ოთხი კულტურულ-ქრონოლოგიური ფენა დადასტურდა. ქვის და ალიზის ნაგებობებიანი ფენა ძვ.წ.IV-III სს სატაძრო კომპლექსით არის წარმოდგენილი [ცქიტიშვილი, 2003]. მასში შედის ტაძარი, ბეღელი, მარანი 50-მდე ქვევრით, ე.წ. ხელსაფრქვაგებიანი ოთახი და სხვა ნაგებობები. აქვე გამოვლინდა 2,0 მ სიგანის, რიყის ქვის საძირკველზე ალიზით ნაგები კონტრაფორსებიანი და კოშკებიანი სასიმაგრო კედელი.

სატაძრო კომპლექსის კედლის სისქე 1.5 მეტრამდე აღწევდა. მისი საძირკველი და ქვედა ნაწილი ქვით, ხოლო ზედა ალიზის

აგურით იყო ნაგები. სწორკუთხა მოხაზულობის მთავარი ტაძრის ცენტრში კვადრატული გეგმის დარბაზი მდებარეობდა. მის გვერდებზე დერეფნები, ხოლო სამხრეთით ეზო იყო. მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით ექვს არათანაბარ ნაწილიდად დანაწევრებული ბელელი, ხოლო დასავლეთით კვადრატი კვადრატში გეგმარების მცირე ტაძარი მდებარეობდა. ჩრდილოეთით დარბაზს გრძივი ნაგებობა ებჯინებოდა, რომელიც ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. ამაზე კედლის წყობაში სართულშორის გადახურვის ხის კოჭებისათვის განკუთვნილი ფოსოები მიუთითებს. სწორედ აქ იპოვეს ორპროტომიანი კაპიტელი, თუმცა ის ამ ნაგებობას არ ეკუთვნოდა. აღსანიშნავია, რომ მრავლად აღმოჩნდა კრამიტი, რაც დაფერდებული გადახურვის არსებობაზე მიუთითებს.

სატაძრო კომპლექსის არქიტექტურული სტრუქტურა კარგად არის გააზრებული. აქ ჩანს როგორც ცეცხლის ტაძრისთვის სახასიათო ტრადიციული სქემები და ფორმები (მაგ.: კვადრატული ცელა, სამხრევი გარემოსავლელი, ბელელი და სხვ.), ასევე განსხვავებული მიდგომები (მაგ.: ორსართულიანი გრძივი ნაგებობა, დაფერდებული კრამიტიანი გადახურვა და სხვ.), რაც ამ ხუროთმოძღვრული თემის ადგილობრივ ნიადაგზე თავისებურად დამუშავებაზე მეტყველებს.

ციხიაგორასთან შედარებით გაცილებით მასშტაბურია დედოფლის მინდორის კომპლექსი [გაგომიძე, 1981], რომლის მშენებლობა, უდაოდ, უმაღლესი ხელისუფლების ნებით განხორციელდა და რეგიონში ირანის რელიგიურ-იდეოლოგიური პოლიტიკის გაძლიერების იდეას ემსახურებოდა. სატაძრო კომპლექსი ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. არგვეთიდან 3 კმ-ის დასავლეთით მდებარეობს. მისი ორიენტაციაც ასევე ზუსტად ემთხვევა ჩრდილო-სამხრეთ მიმართულებას. კედლები რიყის ქვის საძირკველზე, ალიზითაა ნაგები. ზოგადად კედლის სისქე 1,1 მ-ია, ხოლო მთავარი ტაძრის კედელი 1,6 მ სიგანისაა. მშენებლობისას გამოყენებუ-

ლი იყო ძეღური კონსტრუქცია, სადაც ხის ძელები ერთმანეთს რკინის ლურსმნებით უკავშირდებოდა. სავარაუდოდ ხის სვეტები ოთხკუთხა განივკვეთის ბაზაზე იდგა. მათ ქვიშაქვის ზარისებური, ლოტოსის ყვავილის ფორმის კაპიტელები ამკობდა. მთავარი ნაგებობის ცენტრალური ნაწილის გარდა, ყველა ნაგებობას კრამიტის სახურავი ჰქონდა [გაგომიძე, 1981:109]. არქიტექტურული ანსამბლის გეგმა სიმეტრიულობის პრინციპზე იყო დაფუძნებული. მის ცენტრს დიდი ზომის კვადრატული ეზო ქმნიდა და ყველა ნაგებობა მასთან მიმართებაში მოიაზრებოდა. ეზოს სამხრეთით მთავარი ტაძარი იყო აღმართული, რომელსაც ოთხსაყრდენიანი ცელა და გარშემოსასვლელი გააჩნდა. ცელას ცენტრში ოთხკუთხა ბაქანზე, სავარაუდოდ, საკურთხევლი იყო აღმართული. ცელაში სამხრეთი შესასვლელი არა ცენტრში, არამედ გვერდზე იყო გაჭრილი, რაც მაზდეანური რელიგიის მიხედვით წმინდა ცეცხლის დაცვას ემსახურებოდა. ამ ნაგებობას ჩრდილოეთით ორ და სამხრეთით ოთხსვეტიანი პორტიკები, ხოლო აღმოსავლეთით და დასავლეთით კვადრატული ეზოები ემიჯნებოდა.

მთავარი ეზოს აღმოსავლეთი და დასავლეთი გვერდების ცენტრში მდებარეობდა იდენტური გეგმარების გამჭოლი გასასვლელის მქონე სვეტებიანი ნაგებობები, რომელთაც ექვსი სვეტი და ორი, გარე და შიდა, პორტიკი გააჩნდა. მთავარი ეზოს ჩრდილოეთით ე.წ. სექციური სახლები სიმეტრიულად იყო განლაგებული. როგორც ვხედავთ, დედოფლის მინდორი არა მხოლოდ მასშტაბით, არამედ კარგად გააზრებული გეგმარების თავისებურებით გამოირჩეოდა და ცეცხლის ტაძრის გამორჩეულ ნიმუშს წარმოადგენდა. საინტერესოა, რომ არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა ქვის სპეციალური სანაყი, რომელიც სპეციალისტების აზრით ჰაომის (ცეცხლთაყვანისმცემლების წმინდა სიტხის) დასამზადებლად გამოიყენებოდა [გაგომიძე, 1981:114]. ეს ამ ნაგებობის ცეცხლის ტაძრად მიკუთვნების კიდევ ერთ არგუმენ-

ტად შეიძლება მივიჩნიოთ.

წინაქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძალზე საინტერესო ნიმუშებია გამოვლენილი მცხეთაში. ფუნქცია ზუსტად არ არის განსაზღვრული და ძნელია დაბეჭდვით მათი საკულტო თუ საერო კუთვნილების განსაზღვრა. ბაგინეთში აღმოჩენილია დიდი, სწორკუთხა გეგმარების დარბაზი (20.8მ X 8.9მ), რომელიც ძვ.წ. II-ით თარიღდება. შიდა სივრცეს გრძივად მდგარი ექვსი სვეტი ორ ნაწილად ყოფდა. სვეტები ხის უნდა ყოფილიყო, ხოლო მარტივი ფორმის ბაზისები და კაპიტელები - ქვის. თავად კედლები ქვედა დონეზე ქვის კვადრების მშრალი წყობით იყო შედგენილი და ალიზით გრძელდებოდა. ნაგებობა კრამიტით იყო გადახურული. შესასვლელი გრძივი კედლის ცენტრში იყო გაჭრილი. ამ ფასადის გვერდებზე მცირე ანტები იყო.

არმაზციხეზევე აღმოჩნდა ექვსაფსიდიანი ნაგებობა, რომელსაც ტაძრად მოიხსენიებენ [იხ. ნიკოლაიშვილი, 1996:23-25]. ნაგებობის ალიზის კედლები ქვიშაქვის კარგად დამუშავებული ქვების წყობაზე იყო დაფუძნებული. გადახურვა კრამიტის იყო, რაზეც აქ აღმოჩენილი წითლად შეღებილი ბრტყელი და ღარისებური კრამიტები მიუთითებს. ოთხკუთხა გეგმარების 200 კვ.მ ნაგებობაში რადიალურად განლაგებული ექვსი აფსიდით შედგენილი კომპოზიცია იყო ჩანერილი. ეს მთავარი სივრცე დერეფნით უკავშირდებოდა დასავლეთის მინაშენსა და მარანს, რომელშიც ორ რიგად მინაში ჩაფლული 16 ქვევრი იყო. თავად დარბაზში დადასტურდა ქვიშაქვის ბაზა, რომელზეც ხის სვეტი უნდა ყოფილიყო აღმართული. საინტერესოა დარბაზში აღმოჩენილი სხვადასხვა არქიტექტურული დეტალი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფრაგმენტები, რომლებიც აქ კვარცხლბეკზე მდგარი ქანდაკების არსებობაზე მიუთითებს [ნიკოლაიშვილი, 2011:11].

ძვ.წ. II - ახ.წ. I ს-ის სამეფო სასახლის ნაშთები აღმოჩნდა ქარელის რაიონში, მრავალფენიან არქეოლოგიურ ძეგლ "დე-

დოფლის გორაზე", რომელიც იულ. გაგოშიძის ხელმძღვანელობით გაითხარა. აქ დაფიქსირდა სხვადასხვა ზომის დარბაზები, ასევე მრავალი საყოფაცხოვრებო საგანი, ჭურჭელი და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, წინაქრისტიანული პერიოდის ნაგებობები ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის აღმოჩენილი. ამდენად უმეტესად მხოლოდ გეგმა იკითხება ან საუკეთესო შემთხვევაში კედლები გარკვეულ სიმაღლემდეა შემორჩენილი. შედეგად ამ ნაგებობების გადახურვის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება გამოითქვას. ამ ვითარების გათვალისწინებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნაგებობა, რომელმაც სრულად მოაღწია. ეს არის მცირე ზომის (2.3 X 1.8მ) კვადრატს მიახლოებული გეგმარების მქონე მავზოლეუმის ტიპის აკლდამა ორფერდა სახურავით და კამაროვანი გადახურვით (ძვ.წ. I ს) [იხ. მათიაშვილი, 2016; აფაქიძე, 1963: 105-108]. თუ გავითვალისწინებთ ამ ძეგლის გარდა უფლისციხის კომპლექსებში კამაროვანი ფორმის იმიტაციის არსებობას, დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ წინაქრისტიანულ ხანაში საქართველოში კამაროვან გადახურვას იყენებდნენ. ამდენად, გადახურვის კონსტრუქციულად ასეთი რთული და ეფექტური ფორმის გამოყენება საქართველოში სამშენებლო საქმის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე მიანიშნებს. მცხეთის აკლდამა, რომელიც ქალის განსასვენებელს წარმოადგენდა, საკმაოდ დიდი ზომის კარგად გათლილი ქვებით არის ნაგები. გადახურვისას მასიური კრამიტია გამოყენებული. სწორკუთხა შესასვლელის თავზე პროფილირებული ქვებით ფრონტონია შედგენილი იმგვარად, რომ სამკუთხედის ქვედა ფუძე არ არის მოცემული. ზოგადკულტურულ ასპექტში კი მნიშვნელოვანია, რომ ამ ნაგებობის გადანყვეტაში აშკარად ჩანს, როგორც აღმოსავლური, ასევე ანტიკური სამშენებლო მიდგომების გავლენა.

**აბანოები.** საქართველოში აბანოების

მშენებლობის ინტენსივობა და მათი არქიტექტურულ-ტექნიკური გადანაცვების ხასიათი ქვეყანაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მნიშვნელობის გააზრებასა და ამ პრობლემების გადანაცვების სამშენებლო შესაძლებლობების არსებობაზე მიუთითებს. ნიშანდობლივია, რომ ისინი ძირითადად აგებულია რომაული აბანოს პრინციპების მიხედვით, რაც იმ ეპოქის ერთ-ერთ მონიწვე ტექნიკურ სიახლეს წარმოადგენდა. ამდენად რომაული აბანოების თანადროული გავრცელება საქართველოში მრავლისმეტყველი ფაქტია. მიჩნეულია, რომ პირველი თერმები რომში ააგო აგრიპამ (ძვ.წ. 25-19 წწ). შემდგომში, დაწყებული ნერონიდან, არაერთმა იმპერატორმა ააშენა აბანოები. მათ შორის ყველაზე გრანდიოზული იყო კარაკალას თერმები (212-217 წწ).

რომაული აბანო ანუ თერმები წარმოადგენდა ამ ფუნქციის ნაგებობის ძალზე წარმატებულ ვარიანტს, სადაც ბრწყინვალედ იყო გააზრებული როგორც წყლით მომარაგების, ცირკულირების, გათბობის, კანალიზაციის, ასევე ადამიანისათვის მაქსიმალური კომფორტისა და რელაქსაციის პირობების შექმნის საკითხები. წმინდა უტილიტარულ-ფუნქციური პრობლემების პარალელურად საიმპერატორო დაკვეთით აგებულ თერმებში ძალზე მაღალ დონეზე იყო გადანაცვითი მდიდრულად მორთული მასშტაბური სივრცის შექმნის თუ ინტერიერის სხვადასხვა ხერხით (მარმარილოს მოპირკეთება, მოზაიკა, რელიეფი, სკულპტურა და სხვ.) შემკობის საკითხი. რომაელმა არქიტექტორებმა შეიმუშავეს ცენტრალური გათბობის ეფექტური — ჰიპოსკაუსტის სისტემა, რომელიც იატაკისა და კედლების გათბობის საშუალებას იძლეოდა. მისი შექმნა უკავშირდება ძვ.წ. I საუკუნის რომაელი ვაჭრისა და ჰიდროინჟინერის სერგი ოთარას სახელს. აბანოს ქვედა ნაწილში საგანგებოდ მოწყობილი ქურის მეშვეობით საქვაბეში ცხელდებოდა წყალი და ჰაერი. ცხელი ჰაერი ცირკულირებდა იატაკის ქვეშ (ამისთვის იატაკი ეყრდნობოდა

კალორიფერებს—აგურის მცირე საყრდენებს) და კედლის სისტემაში მოწყობილ სპეციალურ სადენებში. ცხელი ჰაერის ამ სისტემაში მოძრაობა უზრუნველყოფდა ცხელი და თბილი აბანოს იატაკისა და კედლების გახურებით სათანადო ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნებას. როგორც წესი, რომაული აბანო შედგება ხუთი აუცილებელი ნაწილისაგან. ესაა – გასახდელი, ცივი (ფრიგიდარიუმი), თბილი (ტემპიდარიუმი) და ცხელი (კალდერიუმი) წყლის სათავსები, რომლებშიც შესაბამისი აუზები იყო, და საცეცხლე განყოფილება.

რომაული ცხოვრების წესისთვის ესოდენ სახასიათო ტიპის აბანოს საქართველოში ფართოდ გავრცელების ფაქტი რომთან მჭიდრო კავშირის არსებობის კიდევ ერთი დამადასტურებელი ნიშანია. რომაული ტიპის აბანო, რომელიც ტექნიკური და სამშენებლო თვალსაზრისით ძალზე რთულ და სპეციფიკურ კომპლექსურ ნაგებობას წარმოადგენს, გვხვდება როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში (არმაზისხევი, ძალისა, ბიჭვინთა, ნოქალაქევი, შუხუთი, ციხისძირი, გონიო და სხვ.). მათი რაოდენობა დღეისათვის 14-ს აღწევს. ისინი რომაულ პერიოდსა და ადრეულ შუასაუკუნეების ხანას განეკუთვნება. ეს ნიმუშები, რომლებიც რომაული აბანოს ძირითადი სტანდარტების დაცვითაა აგებული, ნათლად მეტყველებს რომაული ხუროთმოძღვრების ამ ტიპიური ნიმუშის თავისებურების საფუძვლიან ცოდნას. ყველა შემორჩენილ ძეგლში წარმოდგენილია ცივი, თბილი, ცხელი წყლის სათავსები, გასახდელი და სართულქვეშა ორთქლით გასათბობი სისტემა კალორიფერებით. განსაკუთრებით გამორჩეულია ძალისას კომპლექსი მოზაიკური კომპოზიციებით შემკული იატაკით და უზარმაზარი საცურაო აუზით. მოზაიკებია დადასტურებული ასევე ბიჭვინთისა და შუხუთის აბანოებშიც. შემკულობის ამ ხერხის გამოყენება მიუთითებს საქართველოში აბანოს იმგვარი გააზრების წესზე, როგორც ეს

რომაულ სამყაროში იყო მიღებული. კერძოდ, ის არა მხოლოდ სანიტარულ-ჰიგიენური ფუნქციის მქონე ნაგებობას, არამედ უფრო ფართო, სოციალ-კულტურულ ფენომენს წარმოადგენდა.

არმაზისხევის აბანო II ს-ით თარიღდება. შედგებოდა ხუთი განყოფილებისაგან. გასახდელი შენობის დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. აღმოსავლეთის კედელში, საცეცხლის თავზე, ცხელ აბანოში გამავალი კარი იყო. ამ სათავსში შემორჩენილია კვადრატული ფილაქვით ნაგები აუზი. ცხელი აბანო თავის მხრივ კარით უკავშირდებოდა თბილ აბანოს, რომელსაც სამხრეთით სწორკუთხა, ხოლო ჩრდილოეთით ნახევარწრიული ნიშა ჰქონდა. თბილი აბანოდან გასასვლელი იყო ცივ აბანოში, რომლის სამხრეთ ნაწილში მოწყობილი იყო აუზი, რომელშიც ჩასვლა სამსაფეხურიანი ქვის კიბით შეიძლებოდა. აუზის იატაკი დაქანებული იყო. მის კუთხეებში დატანებული კერამიკული მილების საშუალებით წყალი მდ.მტკვარისაკენ მიმავალ არხს უერთდებოდა. აბანო მარაგდებოდა ორი წყალსადენით. აბანოში გაცილებით უკეთ არის შემორჩენილი ქვედა, იატაკქვეშა სართული, სადაც ჰიპოკაუსტის სისტემაა გათბობისათვის. დადასტურებულია წრიული ანოთხკუთხა აგურის სვეტები. ისინი გადახურული იყო სწორკუთხა ფილებით, რომლებიც ზედა სართულის იატაკს ქმნიდნენ. საცეცხლეში გახურებული ცხელი ჰაერი იატაკის ქვეშ და კედლებში მოწყობილ სპეციალურ სადინარების საშუალებით ათბობდა ცხელ და თბილ განყოფილებებს. ეს აბანო იბერიის დიდებულთა საკუთრება იყო. ასე რომ, ამ დროის მცხეთელი დიდებულები რომაელებს ბაძავდნენ არა მარტო ახალი, მდიდრული ინვენტარითა და ფუფუნების საგნებით, არამედ ცხოვრების წესითაც. არმაზისხევის მსგავსი რომაული აბანოები საქართველოს გარდა გავრცელებული იყო მცირე აზიაში, სირიაში, სომხეთში და სხვ. ისინი თავისი მასშტაბით და არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით განსხვავდებოდა რომის

დიდებული თერმებისაგან, თუმცა აბანოს ფუნქციონირების პრინციპი იდენტური იყო. მცხეთაშივე, არმაზციხეში, აღმოჩენილია სამი აბანო, რომლებიც აგრეთვე რომაული ტიპისაა. ისინიც ნაგებია ქვით და შელესილია ჰიდრავლიკური ხსნარით. არმაზციხის აბანოები ეკუთვნოდა იბერიის სამეფო ოჯახს, რასაც აქ აღმოჩენილი წარწერაც მოწმობს [აფაქიძე, 1963: 125-158].

მუხრანის ველზე, მდინარე ნარეკვავის ნაპირზე მდებარე ძალისას ძველ ნაქალაქარში სასახლის კომპლექსის ნაწილს წარმოადგენდა აბანო [ბოხოჩაძე, 1981]. მას ჰქონდა ცივი, თბილი და ცხელი წყლის თანაბარი ზომის განყოფილებები. სწორკუთხა გეგმის ამ სათავსებს ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს ნახევარწრიული აფსიდები გააჩნდა. ქვის კედლები შიგნიდან და გარედან შელესილი იყო. ცხელი და თბილი აბანოების ქვეშ მოწყობილი იყო ჰიპოკაუსტის სისტემა, რომლის სვეტებად გამოყენებული იყო ბრტყელი, კვადრატული და წრიული აგური. ცივ აბანოში დაგებული ყოფილა მოზაიკური იატაკი. მოზაიკას შემოვლებული აქვს არშია მცენარეული ორნამენტით. შიდა არეში გამოსახულია ზღვის ფაუნა (განიჩევა ნიჟარა, დელფინის თავი). აღსანიშნავია, რომ მოზაიკა იყო თბილ აბანოშიც, რაც დიდ იშვიათობას წარმოადგენს. აქ ჩანს გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტები, ფარშევანგის გამოსახულება და ბერძნული წარწერის ფრაგმენტი. აბანოებს ემიჯნება გასახდელი-აპოდიტერიუმი. ის გეგმაში სწორკუთხაა. მის გვერდით, სასახლის მხარეს მდებარეობს კომპლექსის ყველაზე შთამბეჭდავი 48,6 კვ.მ.-ის ფართობის დარბაზი. აქ იატაკზე გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტებით მოჩარჩოებულ ცენტრალურ არეში გამოსახულია დიონისე და არიადნა. მათ ირგვლივ გამოსახულია მენადები, პანი, მუზები და წლის ოთხი სეზონის პერსოფინიკაციები, ვაზის ყლორტები და უღვაშებიანი მამაკაცის ნიღაბი. ამ დარბაზს “დიონისეს სახლად” მოიხსენიებენ. ამ კომპლექსიდან რამდენიმე მეტრში მდებარეობს

საცურაო აუზი. მსგავსი ნაგებობა საქართველოში არსად არ არის დადასტურებული. ის ძალზე მასშტაბურია. მისი სიგრძე 33.4 მ., სიგანე 11, 5 მ-ია. სწორკუთხა გეგმისაა და თითოეული გვერდის ცენტრში აფსიდები გააჩნია. მისი კედლები ამოშენებულია რიყის ქვით კირხსნარზე და მოპირკეთებულია გათლილი ქვის კვადრებით. მოპირკეთებასა და რიყის წყობას შორის საიზოლაციოდ 10 სმ სისქის ჰიდრავლიკური ხსნარია გამოყენებული. აბანოს მხარეს მდებარე ჩრდილოეთ აფსიდში ცხრა საფეხურიანი კიბეა. აუზის კედლებში აგებულია ქვის მერხები მოსასვენებლად. იატაკის დონეზე ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ტრაპია მოწყობილი. ტრაპისკენ იატაკი დამრეცად ეშვება. აუზი ივსებოდა დასავლეთის მხრიდან ორი მილსადენით. ეს ნაგებობა II საუკუნეში ან III საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს აგებული. ძალისაში კიდევ ერთი აბანოა გათხრილი, რომელიც საზოგადოებრივი დანიშნულების უნდა ყოფილიყო. ამ დიდი ზომის კომპლექსის ცენტრში შადრევნიანი აუზის მქონე ღია ეზო (7,75მx6,95მ) ტუფის ფილებით იყო მოგებული. ატრიუმს ორსვეტიანი გასასვლელით აფსიდიანი მცირე სენაკი უკავშირდებოდა. მისი იატაკიც კარგად გათლილი ტუფის დიდი ფილებით იყო მოგებული. დასავლეთით აბანოს ცხელი, თბილი და ცივი განყოფილებები მდებარეობდა. მათ სამხრეთიდან აფსიდები გააჩნდათ. თბილი და ცხელი აბანოების ქვეშ მოწყობილი იყო ჰიპოკაუსტის სისტემა. კალორიფერები ამოყვანილი იყო ოთხკუთხა და წრიული აგურით. მათ ზემოდან დაგებულ ფილებზე ჰიდრავლიკური კირხსნარის ფენაა დადასტურებული. ატრიუმის აღმოსავლეთით გასახდელი მდებარეობდა. აბანოს კედლებში ვერტიკალურად ჩაყოლებულია კერამიკული მილები. ძალისაში კერამიკულის გარდა ტყვიის მილებიც არის დადასტურებული. ეს აბანო II-IV სს-ით თარიღდება [ბოხოჩაძე, 1981].

III საუკუნის მოზაიკით მორთული აბანოს კომპლექსი აღმოჩნდა ბიჭვინთის

ნაქალაქარზეც. აქ მიკვლეულია წყლის რეგულირების საკმაოდ რთული სისტემა, რომელიც კერამიკული მილებითა და კირხსნარითაა გაკეთებული.

რომაული ტრადიციების გაგრძელებაა ადრეულ შუა საუკუნეებში აგებული აბანოებიც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ქუთაისში, ბაგრატიის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, აღმოჩენილი აბანოს კომპლექსი, რომელიც ათი ნაწილისაგან შედგებოდა. ის, მცხეთისა და ძალისის აბანოებისაგან განსხვავებით, უფრო საზოგადოებრივი დანიშნულებისაა. ასეთივე დანიშნულების იყო ბიჭვინთისა და სოფ. ციხისძირის აბანოც. ამგვარი აბანოები აღმოჩენილია სოფ. ურბნისსა და სოფ. შუხუთშიც. საინტერესოა შუხუთის აბანოს იატაკი, რომელიც, ძალისისა და ბიჭვინთის აბანოების მსგავსად, მოზაიკითაა შემკული. არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებს, რომ II-VI საუკუნეების საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული რომაული ტიპის აბანოები, რომლებიც საინჟინრო-არქიტექტურული თვალსაზრისით საკმაოდ რთული ნაგებობებია.

ამრიგად, საქართველოში არსებული აბანოების რაოდენობა და მათი არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტის ხასიათი ცხადყოფს, რომ მათი მშენებლები ძალიან კარგად იცნობდნენ რომაული ტიპის აბანოს სტრუქტურასა და მის ტექნიკურ მახასიათებლებს. ნათელია, რომ საქართველოში არსებობდა სამშენებლო საქმის საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, რათა წარმატებით დაეგეგმათ და განეხორციელებინათ ამგვარი აბანოების მშენებლობის საკმაოდ რთული პროცესი.

**არქიტექტურული დეტალები.** ხუროთმოძღვრება პირუთენელად ასახავს კონკრეტული ეპოქისა თუ ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების დონეს, კულტურული კავშირ-ურთიერთობების ხასიათს. ამ თვალსაზრისით ინფორმაციის შემცველია არა მხოლოდ არქიტექტურული ნაგებობა, არამედ მისი ცალკეული დეტალიც. როგორც



აღნიშნეთ წინაქრისტიანული ხანის ნაგებობებმა ჩვენამდე უმეტესად ძლიერ დაზიანებული ან ფრაგმენტული სახით მოაღწია. ამდენად, დიდ მნიშვნელობას იძენს არქიტექტურული დეტალები, რომელთა შესწავლა ბევრი საყურადღებო საკითხის წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქიტექტურული დეტალები. მათი ფორმის დახვეწილობა, პროპორციათა ურთიერთშეთანხმება, ორნამენტული რეპერტუარის მრავალფეროვნება და შესრულების ოსტატობა ხუროთმოძღვრებისა და სამშენებლო საქმის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს. ფაქტობრივი მასალის სიმრავლეში განსაკუთრებით ინფორმატიულია ისეთი ხუროთმოძღვრული ფორმა როგორცაა კაპიტელი, რომელიც მეტ-ნაკლები სიზუსტით აკონკრეტებს ძეგლის არქიტექტურულ-კულტურული რაობის საკითხს და მიანიშნებს ადგილობრივი ხუროთმოძღვრების განვითარების დონეს. ამავდროულად, კაპიტელის აღმოჩენა თავისთავად ადასტურებს საყრდენის გამოყენების ფაქტს, რაც ნაგებობის ინტერიერსა თუ ექსტერიერში სვეტების არსებობაზე მიანიშნებს და ამდენად არქიტექტურული კომპოზიციის დადგენის ალბათობას ზრდის. საგულისხმოა ისიც, რომ კაპიტელის ფორმისა და მხატვრული იერსახის შესწავლა ანტიკური თუ აღმოსავლური კულტურული არეალისთვის კუთვნილების განსაზღვრის და, შესაბამისად, ისტორიულ-კულტურული კავშირების იდენტიფიცირების კარგ საშუალებას იძლევა.

საინტერესოა, რომ ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ ცეცხლის ტაძრებში, ციხიაგორასა და დედოფლის მინდორზე დადასტურებულია ქვის კაპიტელები. ისინი, სავარაუდოდ, ხის სვეტებზე იყო დაფუძნებული. ციხიაგორაში კაპიტელი აღმოჩნდა ე.წ. ორსართულიანი სასახლის ფარგლებში, თუმცა იქ ნაგებობის ნგრევისა და ხანძრის დროს უნდა

მოხვედრილიყო [ცქიტიშვილი, 2003]. ესაა აქემენიდური ირანის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ორპროტომიანი კაპიტელი. უნდა ითქვას, რომ ირანის სამეფო სასახლეების კაპიტელების ძლევა მოსილი, პომპეზური იერის გამოსახულებებისაგან განსხვავებით ციხიაგორას კაპიტელზე ხარის მხატვრული სახე სრულიად განსხვავებულია. მას მომცრო ზომა, მშვიდი, კამერული განწყობა გამოარჩევს. ამას, ცხადია, განსხვავებული იდეური დატვირთვა და არქიტექტურული ამოცანის არსებობა განაპირობებდა. სასახლის გრანდიოზულ დარბაზებში სამეფო ძალაუფლების და ხელისუფლების სიძლიერის შესაფერისი, ხოლო ციხიაგორას სატაძრო კომპლექსში საკრალური სივრცის შესაბამისი ატმოსფერო იყო შექმნილი, რაც კაპიტელების იერსახეშიც აისახა. ციხიაგორას ტაძარში ორპროტომიანი კაპიტელიანი სვეტის ადგილმდებარეობა ზუსტად განსაზღვრული არ არის. სავარაუდოდ, ის მთავარ დარბაზს ამშვენებდა. საინტერესოა, რომ ორპროტომიანი კაპიტელი აღმოჩნდა ვანშიც [ახვლედიანი, ყიფიანი, 2004], რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ირანის კულტურული გავლენა აღმოსავლეთის გარდა დასავლეთ საქართველოზეც ვრცელდებოდა.

სვეტები დედოფლის მინდორის კომპლექსის სხვადასხვა ნაგებობაშიც გვხვდება. როგორც ჩანს საყრდენები აქაც ხის იყო. მთავარ ცეცხლის ტაძარში ირანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ოთხსვეტიანი კომპოზიცია იყო გამოყენებული. შემორჩენილია ქვის კაპიტელი, რომელსაც გამლილი ლოტოსის ყვავილის ფორმა აქვს. როგორც ცნობილია, ეს ფორმა ძალზე გავრცელებული იყო აღმოსავლურ სამყაროში. საყურადღებოა, რომ დედოფლის მინდორის ნიმუშს კიდეზე დეკორატიული წნული შემოუყვება, რაც მისი მხატვრული გააზრების თავისებურებაზე მეტყველებს.

სოფ. საირხეში (საჩხერის მახლობლად) დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოების დროს აღმოჩნდა დორიული სტილის ორი

(დიდი და მცირე) კაპიტელი. ორივე გამოკვეთილია მკვრივი თეთრი კირქვისაგან. როგორც მკვლევარი და არქიტექტორი გიორგი ლეჟავა აღნიშნავს [ლეჟავა, 1979: 9-10], კაპიტელი მართალია დორიულია, მაგრამ ახასიათებს თავისებურება ექინის დამუშავებაში. კერძოდ, ჩვეული სადა ფორმის ნაცვლად შემკულია ლოტოსის ყვავილის ფოთლების მოტივით და მისი დამუშავების ტექნიკა სკულპტურულია. საინტერესოა, რომ პატარა კაპიტელიც დიდის ანალოგიურად არის გააზრებული. გ. ლეჟავას ვარაუდით ეს კაპიტელები დორიული ტიპის ტაძარს განეკუთვნებოდა. ისინი, სავარაუდოდ, ძვ.წ. II-I საუკუნეებით თარიღდება [აბრამიშვილი....., 2000 : 51].

სარკინეში არქეოლოგიური გათხრებისას სხვა საინტერესო მასალასთან ერთად აღმოჩნდა იონური კაპიტელი, რომელსაც ამ ორდერისთვის სახასიათო ყველა დამახასიათებელი ნიშანი გააჩნია. უპირველესად მას აქვს ვოლუტები, რომლებიც ლენტითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ყურადღებას იქცევს ამ ლენტის ცენტრში გამოსახული ექვსფურცლიანი ვარდული. აღსანიშნავია, რომ ამდაგვარი ვარდულით შემკული კაპიტელი 1958 წელს აღმოჩნდა აზერბაიჯანშიც, რომელიც სარკინეს კაპიტელის მსგავსად მცირე ზომისაა [ლეჟავა 1979: 12].

საინტერესო ფორმის კაპიტელი აღმოჩნდა არმაზციხეში, ექვსაფსიდიან შენობაში. ის სამად იყო გატეხილი და სავარაუდოდ ხის სვეტს ამკობდა. კაპიტელი, ისევე როგორც აქ დადასტურებული ქვის ბაზა შემკულია რელიეფური, სამ დონეზე ტალღისებურად განლაგებული ვოლუტებით. კაპიტელის ვოლუტებს ე.წ. მარგალიტის მძივის რიგები ამკობს [ნიკოლაიშვილი, 2011: 30]. ამ ნაგებობის აფსიდებში უფრო მცირე ზომის კაპიტელებიც გამოვლინდა.

არმაზციხის ე.წ. სვეტებიანი დარბაზის სვეტებს სადა და მარტივი პროფილის ქვის ბაზისები და კაპიტელები ჰქონდა. აქვეა ნაპოვნი კორინთული კაპიტელის ქვედა ნაწილიც [ნიკოლაიშვილი ვ. 2011: 16-21]. კა-

პიტელი აკანთის ფურცლების გამოსახულების კვალით აღმოჩნდა არმაზისხევის სასახლის კედელთანაც.

ორი კორინთული კაპიტელი გამოვლინდა ვანში [ლეჟავა, 1979: 13-15]. მათ ორიარუსიანი გადაწყვეტა აქვს. ქვედა რიგი მთლიანად აკანთის ფოთლების მოტივითაა წარმოდგენილი. ფოთლები საკმაოდ პლასტიკურადაა დამუშავებული. ზედა რიგში კუთხეებში ასევე ოთხი ფოთოლია. მათ შორის ერთ შემთხვევაში ქალის მკერდამდე ფიგურა, ხოლო მეორეში ვარდულია გამოსახული. ეს დეტალები კაპიტელებს გამორჩეულ იერს ანიჭებს.

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი არქიტექტურული ფრაგმენტები, რომლებიც განეკუთვნებოდა როგორც მონუმენტურ, ასევე მომცრო ნაგებობებს. დადასტურებულია სხვადასხვა ტიპის კაპიტელების, ბაზების და სვეტის ნატეხები, ასევე აკროტერიუმის, წვიმის სადინარის და სხვა არქიტექტურული დეტალების ფრაგმენტები. საინტერესოა ე.წ. სიმას ანუ წყალშემკრები ღარის ნაწილი, რომელიც თეთრი კირქვის სკულპტურული ლომის თავის სახითაა წარმოდგენილი. ორი ლომის თავიდან ერთზე შემორჩენილია კარნიზზე დასამაგრებელი სპეციალური ნაწილი. წყლის სადინარის ამგვარი გაფორმება გავრცელებული იყო კლასიკურ და ელინისტურ ხანაში.

ზემოთ ჩამოთვლილი ნიმუშები უტყუარად ადასტურებს წინაქრისტიანული ხანის საქართველოში როგორც აღმოსავლური ხუროთმოძღვრებისათვის სახასიათო, ასევე ანტიკური ორდერის გამოყენების ფაქტს და შესაბამისი არქიტექტურული სისტემების შესახებ სათანადო ინფორმაციის ფლობას. ამავდროულად ჩანს თავისებური მიდგომებისა და მოტივების შემუშავების სურვილიც, რაც კარგად ავლენს შემოტანილი არქიტექტურული ფორმების შემოქმედებითად გადაამუშავების უნარს. კაპიტელების მაგალითზე ნათლად ჩანს დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროსთან კულტურული კავშირ-ურთიერთობის შედეგი. ეს, ცხადია, არქიტექტურის

სხვა ფორმებსა თუ დეკორატიულ მოტივებშიც ვლინდება და საქართველოში ხუროთმოძღვრების მრავალფეროვნების განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორად გვევლინება.

**საქართველოს არქიტექტურული პოტენციალი ადრექრისტიანული პერიოდის დასაწყისისთვის.** საქართველოში ადრექრისტიანული პერიოდის დასაწყისისთვის ხუროთმოძღვრებას საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნდა, რამაც ახალი ეპოქის და ქრისტიანული რელიგიის მიერ დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის შესაძლებლობა შექმნა. ამ პოტენციალს ქმნიდა როგორც ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებებით განპირობებული ობიექტური ფაქტორები, ასევე ის მდიდარი სამშენებლო გამოცდილება, რაც წინაქრისტიანულ ხანაში დაგროვდა.

როგორც უმეტესად არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მონაცემები ნათელყოფს, წინაქრისტიანულ ხანაში საქართველოში კარგად ფლობდნენ სხვადასხვა სამშენებლო მასალას და შესაბამის მრავალფეროვან ხერხებსა თუ წესებს, აგებდნენ მრავალფეროვანი გარემოს შესაბამის საცხოვრისებს, აშენებდნენ ქალაქებს შესაბამისი საფორტიფიკაციო, სამოქალაქო თუ საკულტო ნაგებობებით. ხუროთმოძღვრები იყენებდნენ მზიდ და ზიდულ კონსტრუქციებს, გადახურვის განსხვავებულ საშუალებებს, იცნობდნენ როგორც ორდერული სისტემის პრინციპებს, ასევე აღმოსავლური ხუროთმოძღვრებისათვის სახასიათო საყრდენთა ფორმებს. დადასტურებულია დორიული, იონური, კორინთული, ლოტოსის ფორმის მსგავსი, ორპროტომიანი კაპიტელები, ე.წ. ზარისებური ბაზისები (მაგ.: შიომღვიმე). სხვადასხვა ცხოველური, მცენარეული და გეომეტრიული მოტივებით გაფორმებული არქიტექტურული დეტალები, აკროტიერიუმები, პროფილირებული ლავგარდანი, კესონებიანი ჭერი და სხვა დეტალები ნათლად მეტყველებს, რომ არქიტექტურული სტრუქტურის გამართულად აგებ-

ის პარალელურად ოსტატები ზრუნავდნენ ნაგებობის იერსახის მხატვრული გაფორმების გამომსახველობაზე.

წინაქრისტიანული ხუროთმოძღვრების შესახებ მონაცემები თვალსაჩინოდ წარმოაჩენს მჭიდრო კულტურული კავშირების არსებობას დასავლური (ბერძნულ-რომაული) და აღმოსავლური (განსაკუთრებით ირანული) ცივილიზაციის ცენტრებთან. ამავდროულად, კაპიტელები და სხვა არქიტექტურული დეტალები ნათლად ავლენს საკუთრივ ბერძნულ-რომაული თუ ირანული ნიმუშებისაგან განმასხვავებელ რიგ სტილისტურ ნიშნებს, რაც, უთუოდ, ადგილობრივი მხატვრული თავისებურებების გამოვლინებად უნდა შეფასდეს. საგულისხმოა, რომ დასავლური და აღმოსავლური გამოცდილების ცოდნა დასტურდება ნაგებობის კედლის წყობის სპეციფიკაშიც. საქართველოში გავრცელებული იყო როგორც ანტიკური სამყაროსათვის სახასიათო რუსტირებული წყობა, ასევე ქვევიდან ზევით ქვის კვადრების ზომის შემცირების ძველ ირანული წესი. საგულისხმოა, რომ კედლის წყობის ამგვარი გააზრების ტრადიცია გრძელდება შუა საუკუნეების ძეგლებშიც.

წინაქრისტიანული ხანის ძეგლებს ქრონოლოგიური, ფუნქციონალური და სტილისტური სხვაობის მიუხედავად ერთი საერთო მახასიათებელი გააჩნია, რაც გეგმარებისა და შიდა სივრცის ცენტრულ გააზრებაში ვლინდება. საგულისხმოა, რომ ამგვარი მიდგომა უძველესი, VI-V ათასწლეულების, საცხოვრისებიდან იღებს სათავეს. ეს მრავალსაუკუნოვანი ტენდენცია ნათლად ჩანს როგორც საერო ხუროთმოძღვრებაში, ასევე ისეთ ნაგებობებში, როგორცაა ცეცხლის ტაძრები, ბაგინეთის ექვსაფსიდიანი ნაგებობა, ვანის ტაძარი, სამადლოს ნაგებობა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ნაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობის არმაზციხის ექვსსვეტიან დარბაზშიც ინტერიერის აღქმა ზემოთ აღნიშნულ მიდგომას ეხმიანება. ეს შესასვლელის გრძივი ფასადის შუა ნაწილში

გაჭრით მიიღწევა. შედეგად შემსვლელი დარბაზს არა სიგრძივ პერსპექტივაში, არამედ ცენტრიდან აღიქვამდა, რაც განაპირობებდა მისი სივრცული გააზრების ლოგიკას. აღნიშნული ტრადიციის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ იგივე წესის გამოყენების ფაქტი ადრექრისტიანული ხანის ბოლნისის სიონშიც. ამდენად, ნაგებობის კომპოზიციური გააზრების და შიდა სივრცის ცენტრულობა წარმოადგენს ქრისტიანობის საწყისი პერიოდისათვის საქართველოს არქიტექტურული პოტენციალის რაობის ერთ-ერთ არსებით ნიშანს, რომელმაც შემდგომში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქართული ხუროთმოძღვრების, მათ შორის საეკლესიო არქიტექტურის, განვითარებაზე.

საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების საწყისი ეტაპისათვის არსებული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე არქიტექტურული პოტენციალის რაობას სხვა ფაქტორთან ერთად განაპირობებდა მრავალფეროვანი სამშენებლო მასალის და შესაბამისი სამშენებლო ხერხების ფლობის, ნაირგვარი კონსტრუქციული ფორმებისა და საშუალებების გამოყენების გამოცდილება, ნაგებობის კომპოზიციისა და შიდა სივრცის ცენტრული გადაწყვეტის პრინციპზე აგების მდგრადი ტრადიცია, არქიტექტურულ ფორმათა მრავალფეროვანი მხატვრულ-სტილისტური რეპერტუარი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საუკუნეების განმავლობაში დასავლეთისა და აღმოსავლეთის მონინავე კულტურის ცენტრებთან ინტენსიური ურთიერთობების შედეგად გამოიმუშავდა არქიტექტურული, კონსტრუქციული თუ სტილისტური ინოვაციების თანადროულად შეთვისების და თავისებურად გააზრების უნარი, რამაც შემდგომ, შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

**ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს არქიტექტურა.** საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდეგ იწყება ადრეული შუა

საუკუნეების პერიოდი, როდესაც იქმნება ახალი რეალობა როგორც იდეოლოგიური თუ ისტორიულ-პოლიტიკური, ასევე ხუროთმოძღვრების განვითარების თვალსაზრისით. არქიტექტურის წინაშე დადგა ეპოქის შესაბამისი ამოცანები, რომლებიც არსებული სამშენებლო პოტენციალის წყალობით წარმატებით გადაწყდა. საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებულმა ინოვაციების შეთვისების უნარმა ხელი შეუწყო ქრისტიანული რელიგიის მოთხოვნებთან სწრაფად ადაპტირებას. შედეგად უკვე V საუკუნეში აიგო არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეული ბოლნისის სიონის ბაზილიკა და გუმბათიანი არქიტექტურის ნიმუში — მანგლისის ტეტრაკონქი, ხოლო VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე მცხეთის ჯვარის და, მოგვიანებით, წრომის არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებით გამორჩეული ტაძრები.

საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების არსობრივი პრინციპების შეცნობისა და გათავისების პროცესში დიდი როლი შეასრულა მრავალფეროვანი სამშენებლო ხერხების, განსხვავებული კონსტრუქციული თუ დეკორაციული საშუალებების გამოყენების გამოცდილებამ, რამაც ხელი შეუწყო მრავალგვარი არქიტექტურულ-მხატვრული ფორმების შექმნის და სტილისტური ცლილებების სტიმიულირებას.

წინაქრისტიანულ ხანაში ანტიკური და აღმოსავლური ცივილიზაციის ცენტრებთან ურთიერთობების ბაზაზე შექმნილმა მრავალფეროვანმა მხატვრულ-სტილისტურმა რეპერტუარმა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში განსხვავებული დეკორატიული ფორმების გამოყენება განაპირობა. ამ პერიოდის ტაძრებში გვხვდება როგორც კლასიკური კაპიტელების, მარმარილოს ინკრუსტაციის, იატაკის მოზაიკის (მაგ.: ბიჭვინტა, ვაშნარი) მაგალითები, ასევე სასაბურთო ირანის ხელოვნების გარკვეული გავლენით შექმნილი რელიეფური კომპოზიციები (მაგ.: ბოლნისის სიონი, ხაშში). წინაქრისტიანული კულტურის გავლენა შემდგომში ნელნელა

შესუსტდა და ტრანსფორმირდა. მხატვრული სახეების ფორმირება ძირითადად ახალი იდეოლოგიური და სტილისტური პროცესების ფარგლებში განხორციელდა.

ამდენად, წინარექრისტიანულ საქართველოში არსებულმა მრავალფეროვანმა არქიტექტურულმა პოტენციალმა მოამზადა ნაყოფიერი ნიადაგი ადრექრისტიანული ეპოქის შესაბამისი ამოცანების გადასაწყვეტად. სწორედ ამ პოტენციალის ბაზაზე მოხდა ახალი ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის თუ ქრისტიანული რელიგიის მოთხოვნების გააზრება-გათავისება და, ამავდროულად, თვითმყოფადობის შენარჩუნება. მდიდარ არქიტექტურულ მემკვიდრეობასთან უწყვეტი კავშირი იყო ის მოცემულობა, რომელმაც ადრექრისტიანულ სამყაროში ქართულ ხუროთმოძღვრებას თავისი გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა.

#### **სამშენებლო მასალები და ხერხები.**

ადრეულ შუა საუკუნეებში მრავალფეროვანი სამშენებლო მასალები, რომლებიც მრავლად მოიპოვება საქართველოში, ახალი რეალობის შესაბამისად იქნა გამოყენებული. უძველესი და ფართოდ გავრცელებული საშენი მასალა, ალიზი, ამ პერიოდში შედარებით ნაკლებად გვხვდება და ნელნელა საბოლოოდ განიდევენა ხმარებიდან [აბრამიშვილი..., 2000: 48]. ეს დიდწილად კირხსარის დამკვიდრებას უკავშირდება. ხე ისევ რჩება ერთ-ერთ ძირითად მასალად, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. ის ტრადიციისამებრ აქტიურად გამოიყენება საცხოვრისების მშენებლობისას. ხით ხურობის მნიშვნელობაზე მიუთითებს “მოქცევაი ქართლისაი”-ს ცნობაც ქართლში პირველი ქრისტიანული ეკლესიის ხისგან აგების შესახებ. პირველი სასწაულქმედებაც - “სვეტიცხოვლის აღმართვა”- სწორედ ხით ხურობასთან არის დაკავშირებული [აბრამიშვილი...2000:59]. საყურადღებოა, რომ სვეტიცხოვლის ინტერიერში წარმოებული გათხრებისას მართლაც აღმოჩნდა ხის ნაგებობების კვალი ხის ძელების ანაბეჭდების სახით. ხის საკულტო

ნაგებობები, სავარაუდოდ, შემდგომშიც იგებოდა, მაგრამ მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე არ შემორჩა.

ადრეული შუა საუკუნეების ჩვენამდე მოღწეული ძეგლები ძირითადად ქვით არის ნაგები. შესაბამისად ნათელია, რომ გრძელდება ქვით მშენებლობის ძველი ტრადიციები, თუმცა ამავდროულად მიმდინარეობს ახალი ტექნიკური თუ კონსტრუქციული ხერხებისა და საშუალებების დანერგვა. ნაგებობები, მათ შორის ეკლესიები, შენდება უმეტესად ტუფით, კირქვით, ქვიშაქვით. ცნობილია, რომ წინაქრისტიანულ პერიოდში ანტიკური კულტურის გავლენით კვადრების დამუშავებას დიდი ყურადღება ექცეოდა. ეს გამოცდილება ახალ ეპოქაშიც იგრძნობა. მშენებლობისას იყენებენ საკმაოდ დიდი ზომის კვადრებს, რომლებიც სუფთად არის გათლილი. ნაკლებად ჩანს სამუშაო იარაღის ხმარების კვალი, რაც დამუშავების ხასიათით ან დროთა განმავლობაში ქვის ზედაპირის ცვეთით შეიძლება იყოს გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ კვადრების ზედაპირებზე ქვის მთლელები ხშირად სხვადასხვა ნიშნებს გამოსახავდნენ. გვხვდება სვასტიკა, ვარსკვლავი, სხვადასხვა ფორმის ვარდული, ასევე ასომთავრულით შედგენილ ლიგატურები. რუსტირების ნაცვლად გამოიყენება კვადრის კიდეების ირიბად ჩაკვეთის წესი, რაც შუქის დაცემისას ჩრდილს წარმოშობს და კედლის ზედაპირზე შესაბამის მხატვრულ ეფექტს ქმნის.

კვადრები კედლის წყობაში უმეტესად მონესრიგებულად ლაგდება, თუმცა რიგის მაქსიმალური სიზუსტით დაცვის სურვილი არ იგრძნობა, რაც არაჰორიზონტალური წყობის ხაზგასმას, არამედ კედლის მთლიანობაში აღქმას ემსახურება. ამავდროულად, ძველი ტრადიციისამებრ მიმართავენ ზედა რიგებში კვადრების ზომის შემცირების წესს. ეს კედლის ამოყვანისას მშენებლობის ტექნიკური პროცესის გაადვილების გარდა, კედლის სიმალის ილუზორულად გაზრდას ემსახურება. ქვის კვადრების წყობა გამოიყე-

ნება როგორც ფასადზე, ასევე ინტერიერში. კედლის სისქეში კვადრებს შორის არე კირის ხსნარისა და ფლეთილი ქვის ნარევით ივსება. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ეს არე მცირეა, ზოგჯერ კი საერთოდ არ არის და მხოლოდ კირხსნარია ნახმარი (მაგ.: მცხეთის ჯვრის VI საუკუნის მცირე ტაძარში) [ჩუბინაშვილი, 1948]. საგულისხმოა, რომ კედლის სისქეში კვადრებისა და ე.წ. ხურდით შევსებული ნაწილის შეფარდება შემდგომ ეპოქებში იზრდება. გვხვდება კვადრების გამდნარი ტყვიით ან რკინის სამაგრებით დაკავშირების მაგალითებიც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წინა ეპოქაში ფართოდ გავრცელებული პირონები ეხლა იშვიათად გამოიყენება.

თლილი ქვის კვადრების გარდა საშენ მასალად იყენებენ რიყის ქვას. ის განსაკუთრებით გავრცელებულია კახეთში. კედლები უმეტესად რიყის ქვის წესიერი წყობით არის ნაგები. ხშირად შერეულია შირიმის ქვის კვადრები, რომლებიც ძირითადად ღიობების წირთხლების და შენობის კუთხეების ამოსაყვანად გამოიყენება. რიყის ქვის წყობა გვხვდება აფხაზეთშიც, სადაც შერეულ წყობაში აგურის რიგიც არის. დასავლეთ საქართველოში ქვისა და აგურის ე.წ. *opus mixtum* წყობის გავრცელება ბიზანტიის ხუროთმოძღვრების გავლენას უკავშირდება. რიყის ქვა, ისევე როგორც ფლეთილი ქვა, გამოიყენებოდა ასევე ნაგებობის საძირკველისათვის ტერიტორიის მოსასწორებლად. ამის საჭიროებას რიგ შემთხვევებში შენობის ადგილმდებარეობის სპეციფიკა განაპირობებდა. საგანგებოდ ამზადებდნენ ხელოვნურ ბაქანს, რომელზეც შემდგომ თავად ნაგებობის მშენებლობა მიმდინარეობდა.

ადრე შუა საუკუნეებში ისევე აქტიურად იყენებენ ბრტყელ და ღარისებრ კრამიტს. ის წითელი ფერის წერნაქითაა დაფარული, სველ ზედაპირზე დაწნეხით დატანილი წყვილი ზოლი აქვს და კარგადაა გამომწვარი. წინა პერიოდთან შედარებით კრამიტის წყობაში ცვლილება არ შეინიშნება. ბრტყელი კრამიტების აკეცილ გვერდებს ღარისებრი კრამ-

იტი ფარავს, რითაც სახურავის ერთიანი, ზედაპირი იქმნება, რაც შენობის ნალექებისაგან კარგად დაცვას უზრუნველყოფს. კრამიტებზე დადასტურებულია დამღები ასომთავრულით შედგენილი ლიგატურებით. შემორჩენილია თიხისაგან დამზადებული ნახევარწრიული ფორმის ანტიფიქსების ნიმუშები. ისინი სახურავის ქვედა რიგის ღარისებრი კრამიტების ნახევარწრეებში მაგრდებოდა. მათზე მოცემულია მონოგრამები ან სქემატური გამოსახულებები. განსაკუთრებით საინტერესოა ცხოველების ფიგურებიანი კომპოზიციები. ეკლესიებში დადასტურებულ ანტიფიქსებზე ხშირად გვხვდება ჯვრები (მაგ.: ახიზი Vს., ურბნისი VIIს.).

ადრეული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების სამშენებლო და კონსტრუქციულ სიახლეებზე ყველაზე უკეთ წარმოდგენას საკულტო არქიტექტურის ნიმუშები გვიქმნის. ამას განაპირობებს როგორც მათი არქიტექტურული ღირებულება, ასევე დაცულობის უკეთესი დონე. ამ ნაგებობებში ჩანს ძველი სამშენებლო ტრადიციების გავლენაც, ასევე ბევრი ახალი კონსტრუქციული ხერხი და თამამი არქიტექტურული გადაწყვეტა.

კამაროვანი გადახურვა, რომელიც წინაქრისტიანულ ეპოქაშიც გვხვდება, ადრეულ შუასაუკუნეებში ფართო გავრცელებას ჰპოვებს. ძირითადად გამოიყენება ქარგილებით შეკრული კამარა, რომელიც გამბრჯენ თაღებზეა დაფუძნებული. გრძივი სივრცის გადასახურად ცილინდრული, ხოლო კვადრატული სივრცისთვის ჯვრული ან ვარსკვლავისებრი კამარა გამოიყენება. VI საუკუნიდან საკულტო არქიტექტურაში წამყვანი ხდება გუმბათის თემა. ამ პერიოდში გუმბათი ტრომპებზეა ამოყვანილი. პირველად ტრომპაფრა 626-635 წლებში აგებულ წრომის ტაძარში იყო გამოყენებული.

წინაქრისტიანული ხანის ნაგებობებში საყრდენები მხოლოდ ფრაგმენტების სახით იყო შემორჩენილი. მეცნიერთა ვარაუდით ქვის კაპიტელები უმეტესად ხის სვეტებს ეფუძნებოდა. საბედნიეროდ, ადრეული შუა

საუკუნეების რიგ ნაგებობებში საყრდენებმა დღემდე მოაღწია. ეს საშუალებას გვაძლევს მეტი გავიგოთ როგორც სვეტების ფორმის, ასევე არქიტექტურულ სტრუქტურაში მათი კონსტრუქციული ფუნქციის და მხატვრული მნიშვნელობის შესახებ. საგულისხმოა, რომ შემორჩენილი საყრდენები ქვისაა. გვხვდება გეგმაში კვადრატული, ჯვრული, T-ს ფორმის, სწორკუთხა საყრდენები. მათ უმეტესად აქვს მარტივპროფილიანი სვეტისთავი, გვხვდება ასევე რელიეფით შემკული. აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია ამ პერიოდის ნაგებობების კლასიკური ტიპის კაპიტელებიც. შემორჩენილ საეკლესიო ნაგებობებში საყრდენები ერთმანეთს თაღების საშუალებით უკავშირდება. სავარაუდოდ, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებში ხის კოჭოვანი გადახურვაც იქნებოდა გამოყენებული.

წინაქრისტიანულ ხანასთან შედარებით უკეთ დაცული ნაგებობების გარკვეული რაოდენობის არსებობა ცალკეული არქიტექტურული ფორმების შესახებ მეტ ინფორმაციას გვანდის. ასე მაგალითად, მაშინ როდესაც თითქმის არ გაგვაჩნია მონაცემები წინაქრისტიანული ეპოქის ნაგებობებში ღიობების ზომასა და ფორმაზე, ამ პერიოდის რიგ ძეგლებში ამის შესახებ არსებობს გარკვეული ფაქტობრივი მასალა. საკულტო ნიშნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სარკმელები დიდი ზომისაა და პარალელური გვერდები აქვს. ღიობები უმეტესად ნალისებური ფორმისაა. კარს სწორკუთხა ან თაღოვანი მოხაზულობა აქვს. მის თავზე გვხვდება, როგორც ტიმპანი, ასევე ღია ლუნეტი. საინტერესოა, რომ ეს უკანასკნელი ფართოდ იყო გავრცელებული ჯერ კიდევ წინაქრისტიანული ხანის სირიაში და სასახლეების არქიტექტურაში გამოიყენებოდა.

როგორც ცნობილია, არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია წინაქრისტიანული ხანის ნაგებობების დეკორაციული მორთულობის მრავალრიცხოვანი დეტალები. ჩუქურთმითა და რელიეფური კომპოზი-

ციებით ნაგებობის მორთვის წესი ფართოდ გამოიყენება ადრე შუა საუკუნეებშიც. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა საეკლესიო ნაგებობებში. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მორთულობის ელემენტები გვხვდება როგორც ინტერიერში, ასევე ფასადებზე. რაც შეეხება მათ მხატვრულ-სტილისტურ ხასიათს, ისინი ახალი ეპოქის, ქრისტიანული იდეოლოგიის შესაბამისია, მაგრამ ამავედროულად აშკარად იგრნობა კავშირი ძველ მხატვრულ ტრადიციებთან. ჩანს ელინისტური და აღმოსავლური, ძირითადად სასანური ირანის გავლენებიც.

ამრიგად, ადრეული შუა საუკუნეების ეპოქაში ნათლად ვლინდება როგორც ძველი სამშენებლო გამოცდილების, ასევე ახალი რეალობის ადეკვატური ხერხებისა და საშუალებების გამოყენებით მიღწეული შედეგი. ძველისა და ახლის საუკეთესო მიღწევების შეთავსება არის ის პირობა, რაც ამ ეპოქაში ხუროთმოძღვრების წარმატებით განვითარებას განაპირობებს.

**ნასოფლარები და ქალაქმშენებლობა:** ადრეულ შუასაუკუნეებში საცხოვრებლების მშენებლობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ადგილობრივი კლიმატურ-გეოგრაფიული თავისებურებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებული ძველი სამშენებლო ტრადიციების შესაბამისად გრძელდება, თუმცა ფიქსირდება გარკვეული სიახლეებიც. ფართო გავრცელებას ჰპოვებს ქვითკირის საცხოვრისები. ადრეული შუა საუკუნეების სახლები და სამეურნეო ნაგებობების ნაშთები გამოვლინდა სხვადასხვა რეგიონებში, მაგალითად, ურბნისის, კუხეთის რუსთავის და სხვა ნამოსახლარებზე. ცალკეულ შემთხვევებში შემორჩენილი ნაშთები იძლევა სამეურნეო ნაგებობების დანიშნულების დეფინიციის საშუალებას. მაგალითად განირჩევა მარანი, ზეთის სახდელი თუ წყლის რეზერვუარი, რაც კონკრეტული დასახლების მაცხოვრებელთა საქმიანობის და ეკონომიკური აქტივობის დონის განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

ამ პერიოდის საინტერესო ნაგებობა აღ-

მოჩნდა ვანის მახლობლად მთისძირში [იხ. გამყრელიძე, 1982: 101-122]. ასევე ყურადღებას იმსახურებს მტკვრის მარცხენა ნაპირზე რუსთავის მახლობლად გათხრილი ძეგლი - ნაციხვარი, სადაც აღმოჩნდა ქვითკირის საკმაოდ დიდი ნაგებობა და აგურით ნაგები აბანო [სინ, 1973: 129].

ადრეული შუა საუკუნეების ნასოფლარები არქეოლოგიური კვლევა-ძიების მნიშვნელოვანი ობიექტი XX საუკუნის 50-იანი წლებიდან გახდა. ექსპედიციების მუშაობის შედეგად რამდენიმე ასეული ნასოფლარი გამოვლინდა მთისა თუ ბარის სხვადასხვა რეგიონში — შიდა და ქვემო ქართლში, კახეთში, მთიულეთში, ჯავახეთში, დასავლეთ საქართველოში და სხვ. [მინდორაშვილი, 2014: 192-197]. სამომავლოდ, მოძიებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალის სისტემური კვლევა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის დადგენის შესაძლებლობას მოგვცემს როგორც ნასოფლართა ტოპოგრაფიისა და მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური ყოფის, ასევე მათი დაგეგმარებისა და არქიტექტურულ-სამშენებლო მახასიათებლების შესახებ.

საქართველოში ადრეულ შუა საუკუნეებში ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებამ ხელი შეუწყო ურბანული ცხოვრების გააქტიურებას. აღმოსავლეთ საქართველოში დანინაურებული იყო მცხეთა, უჯარმა, თბილისი, რუსთავი, უფლისციხე, სამშვილდე, ბოლნისი, ჭერემი, დასავლეთ საქართველოში — ქუთაისი, ნოქალაქევი, შორაპანი, ვარდციხე და სხვ. ამ ქალაქებიდან ნაწილი წინაქრისტიანულ ხანაშიც არსებობდა, ზოგი კი ურბანულ ერთეულად ახალ ეპოქაში ჩამოყალიბდა.

თბილისის ტერიტორიაზე მოსახლეობის კვალი უძველესი დროიდან ფიქსირდება, I-II საუკუნეების გამაგრებული დასახლების ნაშთებიც არის გამოვლენილი. IV საუკუნეში აქ, მდინარე მტკვრის ხეობის ვიწრო ადგილზე სტრატეგიული სიმაგრე აიგო. თავად ქალაქის ისტორიის დასაწყისი უპირვე-

ლესად V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის მიერ აქ დედაქალაქის გადმოტანას უკავშირდება. გორგასალმა ძალზე ზუსტად შეაფასა ქვეყნისათვის ამ ადგილის სამხედრო-თავდაცვითი და სავაჭრო-საკომუნიკაციო მნიშვნელობა, რაც შემდგომში ქალაქის ისტორიამაც დაადასტურა. თბილისს გამოარჩევს ლანდშაფტის თავისებურება, რაც მის ურბანულ იერსახეს განუმეორებელ ხიბლს სძენს. ძველი ქალაქის განაშენიანებაში ადგილმდებარეობის სპეციფიკას მდინარე მტკვრის, სოლოლაკის ქედისა და ისნის პლატოს ურთიერთმიმართება განაპირობებს. დღეს საკმაოდ ძნელია ადრეული შუა საუკუნეების ქალაქგეგმარების სურათის ზუსტად აღდგენა, თუმცა ამ გეოგრაფიული მოცემულობის და რიგი შემორჩენილი თუ ახლად გამოვლენილი მასალის საფუძველზე ნათლად იკვეთება ადრეული შუა საუკუნეების ქალაქის არეალი. VI საუკუნის დასაწყისისათვის თბილისი შედგებოდა ციხისა და მის მიმდებარედ გაშენებული ქალაქისაგან, რომელიც, კალას უბნის ფარგლებში იყო მოქცეული. სავარაუდოდ, ციხე შედგებოდა ზედა და ქვედა ციხისაგან.

ადრეული შუა საუკუნეების თბილისის სამშენებლო საქმისა და არქიტექტურის შესახებ ცნობები მწირია. თუმცა არქეოლოგიური ძიების შედეგად გამოვლენილ სხვადასხვა ნაგებობათა ფრაგმენტები აქ საკმაოდ დანინაურებული ქალაქის არსებობაზე მეტყველებს. საგულისხმოა, რომ ურბანულ განაშენიანებაში საფორტიფიკაციო და საერო ნაგებობების გარდა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საეკლესიო ნაგებობები. VI საუკუნის დასაწყისი განეკუთვნება ანჩისხატის [გვერდნითელი, 2001], XVII საუკუნეებში გადაკეთებული, თუმცა დღემდე შემორჩენილი სამნავიანი ბაზილიკა. სავარაუდოდ ამ პერიოდს განეკუთვნება ასევე სიონის ტაძრის თავდაპირველი სამშენებლო ფენა. თბილისში წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოები [იხ. ძნელაძე, ჩიხლაძე, 2012:83-98], უთუოდ, კიდევ უფრო მეტი ინფორმაციის მოპოვების



შესაძლებლობას მოგვცემს ადრეული შუა საუკუნეების ქალაქის შესახებ.

თბილისის დაწინაურების პარალელურად ადრე შუა საუკუნეებში აგრძელებს არსებობას მცხეთაც. ის ქრისტიანობის მიღების და სვეტიცხოვლის პირველი ეკლესიის მშენებლობის შემდგომ უმთავრეს საეკლესიო ცენტრად ყალიბდება. ამავდროულად, არქეოლოგიური კვლევების თანახმად მიმდინარეობს საცხოვრებელი და ხელოსნების უბნების მშენებლობის პროცესიც. მცხეთაში არის სამეფო სასახლე და დიდებულთა საცხოვრებელი უბნებიც. გათხრების შედეგად გამოვლინდა ასევე ამ ხანის კომუნალური მეურნეობის რთული სისტემა - წყალგაყვანილობის თიხის მილები, ბრტყელი ქვის ფილებით დახურული კოლექტორები, საკანალიზაციო გაყვანილობები და სხვ. ყოველივე ეს ამ პერიოდში ქალაქ მცხეთაში აქტიური ურბანული ცხოვრების დამადასტურებლად შეიძლება მივიჩნიოთ.

ადრეული შუა საუკუნეების ხანაში ეყრება საფუძველი ქალაქ უჯარმას. წერილობითი წყაროების მიხედვით აქ III საუკუნეში, მირდატის ძე ასპარუგი აწარმოებს მშენებლობას. უჯარმის დაწინაურება ვახტანგ გორგასლს უკავშირდება. უჯარმის ნაქალაქარი მდ. ივრის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. უჯარმის მახლობლად მდებარეობს. ნაქალაქარის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები 1950-1952 წლებში ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. გამოვლინდა სამი სამშენებლო პერიოდი — ახ.წ. IV-V სს; IX-X სს; XII-XIII [ლომთათიძე 1953: 11].

ციხე-ქალაქი შედგება მდ. ივრის გასწვრივ, შემალღებზე მდებარე დედაციხის (145 მ X 30მ) და სამხრეთით განლაგებული ქვედა ნაწილისაგან, რომელიც დამრეც ფერდობზეა და ივრის ნაპირებამდე ჩადის (100 X 100 მ). საფორტიფიკაციო ნაგებობები ქვის კვადრებით და კირხსნარის გამოყენებით არის ნაშენი. ზედა ციხეს სამი მხრიდან კოშკებიანი გალავანი შემოუყვება. ციცაბო კლდის მხარეს სა-

დარაჯო კოშკია აღმართული. კოშკები ოთხკუთხაა და მათი კედლის სისქე 1.50 მ-ია. ისინი კრამიტით ყოფილა გადახურული [ციციშვილი, 1982: 15-26]. ქვედა ციხის გალავნის ფერდზე დამრეცად დაშვებულ პარალელურ კედლებში ოთხ-ოთხი, გეგმაში სწორკუთხა ორ და სამსართულიანი კოშკებია ჩართული. ეს კედლები ერთმანეთს მდინარის ნაპირის გასწვრივ აგებული კედლით უკავშირდება. უკეთ არის შემორჩენილი ნაგებობები ზედა ციხის ტერიტორიაზე. ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ყველაზე დიდი ზომის შენობაა (10,5 მ X 12,2 მ), რომლის ჩრდილოეთ მხარეს მოთავსებულია ორ-ორი მცირე ზომის ოთახი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში აღმოჩნდა ქვევრები. აქვეა ასევე ორსართულიანი საკულტო ნაგებობა. პირველ სართულზე უფრო ძველი, სავარაუდოდ გორგასლის ხანის, ინტერიერში თლილი, ხოლო ექსტერიერში უხეშად დამუშავებული ქვით ნაგები მცირე ზომის დარბაზული ეკლესია მდებარეობს. მეორე სართულის ეკლესიაც ასევე დარბაზულია და ნავი ცილინდრული კამარით არის გადახურული. მისი კედლები ქვიშაქვის კვადრებით არის ნაგები.

ნაქალაქარის პირველი სამშენებლო პერიოდის ნაგებობები თანაბარი სიმაღლის, სწორკუთხა მოყვანილობის, წყობაში გულდასმით გადაბმული კვადრებითაა აშენებული. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ზედა და ქვედა ციხის გალავანი, ოთხკუთხა კოშკები, ზედა ციხის ე.წ. სასახლე, წყალსაცავი და ეკლესია. უჯარმის განათხარი მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია [იხ. ლომთათიძე 1989: 122]. ქალაქ უჯარმისათვის ადგილმდებარეობის გააზრებულად შერჩევა, კარგად გათვლილი, რელიეფს მორგებული დაგეგმარება, საფორტიფიკაციო სისტემის გამართულობა, კედლის მონესრიგებული წყობა, ნაგებობათა მშენებლობის ხარისხი ამ პერიოდის საქართველოში ქალაქმშენებლობის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე მეტყველებს.

ადრეული შუა საუკუნეების ერთ-ერთ

დანინაურებულ საქალაქო ცენტრად იქცა რუსთავი. მისი ფართობი დაახლოებით 17 ჰა-ს აღწევდა. ქალაქის ციტადელი მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს წრიულ ბორცვზე მდებარეობდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის საფორტიფიკაციო და სამოქალაქო ნაგებობების ნაშთები. ციხესა და ქალაქის დასახლებებს შორის მდებარეობდა სარწყავი არხი, რომელსაც, უთუოდ, თავდაცვითი ფუნქციაც გააჩნდა. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლინდა ასევე რიგი საცხოვრებელი კომპლექსების ნაშთები, რომლებიც IV-V საუკუნეებით თარიღდება.

აღმოსავლეთ საქართველოში ამ პერიოდის ნაქალაქარები გაითხარა ასევე ჭერემში, ხორნაბუჯში, ნეკრესში, ურბნისში და სხვ.

დასავლეთ საქართველოს ქალაქები სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ზღვისპირა ქალაქები და სიმაგრეები — პეტრა (ციხისძირი), აფსაროსი, ფასისი, სებასტოპოლისი, პიტიუნტი; შიდა ეგრისის ქალაქები — ნოქალაქევი, ვარდციხე, ქუთაისი, ვაშნარი, მუხურისი, ნამაშევი და სხვა; აღმოსავლეთ ეგრისის სასაზღვრო სისტემაში შემავალი სიმაგრეები — შორაპანი, საზანო, სკანდა, დიმი [ჯაფარიძე ვ., 2006].

შავიზღვისპირეთისა და შიდა ეგრისის ქალაქებს შორის დაგეგმარების მიხედვით სხვაობა შეინიშნება. ზღვისპირა ქალაქების უმეტესობა რომაულ ხანაში კასტელუმებს წარმოადგენდა, რაც მათ ურბანულ სახეზეც აისახა. ამ თვალსაზრისით გამონაკლისია პეტრა (ციხისძირის), რომლის დღეისთვის ცნობილი ნაშთები უფრო გვიანი პერიოდის ციხეს განეკუთვნება. დასავლეთ საქართველოს სხვა, მათ შორის შიდა ეგრისში მდებარე ქალაქები (ნოქალაქევი, ვარდციხე, შორაპანი და სხვა) არ არის კასტელუმის ტიპის. ისინი განსხვავებული გეგმარებით ხასიათდება, რაც, უპირატესად, კონკრეტული ადგილმდებარეობის სპეციფიკით არის განპირობებული.

ქუთაისში ძველი დასახლებების ნაშთები

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, ხოლო აქტიური ცხოვრების კვალი ძვ.წ. VIII საუკუნიდან ფიქსირდება. ქუთაისის, როგორც ქალაქური ტიპის დასახლების, შესახებ საუბარი მოძიებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით III საუკუნეებიდან შეიძლება [ლანჩავა, 2007]. აქ საქალაქო ცენტრი არქიელის გორაზე ფიქსირდება. როგორც ჩანს აქ იყო შიდაციხე-ციტადელი, რომელსაც ქალაქში დომინანტის როლი ენიჭებოდა. შიდაციხის გეგმა არასწორი ექვსკუთხედის მოყვანილობის იყო. მას დასავლეთით ორი კოშკი იცავდა და წყალმომარაგების რთული სისტემა გააჩნდა. მის გარშემო დაფიქსირდა თიხატყეპნილი იატაკის მქონე ხის საცხოვრებლების კვალი. გამოვლინდა ასევე მოკირწყლული ქუჩების და მოედნების, ასევე ზოგიერთი ქვის საფუძვლის მქონე ნაგებობის ფრაგმენტები. IV საუკუნის შუა ხანებიდან ქალაქის განაშენიანებამ უფრო ინტენსიური ხასიათი შეიძინა, რაც განსაკუთრებით მის სასიმაგრო სისტემას დაეცყო. ამ დროს შიდაციხე გალავნით შემოიზღუდა. საგულისხმოა, რომ გალავნის კედელს თავდაცვითი ღონისძიებებისთვის შიდა მხარეს საბრძოლო ბაქანი გასდევდა. ამავე პერიოდით თარიღდება 30მ სიგრძის ბაზილიკა, რომელიც ბაგრატის ტაძრის მეორე სამშენებლო ფენას განეკუთვნება. ამგვარი მასშტაბის საეკლესიო ნაგებობის მშენებლობის ფაქტი თავად ქალაქის მრავალრიცხოვნებასა და მნიშვნელობაზე მიუთითებს [ლანჩავა, 2007: 112-113].

VI საუკუნეში ქუთაისში გრძელდება აქტიური საქალაქო ცხოვრება. როგორც ჩანს ბიზანტია-ირანის დაპირისპირების ფონზე დგება ქალაქის თავდაცვის თვისობრივად ახალი სისტემის ფორმირების საკითხი. შედეგად მის ირგვლივ იგება ახალი სიმაგრეები, როგორცაა უქემერიონი, ნამაშევის ციხე, ხომულის ციხე. თუმცა ის მალე გარკვეულად თმობს მთავარი ქალაქის პოზიციებს, რადგან ეგრისის მთავარი ქალაქი ნოქალაქევი ხდება.

ნოქალაქევი (არქეოპოლისი, ციხეგოჯი) ეგრისის სამეფოს დედაქალაქს წარმოად-

გენდა IV-VIII საუკუნეებში [ზაქარაია, კაპანაძე, 1991]. აქ პირველი არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა 1930 წელს ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით. გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევა დაიწყო 1973 წელს პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით. ნაქალაქარი მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტში მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირზე. უნაგირად წოდებული სერის კონცხის მაღალ ნაწილზე ციტადელი, ხოლო ქვემოთ დამრეც ფერდობზე და მდინარის შევაკებულ ნაპირზე საკუთრივ ქალაქი იყო გაშენებული. ლეონტი მროველის მიხედვით ქალაქის ისტორია ჯერ კიდევ ძვ.წ. III საუკუნიდან იწყება და უკავშირდება მეფე ფარნავაზისა და ქუჯიერის თავის ურთიერთობას. დედაქალაქობის ხანის ნოქალაქევი საკმაოდ ძლიერი და კარგად განაშენიანებული ქალაქი უნდა ყოფილიყო, რასაც მოწმობს პროკოფი კესარიელის ცნობა – “ძალიან გამაგრებული არქეოპოლისი ... არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზიკის ქვეყანაში”. ქალაქის ადგილმდებარეობის თავისებურება განაპირობებდა მისი თავდაცვითი ზღუდეების განლაგების სპეციფიკას. მასზე თავდასხმისა და ამ დროს კედლის სანგრევი მანქანების გამოყენებისთვის ხელსაყრელი იყო აღმოსავლეთი მხარე. ამიტომ გალავნის ეს ნაწილი საგანგებოდ რამდენჯერმე ახალი ზღუდით იქნა გამაგრებული. V საუკუნის შუა ხანებში აიგო მეორე კედელი, ხოლო ამ საუკუნის ბოლოსათვის დამატებით ქვის დიდი ბლოკებით 2,5 მეტრი სისქის კედელი აშენდა.

ქალაქს ორი, სახმელეთო და სამდინარო, ჭიშკარი ჰქონდა. ეს უკანასკნელი თავისი დანიშნულებისა და არქიტექტურული გადაწყვეტის თავისებურებით განსაკუთრებით საინტერესოა. ის წარმოადგენდა საფეხურებიან გრძელ გვირაბს, რომელიც მდინარე ტეხურას ვიწრო ყელის ამალღებული ნაპირიდან იწყება და უშუალოდ მდინარის პირზე მდებარე მცირე ბაქანზე ეშვება. კლდეში ნაკვეთი 40 მეტრი სიგრძის გვირაბი თავსა და ბოლოში არსებული კარებებით მტკიცედ

იყო დაცული. გვირაბს ქალაქის წყლით მომარაგების ფუნქციაც ჰქონდა. სახმელეთო ჭიშკარი საკომუნიკაციოდ ყველაზე გამოსადეგ, აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობდა და საგანგებოდ იყო გათვლილი მისი თავდაცვითი ფუნქცია. ამ კოშკის ტიპის საკმაოდ რთულ ნაგებობაში შესასვლელის ორივე მხარეს მცველებისათვის სპეციალური ორსართულიანი სათავსოები იყო მოწყობილი.

ქალაქში მრავალწლიანი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ბევრი ნაგებობა გამოვლინდა. დღეს შემორჩენილია ორმოცმონამეთას სახელობის გუმბათიანი ეკლესია, რომელიც თავდაპირველად, კერძოდ VI საუკუნეში, სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენდა. საინტერესოა, რომ მის სამხრეთით V საუკუნის ბაზილიკაც გაითხარა, რომელიც თავის მხრივ უფრო ადრეული შვერილაფსიდიანი ცალნავიანი ეკლესიის ადგილზე იყო აგებული. დარბაზული ეკლესიებია ასევე მთის ფერდზე და ციტადელში. პირველი მათგანი, სავარაუდოდ, ქალაქის გარნიზონისთვის იყო აგებული. ქვედა ტერასაზე გამოვლინდა მეფეთა სასახლეები. როგორც გაირკვა IV საუკუნის ორსართულიანი სასახლის დანგრევის შემდგომ, VI საუკუნის დასაწყისში, აიგო მეორე, სამსართულიანი სასახლე. აღსანიშნავია, რომ ქალაქში აღმოჩნდა ორი აბანო, რომლებიც მშენებლობის დონით, მასალის ხარისხით და ზომით განსხვავებულია. უფრო დიდი, უკეთ გათლილი ქვებით მკვიდრად ნაგები მიიჩნევა სამეფო აბანოდ, ხოლო მეორე, შედარებით მცირე, სამოქალაქოდ. ამ უკანასკნელით მოქალაქეების გარდა, სავარაუდოდ, გარნიზონის მეომრებიც სარგებლობდნენ. როგორც პ. ზაქარაია აღნიშნავს [ზაქარაია, კაპანაძე, 1991: 141-142], საქართველოში აღმოჩენილი ანფილადურად განლაგებული სათავსებიანი აბანოებისაგან განსხვავებით ნოქალაქევის სამეფო აბანოს გეგმა ირეგულარულია, თუმცა უფრო კომპაქტური და ფუნქციურად მოხერხებული, რაც მას სხვა ნიმუშებისაგან გამოარჩევს. ნოქალაქევი აღნიშნული ძე-

გლების გარდა გაითხარა საცხოვრებელი და სამეურნეო ხასიათის ნაგებობებიც. აღსანიშნავია, რომ აქ ადრეული შუა საუკუნეების გარდა დადასტურებულია მომდევნო და გვიანი შუა საუკუნეების ხანის ნაგებობები.

ქუთაისის სამხრეთ-დასავლეთით, 12 კმ-ის დაშორებით მდებარეობს ვარდციხის ნაქალაქარი. მისი არქეოლოგიური შესწავლა 1968 წელს დაიწყო გ. ლომთათიძემ და გ. ცქიტიშვილმა, ხოლო 1970-იან წლებში არქეოლოგიურ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ვ. ჯაფარიძე. ეს ნაქალაქარი მცირე შემალღებაზე მდებარეობს და 2,5 ჰა-ს მოიცავს. გათხრებისას იკვეთება ციტადელი და ქვედა ქალაქის საფორტიფიკაციო ხაზი. ნაქალაქარის კულტურული ფენები IV-VI საუკუნით თარიღდება [ჯაფარიძე ვ., 1989].

შორაპანის ნაქალაქარი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარეების ყვირილასა და ძირულას ხეობაში. მნიშვნელოვან სავაჭრო გზასთან სიახლოვე აქ ურბანული დასახლების ფორმირების მიზეზი ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში გახდა, რასაც არქეოლოგიური გათხრები ადასტურებს. ადრე შუა საუკუნეებში შორაპანი იყო გამაგრებული ქალაქი კლდოვან ბორცვზე გაშენებული ციხით. მის დაგეგმარებაში საფორტიფიკაციო საკითხებისადმი განსაკუთრებული ყურადღება სტრატეგიული მდებარეობით და საკომუნიკაციო მნიშვნელობით იყო განპირობებული. ამ ამოცანის გადაწყვეტა ლანდშაფტის სპეციფიკის და არქიტექტურულ-სამშენებლო საშუალებების გამოყენებით განხორციელდა. ციხე სამ ტერასაზე იყო გაშენებული. გალავნის კედელში სწორკუთხა კოშკები იყო ჩართული. ციხის კონფიგურაციას ბუნებრივი რელიეფი განსაზღვრავდა. ქვედა ტერასას ნაგრძელებული სწორკუთხედის მოხაზულობა ჰქონდა. შუა ტერასის შემომფარგლავი კედლები ქვედა დონიდან ზევით უფრო შორდებოდა ერთმანეთს. ამასთან, დასავლეთის კედელი ბორცვის თხემს შემოუყვებოდა და მომრგ-

ვალეზულ მოხაზულობას ქმნიდა. გალავნის აღმოსავლეთი კედელი სწორხაზოვნად მიემართებოდა ციტადელისკენ. თავად ციტადელი ყველაზე მაღალ, მესამე ტერასაზე იყო გაშენებული. ციხის წყლით მომარაგება მდინარესთან გამავალი გვირაბისა და ციტადელის ტერიტორიაზე აგებული ცისტერნის მეშვეობით ხდებოდა. განსხვავება შეინიშნება სამშენებლო სამუშაოების წარმოების კუთხით. უხეშად დამუშავებული ქვით, დულაბის გამოყენებით ნაგები კედლები V-VI საუკუნეებს განეკუთვნება, ხოლო მასზე დაშენებული ოთხკუთხა კვადრების წყობა VI საუკუნეს. შორაპნის ციხე ახ.წ. VI ს-ში ლაზებსა და ბიზანტიელებს დაუნგრევიათ, რათა ის ირანელებს არ ჩაეგდოთ ხელში [იხ. ჯაფარიძე ვ. 2006: 9-36].

ამრიგად, ადრეულ შუა საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი დასახლებული პუნქტი და ქალაქი დადასტურებული, რაც ხუროთმოძღვრების განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს. ამ ეპოქაში ქალაქმშენებლობის ტრადიცია დიდწილად წინაქრისტიანული სამშენებლო გამოცდილებას ეფუძნებოდა, თუმცა ტექნიკური თუ სამშენებლო სიახლეები სამოქალაქო და საფორტიფიკაციო ნაგებობების გადაწყვეტაში ახალი მიდგომების გაჩენას უწყობდა ხელს. ქალაქების ურბანული სახის განმსაზღვრელ ფაქტორად რჩება საფორტიფიკაციო ნაგებობები. ისინი აფიქსირებენ ქალაქის საზღვრებს და გამოყოფენ შიდა-ციხეს. ამასთან, ახალი იდეოლოგიური და სოციალ-პოლიტიკური რეალობის შესაბამისად ურბანულ განაშენიანებაში დიდი მნიშვნელობას იძენს საეკლესიო ნაგებობები. ისინი თავისი იდეოლოგიური დანიშნულების შესაბამისად ქალაქის ერთიან ქსოვილში არქიტექტურული გადაწყვეტით მკაფიო აქცენტებს ქმნიან.

**საეკლესიო არქიტექტურა.** IV საუკუნეში მირიან მეფის დროს იბერიის გაქრისტიანების შედეგად საქართველოში ახალ ეპოქას დაედო დასაბამი. დაიწყო საეკლესიო ნაგებობებ-

ის მშენებლობა და შესაბამისი არქიტექტურულ-მხატვრული ამოცანების გადანაცვების გზების ძიება. თავისთავად იმ ფაქტს, რომ საქართველო ქრისტიანული სამყაროს ნაწილი ადრეულ ეტაპზე გახდა, დიდი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა აქვს. ამან საეკლესიო ხუროთმოძღვრების ფორმირებისთანავე საქართველოს ადრექრისტიანულ სამყაროში მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობა განაპირობა. მას ყველა ახალი კანონიკური მოთხოვნის, არქიტექტურულ-კონსტრუქციული თუ სტილისტური ნოვაციის თანადროულად გაცნობის და გათავისების შესაძლებლობა მიეცა. გასათვალისწინებელია, რომ წინაქრისტიანულ ხანაში დაგროვილი მრავალფეროვანი ხუროთმოძღვრული ტრადიციები და მდიდარი არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალი ქართულ ხუროთმოძღვრებას ახალ რეალობასთან ადაპტაციის პარალელურად თვითმყოფადობის გამოვლენას უწყობდა ხელს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ადრეული შუა საუკუნეების ეპოქა, რომელიც ქრისტიანული რელიგიის მოთხოვნების გააზრება-შეთვისების, შესაბამისი არქიტექტურულ-მხატვრული ფორმების ჩამოყალიბების და პირველი დიდი წარმატებების პერიოდია ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში.

ერთ-ერთი პირველი არქიტექტურული ტიპი, რომელიც საეკლესიო ნაგებობის მშენებლობისათვის გამოიყენეს იყო ბაზილიკა. ქრისტიანული რელიგიის მიერ დაკანონებული ეს ხუროთმოძღვრული ტიპი მთელ ადრექრისტიანულ სამყაროში, მათ შორის საქართველოში, გავრცელდა და არქიტექტურულ-სამშენებლო ტრადიციებით განსხვავებულ ქვეყნებში სახეცვლილებები განიცადა. სამნავიანი ბაზილიკა წარმოადგენს საყრდენების საშუალებით ნაგებად დაყოფილი გეგმაში ნაგრძელებული სწორკუთხა ფორმის ნაგებობას. შუა ნავი გვერდითებზე მაღალი და განიერია. საყრდენები ერთმანეთს უკავშირდება თაღების საშუალებით ან გამოყენებულია არქიტრაფული სისტემა. ნაგებობის

აღმოსავლეთით საკურთხეველის აფსიდაა, რომელიც გეგმის სწორკუთხედშია ჩანერილი ან შვერილი ფორმისაა. ფართოდ გავრცელებულია ე.წ. სამნავიანი საკურთხეველი — აფსიდა და გვერდითი სათავსები, პასტოფორიუმები. ბაზილიკის გეგმაში გამოკვეთილია დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი, მიმართული საკურთხეველისაკენ. დასავლეთ ნაწილში ხშირად გვხვდება ნართექსი. ბაზილიკის ნაგებობის გადახურვა შეიძლება იყოს კამაროვანი ან ხის კონსტრუქციებით შესრულებული. შუა ნავს ექსტერიერში უმეტესად დამოუკიდებელი ორფერდა სახურავი აქვს, ხოლო გვერდითებს — ცალფერდა. ასეთ შემთხვევაში ნაგებობას გააჩნია ე.წ. ბაზილიკური ჭრილი და ექსტერიერში სახასიათო სილუეტი. ადრეული ხანის აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს ქვეყნებში გვხვდება სამი ნავის ერთიანი ორფერდა სახურავით გადახურვის მაგალითებიც.

საქართველოში 70-მდე სამნავიანი ბაზილიკაა ცნობილი [იხ. ჯაბუა, 2009]. ამათგან დიდი ნაწილი სწორედ ადრეული შუა საუკუნეების ხანაშია აგებული. ისინი მდებარეობს როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ეს ბაზილიკები უმეტესად ცუდად არის შემორჩენილი, ზოგიერთი გადაკეთებულია. არსებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს ადრეული შუა საუკუნეების ბაზილიკების რამდენიმე ჯგუფი გამოვყოთ.

ერთგვარ საწყის საფეხურს წარმოადგენს V საუკუნის ორი ძეგლი — ძველი შუამთა და მატანის ცხრაკარა[ჩუბინაშვილი, 1959:45-48;48-55]. ეს ბაზილიკები მომცრო ზომისაა და თავისებური გადანაცვებით ხასიათდება. უმთავრესია ცენტრულობის პრინციპის დომინირება, რასაც სიგრძე-სიგანის შეფარდების სიმცირე, არქიტექტურულ სტრუქტურაში დასავლეთი ნავის არსებობა და მხოლოდ ერთი წყვილი საყრდენის გამოყენება განაპირობებს. ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი ნაგებობით შექმნილი კომპოზიცია გარკვეულ მსგავსებას ავლენს საქართ-

ველოში დადასტურებულ ქრიატიანობამდელი ნაგებობების (მაგ.: ციხიაგორა, დედოფლის მინდორი) გეგმასთან. ამავდროულად ეს სქემა სამეკლესიან ბაზილიკებში ფართოდ გავრცელებული და ზოგიერთ სამნავიან ბაზილიკაში გამოყენებული გარშემოსავლების თემის მსგავსია. ამდენად, ძველი შუამთა და მატანის ცხრაკარას სტრუქტურა ერთი მხრივ განიცდის წინაქრისტიანული ხუროთმოძღვრული ტრადიციის ზეგავლენას და მეორე მხრივ სათავეს უდებს გარშემოსავლების თემას ქართულ ბაზილიკებში.

ადრეული შუა საუკუნეების სამნავიან ბაზილიკებში თავისი მასშტაბით და არქიტექტურული ღირებულებით გამოირჩევა ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის [ჩუბინაშვილი, 1936: 32-50] ძეგლები: ბოლნისის სიონი, წყაროსთავი, ურბნისი, ხაშმი, ანჩისხატი, კონდოლი, ნატკორა, ხირსა, ვაზისუბანი. თავისი პარამეტრებით ამ ჯგუფს უახლოვდება ნასტაკისის ბაზილიკა, რომლის მხოლოდ გეგმა იკითხება, სვეტიცხოველის გორგასლისეული და, სავარაუდოდ, წილკანის თავდაპირველი სამშენებლო პერიოდის ბაზილიკები. დიდი მასშტაბი გამოარჩევს ასევე რამდენიმე წლის წინ გამოვლენილ დოლოჭობის სამნავიან ბაზილიკას [ბახტაძე, 2012]. ამ ძეგლებში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მთავარი კონცეფცია ნათლად არის გამოკვეთილი. ნაგებობებში ხაზგასმულია დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი, ინტერიერის მხატვრულ სახეს არქიტექტურული ფორმების განმეორებით მიღწეული რიტმი განსაზღვრავს. შიდა სივრცის მთავარი და დაქვემდებარებული ნაწილების ურთიერთდამოკიდებულება ჰარმონიული წონასწორობის პრინციპს ეფუძნება. სამწუხაროდ, ამ ძეგლების დიდი ნაწილის ცუდი დაცულობის ან საფუძვლიანი გადაკეთების გამო, ძნელია მათი თავდაპირველი სახის სრულად აღდგენა, რაც მკვლევართა შორის ცალკეული ძეგლების შესახებ აზრთა სხვადასხვაობას წარმოშობს.

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. დიდი ბაზი-

ლიკების ჯგუფის ძეგლების გეგმარება და სივრცობრივ-მოცულობითი გადაწყვეტა არქიტექტურული ტიპის ძირითად მოთხოვნებს პასუხობს, ცენტრულობის ტენდენცია ზოგ ძეგლში მაინც ვლინდება. ეს უპირველეს ყოვლისა შესასვლელების პრიორიტეტული მნიშვნელობის საკითხს ეხება. საზოგადოდ, ბაზილიკაში მთავარი შესასვლელი დასავლეთის მხრიდან არის და ინტერიერის აღქმის ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს. რაც შეეხება ე.წ. დიდი ბაზილიკების რიგ ძეგლებს (ბოლნისის სიონი, ხაშმი), აქ უპირატესობა გრძივი ფასადის შესასვლელს ენიჭება. ეს არღვევს არქიტექტურული ტიპის ლოგიკურ სქემას და მასში სივრცის აღქმის სრულიად განსხვავებული, ცენტრული კომპოზიციისათვის დამახასიათებელი ელემენტი შემოაქვს. ამდენად, ამ ძეგლებში, განსაკუთრებით ბოლნისის სიონში, ხუროთმოძღვრული ფორმები მთლიანად ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის შესატყვისია, მაგრამ მათი აღქმა ცენტრული ნაგებობის პრინციპით ხორციელდება, რაც თავის მხრივ წინაქრისტიანულ ხანაში გავრცელებულ ტრადიციას ეხმიანება. აღსანიშნავია, რომ ბოლნისის სიონი, ისევე როგორც ხაშმის ბაზილიკა გამორჩეულია რელიეფური მორთულობით. მხატვრული და იკონოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებულია ბოლნისის სიონის სვეტისთავეები.

დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში (ბიჭვინტა, ნოქალაქევი, სეფიეთი, ალაჰაძე, ციხისძირი, განთიადი, ვაშნარი, ნოქალაქევის ორმოცმონამეთა, ცაიში) გვხვდება რიგი მახასიათებლები, რომლებიც ბიზანტიური არქიტექტურის გავლენაზე მიუთითებს. ასეთია ე.წ. opus mixtum ნყოფა, შვერილი აფსიდა, ნარტექსი, ინტერიერის მორთულობის მრავალფეროვანი საშუალებები, მაგალითად, იატაკის მოზაიკა (ბიჭვინთა), კლასიკური კაპიტელები (ვაშნარი, ბიჭვინთა), ორსართულიანი გვერდითი ნავეები (სეფიეთი). აღსანიშნავია, რომ რიგ ძეგლებში (ბიჭვინტა, ციხისძირი, ვაშნარი) ეს გავლენა უფრო

თვალსაჩინო და არსებითია. ეს, უთუოდ, სხვა ფაქტორებთან ერთად შავიზღვისპირა ამ ცენტრებში ბიზანტიის პოლიტიკურ-კულტურული გავლენის სიძლიერით აიხსნება.

დასავლეთისგან განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკები მეტ სიახლოვეს აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს, კერძოდ, სირიის, სომხეთის ძეგლებთან ამჟღავნებს. აღსანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევაში (მაგ.: ბოლნისის სიონის სვეტისთავები) სასანური ირანის ხელოვნების ერთგვარი გავლენაც აღინიშნება.

ადრეული შუა საუკუნეების ხანაში საქართველოში შემუშავდა ბაზილიკის თავისებური სახესხვაობა. ეს ორიგინალური ტიპი პირველად გ. ჩუბინაშვილმა შეისწავლა და სამეკლესიო ბაზილიკა უწოდა [ჩუბინაშვილი, 1970: 104-108]. ამ ტიპის ნაგებობა გარეგნულად სამნავიანი ბაზილიკის მსგავსია, მაგრამ ინტერიერი სრულიად განსხვავებული აქვს. ნაგები ერთმანეთისგან გამიჯნულია არა საყრდენების, არამედ კედლების საშუალებით და სამი იზოლირებული ნაწილია გამოყოფილი. ამგვარი გადაწყვეტის შესაბამისად, სამეკლესიო ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის წარმოშობას გ. ჩუბინაშვილი ლიტურგიკულ აუცილებლობას უკავშირებდა [ჩუბინაშვილი, 1959: 141, 156]. გამოთქმულია სხვა მოსაზრებებიც [ჯაბუა, 2009: 53-55].

სამეკლესიო ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ჩამოყალიბების საწყისი პერიოდს წარმოაჩენს ისეთი ძეგლები, როგორცაა ქვემო-ბოლნისი და ვანათი. ამ ძეგლებში ნათლად არის გამოვლენილი სამი თანაბარი სიგრძის დამოუკიდებელი ნაწილის ისეთი თანაფარდობა, რაც ტერმინ “სამეკლესიო ბაზილიკას” შეესატყვისება. შემდგომში პასტოფორიუმების გამოყოფამ ძირეული ცვლილებები შეიტანა სამეკლესიო ბაზილიკის გეგმაში. თუ ადრეულ ძეგლებში სამი ეკლესია (ნავი) სიგრძეში ტოლი იყო, სათავსების არსებობამ გვერდითი ეკლესიები (ნაგები) საგრძნობლად დაამოკლა. ნაგებობის ასეთმა გეგმამ ლოგიკური განვითარება ჰპოვა და

გვერდითი ეკლესიები (ნაგები) დასავლეთი ნავის საშუალებით ერთმანეთს შეუერთდა (წმინდა შიოს სახელობის ეკლესია საბუეში, ველისციხე, სამკარიანი ვაზისუბანთან). ამგვარად ჩამოყალიბებული სახე მიიღო გარემოსავლელმა, რომლის მხატვრული გამომსახველობა უფრო სრულად მეორე ეტაპის ძეგლებში გამოვლინდა. მეორე ეტაპის VI-VII საუკუნეების სამეკლესიო ბაზილიკები (ნეკრესი, ზეგანი, ამიდასტური ვაჩნაძიანთან, ნათლისმცემელი საბუეში, ვაჩნაძიანის ყველანმინდას მონასტრის ბაზილიკა) მაღალმხატვრული ძეგლებია. ამ ნაგებობებში წინა პერიოდში შემუშავებული არქიტექტურული ფორმების შემდგომი განვითარება და სრულყოფა მოხდა. შედეგად, კომპოზიციურად დახვეწილი და არქიტექტურულად კარგად გააზრებული სტრუქტურა ჩამოყალიბდა.

საქართველოს საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში უგუმბათო ხუროთმოძღვრების გარდა, რომელსაც სამნავიანი და სამეკლესიო ბაზილიკები ასევე ე.წ. ორნავიანი ეკლესია და დარბაზული ანუ ერთნავიანი ეკლესია წარმოადგენს, გავრცელებულია გუმბათიანი არქიტექტურული ტიპები. გუმბათიანი კომპოზიცია VI საუკუნიდან საეკლესიო ხუროთმოძღვრების წამყვან თემად იქცა. ეს არქიტექტურული მახასიათებლების თავისებურების გარდა, ნაგებობათა სივრცული გადაწყვეტის ტრადიციულ მიდგომებთან კავშირითაც არის განპირობებული. თუ ბაზილიკის სიგრძივი კომპოზიცია უცხო აღმოჩნდა ქართული ხუროთმოძღვრებისათვის და ამ ტიპის არსებობის ყველა ეტაპზე შეიმჩნეოდა მისი დამოკლების ცდა, გუმბათიანი ტიპები სივრცის ცენტრულ გააზრებას ეფუძნებოდა და, შესაბამისად, ეხმიანებოდა ათასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ადგილობრივ ტრადიციას. საგულისხმოა, რომ გუმბათიანი არქიტექტურის პრიორიტეტულობა ადრეული შუა საუკუნეების ხანაშივე გამოვლინდა. ამ პერიოდში ფორმირდა და გავრცელდა ისეთი არქიტექტურული ტიპები როგორცაა

ტეტრაკონქი, თავისუფალი ჯვრის ტიპი და ჩახაზული ჯვრის ტიპი.

გუმბათიანი არქიტექტურის უადრესი ნიმუში V საუკუნის მანგლისის ტაძარია, რომელიც ტეტრაკონქის ტიპს განეკუთვნება [დვალი, 1974]. ამ არქიტექტურული ტიპის უმთავრეს მახასიათებელს ჯვრულად განლაგებული ოთხი აფსიდა წარმოადგენს. ტეტრაკონქების აქტიური გავრცელების პერიოდი ადრეული შუა საუკუნეებია. ტიპოლოგიური თვალსაზრისით საქართველოში გვხვდება მარტივი (მანგლისი, ძველი გავაზი, ნოჯიხევი), კუთხისოთახებიანი (მცხეთის ჯვარი, ატენის სიონი, ძველი შუამთა, მარტვილი) და მონუმენტური, წრიულგარშემოსასვლელიანი (იშხანი, ბანა) ტეტრაკონქები.

მარტივი ტიპის ტეტრაკონქები მომცრო ზომის ნაგებობებია. ამ ძეგლებში ოთხი აფსიდის მიჯნათა შვერილზე დაფუძნებული გუმბათის კომპოზიციამ შეზღუდა უფრო დიდი მასშტაბის ნაგებობის აგების შესაძლებლობა. ეს პრობლემა, ისევე როგორც პასტოფორიუმების მონყობა, კუთხისოთახებიანი ქვეტიპის ფორმირების ერთგვარ სტიმულად იქცა. ახალი ქვეტიპის ჩამოყალიბება ოთხაფსიდიან კომპოზიციამ არსებითი ცვლილების შედეგად განხორციელდა. ეს ცვლილება ნათლად ვლინდება VI საუკუნის ნინოწმინდის კათედრალში [ჩუბინაშვილი, 1959:232-245]. კუთხისოთახებიანი ტეტრაკონქის სრულყოფილად ჩამოყალიბებული სახე შეიქმნა ქართული ხუროთმოძღვრების ე.წ. კლასიკური ხანის ისეთ მნიშვნელოვან ძეგლში, როგორცაა მცხეთის ჯვარის ტაძარი (586/7 — 604/5წწ) [ჩუბინაშვილი, 1948]. აქ ნინოწმინდისგან განსხვავებულმა პრიციპულად ახალმა მიდგომამ განსაზღვრა, როგორც გეგმარების, ასევე ექსტერიერის და შიდა სივრცის გადანწყვეტის ხასიათი. მცხეთის ჯვრის გეგმა წარმოადგენს სწორკუთხედში მოქცეულ ოთხ აფსიდას კუთხის ოთახებით, რომლებიც ცენტრალურ, გუმბათქვეშა კვადრატს წრის 3/4 ნიშებით უკავშირდება. მცხეთის ჯვრის ხუროთმოძღვარის ნოვატორულმა მიდგომამ

არა მხოლოდ ფართობის გაზრდა და სათავსების მონყობა უზრუნველყო, არამედ გააძლიერა ნაგებობის კონსტრუქციული მდგრადობა, შიდა სივრცის ფორმათა მრავალფეროვნება და ჰარმონიული ერთიანობა. მცხეთის ჯვარი გამორჩეულია ფასადების გადანწყვეტის თვალსაზრისითაც, რომელთა შემკულობაში ჩართულია შესრულების ოსტატობის დონით გამორჩეული რელიეფური კომპოზიციები. ამ მხრივ აღსანიშნავია აღმოსავლეთი ფასადის სამნაწილიანი კომპოზიცია ტაძრის მაშენებელ ერისმთავართა გამოსახულებებით.

მცხეთის ჯვარის ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში ითვლება ისეთი არქიტექტურული ამოცანების მაღალმხატვრულ დონეზე გადანწყვეტის კლასიკურ ნიმუშად, როგორცაა გარემოსთან კავშირი, შიდა სივრცის და ფასადების გადანწყვეტა, ინტერიერის და ექსტერიერის ურთიერთშეთანხმება. ტეტრაკონქის ტიპის მცხეთის ჯვარში შემუშავებული სახე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელდა. ქართლში აიგო ატენის სიონი, სამეგრელოში მარტვილის ტაძარი და კახეთში ძველი შუამთის მონასტრის დიდი ტაძარი. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ტაძრები მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლების სახელით მოიხსენიება.

თუ კუთხისოთახებიან ტეტრაკონქში ფართობის გაზრდის და სათავსების მონყობის საკითხი გეგმის სწორკუთხედში მოქცევის გზით განხორციელდა, ტეტრაკონქის მონუმენტური ვარიანტის შემუშავების ამოცანა წრიული გეგმარებით გადანყდა. შედეგად, წრიულგარშემოსავლელიან ქვეტიპში აღსდგა მარტივი ტეტრაკონქისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული ნაწილების ცენტრიდან თანაბარზომიერი დაშორების პრინციპი. ამასთან, გართულდა არქიტექტურული სტრუქტურა, გაიმიჯნა რა ორი სივრცული ერთეული — გუმბათქვეშა ოთხაფსიდიანი კომპოზიცია და წრიული გარშემოსავლელი. ამგვარი მონუმენტური ტეტრაკონქები აიგო



VII საუკუნეში ტაოში, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე. ესენია ბანა და იშხანი. სამნუხაროდ, ბანა დღეს ნანგრევების სახით არის შემორჩენილი, ხოლო იშხანი X-XI საუკუნეებში საფუძვლიანად გადააკეთეს.

ადრექრისტიანულ სამყაროში ფორმირებული კიდევ ერთი არქიტექტურული ტიპია ე.წ. თავისუფალი ჯვრის ტიპი, რომელიც ასევე გავრცელდა საქართველოში. მის საფუძველს, ისევე როგორც ტეტრაკონქის შემთხვევაში, ქრისტიანული რელიგიის უმთავრესი სიმბოლო ჯვარი წარმოადგენს და ძირითადი მახასიათებელი გეგმის ჯვრული გარშემოწერილობაა. შიდა სივრცეში ჯვარს საკურთხევლის აფსიდა და სამი სწორკუთხა მკლავი ქმნის, რომელთა გადაკვეთაზე გუმბათია აღმართული. შედეგად, სტრუქტურის მთავარი (გუმბათი, საკურთხევლის აფსიდა) და დაქვემდებარებული (სამი მკლავი) ნაწილების ურთიერთშეთანხმება ლიტურგიკულ და არქიტექტურულ ლოგიკას ექვემდებარება. თავისუფალი ჯვრის ტიპის ტაძარს პასტოფორიუმები არ გააჩნია. ამ სათავსების არსებობის შემთხვევაში იქმნება განსხვავებული ვარიანტი - ე.წ. ნახევრადთავისუფალი ჯვრის ტიპი, რომელიც მოგვიანებით გავრცელდა და ადრეული შუა საუკუნეების ხანაში არ გვხვდება.

საქართველოში თავისუფალი ჯვრის ტიპის ფორმირება ჯერ კიდევ V საუკუნეში იწყება. ამ ხანას განეკუთვნება ზეგანის მონასტრის წმინდა მარინეს ეკლესია, რომელსაც ჯვრული გეგმარება და მკლავების გადაკვეთაზე გუმბათი გააჩნია. ამ სახასიათო ნიშნების არსებობის მიუხედავად ნაგებობის გადანყვეტა და არქიტექტურული ფორმები ჯერ კიდევ არ შეესაბამება ტიპის არქიტექტურულ სახეს. მაგალითად, გარე მასებში ორკალთა გადახურვის მქონე ორი მოცულობითი სიგრძივი ერთეულის გადაკვეთაზე არსებული გუმბათი ექსტერიერში არ არის გამოკვეთილი, რაც ძველს უჩვეულო იერს ანიჭებს. V-VI საუკუნეებით თარიღდება ერალაანთ-საყდარი [ჩუბინაშვილი, 1970:45-50], VI საუკუნეში იგება

ასევე იდღეთის “ნათლისმცემელი” [ცინცაძე, 1950: 3-10], შიომღვიმის მონასტრის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია [ჩუბინაშვილი, 1970:53-64]. თავისი არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებით ამ პერიოდის ძეგლებს შორის გამორჩეული ძეგლია სამწევრისის ტაძარი, რომელიც VII საუკუნის I მესამედით თარიღდება [ჩუბინაშვილი, 1970: 116-124]. ამ მომცრო ზომის ნაგებობის არქიტექტურული გადანყვეტა ფორმათა დახვეწილობის და ჰარმონიული ურთიერთშეთანხმების თვალსაზრისით კლასიკური ნონასწორობის პრინციპებს ეფუძნება.

ადრეული შუა საუკუნეების ხანაში აიგო ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი წრომის ტაძარი. ის ჩახაზული ჯვრის ტიპის უადრესი ნიმუშია საქართველოში და აგებულია ქართლის ერისთავ სტეფანოზ II-ის მიერ 626-634 წლებში [ჩუბინაშვილი, 1969]. ტაძარი გეგმაში წარმოადგენს სწორკუთხა ნაგებობას აღმოსავლეთით სამნაწილიანი საკურთხევლით. გუმბათი ეფუძნება ოთხ თავისუფლად მდგარ საყრდენს. ნაგებობის დასავლეთით ნარტექსია, ხოლო მის მეორე სართულზე პატრონიკეა მოწყობილი. ტაძრის ფასადები კლასიკური ხანისათვის სახასიათო თავშეკავებული მიდგომით და ჰარმონიული ნონასწორობით ხასიათდება. აღმოსავლეთ მხარეს ყურადღებას იქცევს საკურთხევლის სარკმლის გვერდით არსებული ორი ღრმა ნიშა. წრომის ტაძარი ქართულ ხუროთმოძღვრებაში გამორჩეული ძეგლია არა მხოლოდ თავისი არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებით, არამედ იმ სიახლეებით, რაც საქართველოს ხუროთმოძღვრებაში პირველად სწორედ ამ ძეგლში განხორციელდა. ოთხ საყრდენზე დაყრდნობილი გუმბათი, გუმბათქვეშა კვადრატის ნიშზე გადასვლისას ტრომპ-აფრების გამოყენება, აღმოსავლეთ ფასადზე ორი ნიშის მოტივი, რომელსაც ფასადის მხატვრული გააზრების გარდა კონსტრუქციული, კედლის მასივის განტვირთვის ფუნქციაც გააჩნია, შიდა სივრცის დასავ-

ლეთ მონაკვეთში პატრონიკეს მონყობა, წრიული ფორმის სარკმლის გამოყენება – ყველა ეს არქიტექტურული გადაწყვეტა თუ ფორმა საქართველოში პირველად წრომის ტაძარში გვხვდება. ამ ნოვაციების განხორციელება და ის ფაქტი, რომ წრომი გუმბათიანი არქიტექტურის ყველაზე გავრცელებული, ჩახაზული ჯვრის ტიპის პირველი ძეგლია საქართველოში, ცხადია, განუზომლად ზრდის მის მნიშვნელობას ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში.

IV-VII საუკუნეები, ახალი იდეოლოგიური და სოციალ-პოლიტიკური რეალობის ფორმირების ხანა, დიდი ცვლილებების მომტანია ზოგადად ქართული კულტურის, კონკრეტულად კი ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიაში. ეს ტრანსფორმაცია წინაქრისტიანული ხანის მდიდარი არქიტექტურული ტრადიციების და ადგილობრივი სამშენებლო პოტენციალის ბაზაზე განხორციელდა, რამაც დიდწილად განაპირობა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ხასიათი.

ამრიგად, ხუროთმოძღვრება, რომელიც საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან განვითარდა. მისი განვითარების საინტერესო პროცესი ადგილობრივი მრავალფეროვანი ბიოგეოგარემოს და მრავალგვარი კულტურული კავშირების არსებობის პირობებში წარმართა. ამ პროცესში ათასწლეულების განმავლობაში დაგროვდა მდიდარი სამშენებლო გამოცდილება და ტრადიციები. ამაზე მეტყველებს ძველ საქართველოში მრავალრიცხოვანი ცალკეული არქიტექტურული ნაგებობისა თუ ურბანული დასახლებების არსებობის ფაქტი. შემორჩენილი არქიტექტურული ძეგლების ცუდი დაცულობის მიუხედავად უმეტესად ნათლად ვლინდება მათი არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულება. იცვლება ეპოქები, კულტურული კავშირების ხასიათი, სამშენებლო საშუალებები თუ ხერხები, თუმცა სხვადასხვა პერი-

ოდში მსგავსია მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული საკითხების გააზრების მიდგომები, რაც თვითმყოფადობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად გვევლინება. ამგვარი მემკვიდრეობითობა წინაქრისტიანული და ადრექრისტიანული პერიოდების იდეოლოგიური და სოციალ-პოლიტიკური განსხვავების მიუხედავად ძველი საქართველოს ხუროთმოძღვრებაში განვითარების ერთიანი უწყვეტი პროცესის არსებობას განაპირობებს.

**სტატიას თან ერთვის საქართველოში არქეოლოგიურად შესწავლილი არქიტექტურული ძეგლების რეკონსტრუქციების ვერსიები.**

#### **ლიტერატურა:**

- აბრამიშვილი....2000** - აბრამიშვილი გ. ზაქარაია პ. ციციშვილი ი., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 2000.
- აფაქიძე, 1958** - არმაზციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ.IV. ნაკვ. I თბ., 1958.
- აფაქიძე, 1963** - აფაქიძე ან., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963.
- აფაქიძე, 1989** - აფაქიძე ა. ნიკოლაიშვილი ვ, სიხარულიძე ა. ბიბილური თ. გიუნაშვილი გ. ირემაშვილი შ. მანჯგალაძე გ. სადრაძე ვ. ძნელაძე გ. ხეცურიანი ლ., დიდი მცხეთა 1980. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, მცხეთა IX, თბ., 1989, გვ.6-35.
- ახვლედიანი, 1999** - ახვლედიანი დ., კრამიტი ვანის ნაქალაქარიდან, თბ., 1999.
- ახვლედიანი, ყიფიანი, 2004** - Ахвледиаи Д., Кипиани Г., Капитель с двойной протомой из городища Вани, - жур. Кавказоведение, № 6, М., 2004.
- ბახტაძე, 2012** - ბახტაძე ნ., დოლოჭოპის ბაზილიკაზე 2012 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის ანგარიში, <http://www.academia.edu/>
- ბოხორაძე, 1973** - ბოხორაძე ალ., ნასტაკისი, სარკინე, ძალისი, ჟურ. ძეგლის მეგობარი, №33, გვ 36-45.
- ბოხორაძე, 1977** - ბოხორაძე ალ., ნაქალაქარი ძალისა, , ჟურ.ძეგლის მეგობარი, №46, გვ.17-25.
- ბოხორაძე, 1981** - ბოხორაძე ალ., არქეოლოგიური გათხრები ალაიანსა და ძალისში, ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, I, თბ., 1981.
- ბოხორაძე, 1987** - ბოხორაძე ალ., ძალისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სასახლე, აფსიდიანი ნაგებობა და საცურაო აუზი, ჟურ.ძეგლის მეგობარი, №4, თბ., 1987, გვ.25-30.

**გამყრელიძე, 1982** - გამყრელიძე გ., ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982.

**გამყრელიძე, 1993** - გამყრელიძე გ., ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი, თბ.1993.

**გამყრელიძე, 1997** - გამყრელიძე გ., კოლხი მედეას სახე სოხუმის სტელადან, ჟურ. ძეგლის მეგობარი, 99(4), თბ., 1997, გვ.3-19.

**გამყრელიძე, 2002** - გამყრელიძე გ., კოლხეთი (კულტურულ-ისტორიული ნარკვევები), თბ., 2002.

**გამყრელიძე, 2011** - გამყრელიძე გ., რომანიზაციის გლობალისტური პროცესი და იბერია-კოლხეთი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის კრებ. მოამბე, ტ. II, (47-B), თბ. გვ.76- 91.

**გამყრელიძე, 2010** - გამყრელიძე გ., საქართველოს არქეოლოგიის განვითარების ისტორიიდან, კრებ. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბ.2010, გვ.15-37.

**გაგოშიძე, 1979** - Гагошидзе Ю. , Самадло, Тб. , 1979.

**გაგოშიძე, 1981** - Гагошидзе Ю. Из истории грузино-иранских взаимоотношений (Храм II-I вв. до н.э. Дедоплис Миндори), сб. Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье, Москва, 1981, 102-115.

**გვერდნითელი, 2001** - გვერდნითელი რ., "წმ. მარიამის" ეკლესია თბილისში ანჩისხატი, თბ.2001.

**გონიო-ავსაროსი, კრებ. I-VIII** - გონიო-ავსაროსი, კრებ. I-VIII (რედ. ამ. კახიძე, შ. მამულაძე), თბ. 1994-2009.

**დვალი, 1974** - დვალი მ., მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი, თბ.1974.

**დიდი პიტუნტი, კრებ., I-III** - დიდი პიტუნტი, კრებ., I-III, თბ., 1975-1978.

**ვანი, კრებ. I-X** - ვანი, კრებ. I-X (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1972-2013.

**ზაქარაია, 1965** - ზაქარაია პ. ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ.1965.

**ზაქარაია, კაპანაძე, 1991** - ზაქარაია პ. კაპანაძე თ., ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბ., 1991.

**თრაფში, 1969** - Трапш М., Труды т2. , Сухуми, 1969.

**კავლელაშვილი, 1996** - კავლელაშვილი ელ., არმაზციხე-ბაგინეთის გვიანრომაული ხანის კედლის მხატვრობის ნაშთები, კრებ.მცხეთა XI, თბ.1996, გვ. 133-149.

**ლანჩავა, 2007** - ლანჩავა ო. ქუთაისის არქეოლოგია, ქუთაისი, 2007.

**ლეჟავა, 1979** - ლეჟავა გ. ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, თბ.,1979

**ლომთათიძე, 1953** - ლომთათიძე გ. ციხე-ქალაქი უჯარმა და მისი თხრის შედეგი, საველე-არქეოლოგიური სესია, თბ.,1953.

**ლომთათიძე, 1977** - ლომთათიძე გ. საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა, I-XIII სს, თბ.1977.

**ლომთათიძე, 1989** - ლომთათიძე გ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა და ივრის ხეობებში, თბ.,1989.

**ლომთათიძე, ციციშვილი, 1951** - ლომთათიძე გ., ციციშვილი ირ., ახლად აღმოჩენილი აკლდემა მცხეთაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XII, №10, თბ.,1951, გვ.641-648.

**ლორთქიფანიძე გ., 1991** - ლორთქიფანიძე გ., ბიჭვინ-

თის ნაქალაქარი, თბ., 1991.

**ლორთქიფანიძე ოთ., 2002** - ლორთქიფანიძე ოთ., ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002.

**ლორთქიფანიძე ოთ., 2010** - ლორთქიფანიძე ოთ., ძველი საქართველო (კოლხეთი და იბერია) სტრატონის გეოგრაფიაში, თბ., 2010.

**ლორთქიფანიძე, ფუტურიძე... 1972** - ლორთქიფანიძე ოთ., ფუტურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, კრებ. ვანი, I, თბ.1972, გვ. 198-212.

**მათიაშვილი, 2013** - მათიაშვილი ნ., არქეოლოგიური გათხრების ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, კრებ. ვანი X, თბ.2013.

**მათიაშვილი, 2016** - მათიაშვილი ნ., მცხეთის აკლდემა, თბ., 2016.

**მელითაური, 1969** - Мелитаури К., Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, I, Тб. , 1969.

**მინდორაშვილი, 2014**- მინდორაშვილი დ. საქართველოს არქეოლოგია I, ადრეული შუასაუკუნეები, ბათუმი 2014

**მცხეთა, კრებ., I-XI** - მცხეთა, კრებ., I-XI (რედ.ან. აფაქიძე), არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბ., 1955- 1996.

**მქ 1963** - მოქცევაი ქართლისაი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი I (რედ. ილ.აბულაძე), თბ.1963.

**ნიკოლეიშვილი, 1993** - ნიკოლაიშვილი ვ., კარნისხევის მეთუნე ხელოსანთა დასახლება, თბ.,1993.

**ნიკოლეიშვილი, 1996** - ნიკოლაიშვილი ვ., არქეოლოგიური გათხრები არმაზციხეზე, ჟურ. ძეგლის მეგობარი, №4, თბ.1996, გვ. 23-25.

**ნიკოლაიშვილი, 2011** - ნიკოლაიშვილი ვ., არმაზციხე-ქართლის სამეფო რეზიდენცია, თბ., 2011.

**საქართველო და ქართველების აღმნიშვნელი, 1993** - საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, (რედ.გ.პაიჭაძე), თბ. 1993

**სინ, I** - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970.

**სინ, II** - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973.

**ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, 2013** - ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2013.

**ფირცხალავა, ყიფიანი, 1986** - ფირცხალავა მ., ყიფიანი გ., ცენტრალურ ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-1981 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები (თორმეტსაფეხურიანი საკურთხეველის არე), კრებ. ვანი VIII, თბ., 1986, გვ.52-78.

**ქც I, 1955** - ქართლის ცხოვრება (გამოსცა ს.ყაუხჩიშვილიმა), I ტ., თბ.,1955

**ყაუხჩიშვილი, 1957** - ყაუხჩიშვილი თ., სტრატონის გეოგრაფია; ცნობები საქართველოს შესახებ (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ), თბ., 1957 .

**ყაუხჩიშვილი, 2004** - ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2004.

**ყიფიანი, 2000** - ყიფიანი გ., კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული

ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები, თბ.2000.

**ყიფიანი, 2002** – ყიფიანი გ., უფლისციხე, თბ., 2002.

**ყიფიანი, 2009** – ყიფიანი გ., ძველი თბილისის ზოროას-ტრული ტაძარი, თბ., 2009.

**შამბა, 1980** – Шамба Г., Эшерское городище, Тб. 1980.

**ჩუბინაშვილი, 1936** – ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1936.

**ჩუბინაშვილი, 1940** – Чубинашвили Г., Болниси, Известия ГАИМК-а, 9, Тб., 1940.

**ჩუბინაშვილი, 1948** – Чубинашвили Г., Памятники типа Джвари, Тб., 1948.

**ჩუბინაშვილი, 1959** – Чубинашвили Г., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

**ჩუბინაშვილი, 1969** – Чубинашвили Г., Цроми. М.1969

**ჩუბინაშვილი, 1970** – Чубинашвили Г., Церковь близ сел. Болнис-Капанакчи, Вопросы истории искусства, Тб., 1970, с. 104-107.

**ჩუბინაშვილი, 1970** – Чубинашвили Г., Шиомгвимская лавра, Вопросы истории искусства, Тб., 1970, с. 53-64.

**ჩუბინაშვილი, 1970** – Чубинашвили Г., Самцеврисская церковь в Грузии, Вопросы истории искусства, Тб., 1970, с. 116-124.

**ცინცაძე, 1950** – ცინცაძე ვ., იდღეთის ნათლისმცემლის გუმბათოვანი ეკლესია, ქართული ხელოვნება, ტ.3. თბ., 1950, გვ.3-10.

**ციციშვილი, 1977** – ციციშვილი ირ., ბიჭვინტის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი, კრებ. დიდი ბიტიუნტი, II, თბ., 1977, გვ. 83-101.

**ციციშვილი, 1982** – ციციშვილი ირ., უჯარმა, თბ.1982.

**ცქიტიშვილი, 2003** – ცქიტიშვილი გ., ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი, თბილისი, 2003.

**ძნელაძე, 1991** – Дзнеладзе М., К изучению черепиц античной Иберии – Картли, Тб., 1991.

**ძნელაძე, ჩიხლაძე, 2012** – ძნელაძე მ., ჩიხლაძე ვ., არქეოლოგიური აღმოჩენები თბილისის წმ. ორმოც სებასტიანელ მონაშენის მონასტრის ტერიტორიაზე, 2011, ჟურ. იბერია-კოლხეთი, №8, თბ., 2012, გვ. 83-98.

**ჭილაშვილი, 1964** – ჭილაშვილი ლ., ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.

**ჭილაშვილი, 1970** – ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ., 1970.

**ჭყონია, 1978** – ჭყონია ა., ბიჭვინტის საერო მოზაიკის ფრაგმენტები, კრებ. დიდი ბიტიუნტი, III, თბ.1978, გვ.194-217.

**ხახუტაიშვილი, 1965** – ხახუტაიშვილი დ., კლდეში ნაკვეთი ქალაქი, თბ., 1965.

**ხიმშიაშვილი, 1985** – ხიმშიაშვილი კ. უფლისციხის გეგმარება და მისი ძირითადი არქიტექტურული თემა, კრ. ძველი ქართული არქიტექტურა, თბ., 1986, გვ.44-65

**ხოშტარია, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, 1972** – ხოშტარია ნ. ლორთქიფანიძე ოთ. ფუთურიძე რ. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1967 წელს, კრებ. ვანი, I, თბ., 1972, გვ. 175-183.

**ჯაბუა, 2009** – ჯაბუა ნ., სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი საქართველოში, თბ.2009.

**ჯაბუა, 2012** – ჯაბუა ნ., ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპები შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 2012.

**ჯაფარიძე ვ., 1989** – ჯაფარიძე ვ., ვარდციხის ნაქალაქარი, თბ., 1989.

**ჯაფარიძე ვ., 2006** – ჯაფარიძე ვ., ეგრისის ახ.ნ. I-VIII სს. მატერიალური კულტურის ძეგლები თბ., 2006.

**ჯაფარიძე ოთ., 2003** – ჯაფარიძე ოთ., საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბ., 2003.

#### ტაბულების აღწერილობა:

**ტაბ. I. 1.** მცხეთის ნაქალაქარი; **2.** ვანის ნაქალაქარი.

**ტაბ. II. 1.** სოხუმის ნაქალაქარი, გეგმა და რეკონსტრუქციის ვერსია; **2.** ბიჭვინტის ნაქალაქარი, გეგმა და რეკონსტრუქციის ვერსია.

**ტაბ. III. 1.** ძალისის ნაქალაქარი, გეგმა და რეკონსტრუქციის ვერსია; **2.** ნაგებობა ძალისის ნაქალაქარიდან, გეგმა და რეკონსტრუქციის ვერსია.

**ტაბ. IV. 1.** მავზოლეუმის ტიპის აკლამა მცხეთაში, გეგმა და რეკონსტრუქციის ვერსია; **2.** ე.წ. სვეტებიანი ნაგებობა არმაზციხეში, გეგმა და რეკონსტრუქცია (გ. ლეჟავას მიხედვით).

**ტაბ. V. 1.** სასახლის კომპლექსი არმაზისხევეში, გეგმა და რეკონსტრუქციის ვერსია; **2.** ციხიაგორას კომპლექსი, გეგმა და რეკონსტრუქციის ვერსია.

**ტაბ. VI.** ვანის ნაქალაქარი, კომპლექსი ქვედა ტერასაზე, გეგმა და რეკონსტრუქციის ვერსია.

**ტაბ. VII.** ვანის ნაქალაქარი, ე.წ. მოზაიკურიატაკიანი ნაგებობა ცენტრალურ ტერასაზე, გეგმა და რეკონსტრუქციის ვერსია.

**ტაბ. VIII.** ვანის ნაქალაქარის კარიბჭე, გეგმა და რეკონსტრუქციის ვერსია.

**ტაბ. IX. 1.** ვანის ნაქალაქარის საფორტიფიკაციო ნაგებობები, გეგმა და რეკონსტრუქციის ვერსია; **2.** ეშერის ნაქალაქარის საფორტიფიკაციო ნაგებობები, გეგმა და რეკონსტრუქციის ვერსია.

**ტაბ. X. 1.** დედოფლის გორის კომპლექსი, გეგმა და რეკონსტრუქცია (იულ. გაგოშიძის მიხედვით); **2.** სამადლოს ნაგებობა, გეგმა და რეკონსტრუქცია (იულ. გაგოშიძის მიხედვით).

**ტაბ. XI.** სამშენებლო მასალა და არქიტექტურული დეტალები.

**ტაბ. XII.** წყლის სადინარი სიმები (ლომები) ვანის ნაქალაქარიდან.

**ტაბ. XIII. 1.** ორმაგპროტომიანი კაპიტელი ციხიაგორიდან; **2.** ორმაგპროტომიანი კაპიტელი ვანის ნაქალაქარიდან.


**ტაბ. XIV.** კაპიტელები.

**ტაბ. XV.** კაპიტელები და ბაზა.



**ტაბ. XVI. 1.** გონიო, გეგმა და რეკონსტრუქციის ვერსია; **2.** უჯარმა, გეგმა და რეკონსტრუქციის ვერსია.

**ტაბ. XVII.** ადრექრისტიანული პერიოდის საეკლესიო ნაგებობების გეგმები.

I






II



ნაკლახარის ნაშთები სოხუმში


1



ბიჭვინთის ნაკლახარი


2

III



ძალისას ნაქალაქარი


1



ნაგებობა ძალისას ნაქალაქარიდან


2

# IV



მავზოლეუმის ტიპის აკლდამა მცხეთაში

1




რეკონსტრუქცია პ. ლეჟავას მიხედვით

ე.წ. სვეტებიანი დარბაზი არმაზციხეში

2





V



სასახლის კომპლექსი არმაზისხევში



1



ცინიაგორას კომპლექსი



2

# VI




კომპლექსი ვანის ნაქალაქარიდან  
(ქვედა ტერასა)

# VII




ე.წ. მოზაიკურიატაკიანი ნაგებობა ვანის ნაქალაქარიდან

# VIII




ვანის კარიბჭე

# IX



ვანის ნაქალაქარის საფორტიფიკაციო ნაგებობები


1



ეშერის ნაქალაქარის საფორტიფიკაციო ნაგებობები


2

# X




დედოფლის გორის კომპლექსი

0 5  
მეტრებში გაზომვის მასშტაბით




1

სამადლოს ნაგებობა




0 4  
მეტრებში გაზომვის მასშტაბით




2




# XI




ღარისებრი კრამიტი




ბრტყელი კრამიტი



აკროტერიუმი



მშრალი წყობა პირონებით







ალიზის აგური



პირონები



# XII





წყლის სადინარი სიბები (ლომები) ვანის ნაქალაქარიდან



# XIII




ორპროტომიანი კაპიტელი ციხიაგორიდან




ორპროტომიანი კაპიტელი ვანის ნაქალაქარიდან


# XIV



არმაზციხიდან




დედოფლის მინდორიდან



სარკინედან

კაკიტელევი



# XV



კაპიტელები ვანიდან





ბაზა ვანიდან




კაპიტელი საირხედან


# XVI




# XVII




ბოლნისის სიონი




ქვემო ბოლნისი




მანგლისი



მცხეთის ჯვარი



სამწევრისი



წრომი

## პინცეტი საქართველოს არქეოლოგიური არტეფაქტებიდან

მატერიალური კულტურის ერთერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენს ტუალეტის ჰიგიენური ნივთები, რომლებიც არც თუ იშვიათად გვხვდება საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. ამ კატეგორიას ეკუთვნის ე.წ. პინცეტი, რომელიც ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს. არქეოლოგიურ კომპლექსებში შემავალი ეს არტეფაქტი სხვადასხვა ტერმინით არის ცნობილი: ჩქიფი (იგივეა რაც ჩანგალი [ქართული..., 1986]), მაშა (ცეცხლისა ასაღები ... „ქართულად ტკეცი ენოდების“ [ორბელიანი, 1949]) და პინცეტი (ფრანგ. Pincette - პატარა მაშა [უცხო..., 1973]). ვფიქრობთ, განმარტებებიდან გამომდინარე, ამ ნივთის უფრო გავრცელებული, განზოგადოებული და შინაარსობრივად უფრო მისადაგებული ტერმინია „პინცეტი“. ამიტომ არტეფაქტს ამ სახელწოდებით მოვიხსენიებთ.

პინცეტი, ისევე როგორც არქეოლოგიურ კომპლექსებში შემავალი ყველა ნივთი, არაერთხელ ყოფილა მკვლევართა კვლევის საგანი (ბ. კუფტინი, ბ. ტეხოვი, ლ. ნითლანაძე, მ. ბარამიძე და სხვ.). შესაბამისად, მათი ფუნქციონალური დანიშნულებისა და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის შესახებ, გარკვეული მოსაზრებები არსებობს. მაგრამ ცალკე, პინცეტის, როგორც არქეოლოგიური ძეგლის ერთ-ერთი საინტერესო არტეფაქტის სპეციალური შესწავლა ჯერ არ მომხდარა. შევეცდებით, საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე ამ ნივთის ანალიტიკური ინფორმაცია და შედარებითი ანალიზი წარმოვადგინოთ.

პინცეტების ქრონოლოგიური და გეოგრაფიული გავრცელების დიაპაზონი მეტად ფართოა. ის გვხვდება ძვ.წ. III ათასწლეულიდან დღემდე მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში. პირველი ცნობები პინცეტის შესახებ

ურის III დინასტიის დროიდან (ძვ.წ. III ათასწლეული) ჩანს, სადაც სამეფო სამარხების გათხრებისას ტუალეტის სხვა ნივთებთან (სტილეტი, ნემსი, ილარი) ერთად აღმოჩნდა რგოლზე ჩამოკიდებული ოქროსა და ვერცხლის პინცეტები. ეს ნივთები იდო ტუალეტის საგნებისთვის განკუთვნილ ოქროთი და ტყავით ნაკეთებ მცირე კონუსურ კოლოფში და ქალისა და მამაკაცის სამარხებში დადასტურდა. დამზადების ტექნოლოგიის მიხედვით, ურის პინცეტები ორი ტიპისა იყო: ერთი მიღებული იყო – ლითონის ფირფიტის გახლეჩვით, მეორე კი – ორი ფირფიტის შედუღებით [Woolley, 1934:310, 534, 544-545, fig. 137, 151, 159, 218]. ძვ.წ. II ათასწლეულში (დაახლ. 1500-1400 წწ.) უკვე ტალიშში და ძვ.წ. XIII-XII სს-ის თეფე-სიალკის VI ფენის სამაროვანზე გვხვდება ასეთივე პინცეტიანი სამარხები [Schaeffer, 1948:422, 471, 475, 500, fig. 259, 13, 226, 3]. ამრიგად, უჩვეულო არ უნდა იყოს იმდროინდელი მსოფლიოს კულტურული ურთიერთობის ფონზე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთა შორის ანალოგიური ყოფითი არტეფაქტის აღმოჩენა.

საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე პინცეტების გავრცელების გეოგრაფიული არეალი ასეთია: შიდა ქართლი, კახეთი და დასავლეთ საქართველოს კომპლექსები. აღმოჩენის მხოლოდ ორიოდე შემთხვევა დაფიქსირდა ქვემო ქართლში.

პინცეტები მომდინარეობს ძირითადად სამარხებიდან; გვხვდება ნამოსახლარებზეც (ხოვლე, ყულევი, ნაოხვამუ, სიმაგრე და დედოფლის გორის სასახლე), ორი შემთხვევა – განძში (უდესა და ყაზბეგის განძი).

პინცეტები სამარხთა ყველა იმ სახეობაში (ორმოსამარხები, კრომლები, ქვანრიანი სამარხები, ქვაყუთები) დადასტურდა, რომლებიც გავრცელებულია საქართველოს

ტერიტორიაზე ძვ.წ. XIV ს–დან. გამონაკლისი მხოლოდ ქვევრსამარხებია, სადაც პინცეტის აღმოჩენის მხოლოდ ერთი ფაქტი (წითელი შუქურა, სამ. №92) ჩანს. სამაროვნებზე პინცეტი ერთეული რაოდენობით გვხვდება. თუმცა ეს არტეფაქტი, თითქმის ყველა სამაროვანზე აღმოჩნდა. თუ სამარხთა რაოდენობა სამაროვანზე დიდია, პინცეტის რაოდენობაც იზრდება. ასე მაგალითად, თლიაში 200–მდე სამარხიდან 12 ცალი პინცეტი ამოვიდა, სამთავროში 112 სამარხიდან – 9, ნარეკვავში 42 სამარხიდან – 3, წითელი შუქურის 152 სამარხიდან – 6 ცალი, კოლხეთის სამაროვნებიდან (ნიგვზიანი, ურეკი, ერგეტა I-IV), სადაც გაითხარა სულ 34 სამარხი – 28 პინცეტი და ა.შ. სამარხები, სადაც პინცეტი აღმოჩნდა, გამოირჩევა ნივთების მრავალრიცხოვნებით და მრავალფეროვნებით. ამასთანავე, თითქმის ყველა სამარხში გვხვდება იარაღი. ასევე, ამ სამარხებში მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას (ბ. კუფტინი, ბ. ტეხოვი და სხვ.), რომ პინცეტიანი სამარხები ეკუთვნოდანთ მამაკაცებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პინცეტები მხოლოდ მამაკაცის სამარხებში გვხვდება (რაც, ჩვენი მონაცემებითაც დასტურდება) და პინცეტის ერთერთი ფუნქცია – სამედიცინო დანიშნულება (სამედიცინო ინსტრუმენტი) იყო, ძველად, მედიცინაში „...დასტაქრის და დალაქის პროფესიას ტრადიციულად მამაკაცი ფლობდა...“ [მინდაძე, 2013:259]. ბუნებრივია, დასტაქრის უნარით ერთეულები გამოირჩეოდნენ. შესაძლოა ამიტომაც, სამაროვნებზე პინცეტიანი სამარხები მცირე რაოდენობითაა.

პინცეტების მორფოლოგია საკმაოდ მარტივია. გ. ჩაილდის მიხედვით, გავრცელების გეოგრაფიულ არეალთან დაკავშირებით, 2 ძირითადი ფორმა არსებობს: შუმერულ–ინდური – ორი შეერთებული ფირფიტა და ეგვიპტურ–ეგოსური – ერთი მოღუნული ფირფიტა. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ამ არტეფაქტის ორივე სახეობა

გვხვდება. მაგრამ არსებობს აგრეთვე ლოკალური ვარიანტებიც, რომელებიც ერთეული ცალობით მხოლოდ საქართველოში არის დადასტურებული. პინცეტების მასალად ბრინჯაო ან რკინაა გამოყენებული. ცნობილია, რომ არტეფაქტის ტიპოლოგიის საფუძველს მორფოლოგიური ნიშნები განსაზღვრავს. რა თქმა უნდა პინცეტის ამ ორ სახეობას ახასიათებს ისეთი ტექნიკური ნიუანსები (მაგ. მეტ-ნაკლებად მიახლოებული მოღუნული სამუშაო ბოლოები, ან ფირფიტის მეტ-ნაკლები მოღუნვის ხარისხი და ა.შ.), მაგრამ ეს დეტალები არ იძლევა არც ფორმალურ–ტიპოლოგიურ და არც ქრონოლოგიურ კლასიფიკაციის საშუალებას. ამიტომ, აქამდე მიღებულ ორ ძირითად ტიპოლოგიას ვეყრდნობით და მხოლოდ ლოკალურ ვარიანტებს გამოვყოფთ.

სანამ ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაზე გადავიდოდეთ, ორიოდ სიტყვით შევეხებით სამაროვნებიდან მომდინარე პინცეტების ზომებს. არსებობს მოსაზრება, რომ ადრეული ხანის პინცეტები მცირე ზომისაა და ტლანქი ნაკეთობაა (ოთ. ჯაფარიძე, ბ. ტეხოვი, ჯ. აფაქიძე და სხვ.), თუმცა საერთო მონაცემებით, სხვა სურათი იკვეთება. მცირე და დიდი ზომის პინცეტები გვხვდება როგორც ადრეულ, ასევე გვიან ხანაში. ასე მაგალითად, ბორნილელს ძვ.წ. XV-XIV სს-ის №85 სამარხის პინცეტი – 6 სმ–ია, ნატახტარი IV-ის ძვ.წ. XI ს-ის №1 სამარხის პინცეტის სიგრძე – 9,1 სმ–ია; ნარეკვავის ძვ.წ. VIII-VII სს-ის №83 სამარხის პინცეტის – 5 სმ; წითელი შუქურას ძვ.წ. VIII-VI სს-ის სამარხების პინცეტების სიგრძე 6,7 – 13 სმ–ია, ურეკის ძვ.წ. VII-VI სს-ის №3 სამარხის პინცეტი – 12,5 სმ–ია, ეშერის ძვ.წ. VIII-VII სს. კრომლესის პინცეტი – 9,2 სმ, მელაანის ძვ.წ. VIII-VII ს. პინცეტი – 12 სმ–ია, და ა.შ. საერთოდ, სამაროვნებიდან მომდინარე პინცეტების მაქსიმალური ზომა 19 სმ–ია (თლია, ძვ.წ. VIII-VI სს.), ხოლო მინიმალური – 5,2 სმ (ნარეკვავის ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამ. №83 პინცეტი). ვფიქრობთ, პინცეტების ზომა კომპლექსების ასაკით არ განისაზღვრება.

პინცეტების განმსაზღვრელ ტიპოლოგიურ ნიშნებს ორნიშნა რიცხვის კოდით აღვნიშნავთ, სადაც ძირითადი ტიპი რომაული ციფრითაა გამოსახული, ხოლო ქვეტიპებს წერტილებით გამოყოფილი არაბული ციფრით. განვიხილოთ პინცეტების ეს ტიპები:

**I ტიპი (ტაბ. I,1-6)** - ბრინჯაოს ან რკინის თხელი ფირფიტა, ორად მოკეცილი, ბოლოებისკენ მეტ-ნაკლებად გაფართოებული, სამუშაო ძირები შიგნით მოღუნული, სადა ზედაპირიანი. სიგრძე: ბრინჯაოს პინცეტების – 15-6 სმ., რკინის – 6,5 სმ., ნამოსახლარების პინცეტების – 10-5,1 სმ. ამ ტიპის პინცეტები ძირითადია საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებისთვის და საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში როგორც სამაროვნებზე, ასევე ნამოსახლარებზე გვხვდება. ყველაზე ადრეული კომპლექსი საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ბრინჯაოს პინცეტი დაფიქსირდა ბორნილელეს (ქვემო ქართლი) №85 სამარხია, რომელიც ძვ.წ. XV-XIV სს. თარიღდება [Гамбашидзе, ... 1991:31, სურ. 68,3]. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთადერთი შემთხვევაა საქართველოს ტერიტორიაზე, პინცეტი ამ ხანის სხვა ძეგლებზე არ ჩანს. თუმცა, გვანბრინჯაოსადრეულ საფეხურზე – ძვ.წ. XIII-XII სს-ში პინცეტების აღმოჩენის ერთეული შემთხვევები გვაქვს: ორხევის (თბილისის აღმ. განაპირა ნაწილი) ორმოსამარხში (ფოთლისებურ სატევართან, კახურ შედგენილტარიან სატევართან, ისრისპირებთან და სხვ.) [Пицхелаური, 1969:112-115] და სამთავროს სამაროვნის № 240 (1946) სამარხში [აბრამიშვილი, 1957:ტაბ. I,210; კალანდაძე, 1981:27]. ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისს ეკუთვნის ქისტაურის №13 სამარხის პინცეტი [Пицхелаური, 1969:98, ტაბ. IV]. ძვ.წ. XI-X და XI-IX სს-ში ამგვარი პინცეტები დადასტურდა: სამთავროს № 51 [აბრამიშვილი, 1957:ტაბ. I,157], ნარეკვავის №№ 32, 35 [აფაქიძე, ... 1999:81, 91 სურ. 310, 351] და თრელის ძვ.წ. X ს-ის სამ. № 136 [Абрамишвили, 1979:52] სამარხებში; ძვ.წ. IX ს. დათარიღდა სამთავროს ჩრდ. უბნის სამარხ-

ები №№ 168, 327 [აბრამიშვილი, 1961:363, ტაბ. VIII,1; IX]; ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით თარიღდება ერგეტა IV-ის სამარხი № 2, სადაც ერთი ბრინჯაოსი და ორი რკინის პინცეტი აღმოჩნდა [პაპუაშვილი, 2010:42, ტაბ. IV]; ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში პინცეტები გვხვდება: „გრძელი გუბების“ (ყვარლის მუნიც.) №3 [მაისურაძე, 1993:65,77, ტაბ. X,40] და წეროვანი IV-ის №29 სამარხში [აფაქიძე, ... 1989:62]; ძვ.წ. IX-VIII სს-ში: სამთავროს №№184 (1940), 88 (1938), 17(1938), [კალანდაძე, 1982:61,110,108, 103], სათოვლე-ნაბალრების № 19 [აფაქიძე, ... 1982:206-208] სამარხებში და სხვ.

პინცეტების რაოდენობა მატულობს ძვ.წ. VIII-VII და VII-VI სს-ის სამაროვნებზე. ძვ.წ. VIII-VII სს: ეშერის კრომლებში [Шамба, 1974:24-26], ურეკის №3 სამარხ-ორმოში [პაპუაშვილი, 2010:35], რკინის კალოს №12 სამარხში [კობაიძე, 1978:26, ტაბ. XXIII], ძვ.წ. VII ს-ის ოჟორას № 14 სამარხში [ჯაფარიძე, 1957:216], ძვ.წ. VII-VI სს-ში: სამთავროს №№ 310 (1948) და 186 (1940)[აბრამიშვილი, 1957:125-132, სულავა, 2011:176, სურ. 34], ნარეკვავის № 34 [აფაქიძე, ... 1995:36, სურ. 231], ნაცარგორას (ხაშურის მუნიც.) №67 [Надирадзе, 1991:26, სურ. 51,32] სამარხებში; ნიგვზიანის სამაროვნზე 2 რკინის პინცეტი დადასტურდა: ერთი – საკულტო მოედანზე, მეორე – № 12 სამარხში (ბრინჯაოს 2 გრავირებულ პინცეტთან ერთად. იხ. I.1) [მიქელაძე, 1985:81, ტაბ. XXXIII,1167; პაპუაშვილი, 2010:42]. ბრინჯაოს პინცეტები აღმოჩნდა წითელი შუქურას სამაროვნის №№64 და 88 სამარხებში, ხოლო ერთი რკინის პინცეტი – № 9 სამარხში. ეს კომპლექსები გამთხრელის მიერ უფროსი ჯგუფის სამარხებშია მოქცეული და ძვ.წ. VIII-VI სს-ით თარიღდებოდა [Трапш, 1969:90, ტაბ. XXV,15]. შემდგომი კვლევის შედეგად №№64 და 88 – ძვ.წ. VIII-VII სს., ხოლო №9 – ძვ.წ. VII-V სს. მიეკუთვნა [Квирквелия, 1981:5]. ასევე, ძვ.წ. VIII-VII სს., თარიღდება მუხურჩას გვიანდელ ჯგუფში მოქცეული პინცეტებიანი სამარხები [Гогодзе, 1984: ტაბ. I,32], სოხუმის



მიდამოებში აღმოჩენილი პინცეტი [Воронов, 1980:32, ტაბ. 5,24] და სხვ. რკინის პინცეტების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა კოლხეთის დაბლობის დასავლეთ ნაწილში მდებარე ერგეტის კოლექტიური სამარხი ორმოები, სადაც სამარხეული ინვენტარის რაოდენობა თითოეულ კომპლექსში ზოგჯერ ასეულობითაც კი განისაზღვრება. რ. პაპუაშვილის მიერ ამ კომპლექსების კორექტირებით მიღებული საბოლოო თარიღების მიხედვით ერგეტა IV №2 სამარხი ორმო, სადაც 1 ბრინჯაოსა და 2 რკინის პინცეტი აღმოჩნდა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით დათარიღდა; ერგეტა III სამარხი ორმო №1, სადაც 7 რკინის პინცეტი დადასტურდა (11 ბრინჯაოს გრავირებულ პინცეტთან ერთად) - ძვ.წ. VII ს. დასასრულსა და VI ს. პირველ ნახევრს მიეკუთვნა; ერგეტა I სამარხი №6, სადაც 4 რკინის პინცეტი აღმოჩნდა ძვ.წ. VII ს-აა და ა.შ. [პაპუაშვილი, 2010:32-35,42, ტაბ. I-IV; პაპუაშვილი, 1998:48; Микеладзе, ... 1984:24, ტაბ. XXVII; Микеладзе, ... 1985:39, ტაბ.III; Микеладзе, ... 1991:63, სურ.148,21-23]. ძვ.წ. VII-VI სს. თარიღდება გორაძირის (ყვირილის ხეობა) სამაროვნის პინცეტი (ამავე სამაროვანზე აღმოჩნდა ერთი ცალი, ირიბი შტრიხებით ორნამენტირებული) [გოგაძე 1981:16, ტაბ. IX,150]. თლიას სამაროვანზე ძვ.წ. VII-VI სს-ის № 333 სამარხში ერთადერთი რკინის პინცეტი დადასტურდა (დანარჩენ 11 სამარხში მხოლოდ ბრინჯაოს გრავირებული პინცეტი გვხვდება. იხ. I .1) [Техов, 1985:56, სურ.211]; ძვ.წ. VI ს. მიეკუთვნა სამთავროს სამ. №17 (1938) პინცეტი [აბრამიშვილი, 1957:125-132, სულავა, 2011:176, სურ.34]. ძვ.წ. VI-IV სს. რკინის ორი პინცეტი ჩანს „ქასრაანთ მიწების“ (კავთისხევი, კასპის მუნიცი.) № 18 სამარხში [ბერაძე, 1980:20, ტაბ. XVIII,3-4]. ძვ.წ. IV-III სს-ში ერთი ამგვარი პინცეტი გომარეთის სამაროვანზე [დავლიანიძე, 1983:167, ტაბ. XIX,15] და პინცეტის ფრაგმენტი ტახტიძირის № 41 სამარხში (ცნობა მოგვანოდა ნ. გოგიბერიძემ) დადასტურდა. საერთოდ, ძვ.წ. V ს-დან პინცეტების რიცხვი შესამჩნევად კლებულობს და

სადაზედაპირიანი პინცეტები სამაროვნებზე თითქმის არ ჩანს.

ცალკე გვინდა გამოვყოთ პინცეტები – ნამოსახლარებზე, როგორც ტუალეტის ჰიგიენური არტეფაქტების აღმოჩენისა და გავრცელების იშვიათი შემთხვევები. როგორც აღვნიშნეთ, პინცეტები აღმოჩნდა ხუთი ნამოსახლარის კულტურულ ფენებში. ესენია: ყულევი, ნაოხვამუ, სიმაგრე, ხოვლე და დედოფლის გორის სასახლე.

ძვ.წ. X-VIII სს-ით თარიღდება ყულევის (ცენტრალური კოლხეთი) ნამოსახლარის კულტურული ფენა, სადაც ტანსაცმელთან და ტუალეტის საგნებთან დაკავშირებულ ნივთებს შორის აღმოჩნდა 2 სადაზედაპირიანი I ტიპის მცირე ზომის პინცეტი [პაპუაშვილი, ... 2014:182, ტაბ. III,1]. ეს ნამოსახლარის ფენებში პინცეტის აღმოჩენის პირველი შემთხვევაა. ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება ნაოხვამუს ნამოსახლარის (ხობის მუნიციპალიტეტი) პინცეტი (სიგრძე-5,3 სმ), რომელსაც თასმაზე ჩამოსაკიდი რგოლი ჰქონდა წამოცმული [ჯიბლაძე, 2011:251]. ძვ.წ. VI-V სს-ს ეკუთვნის სიმაგრის (მდ. რიონის მარჯვენა სანაპირო) ზედა ფენა, სადაც ბრინჯაოს ნივთებიდან შემორჩენილია მხოლოდ დანა და პინცეტი (სიგრძე -10 სმ) [მიქელაძე, 1978:58, ტაბ.XXXVIII], ხოლო რაც შეეხება ხოვლეს ნამოსახლარს, აქ ძვ.წ. IV ს. სხვადასხვა ჰორიზონტიდან ამოღებულ მასალაში, როგორც გამთხრელი აღნიშნავს, აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთი, რომელიც “ჩქიფისებური საგნის ფრაგმენტის...” სახელით არის მოწოდებული [მუსხელიშვილი, 1978:59, ტაბ. XII]. დედოფლის გორის პინცეტზე - იხ. IV ტიპი. როგორ აღვნიშნეთ, ხშირად I ტიპის სადაზედაპირიანი პინცეტებთან ერთად გვხვდება ამავე ტიპის გრავირებული პინცეტებიც, რომლებიც ცალკე გამოვყავით და I.1 ქვეტიპში გავაერთიანეთ.

**I.1 (ტაბ. I,7-10; II,1-7).** ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კავკასიაში სახვითი ხელოვნების ახალი წრე იქმნება, რომელსაც კავკასიური ე.წ. გრაფიკული სტილი ეწოდა

[ფანცხავა, 1988:16]. ამ სტილს ეკუთვნის მხატვრულად დამუშავებული ლითონის სხვადასხვა ნაწარმი (სატევრები, შუბისპირები, სარტყლები, აბზინდები და სხვ.), რომელთა შორისაა გრავირებული პინცეტებიც, და რომლებიც საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე სადაზღვეოპირიანი. პინცეტების გრაფიკული დეკორი ორი სახისაა: გეომეტრიული და ზომორფული. უმეტესობა გეომეტრიული სახეებითაა შემკული (წერტილებით შევსებული ტეხილი ხაზები, წერტილებით შევსებული წრეები, ურთიერთგადამკვეთი ხაზები, სპირალური, თევზიფხური სახეები, ერთმანეთში ჩასმული სამკუთხედები და სხვ.), რომლებიც პინცეტის ორივე ზედაპირზეა განაწილებული. ზომორფული გრაფიკა პინცეტებზე შედარებით იშვიათია. ცხოველებიდან ჩანს: ირემი (დვანი, ყაზბეგის განძი, ზინდისი), გველი, ბაყაყი, ძაღლი (თლია, ნარეკვაფი, უდეს განძი). ზოგჯერ პინცეტის გვერდებს სხვადასხვა დეკორი ამკობს (თლიას №№ 50, 52, 115 სამარხები).

გრავირებული პინცეტები აღმოჩენილია სამარხებში და განძებში. სამარხების პინცეტების სიგრძე: 19–5,2 სმ. გრავირებული პინცეტების აღმოჩენა, რა თქმა უნდა დაკავშირებულია მხატვრული ხელოსნობის ნიმუშების პირველგამოჩენასთან საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ძვ.წ. XI საუკუნეზე ადრე არ უნდა მომხდარიყო [აფაქიძე ჯ., 2002:240].

ნატახტარი IV ძვ.წ. XI ს-ის №1 სამარხის კომპლექსში დადასტურდა ერთერთი პირველი, ტალღური ხაზებით გრავირებული პინცეტი [Апакидзе, ... 1986:34-35, ტაბ. LXIII,7]; ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისს ეკუთვნის ქისტაურის №6 სამარხის ასევე ტალღური ხაზით შემკული პინცეტი [Пицхელაური 1969:97-98, ტაბ.V,6]; ძვ.წ. XI-IX სს-ით თარიღდება ნარეკვაფის სამარხი №14, სადაც ასევე ადრეული გრავირებული პინცეტი ჩანს [აფაქიძე, 1999:46, სურ. 167]; თრელის ძვ.წ. X-IX სს. №134 კომ-

პლექსს ეკუთვნის ტალღური ხაზებით შემკული პინცეტი [Абрамишвили, ... 1979:52-53, ტაბ. XVI], ასევე თარიღდება სამთავროს № 65 სამარხი, სადაც წერტილოვანი სახეებია პინცეტზე გრავირებული [კალანდაძე, 1982:73]; ძვ.წ. IX ს. თარიღდება სამთავროს სამარხი № 208, სადაც მრავალრიცხოვანი ნივთთა (45-მდე) შორის აღმოჩნდა წვრილი ხაზებითა და სპირალებით ორნამენტირებული ბრინჯაოსი და რკინის პინცეტის ფრაგმენტები [კალანდაძე, 1982:86–87]; ასევე დათარიღდა თრელის გრავირებულ პინცეტიანი სამარხი № 49. ამ კომპლექსის თარიღი დაზუსტებას მოითხოვდა, რადგან რ. აბრამიშვილის მიერ სამარხის ტაბულა ტექსტის გარეშე მოთავსებული იყო „თბილისი I“-ის ძვ.წ. XIII-XII სს. კომპლექსებთან ერთად [თბილისი I:1978: ნახ. 80]. თუმცა, თვით რ. აბრამიშვილი 1976 წ. გამოცემულ კრებულში ამ სამარხს ძვ.წ. IX ს. ათარიღებს [Абрамишвили, 1976:102, ტაბ. III]. დაახლოებით ასევეა დათარიღებული ეს სამარხი საარბრუკენის და ბოხუმის კატალოგებში [Miron, Orthman 1995: kat. 373; Georgian 2001: 372, kat. 298].

ცალკე უნდა გამოვყოთ თლიას პინცეტიანი სამარხები, რომლებიც გარკვეულ სიძნელებებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, ეს სამარხები სხვადასხვა თარიღით არის წარმოდგენილი. თლიას სამარხის 200-მდე სამარხიდან 12 პინცეტიანი კომპლექსი დადასტურდა: №№ 23, 30, 50, 52, 115, 201 143, 169, 184, 212, 216, 333 (№ 333 სამარხის პინცეტი რკინისაა. იხ. I ტიპი). ბ. ტეხოვის მიერ №№ 23, 50,52, 115, და 201 სამარხები ძვ.წ. XII-X სს-შია მოქცეული [Техов, 1977:120–122]. იგივე სამარხები სხვადასხვა მეცნიერების მიერ სხვადასხვა თარიღებით არის განსაზღვრული: ძვ.წ. XI-X სს. [აფაქიძე ჯ. 2002]; ძვ.წ. IX-VIII სს. [სულავა, 2011:69]; ძვ.წ. VIII-VII სს. [ფანცხავა, 1988:80]; № 184 სამარხი – ძვ.წ. VIII-VII სს. [Техов, 1981:41, სურ. 116]. ფიბულების შესწავლის საფუძველზე სამარხი №№ 143, 169 ძვ.წ. VI ს-ით დათარიღდა, ხოლო თლიას № 216 – ძვ.წ. VII ს. და № 30 – ძვ.წ. VII-VI

სს. მიეკუთვნა [სულავა, 2011:61–66]. თლიას პინცეტები ყველა გრაფირებულია. №50 და №201 პინცეტებზე გველის და ბაყაყის გამოსახულება იკითხება, ხოლო ერთერთ პინცეტზე – მორბენალი ძაღლი. დანარჩენი პინცეტები გეომეტრიული სახეებითაა შემკული [Техов, 1960:175, სურ.10,6; Техов, 1977:119-122, სურ. 94,2,4,6; Техов, 1980: 17, 20, 29, 35, ტაბ. 39, 45, 46, 72, 88]; ასევე საკამათო იყო წითელი შუქურას პინცეტიანი კომპლექსების თარიღები, სადაც ხუთი ბრინჯაოს (სამ. №№ 64, 87, 88, 92 - 2 ც.) და ერთი რკინის (სამ. №9) პინცეტი დადასტურდა. აქედან №№87 და 92 სამარხის პინცეტები შემკულია წერტილებით შევსებული წრეებითა და ზიგზაგებით. ეს სამარხები გამთხრელის მიერ მოთავსებული იყო ე.წ. უფროსი ჯგუფის სამარხებში და ძვ.წ. VIII-VI სს-ით თარიღდებოდა [Трапш, 1969:90, ტაბ. XXV]. შემდგომი კვლევის შედეგად სამარხების თარიღები დაზუსტდა და №№ 64, 87, 88, 92 სამარხები – ძვ.წ. VIII-VII სს. მიეკუთვნა [Квирквелия, 1981: 5].

ისევე, როგორც სადაზედაპირიანი, გრაფირებული პინცეტებიც ხშირად ჩანს ძვ.წ. V-II-VII სს-ის სამაროვნებზე: ნარეკვავის სამ. № 83-ში წერტილებითა და დაკლაკლნი გველის გამოსახულებით, სამ. № 113 - წერტილოვანი ორნამენტით, ხოლო სამ. № 95 - გადაბმული სამკუთხედებით შემკული [ნიკოლაიშვილი, ... 2007:77,148,109, ტაბ. XXII,1022; I,1293; XXXV,1126]; სოფ. დვანის (ქარელის მუნიცი.) ძვ.წ. VIII-VII სს. სამარხის პინცეტი გრაფირებულია სპირალური ორნამენტით და ირმების გამოსახულებით [Макалатия, 1957:143, სურ. 58]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არსებობს ამ სამარხის სხვა თარიღიც – ძვ.წ. XII ს. [აბრამიშვილი, 1961:325,326; ქორიძე, 1965:11], მაგრამ დვანის შუბისპირის ფორმისა და დეკორის ხასიათის მიხედვით, ლ. ფანცხავა იზიარებს ს. მაკალათიას თარიღს [ფანცხავა, 1988:74]; რკინის კალოს (თიანეთის მუნიცი.) სამ. № 27-ის პინცეტი წინვოვანი ხაზებითაა გრაფირებული [კობაძე, 1978:56, ტაბ. XVI,422]; ძვ.წ. VIII-VI სს. ეკუთ-

ვნის ნარეკვავის სამ. № 95 რომბისებური და ბადისებური ორნამენტით შემკული პინცეტი [ნიკოლაიშვილი, ... 2007:109, ტაბ. XXXV, სურ. 1126], ასევე ნარეკვავის სამ. № 32-ის გეომეტრიული სახეებით გრაფირებული პინცეტი [დავლიანიძე, 1993:76, ტაბ. V,4]; ძვ.წ. VII-VI სს-ისაა გორაძირის (ყვირილის ხეობა) სამაროვნზე ირიბი შტრიხებით ორნამენტირებული პინცეტი [გოგაძე, 1981:16, ტაბ. XIV,150]; ძვ.წ. VII ს. დასასრულითა და VI ს. დასაწყისით თარიღდება ერგეტა III სამარხი ორმო №1, სადაც გეომეტრიული ხაზებით შემკული 11 გრაფირებული პინცეტი (შვიდ რკინის პინცეტთან ერთად) აღმოჩნდა [პაპუაშვილი, 2010:42]; ძვ.წ. VI ს. მერხეულის სამაროვნის სპირალებით გრაფირებული პინცეტი [ბარამიძე, 1977:73, ტაბ. V] და სხვ. ასეთია ძირითადად სამაროვნებზე წარმოდგენილი გრაფირებული პინცეტები.

როგორც ნამოსახლარებზე, ასევე, განძებში პინცეტის აღმოჩენა საინტერესო ფაქტია. განსხვავებით ნამოსახლარების სადაზედაპირიან პინცეტებისა, განძებში – მხოლოდ გრაფირებული ცალები გვხვდება. პინცეტიანი განძი ორია: უდის და ყაზბეგის. უდის განძში 100-ზე მეტი ბრინჯაოსა და რკინის ნივთი დადასტურდა. მათ შორისაა ორნამენტირებული პინცეტები [ქორიძე, 1965:19-20, სურ. 11]. უდის პინცეტზე (სიგრძე-8 სმ) ძაღლის გამოსახულება იკითხება. განძის თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: ძვ.წ. XIII-XII სს. (დ. ქორიძე, რ. აბრამიშვილი), ძვ.წ. XI-X სს. (ალ. ჯავახიშვილი, ტ. ჩუბინიშვილი), ძვ.წ. IX ს. [ფანცხავა 1988:72-73]. ვფიქრობთ, ვინაიდან გრაფირებული პინცეტი საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. XI საუკუნემდე არ ჩანს, შესაძლოა, ეს დეტალიც გათვალისწინებული იქნას ამ განძის დათარიღებისას.

ყაზბეგის განძში სპილენძის, ვერცხლის, ბრინჯაოს მრავალრიცხოვან და მრავალგვარ ნივთთა შორის ბრინჯაოს 5 პინცეტი დადასტურდა. მათ შორის ოთხი I ტიპისაა (ერთი – II ტიპის. იხ. ქვემოთ). პინცეტების ზომები საკ-

მაოდ შთამბეჭდავია: სიგრძე – 13,8; 14; 26,5 სმ. ერთ პინცეტზე წერტილოვანი გრავირებით გამოსახულია ირემი დატოტვილი რქებით; ორ პინცეტს ნაკანრი სახეები ამკობს, ხოლო მეოთხეს გვერდები - სამკუთხედებით არის შევსებული. პინცეტს გაყრილი აქვს რგოლი, რომელზედაც ჯაჭვია მიბმული. ყაზბეგის განძი ძვ.წ. VI-V სს-ით თარიღდება [ნითლანაძე, 1976: 80–83,107].

I ტიპის ბრინჯაოსა და რკინის პინცეტების ანალოგები არც თუ ხშირია კავკასიის ტერიტორიაზე. ჩრდილო კავკასიაში ყობანის კულტურის დასავლეთ ვარიანტში ერთეული ცალობით და ისიც მხოლოდ სამაროვნებზე გვხვდება. ძვ.წ. VI ს. შუახანებით თარიღდება კამენონოსტოკის სამაროვნის № 1 სამარხის ბრინჯაოს და ტამგაციკის სამაროვნის № 4 სამარხის რკინის პინცეტი. ძვ.წ. VII-VI სს-ზე ადრეულია გუნდელენეს დანგრეული სამარხის სადაზედაპირიანი პინცეტი. ძვ.წ. IV–III სს. ეკუთვნის დომბაიოს ველზე შემთხვევით აღმოჩენილ ქვის სამარხის 2 ბრინჯაოს პინცეტი [Козенкова, 1998:82, ტაბ. XVII,1-4]. ყობანური კულტურის აღმოსავლეთ ვარიანტის ძეგლებიდან ცნობილია პინცეტები, მათ შორის ერთი სერჟენ-იურტის ნამოსახლარის ძვ.წ. X-VII სს. ფენიდან, სადაც პინცეტი აღმოჩნდა შრომის იარაღების კომპლექსში [Козенкова, 1982:11, ტაბ. III,39], დანარჩენი (ერთი – გველის გამოსახულებით) დაცულია სენ-ჟერმენის მუზეუმში [Уварова, 1900:82, ტაბ. XXX,7]. ასევე იშვიათია სომხეთის ტერიტორიაზე ამ ტიპის პინცეტი. ერთი დადასტურდა ართიკის სამაროვანზე ძვ.წ. X-IX სს. №218 სამარხში [Хачатрян, 1975:236, სურ.150] და მეორე – ხრტანოცის ძვ.წ. VII-VI სს. დათარიღებულ სამაროვანზე [Мартироссян, 1964:277, სურ. 107,5]. პინცეტის აღმოჩენის მხოლოდ ერთი შემთხვევა ჩანს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე: მინგეჩაურის ძვ.წ. XI-IX სს. I ყორღანში [Асланов, ... 1959:93, ტაბ. XXXVIII,2].

**II ტიპი (ტაბ. II,8).** ბრინჯაოს ორი თხელი ფირფიტა, ერთმანეთთან შეერთებული ბრინჯაოს რგოლით, ბოლოებისკენ გაფართო-

ბული, სამუშაო პირები შიგნით მოლუნული. სადაზედაპირიანი. სიგრძე – 8,5-5 სმ. განძის პინცეტის – 14 სმ. ამ ტიპის ბრინჯაოს პინცეტის აღმოჩენის მხოლოდ სამი შემთხვევაა საქართველოს ტერიტორიაზე – ორი სამაროვანზე, ხოლო ერთი – განძში. სამაროვნებიდან: ერთი გვხვდება ყულანურხვას (აფხაზეთი) ძვ.წ. VIII-VI სს. სამაროვნის №11 სამარხში [Трапш, 1956:190, ტაბ. XIX,3] და ამგვარი, ორი პინცეტი აღმოჩნდა “ქასრანთ მინების“ (კავთისხევი, კასპის მუნიცი.) ძვ.წ. VI–IV სს. №№13 და 24 სამარხში [ბერაძე, 1980:19,23, ტაბ. XVI,1, XXI,11]. ასეთივე პინცეტი დადასტურდა ყაზბეგის განძში, რომელიც ძვ.წ. VI-V სს-ით თარიღდება [ნითლანაძე, 1976:81, ტაბ. XXVIII,5]. ამ ტიპის რკინის პინცეტის (სიგრძე–6,2 სმ) აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევა გვაქვს რკინის კალოს სამაროვნის ძვ.წ. VII-VI სს. დათარიღებულ №28 სამარხში [კობაიძე, 1978:61, ტაბ. XIX,466]. ჩრდილო კავკასიაში ყობანური კულტურის დასავლეთ ვარიანტის ძეგლებზე – თებერდისა და მისი შენაკადების აუზში აღმოჩნდა მსგავსი, რგოლით შეკრული ოთხი პინცეტი, მცირეოდენი განსხვავებით: წერტილოვანი პუნსონებით შემკული, ფართო სამკუთხა ბოლოებით [Козенкова, 1998:82, ტაბ. XVII,5]. მსგავსი პინცეტი სომხეთში, ართიკის სამაროვნის ძვ.წ. X-IX სს. დათარიღებულ № 390 სამარხში ჩანს [Хачатрян, 1979:74,280]. ასეთივე პინცეტი, გვიან – ახ.წ. II ს. პოლონეთის ტერიტორიაზე, ე.წ. ოქსივის კულტურაში (ოდერისა და ვისლას სათავეებთან) გვხვდება [Монгайт, 1974: 358, სურ.4].

**III ტიპი (ტაბ. II,9).** ბრინჯაოს ერთი თხელი ფირფიტა, ორად მოკეცილი, ბოლოებისკენ გაფართოებული, გვერდები ზედა ნაწილში გრეხილია. სიგრძე –12 სმ. ეს პინცეტი აღმოჩნდა მელაანში (კახეთი), საკარმიდამო მიწის ნაკვეთში ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთებთან ერთად. ნივთები, მათ შორის ეს პინცეტიც ძვ.წ. VII–VI სს. დათარიღდა [ფიცხელაური, 1965:85, ტაბ. XVIII,6]. ეს არის პინცეტის ლოკალური ვარიანტი, რადგან ამ ტიპის პინცეტის

პარალელი არ ჩანს.

**IV ტიპი (ტაბ. II,10).** ბრინჯაოს მოკეცილი ორი თხელი ფირფიტა, შეერთებული და დამაგრებული გრეხილი (ზამბარისებული) ყელით. სიგრძე – 14 სმ. ამ ტიპის პინცეტი, მხოლოდ ერთი ცალი აღმოჩნდა დღვაბას სამარხ ორმოში №2, რომელიც ძვ.წ. VII ს-ით თარიღდება [პაპუაშვილი, 2010:33, ტაბ. II,39]. ეს ტიპიც ლოკალური ვარიანტია, რომელსაც პარალელი არ ეძებნება.

**V ტიპი (ტაბ. II, 11).** ბრინჯაოს ორი თხელი ფირფიტა, რომლის წაგრძელებულ თავს (ზედა ნაწილს) შემოხვეული აქვს წვრილი მავთული. პინცეტი ნაკლულია. შემორჩენილი სიგრძე – 6,5 სმ. აღმოჩნდა დედოფლის გორის (ქარელის მუნიციპალიტეტი) №13 ოთახის იატაკზე ბრინჯაოს ილართან ერთად. ეს პინცეტი იმპორტულ ნაწარმად ითვლება [Gagoshidze, 2008:148-149, ტაბ.58, კატალოგი №49].

ამრიგად, I ტიპის სადაზედაპირიანი პინცეტები საქართველოს ძეგლებზე ჩნდება ძვ.წ. XV-XIV სს. ძვ.წ. XIII-XII სს-დან გვხვდება თითქმის ყველა მომდევნო საუკუნეში ძვ.წ. IV-III სს-მდე. პირველი გრავირებული პინცეტი ჩანს ძვ.წ. XI ს. ნატახტრი IV № 1 კომპლექსში. სადაზედაპირიანი და გრავირებული ბრინჯაოს პინცეტები გვხვდება ერთ სამაროვანზე, მაგრამ თითქმის არ თანაარსებობენ ერთ სამარხში (გამონაკლისი ერგეტას ზოგი სამარხი ორმოა). რკინის პინცეტი პირველად დადასტურდა ძვ.წ. IX ს-ის სამთავროს №208 სამარხში, I ტიპის გრავირებულ პინცეტთან ერთად (იხ. ტაბ. I.1). რკინის პინცეტები იმეორებენ ბრინჯაოს პინცეტების ფორმებს (I და II ტიპი). ძვ.წ. VII-VI სს-ში ჩნდება პინცეტის ლოკალური ტიპები (III და IV ტიპი), რომელთა პარალელები არ ჩანს. ერთადერთი იმპორტული პინცეტი დადასტურდა დედოფლის გორის ძვ.წ. I – ახ.წ. I სს. სასახლეში. ძვ.წ. IV-III სს. შემდეგ პინცეტი თითქმის არ გვხვდება საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. რამდენიმე პინცეტს შემორჩენილი აქვს ძენკვის რგოლები (ნაოხვამუს,

ნარეკვავის და სხვ.), რომელზედაც, როგორც ჩანს, პინცეტთან ერთად ჩამოკიდებული იყო ტუალეტის სხვა ნივთებიც (ილარი, საკინძი და სხვ.). რაც შეეხება პინცეტის ფუნქციას, ამ მარტივი ფორმის ინსტრუმენტს იმდენად დიდი და მრავალგვარი დატვირთა აქვს (სამედიცინო ინსტრუმენტი, შრომის იარაღი, საკრალური დანიშნულების ნივთი და სხვ.), რომ ეს ცალკე შესასწავლი მეტად საინტერესო საკვლევი თემაა.

#### ლიტერატურა:

**აბრამიშვილი რ. 1957:** სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, ტ. XIX-B და XXI-B, თბ., გვ. 116-140.

**აბრამიშვილი რ. 1961:** რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VI სს.). – სსმმ, XXII-B, თბილისი, გვ. 292-382.

**აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მელითაური კ., სიხარულიძე ა., სადრაძე ვ., ძნელაძე მ., მანჯგალაძე გ., ხეცურიანი ლ., ჭანიშვილი თ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., გავაშელი ე., ირემაშვილი შ., ბიბილური თ., ლლონტი ნ. 1982:** დიდი მცხეთა, 1979. - მცხეთა VI, თბ., გვ. 191-219.

**აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა., ბიბილური თ., გიუნაშვილი გ., ირემაშვილი შ., მანჯგალაძე გ., სადრაძე ვ., ხეცურიანი ლ. 1989:** დიდი მცხეთა, 1981. საველე-არქეოლოგიური კვლევის შედეგები. - მცხეთა IX, თბილისი, გვ.40-77.

**აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., მანჯგალაძე გ., ძნელაძე მ., სადრაძე ვ., დავლიანიძე რ. 1995:** მცხეთა– 82. - მცხეთა X, თბილისი, გვ. 6-57.

**აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ., სიხარულიძე ან., გიუნაშვილი გ., გავაშელი ედ., ლლონტი ნ., კაპანაძე მ. 1999:** ნარეკვაი I, მცხეთა - 1998, თბილისი.

**აფაქიძე ჯ. 2002:** გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბ.

**ბარამიძე მ. 1977:** მერხეულის სამაროვანი, თბილისი.

**ბერაძე ე. 1980:** ადრეანტიკური ხანის ორმოსამარხები „ქასრაანთ მიწების“ სამაროვნიდან. – კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, გვ.14–27

**გოგაძე ე., დავლიანიძე ც. 1981:** გორაძირი, თბილისი.

**დავლიანიძე რ., სადრაძე ვ. 1993:** ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი. თბილისი.

**დავლიანიძე ც. 1983:** ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათას. II ნახევარში, თბ.

**თბილისი 1978:** თბილისი I, არქეოლოგიური ძეგლები. თბ.

**კალანდაძე ალ. 1981:** სამთავროს სამაროვნის წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. – მცხეთა V, თბილისი, გვ. 7–115.

**კალანდაძე ალ. 1982:** სამთავროს წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. – მცხეთა VI, თბ., გვ.7–138.

**კობაიძე ლ. 1978:** რკინის კალოს სამაროვანი. – ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ.

**მაისურაძე ბ. 1993:** იორ-ალაზნის ზემო დინების გვიანბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ.

**მამაიაშვილი ნ. 1988:** ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამაროვანი საგარეჯოდან. – გარეჯი. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VIII, თბ., გვ. 72–112.

**მინდაძე ნ. 2013:** ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა. თბილისი.

**მიქელაძე თ. 1978:** არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები I, თბილისი.

**მიქელაძე თ. 1985:** კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბილისი.

**მუსხელიშვილი დ. 1978:** ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბილისი.

**ნიკოლაიშვილი ვ., გავაშელი ედ. 2007:** ნარეკვავის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

**ორბელიანი ს.ს.1949:** ქართული ლექსიკონი (სიტყვის კონა), თბილისი.

**პაპუაშვილი რ. 1998:** გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ სამარხ-ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის. – ძიებანი, №1, თბილისი, გვ. 43–57.

**პაპუაშვილი რ. 2010:** კოლხურ სამაროვანთა აბსოლუტური ქრონოლოგიისათვის. – არქეოლოგიური ჟურნალი V, თბილისი, გვ. 32–42.

**პაპუაშვილი რ., ჯიბლაძე ლ. 2014:** ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული წარმოების ცენტრი ყულევის ნამოსახლარიდან. – ძიებანი საქართვე-

ლოს არქეოლოგიაში, № 22, თბ., გვ. 178–191.

**სულავა ნ. 2011:** კავკასიის ფიბულები, თბილისი.

**უცხო... 1973:** უცხო სიტყვათა ლექსიკონი. შეადგინა მ. ჭაბაშვილმა, თბილისი.

**ფანცხავა ლ. 1988:** კოლხური კულტურის ხალხური ხელოსნობის ძეგლები, თბილისი.

**ფიცხელაური 1965:** იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბ.

**ქართული... 1986:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ.

**ქორიძე დ. 1965:** კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ.

**წითლანაძე ლ. 1976:** ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ.

**ჯაფარიძე ო. 1957:** არქეოლოგიური გათხრები სოფ. ოჭორაში. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ.65, თბილისი, გვ. 182–216.

**ჯიბლაძე ლ. 2011:** ახალი ინფორმაცია ნაოხვამუს ნამოსახლარზე. – ძიებანი, № 20, თბ., გვ. 251.

**Абрамишвили Р. 1976:** Археологические исследования на новостройках Большого Тбилиси. – Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, Тбилиси, стр. 23-29.

**Абрамишвили Р.М., Апрегов Л.А., Кахиани К.К., Окропиридзе Н.И., Татишвили Т.И. 1979:** Итоги археологической экспедиции Дигомского ущелья. – ПАИ в 1976 году, Тбидиси, стр. 48-55.

**Апакидзе А.М., Николаишвили В.Н., Мелитаური К.Н., Манджгаладзе Г.Н., Хецуриანი Л.Г., Абутидзе А.В., Дзнеладзе М.С., Давлиანიძე Р.В., Гиუნაშვილი Г.Л., Глonti Н.В., Молашвили Н.И. 1986:** Мцхетская экспедиция. – ПАИ в 1983 г. Тбилиси, 31-37.

**Асланов Г.М., Вайдов Р.М., Ионе Г.И. 1959:** Древний Мингечаур. Баку.

**Воронов Ю.Н. 1980:** Диоскуриада-Сébastополис-Цхум. Москва.

**Гамбашидзе О.С., Квижинаძე К.Д., Гамбашиძე И.О. 1991:** Основные результаты работ Месхет-Джавახетской экспедиции в 1985-1986 гг. – ПАИ в 1986 г., Тбилиси, 27-34.

**Гогაძე Э.М. 1984:** К вопросу о хронологии и периодизации памятников Колхидской культуры. – სსმმ, XXXVII-B, თბ., გვ. 28–54.

**Квирквелия Г.Т. 1981:** Материальная культура северо-западной Колхиды в VIII-V вв. до н.э. (Автореферат кандидатской диссертации), Тбилиси.

**Козенкова В.И. 1982:** Типология и хронологическая классификация предметов

Кобанской культуры. Восточный вариант. - Археология СССР. Свод археологических источников, В2-5, Москва.

**Козенкова В.И. 1998:** Материальная основа быта Кобанских племен. Западный вариант, Москва.

**Макалатия С.И. 1957:** Погребение эпохи поздней бронзы из селения Двани.- КСИИМК, 69, Мос., стр. 139-143.

**Мартиросян А.А. 1964:** Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ереван.

**Микеладзе Т.К., Мигдисова Н.И., Папуашвили Р.И. 1984:** Исследования Колхидской археологической экспедиции. - ПАИ в 1981 году, Тб., с. 22-25.

**Микеладзе Т.К., Папуашвили Р.И., Чубинишвили Н.Т. 1991:** Колхидская экспедиция.- ПАИ в 1986 году, Тбилиси, с. 59-65.

**Микеладзе Т.К., Мигдисова Н.И., Папуашвили Р.И. 1985:** Основные итоги исследований Колхидской экспедиции. - ПАИ в 1982 году, Тбилиси, стр. 37-40.

**Монгайт А.А. 1974:** Археология Западной Европы. Москва.

**Надирадзе Г.Ш. 1991:** Исследование могильника в селе Нацаргора.- ПАИ в 1986 г. Тб., 25-27.

**Пицхелаури К.Н. 1969:** Итоги исследования памятников эпохи поздней бронзы-раннего железа. - Труды Кахетской археологической экспедиции, I, Тб., стр. 89-110, таб. V.

**Техов Б.В. 1960:** Могильники эпохи поздней бронзы в с. Тли. - СА, №1, Москва, стр. 163-178.

**Техов Б.В. 1977:** Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э. Москва.

**Техов Б.В. 1980:** Тлийский могильник. Мос.

**Техов Б.В. 1981:** Тлийский могильник II. Мос.

**Техов Б.В. 1985:** Тлийский могильник III. Мос.

**Трапш М.М. 1956:** Итоги раскопок в сел. Куланурхва в 1951 году. - гულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შრომები, სოხუმი, გვ.179-192.

**Трапш М.М. 1969:** Труды, 2, Сухуми.

**Уварова П. 1900:** Могильники Северного Кавказа. - МАК, вып. VIII, Москва.

**Шамба Г.К. 1974:** Эшерские кромлехи, Сухуми.

**Чайлд Г. 1956:** Древнейший Восток в свете новых раскопок, Москва.

**Хачатрян Т.С. 1975:** Древняя культура Ширака III-I тыс. до н.э., Ереван.

**Хачатрян Т.С. 1979:** Артикский могильник, Ереван.

**Georgien 2001:** Schätze aus dem Land des gold-

enen Vlies, Bochum.

**Gagoshidze I. 2008:** Metal Implements. - Iberia and Rome. The Excavation of the Palace at Dedoflis Gora and the Roman Influence in the Caucasian Kingdom of Iberia. Ed. by A. Furtwangler, I. Gagoshidze, H. Lohr, N. Ludwig

**Miron, Orthman 1995:** Unterwegs zum golden Vlies (Archäologische Funde aus Georgien), Herausgegeben von A.Miron und W. Ortmann, Saarbrücken.


**Schaeffer Cl. 1948:** Stratigraphie compresert chronologie de L'Asie Occidentale. London

**Woolley C.L. 1934:** Ur Excavations, vol. IX, The Roial Cemetery. NewYork.

#### ილუსტრაციების აღწერილობა:


**ტაბ. I.** ბრინჯაოს სადაზედაპირიანი პინცეტები: 1-3. ბორნილეღეს (№6), ქისტაურის (№13), ერგეტა IV, (№2) სამარხებიდან; 5-6. ნაოხვამუს და სიმაგრის ნამოსახლარებიდან; 4. რკინის პინცეტი "ქასრაანთ მინების" (№18) სამარხიდან; გრავირებული პინცეტები: 7-8. ქისტაურის (№6), თრელის (№49), 9-10. თლიას №№50, 143.

**ტაბ. II.** 1-6. ნარეკვავის (№95), წითელი შუქურას (№92), ნარეკვავის (№83), დვანის, ერგეტა III (№1), ნარეკვავის (№32) სამარხებიდან; 7. უღეს განძიდან; 8. II ტიპის პინცეტი „ქასრაანთ-მინების“ №24 სამარხიდან; 9. III ტიპი მელანნიდან; 10. IV ტიპი დღვაბას №2 სამარხიდან; 11. V ტიპი. იმპორტული პინცეტი დედოფლის გორიდან







II



1




2




3



4



5



6



7



8



9



10



11



## ჯავახეთში, სოფ. პატარა გონდრიოსთან ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები

2008 წელს მარაბდა-კარნახის რკინიგზის ახალქალაქი-კარნახის მონაკვეთზე მეორე ეტაპის არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებისას ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. პატარა გონდრიოს მიდამოებში, სადაზვერვო თხრილების გავლების დროს, გამოვლინდა ანტიკური პერიოდის (ძვ.წ.VI-IV სს.) ნამოსახლარი, რომელიც წარმოდგენილი იყო ქვის ნაგებობებითა და კერამიკული ნატეხების სახით. ვინაიდან ნამოსახლარი უშუალოდ მშენებარე რკინიგზის დერეფანში შედიოდა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კანონის შესაბამისად აუცილებელი გახდა გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება. აღნიშნულ დერეფანში არქეოლოგიური გათხრები (III ეტაპი) 2010 წლის 22 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა, ხოლო კამერალური სამუშაოები 15 ივნისიდან 22 ივნისამდე ჩატარდა (ექსპედიციაში მონაწილეობას ღებულობდნენ: კახა კახიანი — ხელმძღვანელი, ვახტანგ ნიკოლაიშვილი, მერაბ ძნელაძე, ელგუჯა ლლიღვაშვილი – არქეოლოგები, ალექსანდრე თევზაძე – გეოდეზისტი, ლერი ფავლენიშვილი – არქიტექტორი).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნამოსახლარი მდებარეობს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. პატარა გონდრიოს ჩრდილო-დასავლეთით, ზღვის დონიდან 1820 მ. სიმაღლეზე. იგი გამართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დაქანებულ ველზე. მისი ფართობი არანაკლებ ერთი ჰექტარი უნდა იყოს. ნამოსახლარის GPS კოორდინატებია: UTM X0371510, Y4574712. სამშენებლო დერეფანში მოქცეულია ნამოსახლარის პერიფერია – აღმოსავლეთი ნაწილი. ნამოსახლარი ნაწილობრივ დაზიანებულია გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, როდესაც ამ ტერიტორიას, სახნავ-სათესი ფართობების გაზრდის მიზ-

ნით ქვებისაგან ათავისუფლებდნენ, კერძოდ, დანგრეული და მოსწორებულია სამხრეთი ნაწილი რის გამოც შეცვლილია მისი თავდაპირველი კონფიგურაცია.

სავლელ სამუშაოების დაწყების წინ მოხდა ნამოსახლარის იმ ნაწილის აგეგმვა, ნაკვეთებად დაყოფა და დაკვადრატება, რომელიც სამშენებლო დერეფანშია მოქცეული. აგეგმილ ფართობზე გაივლო სხვადასხვა სიგრძის, სიგანისა და სიღრმის თხრილები, სადაც აღმოჩნდა არქეოლოგიური ობიექტები და არტეფაქტები (ტაბ. I).

ქვემოთ ვიძლევიტ გავლებული თხრილების დახასიათებას აღმავალი რიგის მიხედვით.

**თხრილი №1 (ტაბ. I):** პირველი თხრილი მეოთხე ნაკვეთის I კვადრატში გაიჭრა (ზომები: 9X4 X0,6 მ). მიწის ზედაპირიდან 0,2-0,6 მ-ის სიღრმეზე გამოიკვეთა ცალკეული ქვატეხილები, რომლებიც ქანისეულ, კირნარეველოდებთან ერთად გამოვლინდა. იქვე აიკრიფა თიხის ჭურჭლის უსახო ნატეხები.

მსგავსი სურათი დადასტურდა №2, №6, №8, №9, №10 და №11 თხრილებშიც.

**თხრილი №3 (ტაბ. I):** ის მეორე თხრილთან გაერთიანდა და დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით გაგრძელდა (ზომები: 38X3X0,4 მ). აქაც კორდოვანი ფენის ალების შემდეგ გამოიკვეთა საშუალო და წვრილი ქვებისაგან შედგენილი ერთიანი ყრილი, რომელიც სამხრეთისაკენ ჩანდა დაფერდებული. იგი მთელი თხრილის სიგრძეზე გრძელდებოდა და აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა. ქვაყრილი იქვე გამოვლენილ ნამოსახლართან მიმავალი გზის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სხვა ფუნქცია ძნელი მოსაძებნია, მითუმეტეს, რომ მსგავსი გზები დადასტურდა თეთრინწყაროს რაიონში BP-ის სამუშაოების ჩატარებისას. ანალოგიური გზები აკავშირებდა შუასაუკუნეების ნასოფლარებს

(ჭივჭავისწყლის ხეობა), რომლებიც იქ დიდი რაოდენობით არის გამოვლენილი. მესამე თხრილის დასავლეთ ნაწილში, გზის საფარის ქვეშ გამოვლენილი დიდი ზომის ქვარის განმედიის შემდეგ, 16 მ-ის სიგრძეზე გამოიკვეთა კედელი (სისქე -1,2 მ), რომელსაც სამხრეთის მხრიდან ეკვროდა მცირე ზომის სათავსები (2,0X1,8X0,9 მ), რომელთა სამხრეთი ნაწილი ნაკლებად აღმოჩნდა მიწის ხვან-თესვასთან დაკავშირებულ სამუშაოთა გამო. ამდენად, სათავსოთა მოცულობა ყველგან არასრულია. გარდა ამისა, დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა სათავსი (№1), რომელიც საფასადო მხრით აღმოსავლეთისკენ იყო დამხრობილი (ტაბ. II). აღნიშნული სათავსები ნაკლებად ჰგავს კაპიტალურ საცხოვრებელ ნაგებობებს. ისინი, უფრო, საზაფხულო სადგომებს უნდა წარმოადგენდნენ. მითუმეტეს, რომ ჯავახეთი ძველადაც და დღესაც მესაქონლეობის განვითარებისათვის (როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა) საუკეთესო პირობების მქონე რეგიონია.

**თხრილი №45, სახლი №1 (ტაბ. II):** სახლი (20 კვ.მ.) მიწაშია გამართული და როგორც ჩანს, ნახევრადმიწურს წარმოადგენდა. იგი ნაგრძელებული ოთხკუთხა მოყვანილობისაა (ზომები: 4,8 მ -დასავლეთის კედელი, 4,4 მ - აღმოსავლეთის კედელი, 4,5 მ - სამხრეთის კედელი, 4,5 მ - ჩრდილოეთის კედელი). შენობა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით არის დამხრობილი. შესასვლელი კარი სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს - კედლების კუთხეში უნდა ყოფილიყო გამართული. ღიობის სიგანე - 1,1 მ-ია. ზღურბლის ადგილას დიდი ზომის გულამოღებული ქვა დევს (1,7X0,6X0,4 მ). სავარაუდოდ, აქედან იყო ამოსასვლელი სახლიდან. იატაკის დონე თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 2 მ-ის სიღრმეზეა. სახლის აღმოსავლეთის კედელი 4,8 მ-ის სიგრძეზე ჩრდილოეთისკენ ორ რიგად და ორ მწკრივად არის ნაშენი - საშუალო და დიდი ზომის ქვატეხილებით (კედლის სისქე - 0,8 მ). შემდეგ ჩრდილოეთით 0,7 მ-ის სიგრძეზე წყდება - დაზიანებულია. შემდეგ

კი 0,8 მ-ზე კვლავ ორ რიგად არის ნაწყობი (ქვის ზომები: 0,9X0,75X0,2 მ, 0,35X0,35X0,2 მ). იგი შემორჩენილია 0,75 მ-ის სიმაღლეზე. ჩრდილოეთის კედელიც ორ რიგად და ორ მწკრივად ნაწყობი ქვატეხილისაგან შედგება (კედლის სიგანე - 0,5-0,6 მ). ყველა კედელი თიხამინითაა შემტკიცებული. კედლის წინ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 1,7 მ-ის სიგრძეზე მოწყობილია ჩამოსაჯდომი მერხი ერთრიგად დაწყობილი ქვებისგან (სიგანე -0,35, სიმაღლე- 0,33 მ).

სახლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, 1,7 მ-ის სიმაღლეზე მოწყობილია ნიშა - სალოცავი. ქვების ერთრიგა წყობით მომრგვალებული თალია გადმოყვანილი. ნიშის სიღრმე - 0,5-0,6 მ-ია. მის წინ მოწყობილია შემალღებული მოედანი და ქვატეხილით ნაგები თარო (0,6 X 0,35 X 0,38 მ.). იგი მიდგმულია სალოცავის დასავლეთ კედელ-თაღთან. დასავლეთის კედელი (4,5-4,8 მ) სამხრეთ ნაწილში - 2,5 მ-ის სიგრძეზე ნაგებია ქვატეხილის 4-5 რიგად და ერთ მწკრივად (კედლის სიმაღლე - 1,36 მ., სიგანე - 0,5 მ.), ხოლო ჩრდილოეთის მხარეს - 2,5 მ. სიგრძეზე არეული წყობაა. 3-4 რიგი ქვატეხილები - ერთმწკრივადაა ნაწყობი (ქვის ზომები: 0,9X0,4 მ; 0,4X0,3 X0,2 მ და ა.შ.). სამხრეთის კედელი დეფორმირებულია, შუა ნაწილში შიდა მხრისკენაა გადაზნექილი (სიგრძე - 4,4 მ, სიგანე - 0,4 მ, შემორჩენილი სიმაღლე - 1,1 მ).

შენობის იატაკი, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ, ასევე ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (2,7X2 მ) ბაზალტის ბრტყელი, არათანაბარი ზომის ქვებითაა მოგებული (ზომები: 0,65X0,6; 0,5X0,6; 0,25X0,25 მ და ა.შ.). შენობის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა დედაბოძის ბაზა-ბალიში. იგი ექვსნახნაგაა (ზომები: 0,34X0,34X0,35 მ). სამხრეთის კედელთან, საკარე ღიობიდან ერთი მეტრის დაშორებით დაფიქსირდა სამალავი-საცავი, რომელიც უშუალოდ შენობის სამხრეთ კედელზე იყო მიბჯენილი. იგი წარმოადგენდა იატაკში ჩადგმულ ოთხ ფილაქვას, რომელსაც ყუთის ფორმა ჰქონდა (შიდა ზომები:

0,4X0,4X0,35 მ). საცავი შევსებული იყო მიწითა და ქვებით. სახლი, სავარაუდოდ, მიწისძვრის შედეგად დეფორმირებულია და მიტოვებული ჩანს. სამხრეთის კედლიდან 1,25 მ-ის დაცილებით, ხოლო დასავლეთის კედლიდან ერთ მეტრზე გამოვლინდა კერა (ზომები: 0,45X0,45 მ). იგი ფილაფენილ იატაკში 0,15 მ-ის სიღრმეზეა გამართული. მისგან დასავლეთით სანაცრეა მოწყობილი (0,55X0,5 მ). ისიც ფილაქვებიან იატაკშია ჩაღრმავებული. ორივეგან შეინიშნებოდა დანახშირებული შრე. სახლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, დასავლეთის კედლიდან 2 მ-ის დაცილებით აღმოჩნდა პირჩამხობილი, ოვალისებური ფორმის კეცი (ზომები: 0,6X0,25 მ), რომელიც თავსა და ბოლოში შევიწროებულია. შენობის იატაკის პრეპარაციისას, დასავლეთ კედლიდან ერთ მეტრზე, გამოვლინდა ვერტიკალურად ჩადგმული ფილაქვა (0,4X0,5 მ), მის გვერდით – აღმოსავლეთით – მოყვითალო ფერის თიხნარ ნიადაგში აღმოჩნდა დანახშირებული ფენა (0,4X0,2X0,05 მ), რომელშიც ნიღის ნატეხები და ნალვენტები დაფიქსირდა. სახლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გამოვლინდა სამეურნეო ორმო-ხარო (დმ-1,1 მ; სიღრმე – 0,6 მ), ალბათ პროდუქტების შესანახად მოწყობილი. იგი საშუალო ზომის ქვატეხილებითა და მოშავო ფერის – ორგანულნაერთიანი მიწით იყო შევსებული. ამომენდისას ამოვიდა კეცის ნაწილი, თიხის ჭურჭლის ნატეხები და ცხოველის ძვლები. ორმოს ცილინდრული ფორმა აქვს – ძირისკენ ოდნავ გაფართოებულია.

№1 სახლის გამოვლენისას ჩნდებოდა დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭლის ნატეხები: მოშავოდ, მოწითალოდ, მოყავისფროდ და მოჩალისფროდ გამომწვარი. მათ შორის გამოირჩა: ქოთნის (№№ 1,3,4,8,15,29,31,38), ჯამის (№№ 17,67,75,100,101), დერგის (№№ 22,38,40,41,67,98), კოჭბის (№№ 21,34,36,72), დოქის (№№ 82,87,88), ჩაფის (№ 96) ნაწილები; აგრეთვე, წითლად ანგობირებული და მოხატული ჭურჭლის ნატეხები (№ 18, 162, 163), (ტაბ. III-IX).

#### **№1 სახლში აღმოჩენილი არტეფაქტები:**

1. ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი, ლეგამონაცრისფროდ გამომწვარი. კეცი გადანატეხში მოყავისფრო-მონაცრისფროა, ქვიშანარევი. ზედაპირი დაშაშრული და ნაპრიალები, პირი დაბრტყელებული და შიდაპირისკენ დაქანებული აქვს, ყელი გამოყვანილი.

2. თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, შავად გამომწვარი. კეცი მონაცრისფროა, სილანარევი, შავპრიალა. ზედაპირზე ემჩნევა ირიბი ნაკანრი ზოლები (შეგრონები). აღმოჩნდა № 45 თხრილში, №1 სახლის დასავლეთი და სამხრეთი კედლების გამოვლენისას.

3. ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი. პირი დაბრტყელებული და შიგნით დაქანებული, ყელი გამოყვანილი. აღმოჩნდა სახლის დასავლეთი და სამხრეთი კედლების გამოვლენისას.

4. ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი. კეცი მოყავისფროა, სილანარევი. ზედაპირზე და შიდაპირზე ემჩნევა წერტილოვანი ჩანართები და ღრმულები. ზედაპირი ნაპრიალებია, პირი ოდნავ გადაშლილი, ყელი გამოყვანილი. აღმოჩნდა იქვე.

5. ქოთნის (კოჭობის) პირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი, კეცი მოყავისფრო-სილანარევი, პირი ოდნავ შესქელებული და მომრგვალებული აქვს, ყელი ოდნავ შეზნექილი. ნაპრიალებზე ზედაპირზე ემჩნევა წერტილოვანი ჩანართები. აღმოჩნდა სახლის დასავლეთი და სამხრეთი კედლების გამოვლენისას.

6. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი. პირი დაბრტყელებული აქვს, ოდნავ შეზნექილი, გვერდი მცირედ შეზნექილი, წიბოიანი. ზედაპირი ნაპრიალებია, ემჩნევა თეთრი ჩანართები. აღმოჩნდა იატაკზე, აღმოსავლეთ კედელთან.

7. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, პირ-მოყრილი, გვერდი დამრეცია - წიბოიანი, კალთა დაქანებული. აღმოჩნდა იატაკზე, აღ-

მოსავლეთ კედელთან.

8. ქოთნის პირ-გვერდის ნაწილი, მოშავოდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, ყელი-გამოყვანილი. კეცი მოყავისფროა, სილანარევი. ზედაპირზე ემჩნევა თეთრი ჩანარები. აღმოჩნდა იატაკზე, აღმოსავლეთ კედელთან.

9. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, მონითალოდ გამომწვარი, პირი გადანატეხში მონითალო-მოყავისფროა, სილანარევი. პირ-მოყრილი, ბაკო მომრგვალებული. ზედაპირი და შიდაპირი დაფარულია წითელი ანგობით. აღმოჩნდა იატაკზე, აღმოსავლეთ კედელთან.

10. ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, ქუსლიანი. კეცი მოყავისფრო-სილანარევი, ზედაპირი ნაპრიალები, შიდაპირი მოშავო ფერისაა. ზედაპირზე ემჩნევა თეთრი ჩანარები და ნერტილოვანი ღრმულები. აღმოჩნდა იატაკზე, აღმოსავლეთ კედელთან.

11. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, მონითალო-მოყავისფროდ გამომწვარი, კეცი მოყავისფროა, სილანარევი, ზედაპირი ნაპრიალებია. პირმოყრილი. აღმოჩნდა იატაკზე, აღმოსავლეთ კედელთან.

12. ქოთნის ძირ-გვერდის ნატეხი, ლეგამონაცრისფროდ გამომწვარი, კეცი მონაცრისფროა, სილანარევი. ძირი ბრტყელი აქვს, ზედაპირზე ემჩნევა თეთრი ჩანარები და ნერტილოვანი ღრმულები. აღმოჩნდა იატაკზე, აღმოსავლეთ კედელთან.

13. ქოთნის ძირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, კეცი გადანატეხში ქვიშანარევი, ზედაპირი ნაპრიალებია. ემჩნევა თეთრი ჩანარები და ნერტილოვანი ღრმულები. აღმოჩნდა იატაკზე, აღმოსავლეთ კედელთან.

14. თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევი, გვერდი გახვრეტილი აქვს. დმ - 0,5 სმ. აღმოჩნდა იატაკზე, აღმოსავლეთ კედელთან.

15. ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი. კეცი გადანა-

ტეხში მოყავისფროა, სილანარევი. ზედაპირი დაშაშრულია. ემჩნევა ნერტილოვანი ჩანარები და ღრმულები. პირი შესქელებული და დაბრტყელებული აქვს. აღმოჩნდა სახლის კედლების გამოვლენისას.

16. თიხის ჭურჭლის (ბადია) პირ-გვერდის ნაწილი, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, კეცი გადანატეხში სილანარევი. პირ-მოყრილი, ზედაპირი ნაპრიალები, გვერდი თანაბრად გამობერილი აქვს. პირს ქვემოთ სადინარი ჰქონია. ამჟამად მოტეხილია. ემჩნევა ცეცხლში მოხვედრის კვალი. შემორჩენილი სიმაღლე-12 სმ. აღმოჩნდა №1 სახლის კედლების გამოვლენისას.

17. კეცის გვერდისა და ძირის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, პირდაბრტყელებული. აქვს თანაბრად გამობერილი გვერდი და დაშაშრული ზედაპირი. ხელითაა ნაძერწი. აღმოჩნდა №1 სახლის კედლების გამოვლენისას.

18. თიხის ჭურჭლის ნატეხი, მოყავისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი. კეცი სილანარევი. ზედაპირი ანგობირებულია, რომელზედაც წითელი ნერნაქის ზოლი გასდევს. აღმოჩნდა სახლის დასავლეთ კედლის გამოვლენისას.

19. თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი. კეცი ქვიშანარევი, ძირი ბრტყელი, გამოყვანილი, ზედაპირი შავპრიალა. ემჩნევა წნეხვით დატანილი ზოლები. გვერდი ირიბად დაქანებულია. აღმოჩნდა 0,6 მ-ის სიღრმეზე.

20. ჯამი, მოყავისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევი, ოდნავ პირმოყრილი, პირი დაბრტყელებული აქვს, გვერდი თანაბრად მომრგვალებული, კალთა – დაქანებულია, ზედაპირი ნაპრიალები. აღმოჩნდა იატაკიდან 0,2-0,5 მ-ის სიმაღლეზე.

21. თიხის ჭურჭლის (კოჭობის) პირ-გვერდის ნაწილი, მოჩალისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევი, პირი მომრგვალებული და გადაშლილი აქვს, ყელი გამოყვანილი, მხრისკენ გაფართოებული. აღმოჩნდა იატაკიდან 0,2-0,5 მ-ის სიმაღლეზე.

22. თიხის ჭურჭლის (დერგის) პირ-გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი. კეცი სილანარევია-ჩანართებიანი. პირი დაბრტყელებული და ოდნავ გადაშლილი აქვს, ყელი გამოყვანილი. პირის სიგანე-0,8 სმ. აღმოჩნდა იატაკიდან 0,2-0,5 მ-ის სიმაღლეზე.

23. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნაწილი, მოჩალისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი. კეცი მოყავისფროა, სილანარევი. პირი მრგვალი, გადაშლილი, ყელისკენ გაფართოებული. აღმოჩნდა იატაკიდან 0,2-0,5 მ-ის სიმაღლეზე.

24. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი, მოჩალისფროდ გამომწვარი. პირი შესქელებული და დაბრტყელებული აქვს, კეცი სილანარევია, ჩანართებიანი, პირის სიგანე - 0,5 სმ. აღმოჩნდა იატაკიდან 0,2-0,5 მ-ის სიმაღლეზე.

25. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი, მოჩალისფროდ გამომწვარი. პირი მომრგვალებული და ოდნავ დაბრტყელებული აქვს, ძირისკენ მკვეთრად გაფართოებულია, კეცი მოყავისფრო, ქვიშანარევი, ჩანართებიანი. ზედაპირი ნაპრიალებია. აღმოჩნდა იატაკიდან 0,2-0,5 მ-ის სიმაღლეზე.

26. თიხის ჭურჭლის (ჯამის) პირ-გვერდის ნატეხი, კეცი სილანარევი, პირი ფართო, დაბრტყელებული და გამოყოფილი აქვს, ბაკო - მომრგვალებული, პირის სიგანე - 0,6 სმ. აღმოჩნდა იატაკიდან 0,2-0,5 მ-ის სიმაღლეზე.

27. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, პირი მრგვალი, ოდნავ გადაშლილი, გვერდი მცირედ შეზნექილი. აღმოჩნდა იატაკიდან 0,2-0,5 მ-ის სიმაღლეზე.

28. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. კეცი სილანარევია, პირი გადაშლილი, დაბრტყელებული და შიგნით დაქანებული, ბაკო ბრტყელი, გვერდი შეზნექილი, ზედაპირზე ემჩნევა თეთრი ჩანართები. ზედაპირი ნაპრიალები ყოფილა. აღმოჩნდა დასავლეთ ნაწილში კედელთან, იატაკიდან 0,5-0,7 მ-ის

სიმაღლეზე.

29. ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი თიხისა. კეცი სილანარევია, ჩანართებიანი. პირი გადაშლილი აქვს, ყელი გამოყოფილი. პირი ფართო, დაბრტყელებული. ზედაპირზე ემჩნევა მარცვლოვანი ჩანართები. აღმოჩნდა დასავლეთ ნაწილში კედელთან, იატაკიდან 0,5-0,7 მ-ის სიმაღლეზე.

30. თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოჩალისფრო-მონითალოდ გამომწვარი, კეცი სილანარევი. ზედაპირი დაფარულია ღია-მოვარდისფრო ანგობით, შემდეგ კი მოხატულია წითელი წერნაქით. ჰორიზონტულად გასდევს ზოლი, რომლისგანაც შვეულად, ოვალისებური ზოლია გამოსული. კეცის სისქე - 0,5 სმ. აღმოჩნდა დასავლეთ ნაწილში კედელთან, იატაკიდან 0,5-0,7 მ-ის სიმაღლეზე.

31. თიხის ჭურჭლის (ქოთნის) ძირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი აქვს, ზედაპირზე ემჩნევა წერტილოვანი ჩანართები და ღრმულები. კეცის სისქე - 1,5 სმ. აღმოჩნდა დასავლეთ ნაწილში კედელთან, იატაკიდან 0,5-0,7 მ-ის სიმაღლეზე.

32. თიხის ჭურჭლის ყურის ნაწილი, ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი. განივკვეთში მომრგვალებულია. კეცი სილანარევია. ზედაპირზე ემჩნევა წერტილოვანი ჩანართები. აღმოჩნდა დასავლეთ ნაწილში კედელთან, იატაკიდან 0,5-0,7 მ-ის სიმაღლეზე.

33. თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოვარდისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, ჩანართებიანი. ზედაპირზე აქვს ნახვრეტი. აღმოჩნდა იქვე, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან - 0,5-0,9 მ-ის სიღრმეზე.

34. თიხის ჭურჭლის (კოჭობის) პირ-გვერდის ნატეხი, ჩალისფრად გამომწვარი, კეცი კარგად განლექილია. პირი გადაშლილი აქვს, ყელი გამოყვანილი. აღმოჩნდა იქვე, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან - 0,5-0,9 მ-ის სიღრმეზე.

35. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნაწილი, ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი, კეცი ქვიშანარევია, პირი გადაშლილი აქვს, ყელი – გამოყვანილი. ზედაპირი ნაპრიალებია, ჩანართებიანი, კეცის სისქე – 1 სმ. აღმოჩნდა იატაკიდან – 0,5-0,7 მ-ის სიმაღლეზე.

36. თიხის ჭურჭლის (კოჭობის) პირ-გვერდის ნაწილი, მოჩალისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი, შესქელებული აქვს, ყელი -ამოყვანილი, კეცის სისქე – 0,5 სმ. აღმოჩნდა იატაკიდან – 0,5-0,7 მ-ის სიმაღლეზე.

37. თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, ჩანართებიანი. ძირი ბრტყელი, გამოყვანილი აქვს, ზედაპირი ნაპრიალები. კეცის სისქე – 0,8 სმ. აღმოჩნდა იატაკიდან – 0,5-0,7 მ-ის სიმაღლეზე.

38. თიხის ჭურჭლის (დერგის) პირ-გვერდის ნატეხი, მოჩალისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი, დაბრტყელებული აქვს, ყელი - გამოყვანილი, კეცი გადანატეხში სილანარევია, ჩანართებიანი, ზედაპირი ნაპრიალები. აღმოჩნდა იქვე, იატაკიდან 0,6-0,8 მ-ის სიმაღლეზე.

39. თიხის ჭურჭლის (ქოთანის) პირ-გვერდის ნატეხი, მოჩალისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, ჩანართებიანი, პირი გადაშლილი აქვს, გვერდი შეზნექილი, ზედაპირი ნაპრიალები. ემჩნევა წერტილოვანი ჩანართები. კეცის სისქე – 1 სმ. აღმოჩნდა იქვე, იატაკიდან 0,6-0,8 მ-ის სიმაღლეზე.

40. თიხის ჭურჭლის (დერგის) ძირ-გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი. კეცი გადანატეხში სილანარევია, ჩანართებიანი. ძირი ბრტყელი აქვს. კეცის სისქე – 1 სმ. აღმოჩნდა იქვე, იატაკიდან 0,6-0,8 მ-ის სიმაღლეზე.

41. თიხის ჭურჭლის (დერგის) პირ-გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი. კეცი სილანარევია, ჩანართებიანი. პირი მომრგვალებული აქვს, ყელი - გამოყოფილი. ზედაპირი ნაპრიალები, ემჩნევა წერტილოვანი ღრმულები და ჩანართები, კეცის სისქე – 1,5 სმ. აღმოჩნდა იქვე, იატაკიდან 0,6-0,8 მ-ის

სიმაღლეზე.

42. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი, მოჩალისფროდ გამომწვარი, კეცი მოყავისფროა, სილანარევი. პირი ბრტყელი აქვს, გვერდი სწორი. ზედაპირზე ემჩნევა წერტილოვანი ჩანართები. პირის სიგანე – 1 სმ. კეცის სისქე – 2 სმ. აღმოჩნდა იქვე, იატაკიდან 0,6-0,8 მ-ის სიმაღლეზე.

43. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი მოშავოდ გამომწვარი, პირმოყრილი, გვერდი მომრგვალებული. კეცი სილანარევია. ზედაპირი ნაპრიალები აქვს. კეცის სისქე – 0,5 სმ. აღმოჩნდა იქვე, იატაკიდან 0,6-0,8 მ-ის სიმაღლეზე.

44. თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოჩალისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, ზედაპირი ნაპრიალები აქვს. ზედაპირზე აქვს პატარა მრგვალი ნახვრეტი. კეცის სისქე – 0,8 სმ. ნახვრეტის დმ – 0,6 სმ. აღმოჩნდა იქვე, იატაკიდან 0,6-0,8 მ-ის სიმაღლეზე.

45. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, კეცი სილანარევია, ჩანართებიანი. პირმოყრილი, გვერდი მომრგვალებული აქვს, კალთა თანაბრად დაქანებული, კეცის სისქე – 0,5 სმ. აღმოჩნდა იატაკის სიახლოვეს.

46. თიხის ჭურჭლის ყურ-გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, ჩანართებიანი. შემორჩენილია მომრგვალებულ-ოთხკუთხა ყურის ნატეხი. ზედაპირზე ემჩნევა წერტილოვანი ჩანართები და ღრმულები. ნაპრიალებია. ყურის სიგანე – 2 სმ. აღმოჩნდა იატაკის სიახლოვეს.

47. თიხის ჭურჭლის (დერგი) პირ-გვერდის ნატეხი, ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, ჩანართებიანი, პირი გადაშლილი, ბაკო მომრგვალებული. ზედაპირზე ემჩნევა ზოლები. უხეში ნახელავია. კეცის სისქე – 1 სმ. აღმოჩნდა იატაკის სიახლოვეს.

48. თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი, კეცი სილანარევია. ძირი ბრტყელი აქვს, ზედაპირი ნაპრიალები. ემჩნევა წერტილოვანი ჩა-

ნართები. აღმოჩნდა იატაკის სიახლოვეს.

49. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, პირი მრგვალი, გადაშლილი აქვს, გვერდი - შეზნექილი, მხარი - ნიბოიანი, ზედაპირი ნაპრიალები. კეცის სისქე - 0,4-0,8 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

50. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, პირი გადაშლილი და დაბრტყელებული აქვს, ყელი - გამოყვანილი. ზედაპირზე წნეხვით დატანილი ზოლები დაუყვება. ნაპრიალებია, ემჩნევა ნერტილოვანი ჩანართები. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

51. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი, კეცი მოყავისფროა, სილანარევი. პირი გადაშლილი აქვს. გვერდი შეზნექილი, შავპრიალა. ზედაპირზე ემჩნევა ნერტილოვანი ღრმულები და ჩანართები. კეცის სისქე - 0,5 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

52. თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი, კეცი სილანარევია. ზედაპირზე ემჩნევა წნეხვით შესრულებული შვეული ზოლები. კეცის სისქე - 0,4 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

53. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, პირმოყრილი, გვერდი მომრგვალებულია, კეცის სისქე - 0,8 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

54. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, მოშავოდ გამომწვარი, კეცი სილანარევია. ზედაპირზე ემჩნევა ჩარხისმიერი ზოლები და წნეხვით დატანილი შავი ნაპრიალები ზოლი. კეცის სისქე - 0,5 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

55. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, პირმოყრილი, გვერდი მომრგვალებული აქვს, ზედაპირი ნაპრიალები. კეცის სისქე - 0,5 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

56. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი, მონაცრისფროდ გამომწვარი, კეცი

სილანარევია, პირი გადაშლილი აქვს. ყელი გამოყვანილი. ზედაპირი ნაპრიალებია. კეცის სისქე - 0,6 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

57. თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, ჩანართებიანი. ზედაპირზე გასდევს ნაპრიალები ჰორიზონტული ზოლი, აქვს ნახვრეტი. კეცის სისქე - 0,7 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

58. ჯამის პირ-გვერდის ნაწილი, შავად გამომწვარი, შავპრიალა, კეცი სილანარევია, პირი დაბრტყელებული აქვს, გვერდი თანაბრად მომრგვალებული, ზედაპირზე ემჩნევა ნაპრიალები ზოლები. კეცის სისქე - 0,7 სმ. აღმოჩნდა იქვე.

59. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, პირი მომრგვალებული, ზედაპირი ნაპრიალები. კეცის სისქე - 1 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

60. თიხის ჭურჭლის ყურის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, მინარევებიანი. შემორჩენილია განივკვეთში მომრგვალებულ-ოთხკუთხა ყურის ნაწილი. ზედაპირი ნაპრიალები აქვს. ზომები: 3 X 2,8 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

61. თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, აგურისფრად გამომწვარი, კეცი სილანარევია. ზედაპირი დაფარულია მოყვითალო ფერის ანგობით, რომელზედაც ნითელი ნერნაქით ზოლია გამოსახული. კეცის სისქე - 0,4 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

62. თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოჩალისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, ზედაპირი დაფარულია მონითალო-მოყავისფრო ანგობით. აქვს ნახვრეტი. ნახვრეტის დმ - 0,5 სმ. კეცის სისქე-1 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

63. თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოჩალისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, მინარევებიანი, ზედაპირი ნაპრიალებია, ემჩნევა ჰორიზონტული და ირიბი ზოლებით შედგენილი ორნამენტი. კეცის სისქე - 1 სმ.



აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

64. თიხის ჭურჭლის (ჯამის) პირ-გვერდის ნატეხი, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია. პირმოყრილი, გვერდი თანაბრად მომრგვალებული, ზედაპირი ნაპრიალებია, ემჩნევა წნეხვით შესრულებული ირიბი და ზიგზაგისებური ზოლები, კეცის სისქე – 1 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

65. ყურის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევი, განივკვეთში ოთხკუთხა. ზომები: 2X1,5 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

66. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი, კეცი გადანატეხში სილანარევია, მინარევებიანი. პირგადაშლილი, პირი დაქანებული და დაბრტყელებულ აქვს, გვერდი სწორი-გამოყვანილი, ზედაპირი უსწორმასწორო და დაშაშრული აქვს. პირის სიგანე – 2,8 სმ. კეცის სისქე- 1 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

67. კეცის გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, პირი მომრგვალებული აქვს, ძირისკენ გაფართოებული, უხეში ნახელავია. ზედაპირი გადაგლესილ-დამსკდარი, ხელითაა ნაძერნი, კეცის სისქე – 4 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

68. თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ძირბრტყელი, კეცი სილანარევია, მინარევებიანი, ზედაპირი ნაპრიალებია, ემჩნევა სამკუთხა ნაკანრი ზოლების ორნამენტი. კეცის სისქე – 1,5 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

69. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, პირმოყრილი, პირი დაბრტყელებული აქვს, გვერდი სწორი, კალთა დაქანებული, ნაპრიალები ზედაპირი დაშაშრული აქვს. პირის სიგანე – 1 სმ. კეცის სისქე – 0,5 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

70. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი თიხისა, კეცი სილანარევია. პირმოყრილი, ბაკომომრგვალებული,

ზედაპირი ნაპრიალებია. კეცის სისქე – 1 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

71. თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, ჩანართებიანი, ძირბრტყელი, ზედაპირი დაშაშრული აქვს, გვერდი თანაბრად გაფართოებული, კეცის სისქე – 1 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

72. კოჭობის პირ-გვერდის ნატეხი, მოჩალისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია – კარგად გამომწვარი. პირი მრგვალი, გადაშლილი აქვს, გვერდი შეზნექილი, ზედაპირი ნაპრიალები, კეცის სისქე – 0,4 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

73. თიხის ჭურჭლის (ჯამის?) პირ-გვერდის ნატეხი, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, პირი დაბრტყელებული აქვს, კეცი ქვიშანარევია, ზედაპირი ნაპრიალები აქვს. პირის სიგანე – 1,5 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

74. თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, მინარევებიანი, ძირი ბრტყელი აქვს, ზედაპირი ნაპრიალები-დაშაშრული. კეცის სისქე – 1 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

75. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, პირი მრგვალი, გადაშლილი აქვს, ყელი გამოყვანილი, გვერდი ნიბოიანი. ზედაპირი ნაპრიალები აქვს. კეცის სისქე-0,4 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

76. თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი, კეცი მოყავისფროა, სილანარევი. ძირი ბრტყელი აქვს, ზედაპირი ნაპრიალები. კეცის სისქე-1 სმ. აღმოჩნდა იატაკის გამოვლენისას.

77. თიხის ჭურჭლის (დოქის) ძირ-გვერდის ნატეხი, მოჩალისფრო-მოშავოდ გამომწვარი, კეცი მოყავისფროა, სილანარევი, თეთრჩანართებიანი. ძირი ბრტყელი აქვს, გვერდები თანაბრად გაფართოებული. ზედაპირზე ემჩნევა ქარსის ჩანართები და წერტი-

ლოვანი ღრმულები. ნაპრიალებია. კეცის სისქე-0,7 სმ. აღმოჩნდა იატაკზე, დასავლეთ ნაწილში.

78. თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოშავოდ გამომწვარი, კეცი სილანარევიანია. ძირი - ბრტყელი, ზედაპირი მოგლუვებული აქვს. კეცის სისქე - 0,8 სმ . აღმოჩნდა ხაროში.

79. თიხის ჭურჭლის (ჯამის) პირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევიანია, ჩანართებიანი. პირმოყრილი, ბაკო ნიბოიანი აქვს. ზედაპირზე ემჩნევა ნაპრიალები ზოლები. კეცის სისქე— 0,8 სმ. აღმოჩნდა იატაკზე, დასავლეთ ნაწილში.

80. დოქის პირ-ყელის ნაწილი, მოშავოდ გამომწვარი, კეცი სილანარევიანია, ჩანართებიანი, პირი მრგვალი, გადაშლილი აქვს, ყელი გამოყვანილი, ცილინდრული. ზედაპირი ნაპრიალები, ემჩნევა წნეხვით დატანილი შვეული ზოლები. პირის დმ - 8 სმ. აღმოჩნდა იატაკზე, დასავლეთ ნაწილში.

81. თიხის ჭურჭლის (ჯამის) პირ-გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი, კეცი სილანარევიანია, კარგად განლექილი, პირი დაბრტყელებული აქვს, გვერდი შვეული, ზედაპირი ნაპრიალები, პირის სიგანე - 1,3 სმ, კეცის სისქე - 1 სმ. აღმოჩნდა იატაკზე, დასავლეთ ნაწილში.

82. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნაწილი, მოშავოდ გამომწვარი, კეცი სილანარევიანია, კარგად განლექილი. პირი მომრგვალებული აქვს, ყელი გამოყვანილი, ზედაპირი ნაპრიალები. კეცის სისქე - 0,8 სმ. აღმოჩნდა იატაკზე, დასავლეთ ნაწილში.

83. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნაწილი, მოშავოდ გამომწვარი, კეცი მოყავისფროა, სილანარევი, პირი გადაშლილი, დაბრტყელებული აქვს, ყელი - გამოყვანილი, ზედაპირზე ნაპრიალები ზოლები ემჩნევა. კეცის სისქე - 1 სმ. აღმოჩნდა იატაკზე, დასავლეთ ნაწილში.

84. თიხის ჭურჭლის ყელ-გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი, კეცი სილანარევიანია, კარგად განლექილი, ყელს ქვემოთ რე-

ლიეფური სარტყელი გასდევს, მის ქვემოთ კი შვეული პრიალა ზოლები ემჩნევა. ყელზე ნაკანრი სამკუთხედებით შექმნილი ზოლი შემოსდევს, ნაკანრი ზოლები ემჩნევა გვერდზეც. კეცის სისქე - 0,7 სმ. აღმოჩნდა იატაკზე, დასავლეთ ნაწილში.

85. კეცის ნაწილი, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, ხელითაა ნაძერწი. კეცი მოყავისფროა, სილანარევი, პირი მომრგვალებულია, ძირისკენ გაფართოებული, ძირი ბრტყელი აქვს. ზედაპირზე შეინიშნება მცენარეული ჩანართები და ღრმულები. სიმაღლე - 7 სმ. გვერდის სისქე - 3,5 სმ. აღმოჩნდა ხაროში.

86. კეცის ნაწილი, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, კეცი მოყავისფროა, ჩანართებიანი. ზედაპირზე შეინიშნება ღრმულები და ჩანართები, ხელითაა ნაძერწი, პირი მომრგვალებულია და ძირისკენ გაფართოებული, გვერდი შვეული, ძირი ბრტყელი აქვს. გვერდის სიმაღლე - 7,7 სმ. კეცის სისქე - 3,2 სმ. აღმოჩნდა ხაროში.

87. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, ყელი გამოყვანილი, ზედაპირი ნაპრიალები, კეცის სისქე - 0,8 სმ. აღმოჩნდა ხაროში.

88. თიხის ჭურჭლის გვერდის ნაწილი შავად გამომწვარი, კეცი სილანარევიანია, ჩანართებიანი, ზედაპირი შავპრიალა, ემჩნევა ნაკანრი სამკუთხედის გამოსახულება. კეცის სისქე - 0,8 სმ. აღმოჩნდა ხაროში.

89. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი, მოშავოდ-მოყავისფროდ გამომწვარი, კეცი მოყავისფროა, სილანარევი, პირი მრგვალი აქვს-გადაშლილი, ყელი - გამოყვანილი. ზედაპირი შავპრიალა, შიდაპირი მოყავისფროა და პრიალა. კეცის სისქე - 0,5 სმ. აღმოჩნდა ხაროში.

90. თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევიანია, ჩანართებიანი. ზედაპირზე გამოსახულია ტალღისებური რელიეფური ორნამენტი. კეცის სისქე - 1 სმ. აღმოჩნდა ხაროში.

91. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, მოყავის-

ფროდ გამომწვარი, თხელკედლიანი თიხისა, კეცი სილანარევია. პირმოყრილი, პირი მომრგვალებულია, კალთა დაქანებული. ზედაპირი დაფარულია წითელი ანგობით. კეცის სისქე – 0,4 სმ. აღმოჩნდა ხაროში.

92. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, ჩანართებიანი. პირი გადაშლილი აქვს, ყელი - გამოყვანილი. ზედაპირზე ემჩნევა ნაპრიალები ჰორიზონტული ზოლები. კეცის სისქე – 0,4 სმ. აღმოჩნდა ხაროში.

93. თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი. კეცი სილანარევია, კარგადაა განლექილი. შავპრიალა, ზედაპირზე აქვს კოპისებური შვერილი. კეცის სისქე – 0,4 სმ. აღმოჩნდა ხაროში.

94. ჩაფის პირ-გვერდისა და ყურის ნატეხი, ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, კარგად განლექილი. პირი მრგვალი, გადაშლილი აქვს, ყელი ცილინდრული, გამოყვანილი, განივკვეთში მომრგვალებულ-ოთხკუთხა ყურისთავი უშუალოდ პირზეა დაძერწილი, ნაპრიალებია, ზედაპირზე ემჩნევა თეთრი ჩანართები და წერტილოვანი ღრმულები. პირის დმ – 8,5 სმ. კეცის სისქე – 0,8 სმ. აღმოჩნდა ჩრდილო კედელთან, იატაკის სიახლოვეს.

95. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდისა და ყურის ნატეხი, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, პირი გადაშლილი აქვს, ყელი გამოყვანილი. ოვალისებური ყურისთავი უშუალოდ პირზეა დაძერწილი, ზედაპირზე ემჩნევა წერტილოვანი ჩანართები, ყურის ზომები: 1,5X1,3 სმ. აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, იატაკთან.

96. თიხის ჭურჭლის (დერგის?) გვერდის ნატეხი, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, კარგად განლექილი. ზედაპირი ნაპრიალებია. აქვს ნახვრეტი. ზედაპირზე ემჩნევა წერტილოვანი ჩანართები. კეცის სისქე – 0,7 სმ. ნახვრეტის დმ. - 0,5 სმ. აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, იატაკთან.

97. თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი,

ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, ძირი ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი აქვს, გვერდი მომრგვალებული, ზედაპირი ნაპრიალები. კეცის სისქე – 0,5 სმ. აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, იატაკთან.

98. თიხის ჭურჭლის (ჯამის) პირ-გვერდის ნატეხი, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, პირმოყრილი, გვერდი მომრგვალებული აქვს. კეცის სისქე – 0,5 სმ. აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, იატაკთან.

99. კეცის გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, კეცი ქვიშანარევია, მცენარეულ ჩანართებიანი, პირი მომრგვალებული აქვს, ძირისკენ ოდნავ გაფართოებული, ხელითაა ნაძერწი. კეცის სისქე 3 სმ.

100. კეცი, მოყავისფროდ გამომწვარი, ქვიშანარევია, ჩანართებიანი. პირი მომრგვალებული, შიგნით ჩაკეცილი აქვს. ოვალისებური მოყვანილობისაა, თავთან შევიწროებული. სიგრძე - 60 სმ. სიგანე ერთ ბოლოში – 20 სმ, მეორეში – 15 სმ; პირის სიმაღლე – 4-5 სმ. აღმოჩნდა იატაკზე პირჩამხოზილი.

101. წიდის ნაწილები, რკინისა, ბურთულეები და ნატეხები. აღმოჩნდა იატაკზე დასავლეთის კედლიდან 1 მ-ის დაცილებით.

102. შურდულის ქვები (2 ც.), ბაზალტის, ოვალური ფორმის, ერთის დმ - 11X7,7 სმ; მეორის დმ - 6,3X5,3 სმ. აღმოჩნდა სათავსში, დადაბლებისას.

103. ხელსაფქვაკი, ბაზალტის, ნავისებური ფორმის, ზედაპირი დაბრტყელებულია. ემჩნევა მუშაობის კვალი. ზომები: 29,5 X16 X5,5 სმ. აღმოჩნდა სათავსში, დადაბლებისას.

104. ბადიის(?) პირ-გვერდის ნაწილი, ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი (ხელით ჩანს ნაძერწი). პირი მომრგვალებული, ოდნავ გადაშლილი აქვს, ყელი გამოყვანილი. ზედაპირი ნაპრიალები. განივკვეთში ოვალისებური ყურისთავი პირისკენ გაფართოებულია და უშუალოდ პირზე აქვს დაძერწილი (ზეანეულია), ყურის ძირი კი გვერდზე. აღმოჩნდა პირველი სახლის იატაკის დონეზე (საკონტროლო თხრილში).

105. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, მოჩალისფრო-მონითალოდ გამომწვარი, კეცი სილანარევია, კარგად განლექილი, სამფენოვანი. პირი გადაშლილი, დაბრტყელებული აქვს, ბაკო – მომრგვალებული, კალთა მომრგვალებული აქვს. პირს ქვემოთ ამოღარული ზოლი გასდევს. პირზე წითელი წერნაქით დატანილი ზოლი გასდევს. ზედაპირი ნაპრიალები ჰქონია. სახლის იატაკის დონეზე.

106. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, მოჩალისფრო-მონითალოდ გამომწვარი, თხელკედლიანი, კეცი სილანარევია, კარგად განლექილი. ზედაპირი ნაპრიალები აქვს, პირი მომრგვალებული, ვიწრო, გვერდი სწორი, ძირისკენ გაფართოებული. პირს ქვემოთ შიდა მხრიდან ემჩნევა წერნაქით დატანილი ორი ირიბი პარალელური ხაზი, რომელსაც ზემოდან მესამე ზოლიც უერთდება. სახლის იატაკზე.

107. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, შავკრი-ალა, კეცი სილანარევია, კარგად განლექილი. პირი მრგვალი, გადაშლილი აქვს, ყელი - გამოყვანილი, მხარი - ამობურცული (მზინავი ზედაპირი აქვს — შავლაკიან კერამიკას მოგვაგონებს). განაზომები: 4,5X3,5სმ. №1 სახლის იატაკის დონეზე

108. თიხის ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი, შავკრიალა, კეცი სილანარევია, კარგად განლექილი. გვერდზე რელიეფური ჰორიზონტული ზოლი გასდევს. ზომები: 2,5X2სმ. იქვე.

109. დანა, რკინისა, დაჟანგულია, მოხრილი. ცალპირლესილი. ტართან ნაკლულია - ნატეხილი. სატარე ყუნწზე შემორჩენილია ორი რკინის მანჭვალი - 1,8 სმ-ის ინტერვალში. შემორჩენილი სიგრძე - 12 სმ, პირის სიგანე - 1,7 სმ, სატარე ყუნწი - 3,5 სმ. იქვე.

პატარა გონდრიოს ნამოსახლარზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები (უმრავლესობა კერამიკას წარმოადგენს) მსგავსია და ახლო პარალელებს პოულობს აღმოსავლეთ საქართველოს სინქრონულ ძეგლებთან [ნარიმანიშვილი, 1991; გაგოშიძე, 1981]. ყველაზე ახლოს პატარა გონდრიოს ნამოსახ-

ლარზე აღმოჩენილ ძეგლთან (სახლი №1) — დგას წალკასთან გამოვლენილი დარაქოს ნამოსახლარი. კერძოდ, მსგავსია: მიწაში ამოყვანილი კედლები, ქვაფენილიანი იატაკი, კედლის გასწვრივ ქვით აშენებული მერხი, ხარო, სამალავი, საკურთხეველი და კერამიკა [ნარიმანიშვილი, 2009:94-125]. დარაქოს ნამოსახლარზე ორმოებში მოპოვებული კერამიკა განსხვავდება სახლებში აღმოჩენილი კერამიკისაგან. ორმოებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი მსგავსია რკინის ფართო ათვისების ხანის კერამიკის (ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი და მისი შუახანები). ზედა ფენაში კი - სახლებში აღმოჩენილია შეღებილი ან მოხატული კერამიკა. პატარა გონდრიოსთან გამოვლენილ №1 სახლში ორივე სახის კერამიკა თანაარსებობს. იგი ასახავს №1 სახლის ცხოვრების ორ ეტაპს. დარაქოს ნამოსახლარის ზედა ფენა - სახლებში, სამეურნეო ორმოებსა და ხაროებში აღმოჩენილი მასალების მიხედვით ძვ.წ. V-IV სს. შუა ხანებით თარიღდება, ქვედა ფენა კი ძვ. წ. VI საუკუნით [ნარიმანიშვილი, 2009:103]. ზედა ფენაშია აღმოჩენილი თეთრი ანგობით მოხატული თიხის ჭურჭელი, რომლის მსგავსი კერამიკა გამოვლინდა პატარა გონდრიოსთან (სახლი №1, ინვ. №№ 18, 112). მსგავსია, აგრეთვე პირმოყრილი (ინვ. №№ 137, 148, 152), პირდაბრტყელებული (ინვ. №№ 17, 22, 38, 66, 110), ბრტყელძირა (ინვ. №№ 31, 37, 116, 119) და პროფილირებული ჯამები (ინვ. №№ 118, 122-124), აგრეთვე თიხის სხვა ჭურჭელი. ანალოგიური თიხის ჭურჭელია დადასტურებული შიდა და ქვემო ქართლის ძეგლებზეც [გვეტაძე, 2003:14-22]. მსგავსი თიხის ჭურჭელია აღმოჩენილი ალგეთის ხეობაში [მარგიშვილი, ... 2004: 80-131; ტაბ. CXCII-CXCIV]. იქ ის ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებითა და მეორე ნახევრით თარიღდება. როგორც ზემოაღნიშნული ძეგლების განხილვიდან ირკვევა, სოფ. პატარა გონდრიოსთან აღმოჩენილი მასალები (განსაკუთრებით №1 სახლში აღმოჩენილი ასზე მეტი ერთეული თიხის ჭურჭლის ნაწილი) მსგავსია და ზოგჯერ იდენტური შიდა და

ქვემო ქართლის VI-IV სინქრონულ ძეგლებზე გამოვლენილი კერამიკისა. ამიტომ, იგი ზოგადად ძვ.წ. VI-IV სს-ით უნდა დათარიღდეს. ნაწილი კერამიკისა შესაძლოა, უფრო მოგვიანო ხანაშიც განაგრძობს არსებობას [გაგოშიძე, 1981, გვეტაძე, 1979, ნიკოლაიშვილი, ... 2010:430-453, ტაბ. IV<sub>19,26</sub>]. თუმცა, ძირითადი ნაწილი პატარა გონდრიოსთან აღმოჩენილი მასალებისა ძვ.წ. V-IV საუკუნეებისაა და ამიტომ, ძეგლის ფუნქციონირების ხანა შეიძლება ამავე პერიოდით განისაზღვროს.

პატარა გონდრიოსთან რკინიგზის ტრასის დერეფანში აღმოჩენილი არქეოლოგიურ მასალის მიხედვით ნათელი ხდება, რომ ამ 2400-2500 წლის წინ მცხოვრები მოსახლეობის მთავარი საქმიანობა მინათმოქმედება და მესაქონლეობა იყო. ამის დასტურია ნამოსახლარზე აღმოჩენილი ხელსაფეკვავეები და ცხოველის (ძროხა, ღორი, ცხენი, ცხვარი, თხა, ირემი) ძვლები. ცხოველთა სახეობები განსაზღვრა ან განსვენებულმა პალეოზოოლოგმა ოლეგ ბენდუქიძემ. ირმის ძვლების აღმოჩენა მიანიშნებს, რომ სამეურნეო საქმიანობასთან ერთად მოსახლეობა ნადირობასაც მისდევდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ნამოსახლარი ასახავს იმ დემოგრაფიულ სიტუაციასაც, რომელიც არსებობდა ჯავახეთის პლატოზე, აღმოსავლეთ საქართველოში ქართლის (ბერძნული წყაროებით - იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბების დროს.

### ლიტერატურა:

**გვეტაძე ჯ. 1979:** საყარაულო სერის ნასახლარი. - კრებ. „ძეგლის მეგობარი“, №49, გვ.17-19.

**გვეტაძე ჯ. 2003:** ახალი მონაცემები კავთისხევის ციხიანოვანის მიდამოებიდან (ძვ.წ. VI-V სს.). - ჟურ. „იბერია-კოლხეთი“, №1, თბ., გვ. 14-22, ტაბ. III.

**მარგიშვილი ს., ნარიმანიშვილი გ. 2004:** ალგეთის ხეობის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

**ნარიმანიშვილი გ. 2000:** დარაქოის ნამოსახ-

ლარი და სამხრეთ კავკასიის აქემენიდური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. - ჟურ. „იბერია-კოლხეთი“, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი, №5, თბ., გვ. 94-125.

**ნიკოლაიშვილი ვ., შატბერაშვილი ზ., შატბერაშვილი ვ. 2010:** სხალთის ნამოსახლარი და სამაროვანი. - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში (რედ. გ. გამყრელიძე) თბ., გვ. 430-453.

**Гагошидзе Ю. 1981:** Самадло, каталог, Тбилиси.

**Нариманишвили Г. 1991:** Керамика Картли (V-I вв. до н.э.), Тбилиси.

### ილუსტრაციების აღწერილობა:



ტაბ. I<sub>1</sub>. პატარა გონდრიო. ნამოსახლარის გენგეგმა.

ტაბ. I<sub>2</sub>. თხრილი №3 და სათავსების (№1-5) გეგმა და ჭრილი.

ტაბ. II. თხრილი №45, სახლი №1 – გეგმა და ჭრილები.

ტაბ. III-V. ნამოსახლარზე აღმოჩენილი არტეფაქტები.

I




2

# II

პატარა გონდრიო 2010 წ.


თხრილი 45 გეგმა სახლი №1




პროფილი 1-1




პროფილი 2-2



პროფილი 3-3




პროფილი 4-4




2

III






# IV



# V



**გლიპტიკური ნაწარმი ქუშანანთგორის სამაროვნის  
№1 სამარხიდან**

ერწო-თიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი რ. რამიშვილი) 1966-67 წლებში ერწოს ველზე წარმოებულ არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს, ადგილ ქუშანანთგორაზე, რომელიც სოფელ მაგრანეთის განაპირას, მის ჩრდილოეთით, მდინარე თრანულას მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, გამოავლინა გვიანანტიკური (გვიანარმაზული) ხანის სამაროვანი – ქუშანანთგორა II. სამაროვანი დათარიღებულია ახ. წ. III-IV საუკუნეებით [რამიშვილი რ. 1979:13-29; 102].

ქუშანანთგორა II-ის სამაროვანზე გაითხარა 15 სამარხი. გამოვლენილ მნიშვნელოვან და მრავალფეროვან ნივთებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს №1 მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი ჭრილა ქვებით შემკული ოქროს ორი ბეჭედი (ტაბ. I,1-2; ტაბ. II,9, 10, 13), რომლებიც მეტად ორიგინალური და საკმაოდ მაღალმხატვრულად შესრულებული ნივთებია [რამიშვილი რ. 1979:ტაბ. 43,1-4]. ორივე ბეჭედი ინახება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (ინვ. №№ 1226, 1227).

№1 სამარხი წარმოადგენდა მართკუთხა ორმოს, რომელიც გადახურული ყოფილა ხის ძელებზე დაფუძნებული და კრამიტით დაფარული ორფერდა სახურავით. სამარხში, გარდა ბეჭდებისა, აღმოჩნდა - ვერცხლის პინაკი, ფსკერზე მონოგრამით; ვერცხლის ორი სურა; ოქროს მონეტები: ალექსანდრე სევერუსის (222-235) აურეუსი, კომოდიუსის (180-192) აურეუსის მინაბადი და კარუსის (282-283) აურეუსი; ოქროს საყურეები; მინის სანელსაცხებლე; გიშრის მძივები და სხვ. სამარხი დათარიღებულია ახ.წ. III საუკუნის

მინურულით [რამიშვილი რ. 1979: 30-38, 102, ტაბ. 24; ტაბ. 25; ტაბ. 45,1-3].

1. ბეჭედი ოქროსი (ინვ. № 1226), შემკულია კვამლისფერი ქალცედონის გემა-ინტალიოთი. ინტალიო ოვალურია, ოდნავ ამოზრცულ ზედაპირზე გამოსახულია მაღალზურგიან და ფიგურულფეხებიან ტახტზე მჯდომი ზევსი, რომელსაც წინგანვიღ მარჯვენა ხელში გამარჯვების ფრთოსანი ქალღვთაება ნიკე უჭირავს. ნიკე დაფნის გვირგვინს აწვდის მას. უზენაესი ღვთაების ფეხებთან დგას საკურთხეველი, რომელზეც ცეცხლი ანთია (ტაბ. I,1-2). ზევსი გამოსახულია თავით პროფილში, ხოლო ტორსი, ოდნავ მარცხნივ მობრუნების გამო, გადმოცემულია სამ მეთხედში. ზევსს აქვს მოგრძო წვერი და თმის მაღალი ვარცხნილობა, აფუებულ თმაზე კი მჭიდროდ ადგას სადა გვირგვინი. მარცხენა ფეხი ჩამოშვებულია და ტერფი სწორად უდგას, მარჯვენა – ოდნავ ზეანეულია, ტერფი უკან აქვს წანაცვლებული და ფეხის წვერით ნიადაგს, ხოლო ქუსლით ტახტის ფეხს ებჯინება, რის გამოც ფიგურის საყრდენი გადატანილია მარჯვენა ფეხზე, მაგრამ კომპოზიცია განონასწორებულია გრძელი კვერთხით, რომელსაც ღვთაება მარცხენა ხელით ეყრდნობა. ზევსს ნახევრად შიშველ სხეულზე, მუცელქვემოთ, შემოხვეული აქვს ქლამიდა, რომელიც ტერფებამდე უფარავს ფეხებს. სხეული, განსაკუთრებით გულმკერდი, მკლავები და მუცელი, დაკუნთულია და მოცულობითი პლასტიკური ფორმებით, ფაქიზად არის მოდელირებული. სახე, ხელის მტევნები და ტერფები, ტორსთან შედარებით, სქემატურადაა დამუშავებული და გადმოცემულია სუმარულად, ხოლო სახის ნაკვთები პირობითად არის მინიშნებული.

ქლამიდა მოქნილი, დენადი ხაზებითაა დანაოჭებული. სამოსის ნაოჭებს შორის საკმაოდ ნათლად იკვეთება მოცულობითი ფორმის ფეხები, რომლებიც, ფიგურის მარცხნივ ოდნავ არასწორად მობრუნების გამო, ტორსთან არაბუნებრივად არის მიერთებული. აღნიშნული დისბალანსი მარჯვენა თეძოსთან ქლამიდის სქელი ნაოჭითაა განონასწორებული, რის გამოც ეს ხარვეზი თითქმის შეუმჩნეველია. ნიკეს ფიგურა, ზევსთან შედარებით, უფრო სქემატურად და სუმარულად არის შესრულებული. ნიკეს წინგანვდილ მარჯვენა ხელში გვირგვინი უჭირავს, ხოლო მარცხენაში – პალმის რტო. ნიკეს თავი და ცალი ფეხი პროფილშია გამოსახული, ხოლო ტორსი - თითქმის ანფასში. მცირედ ზეანეული ფრთები ანფასშია გადმოცემული. ზევსის მსგავსად მასაც თმის მაღალი ვარცხნილობა აქვს.

მიუხედავად ზოგი დეტალის სქემატურობის და სუმარულობისა, მთლიანობაში კომპოზიცია სავსებით რეალისტურია. ზევსის ფიგურა პროპორციულია, ხოლო სილუეტის გარშემომწერი ხაზი - მოქნილი. კვეთა ღრმა არ არის, მაგრამ მკაფიოა და საკმაოდ პლასტიკური (ტაბ. 1,2). სუფთა, დახვეწილი ნამუშევარია, ხოლო კომპოზიცია მეტად ცოცხალი და დინამიკური, რაც განპირობებულია ზევსისა და ნიკეს ფიგურების ერთმანეთისკენ მიბრუნებული პოზით, ტორსების რაკურსით, ასევე მათი ხელების მოძრავი ჟესტიკულაციით. ჩამოთვლილ მიზეზთა გამო კომპოზიცია გამომსახველი, შთამბეჭდავი და თვალისთვის სასიამოვნო აღსაქმელი ხდება, რასაც ემატება კვამლისფერი ქალცედონის საოცრად მიმზიდველი ფაქტურა. გემა კარგადაა დამუშავებულ-გაპრიალებული, რაც ქვას კიდევ უფრო მეტ ელვარებას ანიჭებს. ზომები: ინტალიოს სიგრძე – 16 მმ, სიგანე – 14 მმ, ბეჭდის სიმაღლე – 25 მმ, ბეჭდის დმ – 21 მმ, რკალის დმ – 3 მმ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქუშანაანთგორის გემაზე ამოკვეთილი, ტახტზე მჯდომი ზევსის გამოსახულება, თავისი მონუმენტური ხა-

სიათის გამო, შესაძლოა შექმნილიყო ფიდასის „ოლიმპიელი ზევსის“ ძვ.წ. V საუკუნის ქანდაკების შთაგონებით [რამიშვილი რ. 1979:36]. არც „ოლიმპიელი ზევსის“ ქანდაკება და არც მისი ზუსტი ასლი დღესდღეობით შემონახული არ არის. აღნიშნული ქანდაკების შესახებ ზოგად წარმოდგენას გვიქმნის ძველი აღწერილობები და გამოსახულებები მონეტებზე, რომელთა თანახმად, ტახტზე მჯდომ ზევსს წინგანვდილ მარჯვენა ხელში ფრთოსანი ნიკე ეჭირა, ხოლო მარცხენაში – კვერთხი, რომლის წვერზე თავისი საღვთო ფრინველი – არწივი იჯდა [Чубова, 1962:11, სურ. 31, ბ]. აღსანიშნავია, რომ „ოლიმპიელი ზევსი“ მრგვალი ქანდაკება იყო. მისი დანახვა შესაძლებელი გახლდათ როგორც ანფასში, ისე პროფილში, რაც კარგად აისახა ბერძნულ მონეტებზე, რომლებზეც ტახტზე მჯდომი ზევსი, ხელში ნიკეს ფიგურით, პროფილშია გამოსახული [Чубова, 1962:სურ. 31,ბ], მაგრამ ქანდაკების სრულყოფილი აღქმა, ხედვის ერთი წერტილის გამო, შეიძლებოდა მხოლოდ ფრონტალურად - ანფასში (ტაბ. 1,3). ქუშანაანთგორის ბეჭდის გემაზე კი ზევსი გამოსახულია თავით პროფილში, ხოლო ტორსით – სამ მეოთხედში. აღსანიშნავია, რომ ტახტზე მჯდომი ზევსი თავით პროფილში და ტორსით სამ მეოთხედში გამოსახებოდა ძველ ბერძნულ რელიეფებზე, მაგალითად, პართენონის აღმოსავლეთი ფრიზის რელიეფზე (ძვ.წ. 440 წ.) (ტაბ. 1,4), ასევე, სიცილიაში, სელინუსის ტაძრის რელიეფზე (ძვ.წ. 470-465 წ.), სადაც ზევსი ჰერასთან ერთად არის წარმოდგენილი და ერთ შემთხვევაში დაბალზურგიან [Mark, 1984:ტაბ. 63,ბ], ხოლო მეორე შემთხვევაში - უზურგო ტახტზე ზის [Richter, 1969:87]. რელიეფის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც მოცულობითი პლასტიკური ფორმების სიბრტყეზე გადანაწილებას გულისხმობდა, როგორც ჩანს, ძვ.წ. V საუკუნეში გამოიყენებოდა თავისებური გამომსახველობითი ხერხი, რაც ტახტზე მჯდომი ზევსის თავით პროფილში და ტორსის სამი მეოთხედით მოდელირებაში მდგომარეობ-

და. ამ მხრივ, საინტერესოა მადრიდის არქეოლოგიურ მუზეუმში დაცული, პუტეალ დე ლა მონკლოად წოდებული მარმარილოს ცილინდრული ფორმის ჭის (წყაროს) თავი, რომელზეც გამოსახულია ათენას დაბადების მრავალფიგურიანი სცენა. აქ მალაღზურგიან და ფიგურულფეხებიან ტახტზე მჯდომი ზევსი თავით პროფილში, ხოლო ტორსით სამ მეოთხედშია გადმოცემული (ტაბ. I,5). ზევსს მარჯვენა ხელში ელვა უჭირავს, ხოლო ზევით აწეული მარცხენა ხელით კვერთხს ეყრდნობა. მარჯვნივ მოჩანს ფრთოსანი ნიკე, რომელიც თითქოს ესესაა ზევსის ხელიდან აფრინდა (ფრთის ბოლოთი ზევსის ხელს ეხება) და გვირგვინს აწვდის ათენას. ზევსის მარცხნივ ჰეფესტოსი დგას ცულით ხელში, ხოლო ათენას მარჯვნივ – სამი მოირა. რელიეფი რომაულია, შესრულებულია ნეო-ატიკურ სტილში, დათარიღებულია ახ.წ. II საუკუნით და მიჩნეულია ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნული რელიეფის ასლად [Roscher, 1884:სურ. 172]. ჩვენი აზრით, ტორსით სამ მეოთხედში და თავით პროფილში გამოსახული ტახტზე მჯდომი ზევსის იკონოგრაფია, ხელში ნიკეს ფიგურით (ან ზევსის რომელიმე სხვა ატრიბუტით), შესაძლოა ჩამოყალიბებული იყო ფიდიასის „ოლიმპიელი ზევსის“ მრგვალი ქანდაკების, პართენონისა და სელინუსის ტაძრის რელიეფების, პუტეალ დე ლა მონკლოას რელიეფის ძვ.წ. IV ს-ის ორიგინალისა და სხვა მსგავსი ძეგლის კომბინაციის შედეგად. აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. IV ს-ის ბერძნულ გემებზე, ზურგიან ტახტზე მჯდომი ზევსი, ხელში ნიკეთი (ტაბ. I,6) უკვე გამოსახულია თავით პროფილსა და ტორსით სამ მეოთხედში [Richter, 1968:სურ. 270]. მსგავსი კომპოზიცია დასტურდება თანადროულ მონეტებზეც [Richter, 1968:87]. მაგ., მარტილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამოფენილ ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 323-315 წწ.) ვერცხლის ტეტრადრაქმის რევერსზე (ტაბ. I,7), თუმცა, ზემოაღნიშნული ბერძნული გემისაგან განსხვავებით, ზევსი უზურგო ტახტზე ზის, ხოლო წინგანვდილ ხელზე თავისი

საღვთო ფრინველი - არწივი უზის [სულავა, ... 2014:73]. ტახტზე მჯდომი ზევსი, ხელში ნიკეთი (ტაბ. I,8), გამოსახულია სელევკუს I-ის (ძვ.წ. 312-280 წწ.) ვერცხლის ტეტრადრაქმების რევერსებზეც [Grose, 1929:324, 335-4] და ამ პერიოდიდან მოყოლებული, აღნიშნულ კომპოზიციას ვხვდებით ხოლმე სხვადასხვა მმართველის სახელზე მოჭრილ მონეტებზე, განსაკუთრებით ხშირად – ახ.წ. II საუკუნეში მოღვაწე რომაელი იმპერატორების (ტაბ. I,9) მონეტების რევერსებზე [Mattingly, 1968:№№ 100, 485, 509, 586, ტაბ. 93-10; ტაბ. 104-2, 11; ტაბ. 106-13].

ცნობილია, რომ რომაელი მოქანდაკეები ქმნიდნენ ძველი ბერძნული ქანდაკებების ასლებს. მაგალითად, ტახტზე მჯდომი ზევსის მარმარილოს ქანდაკება, ხელში ნიკეს ფიგურითა და ფეხთით არწივის გამოსახულებით. ქანდაკება რომში იდგა, შეიქმნა ახ.წ. I საუკუნეში ფლავიუსების დინასტიის დაკვეთით და ფიდიასის „ოლიმპიელი ზევსის“ ქანდაკების მოდიფიცირებული ასლია (ტაბ. III,1). იგი ამჟამად ინახება პეტერბურგის ერმიტაჟში [<http://vittasim.livejournal.com/36433.html>].

რაც შეეხება რომის იმპერიაში მომუშავე ქვის მჭრელ ოსტატებს, რომლებიც ძირითადად ბერძნები იყვნენ, ავგუსტუსის ხანიდან მოყოლებული, გემა-ინტალიოებზე კლასიკური ეპოქის ბერძნულ მონუმენტურ ქანდაკებებსა და მათ ასლებს გამოსახავდნენ, ამასთან, ჭრილა ქვების ოსტატები თავისუფლად ცვლიდნენ კომპოზიციებს და განსხვავებულ ვარიანტებსაც ქმნიდნენ [ჯავახიშვილი, 2002:53; Furtwangler, 1900:345, 347]. ამდენად, ტახტზე მჯდომი ზევსის გამოსახულება, სხვადასხვა ინტერპრეტაციით, ფართოდ იყო გავრცელებული რომაული ხანის გლიპტიკურ ძეგლებზე [Walters, 1926:ტაბ. XVIII-1243, 1244, 1246]. რომაულ გემებზე ტახტზე მჯდომი ზევსი გამოსახებოდა სხვადასხვა ატრიბუტით ხელში (ნიკეთი, არწივით, ელვით, თასითა და სხვ.), როგორც ანფასში (ტაბ. I,12), ისე თავით პროფილში და ტორსით სამ მეოთხედში (ტაბ. I,

10-11). ქუშანაანთგორის გემაზე გამოსახული ზევსი კომპოზიციურად და სტილურად განსაკუთრებით ემსგავსება იმ რომაულ გემებს, რომლებზეც ზურგიან ტახტზე მჯდომი ზევსი თავით პროფილში და ტორსით სამ მეოთხედშია გამოსახული, ცალი ხელით კვერთხს ეყრდნობა, ხოლო მეორე ხელში ფრთოსანი ნიკე უჭირავს. გემები დათარიღებულია ახ.წ. II ს-ით [Richter, 1971: 55-58; Brandt, ... 1972:ტაბ. 222, 2451, 2452; Heinig, ... 1987:8, №№ 12-17]. რომაულ გემებზე მსგავსი სიუჟეტი ახ.წ. III საუკუნეშიც გამოსახებოდა [Heinig M., Whiting M. 1987: 8 - № 10], თუმცა, კომპოზიცია, ახ.წ. II საუკუნის გამოსახულებებთან შედარებით, სტილურად სრულიად განსხვავებულია და ძალზე სქემატურადაა შესრულებული (ტაბ. I,13).

გემა-ინტალიოებზე ტახტზე მჯდომი ზევსის გამოსახულებები (როგორც ანფასში, ისე სამ მეოთხედში) საქართველოშიც არის აღმოჩენილი. ოქროს ბეჭედში, არმაზისხევის № 6 აკლდამიდან, ჩასმულია გრანატის ოვალური გემა-ინტალიო, რომელზეც ტახტზე მჯდომი ზევსი ანფასშია გამოსახული (ტაბ. II,1), ცალი ხელით კვერთხს ეყრდნობა. კომპოზიცია ასევე სათავეს იღებს ფიდიასის „ოლიმპიელი ზევსის“ ქანდაკებიდან, მაგრამ არმაზისხეველ ზევსს ხელში ნიკე არ უჭირავს. მ. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, ინტალიოს ოსტატს ორიგინალად აუღია ძვ.წ. IV-III სს. ისეთი ძეგლი, რომელშიც ბერძნული ტრადიციებია შემონახული. ბეჭედიც და ინტალიოც ახ.წ. II საუკუნითაა დათარიღებული [ლორთქიფანიძე, 1958:30-31], (ტაბ. II,1). ტახტზე მჯდომი ზევსი გამოსახულია აგრეთვე II ს. მიწურულით დათარიღებულ ინტალიოზე სამთავროს სამაროვანის №290 სამარხიდან [ლორთქიფანიძე, 1954:17-18], (ტაბ. I,10). გემა-ინტალიო სარდიონისაა და ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიოზე ამოკვეთილ ღვთაებას მარჯვენა ხელში არა ნიკე, არამედ თასი უჭირავს, ხოლო ფეხებთან მისი საღმრთო ფრინველი – ფრთებმოკეცილი არნივი ზის. ქუშანაანთგორულთან შე-

დარებით, სამთავროს გემის გამოსახულება უფრო სქემატურადაა შესრულებული (ტაბ. II,2). სამთავროს №12 სამარხში აღმოჩენილ ქალცედონის გემაზე, რომელიც რკინის ბეჭედს ამკობს, ამოკვეთილია ტახტზე მჯდომი ზევს-პლუტონი, მარჯვენა ხელში ყაყაჩოთი და თავთავით (ტაბ. II,3). ღვთაების ფეხებთან არნივია გამოსახული. კომპოზიციაში იგრძნობა ახ.წ. I საუკუნის ტრადიციები, თუმცა, არასწორად მობრუნებული სხეულისა და რელიეფის არათანაბარი გრადაციის გამო გემა ახ.წ. II ს-ით თარიღდება [Максимова, 1950:247, Таб. I,15]. სამივე ბეჭედი ინახება ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის ფონდში, ინვ. №№ 840, 302 და 248. ჟინვალის სამაროვანის № 420 სამარხში აღმოჩენილ სარდერის გემაზე, რომელიც რკინის ბეჭედს ამკობს, აგრეთვე ამოკვეთილია ტახტზე მჯდომი ზევსის გამოსახულება. სამარხი დათარიღებულია ახ.წ. III საუკუნით [ჩიხლაძე, 2015:70; ლორთქიფანიძე, 1990:202-203]. ბეჭდისგან დარჩენილია დაუჩანავალი ბუდის ფრაგმენტი. ოვალური გემის ბრტყელ პირზე ამოკვეთილი ზევსი უზურგო ტახტზე ზის, წინ განვდილ მარჯვენა ხელში გაურკვეველი საგანი უჭირავს, ხოლო მარცხენა ხელით კვერთხს ეყრდნობა (ტაბ. II,4). კომპოზიცია ძალზე სქემატურად და სუმარულად არის შესრულებული და სტილურად საგრძნობლად განსხვავდება როგორც ქუშანაანთგორის, ისე II საუკუნით დათარიღებული მსგავსი სიუჟეტიანი რომაული გემებისაგან. როგორც ჩანს, რომაულ გლიპტიკაში ახ.წ. II საუკუნეში დაწყებული დეკადანსი, მით უმეტეს, პერიფერიაზე და თან რიგით სამარხში აღმოჩენილ გემაზე, ახ.წ. III საუკუნეში შესამჩნევად ღრმავდება, რის გამოც კომპოზიცია ძნელად აღსაქმელი ხდება. აღნიშნული სიუჟეტის ძალიან საინტერესო, ოდნავ განსხვავებული ვარიანტია გამოსახული სოფ. სალორაშენში შემთხვევით აღმოჩენილ სარდიონის გემა-ინტალიოზე, რომელიც ოქროს ბეჭედშია ჩასმული (ინახება გლიპტიკის ფონდში, ინვ. № 134). ოვალური გემის ბრტყელ ზედაპირზე

გამოსახულია ზევსი თავით პროფილში, ოდნავ შებრუნებული ტორსით. ზის არა ტახტზე, არამედ თავის საღვთო ფრინველზე – ფრთაგამლილ არწივზე, წინ განვდილ მარჯვენა ხელში ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენაში – კვერთხი. ბეჭედს აქვს მაღალი ბუდე, რომლის ცალ მხარეს მირჩილულია ერთი ბურთულა. მ. ლორთქიფანიძე გამოსახულებას ძალზე სქემატურ და ტლანქ ნამუშევრად მიიჩნევს, რის საფუძველზეც გემას ბეჭდითურთ ახ.წ. III-IV საუკუნეებით ათარილებს [ლორთქიფანიძე, 1961:54, ტაბ. IX,62]. ბეჭდის თარიღს სახსებთ ვიზიარებთ, ხოლო კომპოზიცია არცთუ ძალიან სქემატურად მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ სალორაშენის გემა-ინტალიოზე (ხშირი გამოყენების შედეგად) გამოსახულება გადაცვეთილია, სტილურად და ნაწილობრივ კომპოზიციურადაც ზემოგანხილულ გამოსახულებებს ემსგავსება და მათი თანადროული უნდა იყოს (ახ.წ. II-III სს). მსგავსი სიუჟეტი გვხვდება რომაულ გემებზეც, რომლებიც ასევე გვიანრომაული ხანით არის დათარიღებული [Furtwangler, 1900: ტაბ. 23, № 2609].

აღსანიშნავია, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის ფონდში დაცული ხუთი ოვალური გემა-ინტალიო, რომლებზეც ტახტზე მჯდომი ზევსია ამოკვეთილი (ინვ. №№ 864, 883, 866, 657, 868). ხუთივე გემა ე.წ. დავიდოვასეულ კერძო კოლექციას ეკუთვნის, მომდინარეობს ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთიდან, რომაულ სახელოსნოებში დამზადებული ნივთებია და დათარიღებულია ახ.წ. II ს-ის ბოლო წლებით [ლორთქიფანიძე, 1967:6-7, 26-27, 29-31, ტაბ. III-23, 27, 29; ტაბ. IV-24, 28]. ინტალიო № 864 ქალცედონ-აქატი-საა, პირზე ამოკვეთილ ტახტზე მჯდომი ზევსის წინ განვდილ მარჯვენა ხელზე ნიკე დგას, მარცხენა ხელით კვერთხს ეყრდნობა, ხოლო ფეხებთან არწივია გამოსახული. გემა № 883 ცისფერი ქალცედონის ანუ საფირინისაა, გემა № 866 - თაფლისფერი ქალცედონისა, ხოლო ინტალიო № 868 - მოყვითალო ქალცედონის. სამივე ინტალიოს პირზე ამოჭრილ

ზევსს მარჯვენა ხელში თასი უჭირავს და ლიბაციას ასრულებს, ფეხებთან კი არწივია გამოსახული, მარცხენა ხელით კვერთხს ეყრდნობა. გემა № 657 რძისფერი ქალცედონისაა, ღვთაებას მარჯვენა ხელში ელვა უჭირავს, მარჯვენათი კვერთხს ეყრდნობა, მის ფერხით არწივია გამოსახული. ქუშანანთგორის კომპოზიციასთან შედარებით ხუთივე კომპოზიცია გაცილებით სქემატურია. მოტანილი მაგალითების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქუშანანთგორის სამაროვანზე აღმოჩენილი ზევსის გამოსახულება, ხელზე მდგომი ნიკეთი, ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში აღმოჩენილ გლიპტიკურ მასალებს შორის. როგორც ჩანს, მსგავსი სიუჟეტი ყველაზე ხშირად ქალცედონზე ყოფილა ამოკვეთილი. ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქალცედონის ინტალიოები ზევსის გამოსახულებით, მათ შორის ქუშანანთგორულიც, შესაძლოა, რომელიმე მცირეაზიური სახელოსნოდან მომდინარეობდეს [რამიშვილი რ. 1979: 94, სქ. 129].

ზემოგანხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ ქუშანანთგორის გემაზე წარმოდგენილი ტახტზე მჯდომი ზევსის გამოსახულება (ხელში ნიკეთი, თუ სხვადასხვა ატრიბუტით) საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული როგორც რომაულ, ისე საქართველოში აღმოჩენილ გემებზე. მათი უმრავლესობა ახ.წ. II ს-ის ბოლო წლებით არის დათარიღებული. როგორც შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, კომპოზიცია ქუშანანთგორის გემაზე უფრო რეალისტურად, მკაფიოდ და დამაჯერებლად არის მოდელირებული, კომპოზიციაში უფრო მეტადაა შემონახული ახ.წ. I საუკუნის ტრადიციები, რის საფუძველზეც ვფიქრობთ, რომ გემა უნდა დათარიღდეს ახ.წ. II საუკუნის შუა ხანებით და არა ბოლო წლებით.

რაც შეეხება ბეჭდის ფორმას, მას აქვს მრგვალგანიკვეთიანი რკალი, რომელიც მხრებთან გაბრტყელებულია და ზედ მირჩილულია დაბალი ოვალური თვალბუდე. თვალბუდის ორივე მხარეს თითო-თითო ბურთუ-

ლაა მირჩილული (ტაბ. II,5). მსგავსი ბეჭდები რომაულ სამკაულში ახ.ნ. III ს. მეორე ნახევარში ჩნდება [Greifenhagen, 1975: ტაბ. 61-1, 2] და ფართოდ ვრცელდება ახ. ნ. IV საუკუნეში, თანდათან ბურთულების რაოდენობა მატულობს და თვალბუდის ორივე მხარეს წყვილ-წყვილი, სამ-სამი ან მეტი ბურთულაა მირჩილული [Henkel, 1913:38. ტაბ. XIV-276, 278; ტაბ. XIV-1823].

საქართველოში ოვალურთვალბუდიანი და ბურთულბიანი ბეჭდები აღმოჩენილია: არაგვისპირში (ტაბ. II,6) ახ.ნ. III საუკუნის მიწურულით დათარიღებულ № 13 სამარხში [რამიშვილი რ. 1975:12-13]; ჟინვალში ახ.ნ. III ს. ბოლო და IV ს. დასაწყისის № 40 სამარხში; ურბნისში (ტაბ. II,7) ახ.ნ. IV ს-ის № 11 სამარხში [ჭილაშვილი, 1964:68-69. სურ. 34-7; ჯავახიშვილი, 1972:79, ტაბ. XIV-126]; ზღუდერში (ტაბ. II,8) ახ.ნ. III საუკუნის მიწურულით დათარიღებულ №2 ხის სარკოფაგში, თუმცა, ზღუდერის ბეჭდის ბუდე არა ოვალური, არამედ რვაკუთხაა [ნემსაძე, 1969:47-50]. როგორც ჩანს, ბურთულბიანი ბეჭდები საქართველოში ახ.ნ. III ს. მიწურულში უკვე არსებობს და შემდეგ ფართოდ ვრცელდება ახ. ნ. IV საუკუნეში [ჯავახიშვილი, ... 1982: 150-151].

ზემომოყვანილ არტეფაქტებზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, რომ ქუშანაანთგორის №1 სამარხში აღმოჩენილი ოქროს ბეჭედი ახ.ნ. III ს-ის მიწურულითა და IV ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს. თუ ქართლში ფართოდ გავრცელებული ოვალურბუდიანი და ბურთულიანი ბეჭდების სიმრავლით ვიმსჯელებთ, არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე რომაულ სახელოსნოში ახ.ნ. II საუკუნეში დამზადებული გემა ვაჭრობის გზით შემოსულიყო იბერიაში და იქ ადგილობრივ იუველირს ახ.ნ. III საუკუნის მიწურულსა და IV საუკუნის საწყის წლებში დაემზადებინა აღნიშნული ფორმის ბეჭედი. ცნობილია, რომ ახ.ნ. II-III საუკუნეებში ქართლში ხელოსნური წარმოება აღმავლობას განიცდიდა, განსაკუთრებით საოქრომჭედლო დარგში [რამიშვილი რ. 1979:86]. აღსანიშნავია ისიც, რომ

ქუშანაანთგორის გემას გარშემო კიდეზე ანატკეცები აქვს, შესაძლოა, სხვა ნივთიდან ამოღებისას დაზიანდა.

გლიპტიკაში გემების მეორადი გამოყენების არაერთი ფაქტია დადასტურებული. მაგალითად, ქუშანაანთგორის სამაროვნის №10 სამარხში აღმოჩენილ ოქროს ბეჭედში ჩასმულია გრანატის ინტალიო, რომლის ზედაპირზე ამოკვეთილია ათენა ლემნიას ბიუსტი. გემა დათარიღებულია ავგუსტუსის ხანით (ძვ.წ. I ს. – ახ.წ. I ს.), ხოლო ბეჭედი ახ.წ. III საუკუნით. ქეთევან ჯავახიშვილის მოსაზრებით, ათენას გამოსახულება შესრულებული უნდა იყოს ცნობილი რომაელი ქვისმჭრელი ოსტატის ჰილოსის მიერ [ჯავახიშვილი, 2002:52-56]. სავსებით ვიზიარებთ ქ. ჯავახიშვილის ამ მოსაზრებას და აღვნიშნავთ, რომ ქუშანაანთგორის გრანატის გემა ათენა ლემნიას გამოსახულებით გლიპტიკური ხელოვნების შედეგია. ასევე, ზღუდერში, №3 ხის სარკოფაგში აღმოჩენილ ოქროს ბეჭედში ჩასმულია აღმანდინის ინტალიო, რომელზეც გამოსახულია პტოლემიოს V ეპიფანე. გემა დათარიღებულია ძვ.წ. III-II სს., მაშინ, როდესაც ბეჭედი ახ.წ. II-III სს. თარიღდება [ჯავახიშვილი, 2003: 81-82].

ქუშანაანთგორის №1 სამარხში აღმოჩენილი ზევსის გამოსახულებიანი ოქროს ბეჭედი მიჩნეულია დაკრძალულის პირად საბეჭდავ ბეჭდად, მის ინსიგნიად. ასეთი ბეჭდები ცნობილია არმაზისხევის ერისთავთა ნეკროპოლიდან. როგორც ჩანს, პირადი საბეჭდავი ბეჭდების სამარხში ჩატანება გვიანანტიკური ხანისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო [რამიშვილი რ. 1979:95].

2. ბეჭედი ოქროსი, შემკულია წითელი, ლუქისებრი იასპის გემა-ინტალიოთი (ინგ. № 1227). ინტალიო რვანახნაგაა და რვაკუთხა, ბრტყელი პირი აქვს (ტაბ. II,9-10). პირზე ამოკვეთილია ბერძნული მონოგრამა (ტაბ. II,11). ბეჭედი დამზადებულია ოქროს ფურცლისაგან. რკალი ბრტყელია, ექვსნახნაგა და მხრებისკენ მკვეთრად ფართოვდება. ბეჭდის მხრები დაქანებულია და დაკუთხული.



ბეჭედს აქვს დაბალი ოვალური თვალბუდე, რომელშიც გემა იმგვარადაა ჩასმული, რომ ქვა ბუდიდან მაღლაა ამონეული. ინტალიო სუფთადაა შესრულებული და კარგად შენახული, ბეჭედი კი მცირედ დეფორმირებული, რკალი ერთ ადგილას ჩახეულია [რამიშვილი რ. 1979:36, 95. ტაბ. 43- 4]. ზომები: ინტალიოს სიგრძე – 8 მმ, სიგანე – 5 მმ; ბეჭდის დმ – 14 მმ, სიმაღლე – 21 მმ.

ქუშანაანთგორული ბეჭედი საბეჭდავია, მის შემამკობელ ქვაზე ნეგატივურად ამოკვეთილია ქრისტიანული მონოგრამა, რომელშიც ქრისტეს სახელია დაქარაგმებული. წარწერა შესრულებულია მკაფიოდ, კუთხოვანი ასოებით. იესო ქრისტეს სახელის აღმნიშვნელი ორი ასო – I და X აქცენტირებულია მართკუთხა ჩარჩოთი, კარტუშშია ჩასმული. რ. რამიშვილი მონოგრამას ასე კითხულობს: „Iesus Xristos Palma Emeritta“ [რამიშვილი რ. 1979:36]. ჩვენი მოსაზრებით უნდა იყოს „Iesus Xristos Palma Emeritus“, რაც შესაძლოა ნიშნავდეს „იესო ქრისტე პალმა (აღდგომის გზით სიკვდილზე გამარჯვების, ტრიუმფის ხე [Appleton, ... 1959:73]) დამსახურებული პატივისა“.

ცნობილია, რომ ადრექრისტიანული ისეთი სიმბოლური ნიშნები, როგორცაა პალმის რტო, თევზი, ღუზა, ხომალდი, მტრედი, სიცოცხლის ხე და სხვ. ფართოდ იყო გავრცელებული ბეჭდების შემამკობელ რომაულ გემებზე (ტაბ. II,14), რომლებიც დათარიღებულია ახ.წ. III-IV საუკუნეებით [Dalton, 1915:67, ტაბ. XVII-506, 538]. საქართველოში, მაგალითად, მცხეთაში, სვეტიცხოველი II სამაროვანის №17 სამარხში აღმოჩნდა სარდიონის ბეჭედი ინტალიოთი, რომელზეც ამოკვეთილია ერთ მხარეს მიმართული ორი თევზისა და ღუზის გამოსახულება (ტაბ. II,18). ბეჭედი ქრისტიანულია და დათარიღებულია ახ.წ. III საუკუნით. აღმოსავლეთ საქართველოში მსგავსიუწყეტიანი გემები აღმოჩენილია სამთავროსა (ტაბ. II,17) და ჟინვალის სამაროვნებზეც და ასევე დათარიღებულია ახ.წ. III საუკუნით [სურგულაძე, ... 1981:741-743, სურ. 1, 2].

რაც შეეხება გემებზე ქრისტეს მისტიკური სახელის სიმბოლურ, ან დაქარაგმებულ, შედარებით მარტივ მონოგრამებს (ტაბ. II,13), ისინი ახ.წ. II-III საუკუნეებით დათარიღებულ რომაულ გემებზეა ამოკვეთილი [Krug, 1980:253-468, 469, 470, ტაბ. 133-468, 470]. მსგავსი მონოგრამები ამოჭრილია აგრეთვე რომაულ გემებზე (ტაბ. II,15), რომლებიც კატაკომბებიდან მომდინარეობენ და თარიღდებიან III-IV საუკუნეებით [Dalton, 1915:67, 68, ტაბ. XVII-501, 504, 510]. საქართველოში აღმოჩენილი მარტივმონოგრამიანი გემა ცნობილია ჟინვალის სამაროვნის № 482 სამარხიდან (ტაბ. II,19). სამარხი ახ.წ. III საუკუნითაა დათარიღებული [ჩიხლაძე, 2015:86]. ინტალიო მომწვანო მინისაა, მის მრგვალსა და ბრტყელ პირზე ქრისტეს სახელის დაქარაგმებული წარწერაა ამოკვეთილი, დათარიღებულია ახ.წ. III ს-ით [ლორთქიფანიძე, 1990:207-208]. მონოგრამიანი ბეჭედი ასევე ცნობილია მცხეთა-სამთავროდან (ტაბ. II,20). ბეჭედი როგორც ფორმით, ისე მონოგრამით სრულიად განსხვავებულია ქუშანაანთგორის ბეჭდისაგან. იგი მთის ბროლიდან გამოჭრილი „ფარაკიანი“ ბეჭედი, სამნახნაგა რკალი და დაწახნაგებული მხრები აქვს, ხოლო „ფარაკის“ ზედაპირი, რომელზეც ქრისტიანული მონოგრამაა ამოკვეთილი, ნაწვეტებული ოვალის ფორმისაა. დათარიღებულია ახ.წ. VI საუკუნით [Максимова, 1950: 262, ტაბ. II- 62].

ქუშანაანთგორის გემაზე გამოსახული მონოგრამის მსგავსი რთული მონოგრამები ახ.წ. VI საუკუნით დათარიღებულ რომაულ გემებზე (ტაბ. II,16) ფართოდ არის გავრცელებული და ამოკვეთილია ძირითადად იასპზე [Dalton, 1915:138, ტაბ. XVIII, 949-951].

რაც შეეხება ქუშანაანთგორის ბეჭდის ტიპს, ფ. ჰენკელისა და ასევე ა. კრუგის მიერ მსავსი რომაული ბეჭდები, დაწახნაგებული განიერი რკალითა და დაწახნაგებული მხრებით, დათარიღებულია ახ.წ. III საუკუნით [Henkel, 1913:66-67, ტაბ. XIX-1819, ტაბ. XXI-1884; Krug, 1981: 180, ტაბ. 70-44]. ქუშანაანთგორის მონოგრამიან ბეჭედს ტიპოლოგიურად გან-

საკუთრებით ემსგავსება ფ. ჰენკელის მიერ განხილული ბეჭედი № 1884, რომელიც როგორც ფორმით, ისე ბუდიდან წამოწეული, რვანახნაგა იასპის ინტალიოთი, ქუშანანთგორულის მსგავსია (ტაბ. II,12). ასევე ერთმანეთის მსგავსია ინტალიოებზე ამოკვეთილი წარწერების სტილი და ასოების კუთხოვანი მოხაზულობა. განსხვავება ისაა, რომ ქუშანანთგორულ გემაზე ამოკვეთილ მონოგრამაზე ქრისტეს სახელია დაქარაგმებული მაშინ, როდესაც № 1884 რომაული ბეჭდის გემაზე ბეჭდის მფლობელის სახელი (Kanzapios -კანზაპიოს) არის ამოჭრილი. განსხვავებულია აგრეთვე, ბეჭდების ბუდეები. № 1884 ბეჭედში გემა ჩასმულია პირდაპირ რკალში ამოჭრილ ბუდეში, რომელსაც ბუდის რკალი არ გააჩნია, ხოლო ქუშანანთგორის ბეჭდის ბუდე რკალითურთ ამალღებულია, რითაც იგი უფრო ახ.წ. IV საუკუნის (არმაზისხევის) ბეჭდებს ემსგავსება [რამიშვილი რ. 1979:88]. ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ქუშანანთგორული ბეჭედი და გემა ერთმანეთის თანადროულია და ნივთი ახ.წ. III საუკუნის მიწურულითა და IV საუკუნის საწყისი წლებით უნდა დათარიღდეს.

აღსანიშნავია, რომ ქუშანანთგორული ოქროს ბეჭედი, იასპის გემაზე ქრისტეს სახელის დაქარაგმებული რთული მონოგრამით, ჯერჯერობით ერთადერთი და უადრესი მონაპოვარია საქართველოში. მ. ლორთქიფანიძეს ბეჭედი შემოტანილად მიაჩნია [რამიშვილი რ. 1979:95, სქ. 131].

ქუშანანთგორის გვიანანტიკური ხანის მდიდრულ სამარხში, ასევე ჟინვალისა და სვეტიცხოვლის სამაროვნების რიგით სამარხებში აღმოჩენილი გემები, რომლებზეც ქრისტიანული მონოგრამები და სიმბოლონიშნებია ამოკვეთილი, დადასტურებაა იმ ფაქტისა, რომ იბერიაში, ქრისტიანობის ოფიციალურად მიღებამდე, ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდნენ როგორც მაღალი სოციალური ფენის ნაწილი, ისე მოსახლეობის რიგითი წევრები.

ჩვენი მოსაზრებით, გლიპტიკური მასალის საფუძველზე, შესაძლოა ქუშანანთგორის სამაროვნის მდიდრული № 1 სამარხი დათარიღდეს ახ.წ. III საუკუნის მიწურულითა და IV საუკუნის დასაწყისით.

ქუშანანთგორის № 1 სამარხში აღმოჩენილი საბეჭდავი ბეჭდები გემებზე ზევის გამოსახლებითა და ქრისტიანული მონოგრამით ერთი ინდივიდის საკუთრებაა, რაც ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ უნდა იყოს და აიხსნება იმით, რომ: 1. დაკრძალულ დიდებულს, იმდროინდელი მოდის გათვალისწინებით, მეტად მოსწონს ძვირფასი, დახვეწილი ნივთები და ამგვარი სამკაულისა თუ სხვა ნაკეთობის მფლობელია, რასაც სამარხის შედგენილობაც ადასტურებს. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ № 1 სამარხის ინვენტარიც ნათლად ასახავს იმ კულტურულ ვითარებას, რომელიც ახ.წ. III-IV საუკუნეების მიჯნაზე არსებობდა ქართლში. მხედველობაში გვაქვს ის, რომ ზევის გამოსახლებიან და ქრისტიანულმონოგრამიან ბეჭდებთან ერთად აღმოჩენილ ვერცხლის პინაკის ფსკერზე გამოსახულია ნიშანი, რომელიც თითქოს ჰგავს ე.წ. „სასანურ მონოგრამას“, მაგრამ მისი ზუსტი შესატყვისი სასანური ხელოვნების ძეგლებზე არ დასტურდება, რის გამოც აღნიშნული ნიშანი დაკრძალულის მონოგრამად, ან საგვარეულო გერბადაა მიჩნეული [რამიშვილი რ. 1979:79-81], ხოლო პინაკი - ირანული ტორევეტიკის ძლიერი გავლენით შექმნილი ადგილობრივი ნაწარმია, რადგან ქართული ხელოვნებისათვის ესოდენ ორგანული წნული ორნამენტი, რომლითაც შემკულია მედალიონის ჩარჩო ჭურჭლის ფსკერზე, არც სასანურ და არც რომაულ ვერცხლის ჭურჭელზე არ გვხვდება [რამიშვილი რ. 1979:78-79]. აქ ადგილობრივ მძლავრ საოქრომჭედლო ტრადიციებთან ერთად გასათვალისწინებელია ის გავლენები, რასაც მაშინდელი კულტურული სამყარო, და მათ შორის საქართველო, განიცდიდა დასავლური (რომის) და აღმოსავლური (ირანის) კულტურებისაგან. ამ მხრივ, განსაკუთრებული

როლი ენიჭება რომის იმპერიას, რომელიც ახ.წ. საწყის საუკუნეებში გვევლინება როგორც კანონმდებელი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში [რამიშვილი რ. 1979:85]. 2. იმ რთულ და გარდამავალ ხანაში, როცა ბეჭდების მფლობელი ირჩევს ახალ სარწმუნოებას, როცა იესო ქრისტეს იკონოგრაფია საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული და ახალი გამომსახველობითი ხერხები ჯერ არ არის შემუშავებული, როგორც ცნობილია, ხდება ანტიკური გამოსახულებებისა და სიმბოლოების ახლებურად გააზრება და უკვე არსებულ, ძველ ფორმაში ახალი შინაარსის ჩადება [Менделеева, 2013: 1-7]. მაგალითად, ლუზა ჯვრის სიმბოლოა, თევზი (IXTYS) – „იესო ქრისტე ძე ღვთისა მხსნელის“ აღმნიშვნელი, დელფინი სიმბოლოა ქრისტესი, რომელსაც მორწმუნეები ცხოვრებისეული უბედურებების ზღვაზე გადაჰყავს, ლაბარუმი – ქრისტეს მონოგრამა [Уваров, 1908:3-67; Appleton, ... 1959:2, 6, 31, 37, 73]. ასევე, იესო ქრისტეს გამოსახვისთვის გამოიყენებოდა ანტიკური ღვთაებები ბერძნული მითოლოგიიდან (მაგ. ორფეოსი). რომაელი ქრისტიანები ადრე წარმართები იყვნენ და მათთვის მითი ორფეოსის ჰადესში ჩასვლისა და იქიდან დაბრუნების შესახებ შესაძლოა ყოფილიყო ერთგვარი გასაღები ქრისტეს ჯვარცმოდან მეორე დღეს ჯოჯოხეთში შთასვლისა და მესამე დღეს აღდგომის არსის გასაგებად [http://pravv.km.ua/read/0016/13.html]. ასევე ჰერმეს კრიოფოროსი - ცხვრის მტარებელი, გაიგივებულია „მწყემს კეთილთან“ [Покровский, 1878:486-487]. ახალგაზრდა, უწვერული ქრისტეს იკონოგრაფიისათვის იყენებდნენ დიონისეს, ჰერაკლეს, აპოლონისა თუ ჰელიოსის გამოსახულებებს, მათი მონამებრივი, სასწაულმოქმედი და საგმირო მოღვაწეობის გამო, და რაც მთავარია, წარმართული პანთეონის უზენაესი ღვთაების – ზევსის ადგილს ფიგურალურად იკავებს იესო ქრისტე, რაც მაშინვე აისახა მის იკონოგრაფიაზეც. ამ შემთხვევაში ქრისტე გამოისახება წვერითა და მოგრძო, ხვეული

თმით [Jensen, 2000:119-125]. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ წარმართული ღვთაებებით ქრისტეს გამოსახვა, ქრისტიანების დევნის ხანაში, შეუმჩნეველი რჩებოდა ხელისუფლებისათვის. ამავე დროს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ძველი ღვთაებების კარგად ცნობილი გამოსახულებები საფუძვლიანად ჰქონდათ დამუშავებული ხელოსნებს, რადგან ქრისტიანულ და წარმართულ სარკოფაგებსა თუ ხელოვნების სხვა ძეგლებს თავდაპირველად ერთი და იგივე ოსტატები აფორმებდნენ. ჩამოთვლილ მიზეზთა გამო, წარმართულ ღვთაებათა გამოსახულებები ძალზე პოპულარული გახდა ახ.წ. I-III საუკუნეებში [Менделеева, 2013:1-7]. ამ ფონზე საინტერესოა, რომ ახ.წ. III საუკუნის ინტალიოს ანაბექტზე ჟინვალის 420-ე სამარხიდან ტახტზე მჯდომი ზევსის გამოსახულების ფეხით მკაფიოდ იკითხება ბერძნული ასოები I და X (ტაბ. II,4). შესაძლოა, მოცემული ასოები იესო ქრისტეს აღნიშნავდეს და თუ მართლა ასეა, მაშინ გამოდის, რომ გემაზე ზევსი-ქრისტე ყოფილა გამოსახული. ზევსისებურად მოდელირებული ქრისტე კი დანამდვილებით შეუმჩნეველი დარჩებოდა ხელისუფლებისათვის, ხოლო ასოები მიჩნეული იქნებოდა ტახტის ფეხების დეკორად, რადგან ზევსის ტახტები მსგავსი ფეხებით მართლაც გამოისახებოდა ზოგიერთ რომაულ გემაზე [Heinig, ... 1987:8, № 10], (ტაბ. I,13).

რაც შეეხება ანტიკურ სამყაროში „ოლიმპიელი ზევსის“ ძალიან პოპულარულ ქანდაკებას, ზოგიერთი ცნობით, ახ.წ. IV საუკუნეში ის გადაიტანეს კონსტანტინოპოლში, სადაც ახ.წ. V საუკუნის მეორე ნახევარში ხანძრის შედეგად განადგურდა [Чубова, 1962:10]. სხვა მოსაზრებით, ქანდაკება დაინვა ახ.წ. IV საუკუნის მიწურულს ოლიმპიის ტაძართან ერთად [Richter, 1966:166-170]. ყოველ შემთხვევაში, პირველი ქრისტიანი იმპერატორის – კონსტანტინე დიდის მოღვაწეობის დროს, როცა ქრისტეს იკონოგრაფია ყალიბდებოდა, „ოლიმპიელი ზევსის“ ქანდაკება ჯერ კიდევ არსებობდა და

ქრისტიანებისთვის ეს „უნმინდური კერპი“ მათ მიერაც აღიარებული იყო ხელოვნების შედეგად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ დროს რომში იდგა „ოლიმპიელი ზევსის“ ქანდაკების ასლიც. მიუხედავად სიმბოლოებისა და ღვთაებათა გადააზრებისა, ერთხელ ჩასახული რწმენა იმისა, რომ ზევსი უზენაესი ღვთაებაა და სასწაულებრივი, ღვთიური ძალა აქვს, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დარჩა ხალხის მესხიერებაში ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდეგაც, რაც ადამიანის ცნობიერში პირველყოფილი მაგიის გამოვლინებად ითვლება [Менделеева, 2013:3]. ამდენად, აღნიშნული ქანდაკების ელემენტები და საერთოდ, ანტიკური ხელოვნების ზოგი ტრადიცია ნათლად ჩანს ადრექრისტიანული ხანის ძეგლებზე, მაგალითად, სფეროზე მჯდომი წვეროსანი ქრისტე, რომელიც გასაღებს ანვდის პეტრეს, რომის სანტა კონსტანცას მაგზოლუმიდან (325 წ.) [Jensen, 2000:113-114, სურ. 38]. ძალიან საინტერესოა, რომ ახ.წ. IV საუკუნის მოზაიკაზე ტახტზე მჯდომი ქრისტე-პანტოკრატორის გამოსახულება „ზეციურ იერუსალიმში“ (ტაბ. III,2) რომის სანტა-პედენციანას ბაზილიკიდან [Jensen, 2000:108, 109, სურ. 35], გარდა კომპოზიციურისა, პორტრეტულ მსგავსებასაც ავლენს ფიდიასის „ოლიმპიელი ზევსის“ ქანდაკებასთან (ტაბ. I,3) და მის რომაულ ასლთან (ტაბ. III,1). მაცხოვარი მოზაიკაზე სავსებით რეალისტურადაა გამოსახული, ზის არა რომელიმე პირობით სივრცეში, არამედ სრულიად კონკრეტული, ქალაქური პეიზაჟის ფონზე. კოლორიტი მჟღერი და მაჟორულია. ქრისტეს ტახტის კონფიგურაციაც ძალიან ემსგავსება, მაგალითად, რომაულ გემებზე ანფასში გამოსახულ ზევსის ტახტს (შეად. ტაბ. I,12 და ტაბ. III,2). ქრისტეს გრძელი და ხვეული თმა და წვერი ზევსის თმა-წვერის მსგავსად არის მოდელირებული (შეად. ტაბ. III,1 და 2). ასევე საინტერესოა, „მწყემსი კეთილი“ (ტაბ. III,3), ახ. წ. V საუკუნის პირველი ნახევრის მოზაიკა რავენის გალა-პლაციდიას ბაზილიკიდან [Менделеева, 2013:7], სადაც

კლდეზე მჯდომი ქრისტე მარცხენა ხელით ზევსის კვერთხის მსგავს ჯვარს ეყრდნობა. მოზრუნებული სხეული, ტერფების პოზა, მათი მოდელირება, სამოსის დრაპირება და ფეხსამოსი - „ოლიმპიელი ზევსის“ მსგავსია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვვარაუდობთ, რომ შესაძლოა, ქუშან-აანთგორელი დიდებული „ერნოს ქვეყნიდან“ ახ.წ. III საუკუნის მიწურულსა და IV საუკუნის დასაწყისში ზევსის გამოსახულებაში სამყაროს „ახალ პანტოკრატორს“ – ქრისტეს მოი-აზრებდა. მაშინ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ბექტები ზევსის გამოსახულებითა და ქრისტიანული მონოგრამით ერთდროულად ყოფილიყო დაკრძალულის როგორც პირადი ინსიგნია საბექტავი-ბექტები, ისე მრწამსის ამსახველი სამკაული.

#### ლიტერატურა:

- ლორთქიფანიძე მ. 1954:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I. სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული გემების კატალოგი (რედ. ა. კალანდაძე), თბილისი.
- ლორთქიფანიძე მ. 1958:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, II. არმაზისხევისა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები (რედ. შ. ამირანაშვილი), თბილისი.
- ლორთქიფანიძე მ. 1961:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გლიპტიკური ძეგლების კატალოგი (რედ. შ. ამირანაშვილი), თბ.
- ლორთქიფანიძე მ. 1967:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, IV, კატალოგი, თბ.
- ლორთქიფანიძე მ. 1990:** ჟინვალის სამაროვნის ბექტები. (ხელნაწერი. ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში).
- ნემსაძე გ. 1969:** ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები. - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები (1965-1967 წწ. ანგარიშები), თბილისი, გვ. 45-56.
- რამიშვილი რ. 1975:** ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არაგვის ხეობაში. - „ძეგლის მეგობარი“, № 39 (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), თბილისი, გვ. 7-15.
- რამიშვილი რ. 1979:** ერნოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. - ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, III (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), თბილისი.
- სულავა ნ., ალაპიშვილი თ., პატარიძე მ., ჩაგელიშვილი რ., ბუხსიანიძე მ., გოგაშვილი დ., ქორიძე ი., მამარდაშვილი გ., ბაქრაძე ი., კირთაძე ნ., სურმავა ნ., ხელაია თ., კალანდია თ., 2014:** მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. თბილისი.

**სურგულაძე თ., ბიბლიური თ., ძნელაძე მ. 1981:** ადრეული ქრისტიანობის სიმბოლო მცხეთიდან. – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №3, თბილისი, გვ. 741-744.

**ჩიხლაძე ვ. 2015:** უინვალის სამაროვანი, თბილისი.

**ჯავახიშვილი ქ. 1972:** ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გამეზი, V (რედ. ი. გაგოშიძე), თბილისი.

**ჯავახიშვილი ქ. 2002:** გლიპტიკურ ძეგლებზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები, II. გემა ერნო-თიანეთიდან. – ძიებანი, № 10 (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), თბ., გვ. 52-56.

**ჯავახიშვილი ქ. 2003:** ქართლის სამეფოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან რომაულ ხანაში (გლიპტიკური მასალების მიხედვით). – ძიებანი, № 12 (რედ. ვ. ჯაფარიძე), თბ., გვ. 75-88.

**ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ. 1982:** ზღუდრის სამაროვნის გლიპტიკური ძეგლები. – სსმმ XXXVI-B (რედ. ლ. ჭილაშვილი), თბილისი, გვ. 129-153.

**ჭილაშვილი ლ. 1964:** ნაქალაქარი ურბნისი, თბილისი. **Максимова М.И. 1950:** Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI-B(რედ. ა. აფაქიძე), თბ., გვ. 221-274.

**Менделеева Д. 2013:** Рождение иконы: мир переосмысленных символов, Москва. <http://www.matrony.ru/rozhdenie-ikony-mir-pereosmyslennykh-simvolov/>

**Уваров А.С. 1908:** Христианская символика. Ч. 1. Символика древне-христианского периода. Мос.

**Покровский Н.П. 1878:** Добрый пастырь в древнехристианской символике. – Христианское чтение, № 11-12. Петербург. გვ. 483-498.

**Чубова А.П. 1962:** Фидий. Москва-Ленинград.

**Appleton L., Bridges S. 1959:** Symbolism in Liturgical Art. New York.

**Brandt E., Krug A., Wendula G., Schmidt E. 1972:** Antike Gemmen In Deutschen Sammlungen. Bend I. Munchen.

**Dalton O.M. 1915:** Catalogue of The Engraved Gems of the Post-Classical Periods. London.

**Furtwangler A. 1896:** Beschreibung der Geschnittenen Steine im antiquarium. Berlin.

**Furtwangler A. 1900:** Die antiken Gemmen, T. III, Leipzig-Berlin.

**Greifenhagen A. 1975:** Schmuckarbeiten in Edelm Metall, Band II, Berlin.

**Grose S.W. 1929:** Catalogue of The Mc'clean collection of Greek Coins, vol. III. Asia Minor, Farther Asia, Egipt, Africa, London.

**Heinig M., Whiting M. 1987:** Engraved Gems from Gadara in Jordan, Oxford.

**Henkel F. 1913:** Die romischen Fingerringe der Rheinland, Berlin.

**Jensen R.M. 2000:** Understanding Early Christian Art, London-New York.

**Krug A. 1980:** Antike Gemmen im Romisch-Germanischen Muzeum, Koln-Berlin.

**Mark I.S. 1984:** The Gods on the East Frieze of the Parthenon. – Hesperia: The Journal of the American School of Classical Studies at Athens, Vol. 53, No. 3 (Jul. - Sep.), pp. 289-342.

**Mattingly H. 1968:** Coins of The Roman Empire in the British

Muzeum, Vol. IV, London.

**Richter G.M. 1966:** The Pheidian Zeus at Olimpia. – Hesperia: The Journal of the American School of Classical Studies at Athens, vol. 35, no. 2 (Apr.- Jun.), pp. 166-170.

**Richter G.M. 1968:** Engraved Gems of The Greeks And The Etruscans, London.

**Richter G.M. 1969:** L'arte greca, tr. it. di Mila Leva Pistoi, Einaudi, Torino.

**Richter G.M. 1971:** Engraved Gems of The Romans, London.

**Roscher W.H. 1884:** Ausfurliches Lexikon der grechisches und romisches Mythologie, Drezden.

**Walters H. 1926:** Catalogue of The Engraved Gems And Cameos Greek Etruskan And Roman In The British Muzeum. London.

<http://vittasim.livejournal.com/36433>.

<http://pravv.km.ua/read/0016/13.html>

### ილუსტრაციების აღწერილობა:

**ცაბ. I. 1.** ოქროს ბეჭედი, გემაზე ზევსის გამოსახულებით ქუშანანთგორის № 1 სამარხიდან; **2.** ანაბეჭდი ზევსის გამოსახულებით ქუშანანთგორის № 1 სამარხიდან; **3.** ფიდასის „ოლიმპიელი ზევსის“ ქანდაკება; **4.** ზევსი და ჰერა, რელიეფი პართენონის აღმოსავლეთ ფრიზიდან; **5.** პუტეალ დე მონკლოა, რელიეფი ნყაროს ცილინდრულ თავზე, მადრიდის არქეოლოგიური მუზეუმიდან; **6.** ზევსის გამოსახულება ძველ ბერძნულ გემაზე, ანაბეჭდი; **7.** ზევსის გამოსახულება ალექსანდრე მაკედონელის მონეტაზე; **8.** ზევსის გამოსახულება სელევკუს I-ის მონეტაზე; **9.** ზევსის გამოსახულება იმპერატორ კომოდუსის მონეტაზე; **10.-13.** ზევსის გამოსახულება რომაულ გემებზე.

**ცაბ. II.** ზევსის გამოსახულებები: **1.** გრანატის გემაზე, არმაზისხევის № 6 აკლდამიდან, ანაბეჭდი; **2.** სარდონის გემაზე, სამთავროს № 290 სამარხიდან; **3.** ქალცედონის გემაზე, სამთავროს № 12 სამარხიდან; **4.** სარდერის გემაზე უინვალის №420 სამარხიდან, ანაბეჭდი; ბურთულეზიანი ბეჭდები: **5.** ქუშანანთგორის №1 სამარხიდან; **6.** არაგვისპირის №13 სამარხიდან; **7.** ურბნისის №11 სამარხიდან; **8.** ზღუდრის № 2 ხის სარკოფაგიდან; **9-10.** ოქროს ბეჭედი, იასპის გემაზე ქრისტიანული მონოგრამით ქუშანანთგორის №1 სამარხიდან; **11.** ქრისტიანული მონოგრამა ქუშანანთგორის №1 სამარხიდან; **12.** რომაული ბეჭედი №1884, გემაზე ბერძნული წარწერით; **13.-16.** რომაული გემები ქრისტიანული მონოგრამებით. ბეჭდები თევზებისა და ღუზის გამოსახულებებით: **17.** სამთავროდან; **18.** სვეტიცხოველი II სამაროვანის №17 სამარხიდან; **19.** ბეჭდის თვალის ანაბეჭდი ქრისტეს მონოგრამით, უინვალის №420 სამარხიდან; **20.** ბროლის ბეჭედი, ფარაკზე ქრისტიანული მონოგრამით, მცხეთა-სამთავროდან.

**ცაბ. III. 1.** „ოლიმპიელი ზევსის“ ქანდაკების რომაული ასლი ერმიტაჟიდან; **2.** ქრისტე პანტოკრატორი სანტა პუდენციანას ბაზილიკიდან; **3.** „მწყემსი კეთილი“ რავენის გალა პლაციდიას მავზოლეუმიდან.

I



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13

II



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16



17



18



19



20

III



1



2



3



## ზემო იმერეთი ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ სივრცეში

ადრეული შუა საუკუნეების ზემო იმერეთის შესახებ არცთუ ბევრი ნაშრომი მოგვეპოვება. ყველა მკვლევარი, ვინც ამ კუთხის ძველი ისტორიის პრობლემებს შეხებია, მას განიხილავდა არგვეთის საერისთაოს ისტორიასთან მიმართებაში და ეს ვითარება არც არის მოულოდნელი, რადგან საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ეს მიწა-წყალი არგვეთის საერისთაოს შემადგენელი ტერიტორია იყო ამ უკანასკნელის შექმნის დღიდანვე. დღევანდელი მონაცემებით შედარებით კარგად არის შესწავლილი არგვეთის ამ ნაწილის ანტიკური ისტორიის საკითხები და ეს მომენტი დაკავშირებულია საირხის გახმაურებულ აღმოჩენებთან.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების წარმოქმნისა და განვითარების პრობლემა საისტორიო გეოგრაფიის, არქეოლოგიისა და წყაროთმცოდნეობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. აღნიშნული პრობლემის კვლევას ჩვენში საფუძველი ჩაუყარა აკად. ნ.ბერძენიშვილმა. მანვე პირველმა დაისახა მიზნად ცალკეული “ქვეყნების” გენეზისის პრობლემის კვლევა და შეიძლება ითქვას, რომ მისი მეთოდოლოგიური მითითებები დღემდე აუცილებელ სამოქმედო სახელმძღვანელოდ რჩება ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

არგვეთის, როგორც ადმინისტრაციული და ტერიტორიული ერთეულის, კვლევას სათავე დაუდო გ. ცქიტიშვილმა და იმთავითვე ივარაუდა არგვეთის საერისთაოს ფარგლებში ორი პოლიტიკური ერთეულის, შორაპნისა და საჩხერის ქვეყნების არსებობა [ცქიტიშვილი, 1964:58]. ამ მოსაზრებას თავის დროზე არავინ გამოხმაურებია და მხოლოდ საირხის აღმოჩენების შემდეგ დადგა დღის წესრიგში არგვეთის საერისთაოს პოლიტიკური

სტრუქტურის გარკვევის მცდელობა.

სანამ ამ საკითხებზე შედარებით დაწვრილებით შევჩერდებოდეთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ცნობილი მოვლენა, არგვეთის საერისთაოს შექმნა და თვალის გაგადევნოთ წერილობით წყაროებში შემორჩენილ ცნობებს ზემო იმერეთში არსებული ადმინისტრაციული ერთეულების შესახებ.

ლეონტი მროველი არგვეთის საერისთაოს შექმნას ფარნავაზს მიაწერს და უკავშირებს მის მიერ განხორციელებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ რეფორმას: “ერთი გაგზავნა მარგვის ერისთავად და მისცა მცირით მითთგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუ[რ] მადე [ეგრისისა], რიონს ზემოთ და ამანვე ფარნავაზ ალაშენა ორნი ციხენი შორაპანი და დიმნა” [ქც. 1955:24]. ამ გადმოცემის მიხედვით ვერ ირკვევა ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი იმასთან დაკავშირებით, კონკრეტულად ვის ეკუთვნოდა არგვეთი და შესაბამისად, ზემო იმერეთი ფარნავაზამდე, ან რის საფუძველზე შექმნა აქ ქართლის მეფემ ადმინისტრაციული ოლქი. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ნ. ბერძენიშვილის შენიშვნა, რომლის თანახმადაც, ლეონტი მროველს საქართველო სავსებით გამოკვეთილ, ცალკე ერთეულად წარმოუდგენია. ეს ქართლი არის სწორედ ის საქართველო X-XI საუკუნეებში საბოლოოდ რომ ჩამოინაკვთა და ლეონტის ერისთავნიც ისეთივენი არიან, როგორც იყვნენ ერისთავები XI საუკუნეში: ლეონტის ერისთავები მეფეებს სვამენ, ისინი ადგილთა ერისთავები არიან, მამა-პაპურ რჯულს იცავენ, მეფის თვითნებობას ებრძვიან და რაც ყველაზე უმთავრესია, ლეონტი არც ერთ შემთხვევას

არ ასახელებს, რომ მეფე ერისთავებს ცვლიდეს. ერისთავები მკვიდრად სხედან თავიანთ საერისთავოებში. თითოეული საერისთავო ვეებერთელა ტერიტორიაა. რეალურ-ისტორიული საეჭვოა აქ რაიმე იყოს, სამაგიეროდ ლეონტის დროის სურათია მოცემული. ასეთი სურათი კი ყველაზე უფრო შესაფერია X-XI საუკუნეებისათვის [ბერძენიშვილი, 1979:12-15].

როგორც ვხედავთ, თავიდანვე არსებობდა ეჭვი ფარნავაზის დროინდელი საერისთავების, მათ შორის არგვეთის საერისთავოს, ლეონტი მროველისეული ინტერპრეტაციის გარშემო და მიიჩნეოდა, რომ ეს ადმინისტრაციული ერთეული ფეოდალური ურთიერთობებისა და საქართველოს გაერთიანების თანადროული პროდუქტი უნდა ყოფილიყო. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში, მიზეზი იმისა, თუ რას უნდა გამოიწვიოს თუნდაც შუა საუკუნეების არგვეთში საერისთავოს შექმნა არგუმენტირებული არ არის და დღემდე პასუხგაუცემელია. სამაგიეროდ, კარგად არის ცნობილი ის ეკონომიკური წინამძღვრები, რომლებმაც გამოიწვია ყვირილის ხეობაში მოსახლე საზოგადოების არაჩვეულებრივი აღმავლობა და დაწინაურება ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან.

მ. ინაძის აზრით, ამ მოვლენის ეკონომიკური საფუძველი იყო მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება [ინაძე, 1995:134]. ხოლო ჯ.ნადირაძის მოსაზრებით, ყვირილის ხეობის საზოგადოების აღმავლობას საფუძველი მისცა ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის განვითარების მაღალმა დონემ [ნადირაძე, 1990:8-22]. ამ საკითხებზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ანტიკური ეპოქის ტრადიციები არ შეიძლება დაკარგულიყო ახ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში და როგორც ამას ზემო იმერეთის არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებს, აღნიშნული პერიოდის საზოგადოებაც იდგა განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე. ნათქვამის მკაფიოდ დასტური მოდინახეს, რგანისა და ჯიეთის გვიანანტიკური ხანის სამარხებია, რომ-

ლებშიც გამოვლენილია ოქრომჭედლობის, ტორეტიკისა და იარაღის არაერთი ნიმუში, რაც აშკარად მიუთითებს მათ მფლობელთა დიდ ეკონომიკურ შესაძლებლობებზე.

სამწუხაროდ, თქმულის დამადასტურებელი წერილობითი წყაროების ცნობები პრაქტიკულად არ გავაჩნია. საერთოდ, ზემო იმერეთის ადრეული შუა საუკუნეების ისტორიის შესახებ ქართული საისტორიო მწერლობა არანაირ ცნობებს არ გვანვდის. ასეთ ცნობებს ვერ ვხვდებით ვერც თანადროულ ბიზანტიურ საისტორიო მწერლობაში. არადა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადრეული, V-VII შუა საუკუნეები, ერთერთი ყველაზე უფრო მოვლენებით დატვირთული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს არის გამოჩენილი მეფეების, ვახტანგ გორგასლის, გუბაზ I-ისა და გუბაზ II-ის მოღვაწეობის ხანა. VI საუკუნე ქართლში სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და მისი ხელახალი აღდგენის ეპოქაა, ხოლო იმავე ხანების ეგრისში მძვინვარებს „დიდი ომიანობა“. VII საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში ლაშქრობენ არაბები.

მოდინახეს სამაროვნის გვიანდელი ჯგუფის სამარხები [კაპანაძე, 2006:113-118], ჯიეთისა და იცქისის ნამოსახლარი [Kapanadze, 2014:128-132] ფენები (ტაბ. I, II, III, IV), სწორედ აღნიშნული მოვლენების თანადროულია და საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ძეგლების შემოქმედი საზოგადოება აქტიურად იყო ჩაბმული ხსენებული პერიოდის ისტორიულ რეალებში და ამ ვითარებაში ცოტა მოულოდნელადაც გამოიყურება წერილობითი წყაროების მხრიდან აღნიშნული მხარის სრული იგნორირება. არსებული რეალობა გვაფიქრებინებს, რომ ზემო იმერეთი, შესაძლოა, ამ დიდი ისტორიული მოვლენების მიღმა დარჩა და მას არ შეხებია არც ირანელთა თარეში, არც “დიდი ომიანობის” პერიპეტიები და ამ კუთხეში არც არაბებს შეუღწევიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთერთი ეს მოვლენა აუცილებლად აისახებოდა რომელიმე საისტორიო წყაროში. ასე რომ, მხოლოდ არ-

ქელოგიური მონაცემებილა გვრჩება ზემო იმერეთის ადრეული შუა საუკუნეების ისტორიული სურათის შესაძლო რეკონსტრუქციის საქმეში.

პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის ნაშრომებიდან ცნობილი ხდება, რომ ირან-ბიზანტიას შორის მიმდინარე ხანგრძლივი ომის აქტიური მონაწილეები იყვნენ ქართული სახელმწიფოებიც (ქართლი და ეგრისი). ჩვენთვის საინტერესო რეგიონთან დაკავშირებით, ამ ცნობებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ზემო იმერეთში საომარი მოქმედებები არ განვითარებულა და აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი არც ბიზანტიელებისთვის და არც ირანელებისთვის ინტერესის სფეროს არ წარმოადგენდა. ეს ვითარება კი ცოტა უცნაურად გამოიყურება, რადგან ცნობილია, რომ ორივე მეომარ მხარეს დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში აშკარად ჰქონდათ საკუთარი, მყარად გამოკვეთილი სტრატეგიული მიზნები და ისიც კარგად არის ცნობილი, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ირანიც და ბიზანტიაც ეგრისისა და ქართლის მომიჯნავე რეგიონის გაკონტროლების საქმეს. ამის დასტურად შორაპნისა და სკანდას ციხეების მაგალითებიც საკმარისია. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხსენებული ციხეები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ადრეული შუა საუკუნეების ეგრისის ცხოვრებაში და წარმოადგენდნენ რიონ—ყვირილის სასიმაგრო თავდაცვითი ხაზის სასიცოცხლო საფორტიფიკაციო ნაგებობებს [ლანჩავა, 1999:48-50]. საკუთრივ ზემო იმერეთიც მდიდარია საფორტიფიკაციო ნაგებობებით (ციხე მოდინახე, წინსოფლის, ხრეთის, სვერის, იცქისის, თოდაძის, ნიგოზეთის, ნავარძეთის ციხეები), (ტაბ. V, VI), მაგრამ არც ერთი მათგანის შესახებ ადრეული შუა საუკუნეების ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული ცნობა არ მოგვეპოვება. ამ ვითარებას მხოლოდ ორი ახსნა შეიძლება ჰქონდეს. პირველი, რომ აღნიშნულ ციხეებს

არანაირი გამოყენება არ ჰქონდათ და შესაბამისად, არც არანაირ როლს ასრულებდნენ ამ პერიოდის ისტორიულ პროცესებში. რაც ჩვენ ნაკლებ სარწმუნოდ გვეჩვენება, რადგან თუ ეს მართლა ასე იყო, საერთოდ რა აზრი ჰქონდა მათ აშენებას. და მეორე, რაც ჩვენი აზრით, უფრო ახლოს არის სინამდვილესთან და გამოიხატება იმაში, რომ ეს ციხეები აშენდა ამ მოვლენებიდან გარკვეული დროის გავლის შემდეგ. მაგრამ ამ ვითარებაშიც ცოტა გაუგებარია ის მდგომარეობა, რომ განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებში მათ შესახებ წერილობითი ცნობები არც თუ ისე მრავალრიცხოვანია და შეიძლება ითქვას, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ სვერისა და მოდინახეს ციხეების ირგვლივ დაცულ ორიოდ ცნობას, სხვა მონაცემები არ დასტურდება. ამიტომ არ გამოვრიცხავთ იმ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობასაც, რომ VI-VII საუკუნეებში ეს ციხეები საერთოდ არ არსებობდა და შესაბამისად, ზემო იმერეთიც უციხეებო რეგიონს წარმოადგენდა. ისიც აშკარაა, რომ ციხეებს ზოგადად ისტორიული თვალსაზრისითაც ენიჭება დიდი მნიშვნელობა, რადგან როდესაც რომელიმე ტერიტორიის საგამგეო ერთეულად განხილვას ვცდილობთ, მით უფრო ადრეულ შუა საუკუნეებში, ციხეების პრობლემას გვერდს ვერ ავუვლით. ეს იმიტომ რომ, ამა თუ იმ ლოკალური კუთხის მმართველი ზედაფენის სოციალური დეტერმინაცია წარმოუდგენელი ან ნაკლებ სარწმუნოა სათანადო ციხის ფლობის გარეშე, რადგან როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მმართველის პოლიტიკური ძალა მის მიერ ციხის აშენებაშია განსახიერებული, რამეთუ ვინც ციხის უფალია, ის ქვეყნის რეალური მფლობელი და გამგებელიც არის [ინაძე, 1988:158]. სათანადო კვლევებით თუ დადასტურდებოდა, რომ ზემო იმერეთის რომელიმე ციხე აგებულია ადრეულ შუა საუკუნეებში, მაშინ უფრო დაბეჯითებით შეიძლება მსჯელობა ამ მიწა-წყლის ცალკე საგამგეო ერთეულად არსებობის შესახებ. აღნიშნულ საკითხს ქვემოთ

კვლავ დაუბრუნდებით, ახლა კი მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ სკანდა-შორაპნის სასიმაგრო ზოლის ფუნქციონირების პირობებში, ზემო იმერეთი, ერთი შეხედვით, საერთო ისტორიული კონტექსტიდან ამოვარდნილად გამოიყურება და ჩვენს მიზანსაც იმის გარკვევა წარმოადგენს, რამდენად აქვს რეალური საფუძველი ასეთი მსჯელობის შესაძლებლობას. ვფიქრობთ, ეს საკითხი პირდაპირ უკავშირდება არგვეთის საერისთაოს პრობლემას და ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ “ქართლის ცხოვრების” საისტორიო ტრადიცია არგვეთის საერისთაოს შექმნას (ისევე, როგორც სხვა დანარჩენი საერისთაოებისა) არ განიხილავს ციხეების გარეშე და ლეონტი მროველის თანახმად, ფარნავაზი კოლხეთის აღმოსავლეთში ახორციელებს ერთდროულად ორ მოქმედებას: აარსებს საერისთაოს და ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების სიმბოლოებად აგებს ორ ციხეს, შორაპანსა და დიმნას. ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთმნიშვნელოვნად მოხდა არგვეთის საერისთაოს გაიგივება შორაპნის საერისთაოსთან (გ. ცქიტიშვილი) და დიმნას თავიდანვე მიენიჭა მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა.

ინტერესმოკლებული არ არის იმის აღნიშვნაც, რომ არგვეთის საერისთაოსთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ ლეონტი მროველისეულ ისტორიულ კონცეფციას გარკვეულნილად ეხმიანება ჯუანშერიც, რომელიც ამ საგამგეო ერთეულს იმავე გეოგრაფიულ არეალში ათავსებს, როგორც ლეონტი მროველი, მაგრამ მისგან განსხვავებით მას წარმოადგენს უფრო დიდ ადმინისტრაციულ ოლქად. ჯუანშერის თანახმად, ვახტანგ გორგასლის მიერ ამ კუთხის ერისთავად დადგენილი ბაკური ერთდროულად არგვეთისა და თაკვერის მფლობელია [ქც. 1955:185], ე.ი. ამ პერიოდში არგვეთის საერისთაო რაჭასაც მოიცავს. ჩვენ საშუალება გვაქვს, “ქართლის ცხოვრების” ეს ცნობები შევადაროთ ადრეუ-

ლი შუა საუკუნეების ბიზანტიურ საისტორიო მწერლობაში (პროკოპი კესარიელი) შემონახულ ცნობებს და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები. პროკოპი კესარიელი, რომელიც კარგად იცნობს დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიას, გადმოგვცემს, რომ რაჭა-ლეჩხუმი (სკვიმნიის სამთავრო) შედიოდა ეგრისის სამეფოს დაქვემდებარებაში და არანაირად არ იყო დამოკიდებული ქართლის სამეფოზე [პროკოპი კესარიელი, 1966:126]. აქვე ისიც საკითხავია, რამდენად მიუწვდებოდა ხელი ვახტანგ გორგასალს და რამდენად შესწევდა საიმისოდ პოლიტიკური ძალა, რომ დასავლეთ საქართველოში შეექმნა ქართლის სამეფოსადმი დამოკიდებული საერისთაო. არგვეთის რაღაც ნაწილი, უფრო ქართლთან მიმდებარე მიწა-წყალი, საფიქრებელია, რომ ამ პერიოდშიც აღმოსავლურ ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ ამ ვითარებას ჰქონდა რამდენიმე საუკუნის ტრადიცია და არაფერ შუაში იყო ვახტანგ გორგასლის პოლიტიკური ნებასურვილი.

არქეოლოგიური ძეგლების მონაცემები მიაჩვენებენ, რომ ზემო იმერეთს რაღაც პოლიტიკური ერთეულის სტატუსი უნდა ჰქონოდა და არ არის გამორიცხული, რომ წარმოადგენდა საგამგეო ტერიტორიას. თუმცა, ადრეული შუა საუკუნეებისთვის ეს ვარაუდი ჯერ კიდევ საკამათო მოსაზრებათა რიგს მიეკუთვნება. ძნელი სათქმელია, რამდენად მართებულია კონკრეტული პერიოდისთვის ადრეული ან შედარებით მერმინდელი ანალოგიების მოშველიება, მაგრამ თუ ასეთ მეთოდს მივმართავდით, ამ შემთხვევაში, გაცილებით მარტივი იქნებოდა ზემოთქმული ვარაუდის დასაბუთება, რადგან ცნობილია, რომ განვითარებული შუა საუკუნეების ზემო იმერეთი ნამდვილად წარმოადგენდა საქართველოს ერთერთი მნიშვნელოვანი ფეოდალს, არგვეთის საერისთაოს ნაწილს და აქვე მდებარეობდა ერისთავის რეზიდენციაც. მხედველობაში გვაქვს “მატიანე ქართლისაში” მოხსენიებული ჩიხის

საერისთაო. აღნიშნულ ისტორიულ წყაროში უკვე აღარაა ნახსენები ლეონტი მროველისა და ჯუანშერისეული არგვეთის საერისთაო და დასტურდება “ერისთავი ჩიხისა”. მართალია, მათიანეში პირდაპირ არ არის ნახსენები ჩიხის საერისთაო, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ “ერისთავი ჩიხისა”, რა თქმა უნდა, საერისთაო მიწა-წყალს გულისხმობს. ამ საერისთაოს მოხსენიება უკავშირდება აფხაზთა მეფეების ქართლისთვის ბრძოლის პერიოპტიებს: “მას ჟამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი. დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი. და ვითარ გარდაიცვალა გიორგი, აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატი, რომელი იცნობების ექსორიაქმნილობით. და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა” [ქც.1955: 258].

“ერისთავი ჩიხისა” სულ ორჯერ მოიხსენიება ქართულ საისტორიო მწერლობაში. ნ.ბერძენიშვილი სვამდა კითხვას, ხომ არ იგულისხმებოდა ამ შემთხვევაში “ჩიხის ერისთავი” ქართლის ერისთავად [ბერძენიშვილი, 1966:31]. თუ ჩიხა ქართლის საერისთაო იყო, მაშინ ცხადია, რომ ამ პერიოდის ზემო იმერეთიც, შესაბამისად ქართლის ფარგლებში იქნებოდა მოქცეული. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ალბათ, საინტერესო უნდა იყოს არა ის, თუ ვის ექვემდებარება ეს მხარე, არამედ ის, თუ როდიდან შეიძლება ვივარაუდოთ აღნიშნული საერისთაოს არსებობა. სამწუხაროდ, “მატიანე ქართლისა” ამ პრობლემის ირგვლივ პასუხს არ იძლევა. ამის მიუხედავად, ეს ცნობა არაერთ ყურადსაღებ კითხვას ბადებს. აქვე იმასაც დავძენთ, რომ არქეოლოგიური თვალსაზრისით სოფელი ჩიხა თითქმის შეუსწავლელია და აქ მხოლოდ XX საუკუნის 70-იან წლებში ჩაატარა ჯ. ნადირაძემ მცირე მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები. სოფლის ეკლესიის სამხრეთით, ადგილ “გობინარში” დადასტურდა ადრეანტიკური და ელინისტური ხანის უაღრესად მწირი ფენების ნაშთები. გამოვლინდა

ნითლად მოხატული და ნითლად შეღებილი კერამიკის მცირე ფრაგმენტები. როგორც გამთხრელი აღნიშნავდა, ელინისტური ხანის შემდგომ ეს ადგილი აღარ წარმოადგენდა დასახლებულ პუნქტს [ნადირაძე, 1990:135-136]. ერთი სადაზვერვო თხრილის მონაცემებზე დაყრდნობით ძალიან ძნელია ზოგადად დასახლებული პუნქტის შესახებ მსჯელობა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა ამ, თუნდაც მცირე გათხრებს, არ მოუცია. შესაძლებელია, მომავალში არ გამოირიცხოს ჩიხაში სხვადასხვა პერიოდების კულტურული ფენების აღმოჩენა, მაგრამ ამჟამად ჩვენთვის ცნობილი მასალა ნამდვილად არ უჭერს მხარს აქ შუა საუკუნეების არქეოლოგიურ დადასტურებას. თუმცადა, აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ წერილობითი წყაროს ცნობა შეიძლებოდა საკმარისი საბუთიც ყოფილიყო, მაგრამ არქეოლოგიური მასალის არსებობა, რა თქმა უნდა, დამატებითი არგუმენტი იქნებოდა და აღმოჩენის შემთხვევაში, უცილობლად გაამყარებდა “მატიანე ქართლისას” ცნობის სისწორეს ჩიხის, როგორც საერისთაო რეზიდენციად არსებობის თაობაზე.

ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევდა, რომ ჩიხა, შემდეგდროინდელი საჩხერის მაგივრობას სწევდა [ბერძენიშვილი, 1966:31]. აქ თითქოს ირიბად არის ნათქვამი, რომ ჩიხა და საჩხერე შესაძლებელია, ერთი და იგივე გეოგრაფიული პუნქტი ყოფილიყო. ასეთ ვარაუდს მხარს უნდა უჭერდეს მოდინახეს სამაროვნის მონაცემებიც, რადგანაც იგი საჩხერისა და ჩიხის მიდამოებში შუა საუკუნეების, ჯერჯერობით, ერთადერთი გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლია. მოდინახეს სამაროვანზე აშკარად გამოიყოფა ორი შედარებით ფართო ქრონოლოგიური პლასტი: გვიანანტიკური (IV საუკუნის პირველი ნახევრისა და შუა წლების) და ადრეული შუა საუკუნეების (IV საუკუნის მინურული - VII საუკუნის) კომპლექსები. ბუნებრივია, რომ ამ ორ მთავარ ჯგუფში შესაძლებელი ხდება შედარებით ვიწრო ქრონოლოგიური შკალის გამოყოფაც [კაპანაძე 2006:134].

ამ ეტაპზე მნიშვნელობას ვანიჭებთ მოდინახეს გვიანანტიკური ხანის მდიდრულ სამარხებს, რადგან სწორედ ისინი მიანიშნებენ, რომ სამაროვანი მხოლოდ რიგითი სოციალური წრის წარმომადგენელთა საძვალე არ უნდა ყოფილიყო. ამის შესახებ ჯერ კიდევ ჯ. ნადირაძე აღნიშნავდა და მიიჩნევდა, რომ გვიანანტიკური ხანის დასაწყისიდან არგვეთის საერისთაოს ცენტრი მდ. ყვირილის მარჯვენა ნაპირზე უნდა არსებულებოდა და ამ ქვეყნის გამგებელთა რეზიდენცია, ისევე, როგორც ნეკროპოლი, საძებნი იყო ქ.საჩხერის ტერიტორიაზე და ქართული ენის ნორმებიდან გამომდინარე, არ გამოირიცხებოდა შედარებით გვიან გაჩენილ ტოპონიმ საჩხერის ჩიხასთან დაკავშირება [ნადირაძე, 1975:76]. თუ ეს მოსაზრება სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ ცხადი გახდება, რომ სწორედ მოდინახეს ნეკროპოლიდან ეყრება საფუძველი შუა საუკუნეების ჩიხის (საჩხერის) საერისთაოს. ამ შემთხვევაში ნამდვილად არ არის უკანა პლანზე გადასანევი ჩიხასთან შედარებით საჩხერის გაცილებით მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობა. საჩხერესთან თავს იყრის სასიცოცხლო მნიშვნელობის გზები, რომლებსაც ყოველთვის დიდი დატვირთვა ჰქონდათ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში [ნადირაძე, 1990:131].

არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოითქვა ვარაუდი, რომ მდ. ყვირილის ზემო წელზე მთავარ საფორტიფიკაციო ნაგებობას შესაძლოა ამ ეპოქის იცქისის ციხე წარმოადგენდა, რომელიც აკონტროლებდა შიდა ქართლის მთიანეთსა და ბარში მიმავალ გზებს. ამასთან არ გამოირიცხება ის ვარაუდიც, რომ ასეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი რეგიონის მმართველის რეზიდენციაც ყოფილიყო [Kapanadze, 2014:134].

ყვირილის ხეობის ზემო წელზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები იმ ვარაუდის გამოთქმას უფრო უჭერს მხარს, რომ არგვეთის ეს ნაწილი ორგანულად დაკავშირე-

ბულია აღმოსავლეთ საქართველოსთან და ასეთად რჩება იგი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში.



#### ლიტერატურა:

- ბერძენიშვილი ნ. 1966:** გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი.  
**ბერძენიშვილი ნ. 1979:** საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, თბილისი.  
**ინაძე მ. 1995:** ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბილისი.  
**ინაძე მ. 1988:** ეგრისისა და ქართლის ურთიერთობისათვის. - მნათობი № 8, თბილისი.  
**კაპანაძე ნ. 2006:** საჩხერის ადრე შუა საუკუნეების სამაროვანი. - არქეოლოგიური ჟურ., IV, თბ.  
**ლანჩავა ო. 1999:** ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში, ქუთაისი.  
**პროკოპი კესარიელი. 1966:** გეორგიკა III, თბილისი.  
**ქ.ც. 1955:** ქართლის ცხოვრება I, თბილისი.  
**ცეციტიშვილი გ. 1964:** ანტიკური ხანის შორაპნის საერისთაოს საკითხისათვის. - საქართველოს ისტ. გეოგრ. კრებ. III, თბილისი.  
**ნადირაძე ჯ. 1975:** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.  
**ნადირაძე ჯ. 1990:** საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, თბილისი.  
**Kapanadze N. 2014:** The Itskisi Fortress. - Iberia-Colchis, N10, Tbilisi.


#### ილუსტრაციების აღწერილობა:

- I.** იცქისის ციხე; **II.** ადრეული შუა საუკუნეების კეარმიკა და იარაღი იცქისის ციხიდან; **III.** განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკა იცქისის ციხიდან; **IV.** მოდინახეს ციხე; წინსოფლის ციხე.

I




II





III



# IV



## არიმასპი პელიკეზა

ჰეროდოტეს თავის „ისტორიაში“ ნახსენებები ჰყავს არიმასპები, ცალთვალა ხალხი, რომელიც ცხოვრობდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის შორეულ სივრცეებში, ისე-დონების ზემოთ, ხოლო მათ ზემოთ ოქროს მცველი გრიფონები სახლობდნენ. არიმასპებს, თურმე გაუთავებელი ომები ჰქონდათ მეზობლებთან და მათ შორის ოქროს მცველ გრიფონებთანაც, რამაც ასახვა ჰპოვა მათ შესახებ მითებში და ლეგენდებში.

არიმასპების და გრიფონების ბრძოლა ასახულია ბერძნული ხელოვნების სხვადასხვა ძეგლზე, განსაკუთრებით ხშირად კი გვხვდება ბერძნულ ვაზათმხატვრობაში (ბორდმანი). ყველაზე დიდ პოპულარობას ამ სიუჟეტმა მიაღწია ძვ.წ. IV ს-ში, როცა ის ძირითადად გვხვდება კრატერებსა და პელიკებზე და მალე მასობრივ ხასიათს იღებს.

თავად პელიკე არის ამფორის სახეობა, რომელიც ძვ.წ. VI ს-ის დასასრულს ჩნდება ათენში. მისი განსაკუთრებული პოპულარობის ხანა ძვ.წ. IV საუკუნეა, ხოლო ძვ.წ. IV ს-ის მიწურულიდან ქრება და მას დასავლეთ ფერდობის სტილის ამფორები ცვლის.

პელიკეს აქვს მსხლისებური ფორმა, ანუ ჭურჭელს მაქსიმალური დიამეტრი ტანის შუა ნაწილში ან მის ქვემოთ აქვს. არსებითად პელიკები წითელფიგურული ტექნიკით მოხატული ჭურჭლისთვის დამახასიათებელი ფორმაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პელიკესა და გრიფონომახისის (არიმასპებისა და გრიფონების ბრძოლა) განსაკუთრებული პოპულარობის ხანა ძვ.წ. IV საუკუნეა.

ამ პერიოდის (ვგულისხმობ ძვ.წ. 400-320 წწ.) დასაწყისში, როგორც ამას რობერტ კუკი ადასტურებს, ბერძნულ ვაზათმხატვრობაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს აფროდიტესთან დაკავშირებული

და დიონისური სცენები. ხოლო ამ საუკუნის შუახანებში მათ პოპულარობას მეტოქეობას უწევენ ამაზონები, არიმასპები, გრიფონები [Cook, 1972:185; Boardman, 2001:193]. ვაზების მეორე მხარე, ძირითადად, გაფორმებულია სამფიგურიანი კომპოზიციით, სავარაუდოდ, პალესტრის თემით, ან ერთმანეთის პირისპირ მდგომი ორფიგურიანი სცენით, რომელიც იგივე პალესტრის სიუჟეტი უნდა იყოს, დაყვანილი ორ ფიგურამდე (kuki spina). როგორც რობერტ კუკი აღნიშნავს, ამ ჭაბუკების ყოველი მომდევნო გამოსახულება, წინასთან შედარებით, უფრო დეგრადირებულია [Cook, 1972:185].

ბუნებრივია ჩნდება კითხვა, რატომ უწევს მეტოქეობას ბერძენისთვის შორეული არიმასპების თემა დიონისურ და აფროდიტეს თემატიკას?

რ. კუკის აზრით, ატიკელი ოსტატები ითვალისწინებდნენ იმათ გემოვნებას, ვისთვისაც იყო გამიზნული ჭურჭელი. ვაჭრებსა და დილერებს ხელოსნური ნაწარმი ხმელთაშუა ზღვის აუზის გარეთ გაჰქონდათ; გრიფონებიანი და არიმასპებიანი სიუჟეტი ძვ.წ. IV ს-ით დათარიღებულ ატიკურ პელიკებზე, შერჩეულია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ბერძნებისა და სკვითების საამებლად, თუმცა ეს ჩვეულებრივი მოვლენაა იტალიაში, კერძოდ, სპინაში [Landolf, 2000:77-92].

სწორედ ასეთი ვაზაა დაცული საქართველოს ეროვნული მუზეუმის, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის დასავლეთ ევროპის ფონდში. ეს წითელფიგურული პელიკე, რომლის ერთ მხარეზე არიმასპისა და გრიფონის შებრძოლებაა ასახული, ხოლო მეორე მხარეს ორი, ერთმანეთის პირისპირ მდგომი ფიგურა, მუზეუმში 1946 წელს მოხვდა ერმიტაჟის კოლექციიდან. შამ-

წუხაროდ, სრულიად უცნობია ჩვენთვის ამ ვაზის აღმოჩენის ადგილი. მისი სიმაღლე 22 სმ-ია. პირის კიდეზე დაუყვება ოვების სარტყელი. ასეთივე ორნამენტით არის შემოჩარჩობული ნახატი ზემოდან და ქვემოდან. როგორც უკვე ვახსენეთ, A გვერდზე გამოსახულია გრიფონებთან მებრძოლი, ცხენზე ამხედრებული არიმასპი. არიმასპი მარცხნიდან, ხოლო გრიფონი მარჯვნიდან მიემართებიან ერთმანეთისკენ. კომპოზიციის თითქმის ცენტრში გრიფონისა და ცხენის ფეხებს შორის მომრგვალო საგანია გამოსახული, შუაში ჯვრით და ჯვრის მკლავებს შორის თვალისებური ორნამენტით გაფორმებული. ეს სავარაუდოდ, ფარი უნდა იყოს (იხ. ილუსტ. 1- A).

B გვერდზე კი ორფიგურიაანი კომპოზიციის დახატული: ჰიმატიონში შემოსილი ორი ჭაბუკი, რაც როგორც უკვე ვახსენეთ, ძალიან პოპულარულია ძვ. წ. IV საუკუნის ვაზათმხატვრობაში, როგორც დიდი ზომის ჭურჭლებზე, ასევე სკიფოსებზე; ამის მაგალითები საქართველოშიც არის აღმოჩენილი [ყიფიანი, 2009:80-84]. ორი, ერთმანეთის პირისპირ მდგომი ფიგურის ცენტრში გაურკვეველი ოთხკუთხედის ფორმის საგანია, შუაში შავი წერტილით. მარცხენა ფიგურას ცალი ხელი გამონთავისუფლებული აქვს ქიტონიდან და თითქოს ამ საგანზე მიუთითებს. ნახატი საკმაოდ დაუდევრად არის შესრულებული და ამაზე მეტყველებს ორივე ფიგურის სახეზე, ლოყის არეში დატანილი ლაქა, თითქოს მცდელობა პირის გამოყვანისა. ეს სცენა, როგორც დასაწყისში აღინიშნა, უნდა იყოს ამ პერიოდში (ე.ი. ძვ.წ. IV ს-ში) ესოდენ პოპულარული პალესტრის თემა. ამ თემის განვითარებაში დროთა მანძილზე სამი ან მეტი ფიგურიდან დარჩა მხოლოდ ორი, ერთმანეთის პირისპირ მდგომი; გაქრა პედოტრიპისა და ათლეტის მიმანიშნებელი ატრიბუტებიც (იხ. ილუსტ. 2- B).

ჩვენი პელიკის პარალელი ნიმფეიონშია აღმოჩენილი. ანალოგად შეიძლება ჩაითვალოს მადრიდის პელიკეც [Boardman, 2001:Illustr. 408], მაგრამ ნიმფეიონის ნიმფი უფრო

ემგავსება ჩვენსას. ის დათარიღებულია ძვ.წ. 360-350 წწ-ით [Древ. Гор. Нимфей 1999: 44-45, 75].

სავარაუდოდ, ჩვენი პელიკეც, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ბერძნებისა და სკვითების „საამებლად“ ძვ.წ. 360-350 წწ-ში შექმნილი ატიკური ვაზაა და ის მიეკუთვნება გრიფონების ჯგუფს [ჯგუფის შესახებ დაწვრილებით იხ. Beazley, 1963:1469, 158]. ვინაიდან ეს ჭურჭელი, ანალოგიებს სწორედ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის რეგიონში ნაპოვნ ნიმფებთან ავლენს მეტ სიახლოვეს, ის ერმიტაჟში უფრო ადვილად მოხვდებოდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებიდან. ამდენად, ფრთხილად გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ ის შეიძლება აღმოჩენილი ყოფილიყო ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში.

#### ლიტერატურა:

- ყიფიანი ნ. 2009:** წითელფიგურული სკიფოსები ვანის ნაქალაქარიდან. – კრებ. იბერია-კოლხეთი, №9, თბ., 80-84.
- Beazley J.D. 1963:** Attic Red-Figure Vase-Painters (ed. 2), Oxford.
- Boardman J. 2001:** Athenian Red-Figure Vases. The Classical Period. London.
- Cook R.M. 1972:** Greek Painted Pottery. Second Edition. London.
- Landolf M. 2000:** Il Pittore di Filottrano e la tarda ceramica attica a figure rosse nel Piceno. La ceramica attica del IV-é siècle en Méditerranée Occidentale. Centre Jaen Bérard. Naple, p. 77-92.
- Древний город Нимфей 1999:** Каталог выставки. Санкт-Петербург.

#### ილუსტრაციის აღწერილობა:

წითელფიგურული პელიკა საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის დასავლეთ ევროპის ფონდის კოლექციიდან: 1. A-მხარე; 2. B-მხარე.

I



A

B

## მცხეთაში აღმოჩენილი ერთი გემის განსაზღვრისათვის

2002 წელს მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე გაითხარა № 990 თიხისფილა სამარხი, ბრტყელი კრამიტებით გადახურული (ზომები: 1.8X0.9X0.6 მ). სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის ბეჭედი გემა-ინტალიოთი (ინვ. №3016, მმ №22139), რომელიც დაცულია დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის ფონდში. გთავაზობთ საბეჭდავი ბეჭდის აღწერილობას.

ინტალიო წითელი ფერის სარდიონისა, ვერცხლის ბუდეში, ოვალური ფორმის. გემა საშუალო სიმაღლის. ძირში უფრო განიერი. ზედაპირი ბრტყელი. ინტალიო უშუალოდ ზის ბეჭდის რკალში. პირზე გამოსახულია მაღალი ფოთლოვანი ხის ძირში მწოლიარე შველი (სურ.1-ა,ბ). ცხოველი ხისგან ზურგითაა მოცემული და თავი მისკენ აქვს შებრუნებული. შვლის დრუნჩს ზემოთ, ცხოველისკენ დახრილ ხის ტოტზე ჩამოკიდულია ყურძნისებრი ნაყოფი. კომპოზიციურად შველი და ხე კარგად არის განაწილებული ინტალიოზე. გამოსახულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. ინტალიო სუფთა ნამუშევარია, გამოსახულება ღრმა და მკვეთრ ანაბეჭდს იძლევა. მსგავსი გამოსახულებები იხ.: [Макимова, 1950:№47; Димитрова-Милчева, 1980:№№174, 176 (თხა), 177 (შველი); Henig, 1974: №№609, 611].

ბეჭედს აქვს რკალი (სურ.1-ც). რკალი შიგნიდან ბრტყელია, გარედან ნიბოიანი. ზედა მხარეს, თვალბუდის ადგილას ბრტყელი, ოვალური ფორმის. თვალბუდე უშუალოდ რკალშია ამოჭრილი. რკალი მხრებისაკენ განზიდულია, რომელიც რკალის ქვედა მხარეს ვინროვდება და ნიბოები თანდათან ქრება. ბეჭედს შესამჩნევი ჰორიზონტალური მხრები აქვს. მსგავსი ფორმის ბეჭედები ახ. წ. III საუკუნეებშია გავრცელებული იხ.: Henkel, 1913:ტაბ. XI, №№ 219, 220; ტაბ. XXII, №№ 427, 433, 434.

**დაცულობა:** ბეჭედი კარგად არის შემონახული. გემა მცირედ დაზიანებულია: პირისკიდე ატეხილია. ზომები: ინტალიოს სიგრძე - 17 მმ, სიგანე - 14 მმ. ბეჭდის რკალის სიგანე - 30 მმ, სიმაღლე - 23 მმ, შიდა დიამეტრი - 21 მმ. გამოსახულების სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით, ინტალიო ახ.წ. III ს-ით შეიძლება დათარიღდეს. ქ. ჯავახიშვილმა ინტალიო ადგილობრივ ნამუშევრად მიიჩნია (მოსაზრებათა გაზიარებისა და რჩევებისთვის დიდ მადლობას მოვასხენებთ ქ. ჯავახიშვილს).

განსახილველ გემასთან განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს 1939 წელს სამთავროს S №102 ორმოსამარხში (სამარხი გამართული იყო N-5 ღერძზე. მასში დაეკრძალათ ბავშვი, ზურგზე გამოტილი, თავით სამხრეთისკენ. ხელები იდაყვებში ქონდა მოხრილი [Иващенко, 1980:37-39]) აღმოჩენილი სარდიონის ინტალიო, რომელიც გამოქვეყნებული აქვს მ. მაქსიმოვას. თვალზე გამოსახულია ხე და მის ქვეშ ქვაზე მწოლიარე ცხოველი, რომელსაც მკვლევარი თხად მიიჩნევს. ეს უკანასკნელი ხისგან ზურგმუქცევითაა მოცემული, მაგრამ თავი მისკენ აქვს მიბრუნებული. აღნიშნული გემის განსაზღვრისას მკვლევარმა ის დასავლური გემების ჯგუფში განიხილა, რომელთა მოუძებნა პარალელი და III საუკუნით დაათარიღა [Макимова, 1950:257]. ამ ორ გემას შორის, გარდა ზოგადი სიუჟეტური მსგავსებისა, თვალშისაცემია ხის მსგავსი გამოსახვის ფორმა და ცხოველის მიმართება ხისადმი. არსებითი განსხვავება რაც მათ შორისაა, ესაა ხეზე ჩამოკიდული ყურძნის მტევანი.

სამარხი № 990, რომელშიც გემა აღმოჩნდა, გამართული იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. მასში დაეკრძალათ 18-20 წლის მამაკაცი, გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. გარდა განსახილველი ვერცხლის

ბეჭდისა, სამარხში აღმოჩნდა ოქროს ნყვილი საყურე შემკული ძონითა და მარგალიტებით (ინვ. №3014,3015, მმ№22137,22138) (სურ. 2), ქარვისა და არაგონიტის მძივები (ინვ. №3017, მმ№22140).

სამარხი, მასალის საფუძველზე, ზუსტად თარიღდება: ოქროს ნყვილი საყურე, ოთხნაწილედია, შედგება ყურში გასაყრელი მავთულის, ნახევარწრიული და ოვალური თვალბუდეებისაგან და ბიკონუსური ოქროს საკიდებისაგან. თვალბუდეებში ძონის თვლები ზის. საყურეები შემკულია მარგალიტის მძივებით. მსგავსი შედგენილობის (ორი, სამი ან ოთხნაწილად) საყურეები ქართლის სამაროვნებზე ძირითადად II-IV სს. სამარხებში ჩნდება (შორეული პარალელები: არმაზისხევი, ზღუდერი, სამთავრო, მოგვთაკარი [აფაქიძე, ... 1955:97; ბრაუნდი, ... 2009:52,72; მანჯგალაძე, 1985:94-95; სიხარულიძე, ... 1985:124]), უფრო მეტად მსგავსები კი აღმოჩენილია არმაზისხევის № 6 სამარხში და სვეტიცხოველი V-ის № 29 სამარხში [აფაქიძე, ... 1955:82; აფაქიძე, ... 1989:45-46].

ასევე დამატარიღებელია თავად ვერცხლის ბეჭედიც. მსგავსი მხრებნიობიანი და მხრებდაქანებული ბეჭდები ფართოდ გავრცელებულ ტიპს წარმოადგენდა III ს-ის რომაულ სამყაროში [ლორთქიფანიძე, 1954:23-24]. ასევე გავრცელებულია ქართლის მოსახლეობაშიც. მსგავსი ბეჭდები აღმოჩენილია, მაგალითად, სამთავროს 1976-80 წლებში № 110,124,134,164,206,207,257, 518,547 [მანჯგალაძე, 1985:48-49,54-58,65-66,75-78,82,94-95], 1939 წ. S №86 [Ивашенко, 1980:121, илуст.340], 1981 წ. №605 [ბიბილური თ. 1983:39-43], №970 [აფაქიძე, ... 2001:24-29], სვეტიცხოველის №29 [აფაქიძე, ... 1989:45-46], მცხეთის 1947 წ. №1 [ლორთქიფანიძე, 1954:23-25], არმაზისხევის №3 [აფაქიძე, ... 1955:48-49; ლორთქიფანიძე, 1958:51-53] და სხვა სამარხებში. ყველა მათგანი III საუკუნითა და IV ს. პირველი ნახევრით თარიღდება.

სამარხი №990, ამ პარალელებისა და სამარხში დაკრძალული მამაკაცის საკრძალავი

პოზის გათვალისწინებით, რომელიც ქრისტიანული დაკრძალვის წესს შეესაბამება, III ს. ბოლო - IV ს. დასაწყისით შეგვიძლია დავათარილოთ.

როგორც ცნობილია, ძველ სამყაროში გემებს რამდენიმე დანიშნულება ჰქონდათ. მათ ერთ ნაწილს, მიაწერდნენ რა აპოტროფულ ძალას, ატარებდნენ როგორც ამულეტებს ავი თვალისა და ძალისაგან დასაცავად, ხოლო მეორე ნაწილს, გამოსახვდნენ რა მასზე ღვთაებებსა და მასთან დაკავშირებულ წმინდა არსებებს, ატარებდნენ ამ ღვთაებათა თაყვანცემისა და მფარველობის ნიშნად. ინტალიოების შემთხვევაში კი საქმე ეხებოდა პირველ რიგში საბეჭდავს, ე.ი. ინსიგნიას და როგორც სამკაული კი, მხოლოდ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობით იხმარებოდა [Максимова, 1950:230,238]. არ არის გამორიცხული, რომ ასეთივე დატვირთვა ჰქონოდა განსახილველ გემა-ინტალიოსაც.

ირმის და შვლის გამოსახულებების გამოსახვა გემა-ინტალიოებსა და საბეჭდავებზე საქართველოში ჯერ კიდევ ძვ.წ. I ათასწლეულიდან იღებს სათავეს. ძირითადად, იგი სამი რედაქციითაა წარმოდგენილი: 1. მტაცებელი ცხოველებისა და ირმის ბრძოლის სცენებით, რომლის გამოსახულებიან საბეჭდავებს მეცნიერები ძირითადად, ძვ.წ. V-IV სს. ათარიღებენ და რომლებიც აღმოჩენილია კლდეეთის, მეტეხის (კასპის მუნიცი.), ახალი ნიჩბისის, გომარეთის, არკნეთის სამარხებში [ლორთქიფანიძე, 1969:112-115; ლორთქიფანიძე, 1961:10-11], ამავე სიუჟეტიანი გემა აღმოჩენილია ურბნისის № 84 სამარხში. ქ. ჯავახიშვილს გემა ახ. წ. I-II სს. აქვს დათარიღებული [ჯავახიშვილი, 1972:36]; 2. შვლისა და ნუკრის სიუჟეტით, ასეთი ინტალიო ცნობილია მხატვარ დავიდოვას კოლექციიდან და თარიღდება ახ.წ. III ს. [ლორთქიფანიძე, 1967:119]; 3. მხოლოდ ირემი ან ირმები. მსგავსი გამოსახულების მქონე გემები და საბეჭდავები დადასტურებულია არმაზისხევის, სამთავროს, ურბნისის, ქვიანას სამარხებსა და ხოვლე-გორის კულტურულ ფენაში და

ისინი ყველაზე ფართო პერიოდით თარიღდებიან - ძვ.წ. IX საუკუნიდან ვიდრე ახ.წ. VII საუკუნემდე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. მ. ლორთქიფანიძის, ქ. ჯავახიშვილის და ქ.(ი.) რამიშვილის ნაშრომები [ლორთქიფანიძე, 1954; ლორთქიფანიძე, 1958; ლორთქიფანიძე, 1969; ჯავახიშვილი, 1972, რამიშვილი ქ.(ი.) 1979].

საქართველოს ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა მეტყველებს, რომ ირმის სახეს დიდი ადგილი ეჭირა უძველეს რელიგიურ წარმოდგენებში. ის მონადირეობასთან იყო დაკავშირებული და ცხოველთა ღვთაებას განასახიერებდა. შემდგომში, როდესაც ადამიანმა ეს ზოომორფული არსება ანთროპომორფულად აქცია და ამ ცხოველის მფარველი და მბრძანებელი ღვთაება ადამიანის მსგავსი გახდა, საქართველოში ამ ღვთაებამ ქალის სახე მიიღო. ის ხშირად წარმოდგებოდა ირმის სახით [ხიდაშელი, 1982:53]. იმავე დროს, ირემი და ჯიხვი ნაყოფიერების ღვთაებასაც უკავშირდებოდა [სურგულაძე, 1986:115; ფანცხავა, 1988:39].

ირმის კულტის არსებობა არქეოლოგიური მასალის მიხედვით დასტურდება ენეოლითური ხანიდან და უწყვეტ ხასიათს იღებს (არუხლოს გორა, ხიზანანთ გორა, ქვაცხელები, შილდა, სამთავრო) [კიკვიძე, 1976:190; მაისურაძე, ... 1984; ხიდაშელი, 1974:93-103]. თრიალეთური კულტურის შემდგომ ირემი ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიმბოლოდ ყალიბდება. მისი გამოსახულებებით იმკობოდა სარტყლები, ცულები, აბზინდები, დიადემები, საკულტო თასები, კეთდებოდა ირმის გულსაკიდები [ხიდაშელი, 1972; 1974; 1982; ფანცხავა, 1988], ხშირი იყო მისი დატანა საბეჭდავებსა და გემებზე [ლორთქიფანიძე, 1969]. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ამ არტიფაქტებზე გამოსახულ ირმის რქებზე, როგორც ცხოველის ღვთაებრიობის ყველაზე საცნაურ ნიშანზე, რომელიც სიცოცხლის ხესთან ირმის კავშირის გამოსახულებას წარმოადგენდა. მაგალითად, კოლხურ ცულებზე გამოსახული ირმები, როგორც

ლ. ფანცხავა შენიშნავს „სიცოცხლის ხის“ მოტივის სიმბოლო უნდა იყოს. აქ „სიცოცხლის ხე“ — ირმის რქები და მასთან დაკავშირებული ცხოველი — ირემი შერწყმულია“ [ფანცხავა, 1988:41].

ამ მატერიალური კულტურის ძეგლებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ირმის გამოსახულებიანი საკიდები და შესაბნელები, რომლებიც ახ.წ. IV საუკუნემდე არსებობენ და რომელთა დამზადება მხოლოდ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ შეწყდა [რამიშვილი ქ.(რ.) 2007].

ასევე გამონაკლისს არ წარმოადგენდა ხის გამოსახულებების დატანა საბეჭდავებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ ნაწარმად მიჩნეულ ნაკეთობებზე გამოსახული ხეები, ძირითადად, სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ხის ჯიშებს წარმოადგენს, რაც ბუნებრივია, მოსახლეობის მხრიდან გამიზნული ქმედებით აიხსნება.

ხის კულტის არსებობა საქართველოში უკვე ძვ.წ. III ათასწლეულიდან ფიქსირდება და ამის ნათელი მაგალითი თრიალეთის ვერცხლის საკულტო სასმისია. მოგვიანებით იგი უკვე ნაყოფიერების ღვთაების ერთერთი ატრიბუტია. მისი გამოსახვა ხდებოდა ირმის რქებითაც (კოლხური ცულები) [ფანცხავა, 1988:41-52]. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, წმინდა ხეებს შორის ყველაზე პოპულარული იყო ვაზი, მუხა, ცაცხვი, სვანეთისთვის - ფიჭვი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მარტივად შეგვეძლო გემაზე მოცემული მცენარე სიცოცხლის ხედ მიგვეჩინა და მთლიანად გამოსახულების სემანტიკა ნაყოფიერების კულტთან დაგვეკავშირებინა, მაგრამ ჩვენი ყურადღება რამდენიმე დეტალმა მიიქცია. შემდგომმა კვლევამ კი გვიჩვენა, რომ გემა მეტად საინტერესო გამოსახულების მატარებელი გახლდათ და ქრისტიანობასთან იყო კავშირში.

აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, გემაზე ყურადღებას იქცევს ხეზე ჩამოკიდული ყურძნის მტევანი, რომელიც თავისი



ფორმით ზედმინევენით ჰგავს რიყიანების ველის (თხოთის მთა) სამაროვნის №14 სამარხში აღმოჩენილ რომაულ გემაზე ამოკვეთილ ყურძნის მტევანს (სამარხი №14 ახ.ნ. I ს-ით თარიღდება, დაკრძალვის წესით - წარმართულია. მასში დაკრძალული იყო მამაკაცი, რომელიც ოქრომჭედლად არის მიჩნეული. მიცვალებულს სხვა გემებთან ერთად ხელში ეჭირა ოქროს ბეჭედი რომაული წარმოშობის სარდიონის ინტალიოთი) [მირიანაშვილი, 1983:38,59,77].

როგორც აღვნიშნეთ, გემა, ადგილობრივ ნაწარმად არის მიჩნეული, ამიტომ ხეზე ჩამოკიდულ ყურძნის სემანტიკასთან დაკავშირებით უპრიანია პარალელები ვეძიოთ ქართულ მითოლოგიურ წარმოდგენებში. ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად გავახსენდება ვ. ბარდაველიძის მიერ დამონებული ეთნოგრაფიული გადმოცემა, რომლის თანახმადაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფიქსირებულ სანესო სიმღერებში, ვაზი ღვთის კარზე მდგარ ალვის ხეზეა შემოხვეული და სიცოცხლისა და სიუხვის ხეა, რომლის მწიფე ნაყოფი სიკვდილის დასაბრუნებლად მათარებელი, სიცოცხლის გამახანგრძლივებელია [Бардавелидзе, 1957:57]. ვფიქრობთ, იგივე წარმოდგენა უნდა დავინახოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „წმინდა ნინოს ცხოვრება“-სა და ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“-ში დაცულ ინფორმაციაშიც. მათ თანახმად, ბაბილო ანუ მალღნარი, მეფის სამოთხის (წარმართული სალოცავის) მცენარეა, რომელიც ლიბანის ნაძვის (კიპარისის) ქვეშ ხარობს [მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1963:123; ლეონტი მროველი, 1955:93].

გემის სემანტიკის განსაზღვრისათვის ასევე საინტერესოდ გვეჩვენება აღნიშნული წყაროების მონათხრობი სასწაულმოქმედი ხის შესახებ, რომლის ნაყოფით ინკურნებოდნენ დაჭრილი ირმები. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ჩართული „ნინოს ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ როდესაც წმინდა ნინომ და ეპისკოპოსმა მეფეს სთხოვეს ჯვრის აღმართვა, „წარვაღვინენ (მირიან მეფის

მონათხრობი სიკვდილის წინ) ხურონი ძიებად ხესა. და ვითარ პოვეს ხჭ ერთი, მარტოჲ მდგომარჭ კლდესა ზედა, რომლისადა არა მიხებულ იყო ჭელი კაცისაჲ, არამედ მონადირეთაგან სმენით გუესმინა სასწაული ხისაჲ მის, რამეთუ ოდეს ირემსა-ღა ეცის ისარი, მივლტინ ბორცუსა მას ქუეშე, რომელსა ზედა დგა ხჭ იგი, და სწრაფით ჭამნ თესლსა მას მის ხისასა ჩამოცკვნებულსა და სიკუდილისაგან განერის. ესე მითხრიან და ვიყავ დაკრვებულ. ამისათჳს მოვჰკუეთე მე ხჭ იგი და შევქმენ მისგან სამნი ჯუარნი“ [მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1963:159].

იგივე ამბისთვის განსაკუთრებული ადგილი დაუთმია ლეონტი მროველსაც, რომლის მიხედვითაც, როცა ქართლი გაქრისტიანდა და მეფე მირიანმა ინება ჯვრის აღმართვა, „დგა ხე ერთი ადგილსა ერთსა, კლდესა ბორცუსა შეუვალსა, და იყო ხე იგი შუენიერი ფრიად და სულნელი. და ესე საკრველები იყო ხისა მისგან, რამეთუ ისარ-ცემული ნადირი, რომელი მოვიდის და ჭამის ფურცელი მისი და გინა თესლი მისი, განერის სიკუდილისაგან, დაღაცათუ საკლავსა ადგილსა დიდად წყლულ იყვის... და აუწყეს ეპისკოპოსსა იოვანეს ხისა მისთჳს. ხოლო ეპისკოპოსმან თქუა: „...დამარხულ არს ქუეყანა ესე ღმრთისაგან მსახურად თჳსად, რამეთუ ღმრთისაგან აღმოსცენდა ხე იგი დამარხული ჟამისა ამისათჳს ... მის ხისაგან ჯერ არს შექმნად ჯუარი პატიოსანი, რომელსა თაყუანის-ცეს ყოველმან სიმრავლემან ქართლისამან“. როდესაც ხე მოჭრეს და მცხეთას ჩამოაბრძანეს, „შემოკრბა ერი ხილვად მწუანის ფერობასა მას და ფურცლიანობასა, ჟამსა ზამთრისასა, ოდეს სხუა ყოველი ხე ხმელ იყო ... აღმართეს ხე იგი კარსა ზედა ეკლესიისასა, სამხრით, სადა ბერვიდა ნელი ნიავი“. სასწაულმოქმედი ალვის ხე, რომელიც 25 მარტს (ხარებას!) აღმართეს ეკლესიის კართან, 36 დღე (7 მაისამდე) გააჩერეს ამ ადგილას, იქამდე, ვიდრე მალღნარმა ფოთოლი არ მოისხა და ხე არ აყვავილდა. შემდეგ კი მისგან სამი ჯვარი გამოკვეთეს და მცხეთის ტაძარში,

თხოვის მთასა და უჯარმაში აღმართეს [ლეონტი მროველი, 1955:119-121].

აღნიშნული მონაკვეთი ასახვას ჰპოვებს რელიეფურ ძეგლებშიც (ბოლნისის სიონის, კანარეთის, დამბლუტისწყლის რელიეფები). ამათგან, ბოლნისის სიონის კაპიტელის გამოსახულებები, რომლებიც ხის წინ ჩაჩოქილ ან მდგომ ირემს გამოსახავს (ზოგ შემთხვევაში ფოთლებს კორტნის), გ. ჩუბინაშვილის მიერ მიჩნეულ იქნა ფსალმუნის სიტყვების გამოსახულებად: „ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი ღმერთო!“ (ფსალმუნი 41,2). მაგრამ საუკუნის ბოლოსთვის, გ. აბრამიშვილის კვლევებმა, ვფიქრობთ, ნათლად უჩვენა, რომ აღნიშნული რელიეფები, სწორედ რომ ქართლის გაქრისტიანების ლეგენდის გადმომცემია [აბრამიშვილი, 2001:62-69].

ამ კონტექსტში, ვფიქრობთ, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ჩვენს მიერ განხილული გემა. იმის გათვალისწინებით, რომ იგი III ს-ის ძეგლს წარმოადგენს და ადგილობრივი ნახელავია, ხომ არ შეიძლება მისი მოაზრება, ერთი მხრივ, ნივთიერ დადასტურებად ქართული ეთნოგრაფიული და წერილობითი ინფორმაციისა, ხოლო მეორე მხრივ, შუალედურ მაკავშირებლად ძველი რწმენისა და წერილობით წყაროებში დაცული ქართლის გაქრისტიანების ამბისა, რამაც შემდგომში თავი იჩინა ადრექრისტიანული ხანის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებზეც.

#### ლიტერატურა:

**აბრამიშვილი გ. 2001:** ადრექრისტიანული ქართლის (იბერიის) ეროვნული იკონოგრაფიის სათავეებთან. – ნარკვევები, შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ჟურნალი. VII. თბილისი, გვ.62-69.

**აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. 1955:** მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. - მცხეთა. I. თბილისი.

**აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა., ბიბილური თ., გიუნაშვილი გ., ირემაშვილი შ., მანჯგალაძე გ., სადრაძე ვ., ხეცურიანი ლ. 1989:** დიდი მცხეთა, 1981. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. - მცხეთა. IX. თბილისი. გვ.40-77.

**აფაქიძე ა., ყიფიანი გ., მანჯგალაძე გ., გიუნაშვილი**

**გ., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა. 2001:** არქეოლოგიური გათხრები სამთავროზე 2000 წელს. - 2000 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. სამეცნიერო სესიის ანგარიშები. თბილისი. გვ.24-29.

**ბიბილური თ. 1983:** საინტერესო სამარხეული კომპლექსი მცხეთიდან. ჟ. ძეგლის მეგობარი, №62, თბილისი, გვ.39-43.

**ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ. 2009:** საგანძური ზღუდერიდან (საქართველო - ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში ახ.წ. 200-250), თბილისი.

**კიკვიძე ი. 1976:** მინათმოქმედება და სამინათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბილისი.

**ლეონტი მროველი. 1955:** ნინოს მიერ ქართლის მოქცევა. ქართლის ცხოვრება, I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

**ლორთქიფანიძე მ. 1954:** სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი (1940-41 და 1946-48 წწ.). - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I, თბილისი.

**ლორთქიფანიძე მ. 1958:** არმაზისხევსა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები. - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, II, თბილისი.

**ლორთქიფანიძე მ. 1961:** საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გლიპტიკური ძეგლების კატალოგი. - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III, თბილისი.

**ლორთქიფანიძე მ. 1967:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, IV, თბილისი.

**ლორთქიფანიძე მ. 1969:** ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, თბილისი.

**მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ. 1984:** შილდის სამლოცველო (კატალოგი). - კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, თბილისი.

**მანჯგალაძე გ. 1985:** სამთავროს სამაროვნის გვიანტიკური ხანის სამარხები. კატალოგი. - მცხეთა. რქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. VII. თბილისი, გვ. 43-108.

**მირიანაშვილი ნ. 1983:** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (აღიანის არქეოლოგიური ძეგლები). - ნასტაკის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, II, თბილისი.

**„მოქცევა ქართლისაჲ“. 1963:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ჯიქიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი.

**რამიშვილი ქ.(ი.) 1979:** სასანური გემები საქართველოში, თბილისი.

**რამიშვილი ქ.(რ.) 2007:** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის პირველი ნახევრის მცირე პლასტიკის ძეგლები (ცხოველსახოვანი გამოსახულებები). - აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციების შრომები, თბ.

**სიხარულიძე ა., ლლონტი ნ. 1985:** მოგვთაკარის სა-

მაროვანი. – მცხეთა, VII, თბ., გვ.109-131.

**სურგულაძე ი. 1986:** ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ.

**ფანცხავა ლ. 1988:** კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბილისი.

**ხიდაშელი მ. 1972:** ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში, თბ.

**ხიდაშელი მ. 1974:** გვიანიბრინჯაოსა და ადრეკინის ხანის ირმის ქანდაკებები აღმოსავლეთ საქართველოდან. – მაცნე, (ისტორიის, ... სერია) № 2, გვ.93-103.

**ხიდაშელი მ. 1982:** ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში, თბ.

**ჯავახიშვილი ქ. 1972:** ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ.

**Бардавелидзе В. 1957:** Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси.

**Димитрова-Милчева А. 1980:** Антични геми и камеи, София.

**Иващенко М.М. 1980:** Самтаврские погребения первых трех веков н.э. - мცხეთა, III, თბ.

**Максимова М.И. 1950:** Геммы из некрополя Мцхеты – Самтавро (раскопки 1938-1939гг.). - საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XVI-B, თბ., გვ. 221-274.

**Henig M. 1974:** Corpus of Roman Engraved Gemstones from British Sites. - British Archaeological Reports, 8 (II).

**Henkel Fr. 1913:** Die romischen Fingerringe der Rheinlande und der benachbarten Gebiete: mit Unterstützung der Romisch-Germanischen Kommission des Kaiserl, Berlin.

#### ილუსტრაციების აღწერილობა:

**სურ. 1. a, b, c** – ვერცხლის ბეჭედი სარდიონის გემა-ინტალიოთი (სამთავროს სამაროვანი, სამ.№ 990); **სურ. 2.** ოქროს საყურეები (სამთავროს სამაროვანი, სამ.№ 990).

I



## ქვერის არქეოლოგიური ძეგლები

ქვერის არქეოლოგიური ძეგლის გათხრა 1998 წელს დაიწყო საქართველოს შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ და იმავე წელს ფინანსური კრიზის გამო იძულებით დაასრულა. ამ წლების განმავლობაში აქ გათხრების გაგრძელება აღარ ხერხდება.

ქვერი მდებარეობს თერჯოლის რაიონში, რაჭა-იმერეთის გზაზე. მდ.ქვერულას მარჯვენა ნაპირზე აღმართულია ე.წ. კორტების გორა, რომლის ცენტრალური ტერასა არქეოლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენს საკმაოდ საინტერესო ობიექტს. სწორედ აქ მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები. გამოვლენილი იქნა ორფენიანი ნამოსახლარი და გვიანანტიკური ხანის სამარხები.

### ნამოსახლარი

ნამოსახლარი მდებარეობს ცენტრალური ტერასის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, სოფლის ერთ-ერთი მკვიდრის რ.მეფარიძის ეზოში. კორტების გორის ნამოსახლარი ორფენიანი ძეგლია. პირველი ფენა სისქეში 1.5 მ-ს აღწევს და ქვედა ფენისგან გამიჯნულია 40 სმ. სისქის სტერილური შრით (ტაბ. I-II). ზედა ფენაში აღმოჩენილია 1 მ. სიმაღლის ფლეთილი ქვით ნაგები შენობის ნაშთები. ნაგებობის გათხრა ბოლომდე ვერ მოხერხდა. იგი, როგორც აღინიშნა, მდებარეობს კერძო ეზოში და გრძელდება ამჟამადაც არსებული საცხოვრებელი სახლის მიმართულულებით. ამ მიზეზის გამო შესაძლებელი გახდა მხოლოდ 35 კვ.მ-ის შესწავლა. დადგინდა, რომ ნაგებობა შედგება რამდენიმე სათავსოსაგან (ტაბ. I-II). რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ქვერის ნაგებობა ქვის არქიტექტურული ნიმუშია. სამწუხაროდ, ისევ და ისევ მიწის სამუშაოების შედეგად ნაგებობის ზედა ნაწილი არ ფიქსირდება და არ ჩანს იყო თუ არა იგი

არმირებული ხის ძელებით ანდა ალიზით. როგორც ჩანს, ნაგებობა შედგებოდა რამდენიმე სათავსოსგან, რომლებიც ერთმანეთისგან გაყოფილია ტიხრებით. ტიხრების სიგანე 60-70 სმ-ია. ყველა კედელში დიდი ფლეთილი ქვების გარდა გვხვდება შედარებით მომცრო ზომის რიყის ქვებიც. დღევანდელი მონაცემებით ანალოგიური ნაგებობების ნაშთები კოლხეთის არაერთ ძეგლზეა მიკვლეული. შეგვეძლო დაგვესახელებინა ანაკლიის დიხა გუძუბა [Микеладзе, 1976:97], ნაოხვამუ [Куфтин, 1950:161-256], სიმაგრე [მიქელაძე, 1978:ტაბ.XVI-XXI0], მთისძირი [გამყრელიძე, 1982:52-63], ვარდიგორა [ჯაფარიძე, 1977:48], საზანო, პატრიკეთი [Джапаридзе 1988:246-247]. თუმცა, ყველა ჩამოთვლილი ძეგლისგან განსხვავებით, ქვერის ნაგებობა არასრულფასოვნად არის გათხრილი და მისი შესწავლის ამჟამინდელი მდგომარეობაც, როგორც ითქვა, არასაკმარისია, რადგან კორტების გორზე დღემდე ვერ ხერხდება გათხრების გაგრძელება. კოლხეთში აღმოჩენილი ცოკოლიანი შენობები ძირითადად, ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით თარიღდება და როგორც ჩანს, ანალოგიურ ეპოქას მიეკუთვნება ქვერის ნაგებობაც.

I ფენის არქეოლოგიური მასალა თუნის ნაწარმითაა წარმოდგენილი. გვხვდება მხოლოდ სამზარეულო და სუფრის ჭურჭლები. სამზარეულო კერამიკას შეადგენს ქოთნების სადა და ორნამენტირებული (ტაბ.III) ეგზემპლარები. ორნამენტებით შემკულია ქოთნის პირ-ბაკოს ფრაგმენტები. ასეთი სახის ორნამენტი ზოგადად დამახასიათებელია კოლხეთის ადრეანტიკური ხანის კერამიკისთვის და მათი რაოდენობა შთამბეჭდავია [ლორთქიფანიძე, 2002:184-198].

სასუფრე ჭურჭლებში გამოირჩევა დოქები და ჯამები. დოქები ძირითადად ყურების სახ-

ითაა მოღწეული. ესენია ოვალურ და მრგვა-  
ლგანივკვეთიანი სადა ცალები (ტაბ. IV). მხო-  
ლოდ ერთ მათგანზე ფიქსირდება ღარისე-  
ბური ჩაღრმავებები. ასევე მოხერხდა დოქის  
ერთი ეგზემპლარის პროფილის აღდგენაც  
(ტაბ. IV). როგორც ქოთნები, ასევე დოქებიც,  
დამზადებულია განლექილი, მოშაო ფერის  
კვარცმინარევიანი, კარგად გამომწვარი თიხ-  
ისგან. ანალოგიური თიხითაა დამზადებული  
ჯამებიც, რომელთა შორის გამოიყოფა პირ-  
მოყრილი და პირგაშლილი, კალთაგამოკვე-  
თილი ნიმუშები (ტაბ.V).

ზედა ფენის მონაპოვარში განსაკუთრე-  
ბულ ინტერესს იწვევს ატიკური შავლაკიანი  
ყურის ფრაგმენტები (ტაბ. I). სავარაუდოდ,  
ეს უნდა იყოს სკიფოსის ყური. ბუნებრივია,  
იმპორტული კერამიკის ერთი ფრაგმენტით  
ძნელია შორს მიმავალი დასკვნების გამოტ-  
ანა, მაგრამ კორტების გორზე მისი აღმოჩენა  
თავისთავად მრავლის მეტყველი ფაქტია. თუ  
გავითვალისწინებთ ძვერის გეოგრაფიულ  
მდებარეობას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ  
ანტიკურ ხანაში იგი რიონ-ყვირილის სავაჭ-  
რო მაგისტრალის გასწვრივ მდებარე ერთ-  
ერთი მნიშვნელოვანი დასახლება უნდა ყო-  
ფილიყო. აქ თავს იყრის რამდენიმე გზა, რომ-  
ლებიც რაჭაში, ზემო და ქვემო იმერეთში მიე-  
მართება. ჩემი ვარაუდით, უკვე ძვ.წ. I ათას-  
წლეულის შუა ხანებიდან ძვერზე უნდა გაე-  
ვლო რიონ-ყვირილის სავაჭრო მაგისტრალის  
ერთ მონაკვეთს, რომელიც თავის მხრივ რაჭ-  
ისკენ და ზემო იმერეთისკენ მიემართებოდა.  
ატიკური შავლაკიანი კერამიკის გარდა ამ  
ფაქტის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს  
კორტების გორაზევე, განსახილველი ძეგ-  
ლის სიახლოვეს, სულ რაღაც ასიოდ მეტრში  
XX საუკუნის 70-იან წლებში ძვ.წ. IV საუკუ-  
ნის შუა ხანების წითელი სამკუთხედებით  
მოხატული დოქების აღმოჩენის შემთხვევაც  
[დანვრილებით იხ: ბრაგვაძე, 2003:89-98],  
რომელიც აქემენიდური ირანის ნაწარმად  
განიხილება [Нариманишвили, 1991:85] და  
ძვერში მათი არსებობა, ატიკურ შავლაკიან  
ნიმუშთან ერთად, აშკარად მიუთითებს რომ

ბერძნული და ირანული იმპორტი კოლხეთის  
სამეფოს ამ რეგიონშიც აქტიურად იკვლევდა  
გზას.

ზედა ფენის არქეოლოგიური მასალის  
შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან  
ასეთი სახის კერამიკა დიდი რაოდენობით  
არის აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს  
ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების არქეოლო-  
გიურ ძეგლებზე და წარმოადგენს კოლხური  
თუნის ნაწარმის ტიპურ ნიმუშებს [ლორთქი-  
ფანიძე, 2002:153-184]. სტრატეგრაფიულად  
ისინი კარგადაა დათარიღებული და ძვ.წ.  
VI-IV საუკუნეების არეალში ექცევა [ლორთ-  
ქიფანიძე, ... 1981:5-104]. მათი გავრცელ-  
ების გეოგრაფია საკმაოდ ფართოა და მოი-  
ცავს მთელ დასავლეთ საქართველოს ლიხის  
ქედიდან [მახარაძე, 2000:32] შავი ზღვის  
სანაპირომდე [ლორთქიფანიძე, 2002:184].  
ყველა ზემოთ ნახსენები ნიუანსის გათვალ-  
ისწინებით ძვერის კორტების გორის I ფენის  
თარიღად ძვ.წ. VI-IV საუკუნეების პირველ  
ნახევარს მივიჩნევ.

როგორც აღინიშნა, II ფენა I ფენისგან  
გამოიყოფა 30-40 სმ-ის სტერილური შრით  
(ტაბ. I-II). ორივე ფენა ხასიათდება მოყვი-  
თალო-მოშავო ფერის, უმეტესწილად ფხვი-  
ერი, ხოლო ალაგ-ალაგ ბათქაშნარევი მი-  
ნით. II ქვედა ფენის სისქე 70-80 სმ-ს შორის  
მერყეობს და განფენილია უშუალოდ I ფენაში  
დაფიქსირებული ნაგებობის ქვეშ (ტაბ. II).

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის  
არქეოლოგიური ძეგლები თითქმის მთელ  
კოლხეთშია აღმოჩენილი. საერთოდ, ეს პე-  
რიოდი კოლხეთის არქეოლოგიაში ერთ-ერ-  
თი კარგად შესწავლილი ეპოქაა და თამამად  
შეიძლება ითქვას, რომ კოლხური კულტურის  
ფორმირების მრავალსაუკუნოვანი პროცე-  
სი სწორედ აღნიშნულ დროს მთავრდება და  
საბოლოო სახეს იღებს. ძვ.წ. I ათასწლეულის  
პირველი ნახევრის ნამოსახლართა ტოპო-  
გრაფია საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ,  
რომ ამ პერიოდში სახეზე გვაქვს ცხოვრების  
უნყვეტი კვალი მთელი დასავლეთ საქართვე-  
ლოს ტერიტორიაზე, დაწყებული ლიხის ქე-

დიდან აფხაზეთის ჩათვლით. არქეოლოგთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს არის ერთგვარი დემოგრაფიული აფეთქებისა და სამოსახლოთა წარმოქმნის თავისებური ბუმი [მახარაძე, 2000:17-32]. ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ დასავლეთ საქართველოში არ არის დარჩენილი არც ერთი კუთხე, სადაც არ ფიქსირდებოდეს ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნამოსახლარი. ამ მხრივ გამონაკლისი არც დღევანდელი თერჯოლის რაიონია. ძვერის გარდა ამ ეპოქის ფენები გამოვლენილი და შესწავლილია ჩოლაბურის “ციხურაზე” [ჩუბინიშვილი, 1953:46-58], ჩხარსა და ღვანკითში [ბრაგვაძე, 2009:9].

II ფენის არქეოლოგიური მასალა ძირითადად კერამიკითაა წარმოდგენილი. გვხვდება როგორც სასუფრე, ასევე-სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების ნაწარმი. სასუფრე ნაწარმიდან გამოიყოფა ზოომორფული და ყურმილიანი დოქები (ტაბ. X; XII) და სასმისები (ტაბ. IX). სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ქოთნების (ტაბ. VII) და ხუფების (ტაბ. XI), ხოლო სამეურნეო ნაწარმი - დერგებისა (ტაბ. VIII) და ქვევრების (ტაბ. X) სახით. ამავე ფენიდანაა თიხის კვირისტავიც (ტაბ. XI). სამივე ტიპის ჭურჭელი დამზადებულია მოშავო-მორუხო ფერის, განლექილი თიხისაგან, კვარცის მცირე მინარევებით. თუნის ნაწარმის დიდი ნაწილი მდიდრულადაა ორნამენტირებული. ძირითადად გვხვდება ტალღოვანი ორნამენტი, თუმცა რამდენიმე ნიმუშზე ფიქსირდება სპირალისებური და ნერტილოვანი ორნამენტებიც.

ძვერის II ფენაში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის ანალოგები, როგორც აღვნიშნე, უხვადაა წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლებზე. მრავალრიცხოვანი პარალელებიდან შეგვეძლო დაგვესახელებინა საირხის საბადურის გორის ქვედა III ფენა [ნადირაძე, 1990:8-10], მოდინახეს II ფენა [ნადირაძე, 1975:16-20], მთისძირი [გამყრელიძე, 1982:45], დაბლაგომი [Толордава, 1990:261], ნოსირი-მუხურჩა [Гогадзе, 1984:40-

50], ფიჩორი [Барамидзе, 1990:239], ნამჭედური [Микеладзе, ... 1985:23-27] და სხვ. ძვერის ნამოსახლარის II ფენის მასალაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ზოომორფული (ტაბ. XII) და კანელურებიანი (ტაბ. VIII) ჭურჭლების ფრაგმენტები. კანელურიანი კერამიკის გენეზისის პრობლემა დღემდე მთლად გადაჭრილი არ არის. საკამათოდ რჩება საკითხი იმის შესახებაც თავდაპირველად ფართო კანელურებიანი ჭურჭლები ჩნდება თუ ვინრო კანელურებით შემკული თუნის ნაწარმი. თ.მიქელაძე ნამჭედურის, ურეკის, ნიგვზიანისა და ერგეტას მასალებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ კოლხეთში თავდაპირველად ვრცელდება ფართო კანელურებიანი ნიმუშები, რომლებიც ძვ.წ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებს მიეკუთვნება [Микеладзе, 1990:37]. დაბლაგომის კანელურებიან კერამიკას ვ.თოლორდავა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით ათარილებს [Толордава, 1990:260-261]. ნოსირი-მუხურჩის იმ არქეოლოგიურ ფენებს, რომლებიც კანელურებიან კერამიკას შეიცავს, ე. გოგაძე ძვ.წ. X-IX საუკუნეებს მიაკუთვნებს და მიიჩნევს, რომ ამ დროს გაჩენილი კერამიკის ეს ტიპი ინერციით აგრძელებს არსებობას ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებშიც, მაგრამ ამ დროს ჭურჭლებს უჩნდება ე.წ. დანაძერნი კანელურები. მისივე მოსაზრებით, თავდაპირველად ჩნდება ვინრო კანელურიანი ჭურჭლები, ხოლო ფართო კანელურები ხმარებაში შემოდის შედარებით გვიანდელ ეპოქაში [Гогадзе, 1984:40-49]. ძვერის კორტების გორის ნამოსახლარის II ფენის არქეოლოგიური მასალა განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს ყვირილის ხეობის ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიურ ძეგლებთან. გეოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით ეს სიახლოვე სრულიად ბუნებრივი ჩანს. ჩვენი ცოდნის ამჟამინდელ ეტაპზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. I ათასწლეულიდან ძვერი წარმოადგენდა ერთგვარ დამაკავშირებელ არტერიას აღმოსავლეთ და დასავლეთ კოლხეთს შორის. ჩემი აზრით, აქ გადიოდა უმოკლესი

გზა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონს აკავშირებდა აღმოსავლეთ პროვინციებთან. I ფენაში აღმოჩენილი ატიკური იმპორტიც რაღაც ამდაგვარზე უნდა მიუთითებდეს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დღევანდელი იმერეთის რეგიონი არ წარმოადგენდა გვიან ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ფორმირების არეალს და ის ამ ზონაში მოექცა სწორედ ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან [მახარაძე, 2000:29-30]. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დასავლეთ საქართველოს კანელურებიანი და არქაული ზომორფული ყურების შემცველი ფენების ქვედა ქრონოლოგიური თარიღი ბოლო წლების გამოკვლევების მიხედვით ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისისკენ, ძვ.წ. X-IX საუკუნეებისკენ იხრება [მახარაძე, 2000:29], რაც, თავის მხრივ, გარკვეულწილად აძველებს კოლხეთის ადრე რკინის ხანის ნამოსახლარების წარმოქმნის თარიღებს. რამდენად ჯდება ამ სქემაში ძვერის ნამოსახლარის II ფენა, საკამათო საკითხია, რადგან ჩვენს განკარგულებაში არსებული არტეფაქტები ძირითადად ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებს მიეკუთვნება.

აღნიშნული ფენის ზედა ქრონოლოგიური ზღვარის დასადგენად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება რკინის თოხს, რომელიც მოპოვებულ მასალაში ერთად-ერთი ლითონის ნივთია (ტაბ. VI). აღნიშნულ თოხს ლ.დიდიგური აერთიანებს კოლხური ადრე რკინის ხანის თოხების პირველ სახეობაში და მას ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით ათარიღებს [დიდიგური 2002; 89]. ამ სახეობის თოხებისთვის დამახასიათებელია ფართო სამუშაო პირი, მარაოსებურად გაშლილი მხრები, გამოკვეთილი ყუა და სწორი ტანი [დიდიგური, 2002:88]. ანალოგიური თოხები მრავლადაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ისეთ ცნობილ არქეოლოგიურ ძეგლებზე, როგორებიცაა ურეკი, ნიგვზიანი [მიქელაძე, 1988:76-85], მუხურჩა [Гогодзе, 1984:38], პალური [ბარამიძე, 1998:104], დღვაბა [Микеладзе, 1987:42]. ლ. დიდიგურის კვლევით, დასავლეთ

საქართველოში ორასზე მეტი ასეთი თოხია აღმოჩენილი და როგორც ჩანს, წარმოადგენს ადრე რკინის ხანის კოლხეთის ნამყვან იარაღს [დიდიგური, 2002:89]. ამდენად, ძვერის ნამოსახლარის II ფენა ზოგადად VIII-VII საუკუნეებს მიეკუთვნება. როგორც ძვერის სტრატეგრაფიული ვითარებიდან ირკვევა, ძვ.წ. VII საუკუნის ბოლოს ან ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისში აქ ცხოვრება გარკვეული პერიოდით შეწყდა და ამ ადგილის საცხოვრებლად ხელახალი ათვისება მოხდა ძვ.წ. VI საუკუნის შუა ხანებში, ან მეორე ნახევარში. სწორედ აღნიშნულ პერიოდს მიეკუთვნება I ფენის ნაგებობა, რომელიც როგორც ჩანს, არსებობდა ძვ.წ. IV საუკუნის შუა ხანებამდე. რა მიზეზებს უნდა გამოეწვია ნაგებობის ფუნქციონირების შეწყვეტა, ჯერჯერობით ნათელი არ არის, რადგან არ ფიქსირდება მისი ძალდატანებით განადგურების კვალი. კვლევის ამ ეტაპზე არ გამოვრიცხავ, რომ ეს მოვლენა უკავშირდებოდეს დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციებში ქართლის პოლიტიკურ და კულტურულ გააქტიურებას და იმ ინოვაციებს, რაც შედეგად მოჰყვა ამ აქტიურობას. ყოველშემთხვევაში, ძვერიდან არც თუ ისე შორს მდებარე ყვირილის ხეობასა და “ვანის ქვეყანაში” ამ პერიოდიდან თვალნათლივ ფიქსირდება მთელი რიგი კულტურული სიახლეები [ლორთქიფანიძე, 2002:207], რომლებიც ახლად შექმნილი ქართლის სამეფოს პოლიტიკური გავლენის გავრცელებას უკავშირდება [ბრაგვაძე, 1993:27-39].

**სამარხები:** კორტების გორა დასახლებულია ინტენსიურად და მიწის სამუშაოებს, როგორც წესი, ხშირად თან სდევს სამარხთა აღმოჩენისა და განადგურების შემთხვევები. მოპოვებული ინფორმაციით, სხვადასხვა წლებში კორტების გორაზე გაუნადგურებიათ დაახლოებით სამოცი სამარხი. ერთი შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის ინვენტარი, ქვევრსამარხის არქეოლოგიური მასალა, ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრმა როლანდ ისაკაძემ გადმოგვცა. მის-



თვის ეს არტეფაქტები გადაუცია ძვერის მკვიდრს ჯემალ ფხალაძეს, ვის ეზოშიც აღმოუჩინიათ სამარხი. მასალის გადმოცემისთვის ბატონ როლანდს მადლობას ვუხდით. მის მიერ გადმოცემულ მასალას მიეცა პირობითი შიფრი – სამარხი 0, ხოლო უშუალოდ ექსპედიციის მიერ გაითხარა 8 სამარხი; მათგან 5 ორმოსამარხია, ხოლო 3 - ქვევრსამარხი.

**სამარხი 0** – სამარხის მოწყობის, ზომებისა და დაკრძალვის წესის შესახებ ცნობები ვერ დავაზუსტეთ. ვიცით მხოლოდ, რომ წარმოადგენდა ქვევრსამარხს.

სამარხში აღმოჩნდა: (ტაბ. XIII. №№1-11)

**საკიდები** ბრინჯაოსი; კონუსისებური ზარაკის ფორმის, გოფირებული. 3 ცალი.

**საკიდი** ბრინჯაოსი; ორმხრივ მორკალულ მარყუჟზე ჩამოკიდებულია წინვისებრი ორნამენტით შემკული ღეროები.

**საკერებელი** ვერცხლის; კონუსის ფორმის, შემკულია წერტილოვანი ორნამენტით დმ. 4 სმ.

**ბეჭდის თვალბუდე** ვერცხლის; ოვალური ფორმის, გიშრის თვლით. 2 ცალი.

**სამაჯური** ბრინჯაოსი; თავებგადახვეული, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან დამზადებული. დმ. 6 სმ.

**სასაფეთქლები** ბრინჯაოსი; ორი ცალი.

**ფირფიტა** ბრინჯაოსი; დანიშნულება გაურკვეველია.

**თვალი** სარდიონის.

**მონეტა** ვერცხლის; სეპტიმუს სევერუსის ავერსზე გამოსახულია იმპერატორის სახე პროფილში; რევერსზე - არგეის მთა მწვერვალითა და ვარსკვლავით. წარწერები დაზიანებულია, არ იკითხება.

**სამარხი 1** – ორმოსამარხი. აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 25 სმ-ის დონეზე. სიგრძე 150 სმ; სიგანე 50 სმ. მიცვალებული დაკრძალული იყო მოკრუნჩხულ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისკენ.

სამარხში აღმოჩნდა: (ტაბ. XIII. №№12-14)

**მშვილდსაკინძი** რკინის; ორნილადი, ძლიერ დაშლილი.

**მძივები**; კირქვის, გიშრის და პასტის.

**დოქი**; მონითალო ფერის, ყელნიბოიანი, სწორტანიანი, ბრტყელძირიანი. დამზადებულია განლექილი თიხისაგან. პირის დმ. 4 სმ; ძირის დმ. 8 სმ. კეცის სისქე 5 მმ.

**სამარხი 2** – ორმოსამარხი. გაითხრა მიწის ზედაპირიდან 30 სმ-ის სიღრმეზე. სიგრძე 130 სმ; სიგანე 70 სმ. მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, მოკრუნჩხულ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისკენ.

სამარხში აღმოჩნდა: (ტაბ. XIV. №2-4)

**სასაფეთქლე** რგოლი; ბრინჯაოსი.

**მძივები**; კირქვის, გიშრის და პასტის.

**დოქი**; მონითალო ფერის, მრგვალპირიანი, ყელნიბოიანი, სწორტანიანი, ბრტყელძირიანი. ყური მიძერწილი ჰქონდა პირზე და მხარზე. დამზადებულია განლექილი თიხისაგან. სიმაღლე 30 სმ; პირის დმ. 5 სმ; ძირის დმ. 12 სმ; კეცის სისქე 5 მმ.

**სამარხი 3** – ორმოსამარხი. მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 25 სმ-ის სიღრმეზე. სიგრძე 160 სმ; სიგანე 80 სმ. მიცვალებული დაკრძალული იყო მოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისკენ.

სამარხში აღმოჩნდა: (ტაბ. XIV №1)

**დოქის** ფრაგმენტები; მონითალო ფერის, მსხვილმარცვლოვანი თიხისგან დამზადებული.

**სამარხი 4** – ქვევრსამარხი. მიწის ზედაპირიდან 35 სმ-ის სიღრმეზე გამოიკვეთა ქვყრილი. მისი ზომები იყო 150X90 სმ; ქვყრილში აღმოჩნდა დოქი. ქვყრილის ალების შემდეგ დაფიქსირდა მიწაში ჰორიზანტალურად ჩადგმული ქვევრი; სიგრძე 180 სმ; სიგანე 120 სმ. ქვევრს პირზე მიფარებული ჰქონდა რიყის ქვა. ქვევრში დაკრძალული იყო მიცვალებული, მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისკენ.

სამარხში აღმოჩნდა: (ტაბ. XV)

**საყურეები**; ვერცხლის. 2 ცალი.

**საკიდები**; ძვლის, ნისკარტის ფორმის 2 ცალი.

**საკიდი**; ბრინჯაოსი. ჯაჭვის ფორმის.

**სასაფეთქლე** რგოლები; ბრინჯაოსი.

**სამაჯური;** ბრინჯაოსი.

**საკერებელი;** ვერცხლის. კონუსის ფორმის, შემკულია ნერტილოვანი ორნამენტით.

**თვალბუდე;** ვერცხლის, სარდიონის თვლით.

**მშვილდსაკინძი;** ვერცხლის, ორწილადი. აქვს ბრინჯაოს ენა და დანახნაგებულებული ღერო შემკულია სამკუთხა ორნამენტებით.

**დანა;** რკინის. ძლიერ კოროზირებული.

**მძივები;** მთის ბროლის, კირქვის, მინისებური პასტის.

**დოქი;** რუხი ფერის, სწორტანიანი. აკლია პირ-ყელის ნაწილი და ყური. დამზადებულია უხეში, მარცვლოვანი თიხისაგან. დოქი აღმოჩნდა ქვაყრილში.

**სამარხი 5** – ქვევრსამარხი. აღმოჩნდა მიწიდან 15 სმ-ის სიღრმეზე. შემორჩენილი იყო ფრაგმენტულად. მიცვალებული დაკრძალული იყო მოკრუნჩხულ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთით.

სამარხში აღმოჩნდა: (ტაბ. XVI №1-2)

**დოქი;** შემორჩენილია მხოლოდ პირ-გვერდისა და ყურის ფრაგმენტების სახით. დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი, უხეში თიხისაგან, რუხი ფერის.

**რკინის** ნივთი; გაურკვეველი დანიშნულების.

**სამარხი 6** – ორმოსამარხი. მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი დანგრეული იყო. მიცვალებულის დაკრძალვის პოზა და სამარხის ზომები ვერ დადგინდა.

სამარხში აღმოჩნდა: (ტაბ. XVI №3)

**დოქი;** მონითალო ფერის. მრგვალპირიანი, დაბალყელიანი, მრგვალ კორპუსიანი, ბრტყელძირიანი. კორპუსი შემკულია მეჭეჭისებური კოპებით.

**სამარხი 7** – ორმოსამარხი. აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი დანგრეული იყო. ზომები და დაკრძალვის პოზა ვერ განისაზღვრა.

სამარხში აღმოჩნდა: (ტაბ. XVII №1)

**დოქი;** მონითალო ფერის. დოქს აქვს სამ-

ტუჩა პირი, დაბალი ყელი, ნაწილობრივ დეფორმირებული მრგვალი კორპუსი და ბრტყელი ძირი. დამზადებულია განლექილი თიხისაგან. სიმაღლე 17 სმ. პირის დმ. 6 სმ. ძირის დმ. 10 სმ.

**სამარხი 8** – ქვევრსამარხი. გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი ნაწილობრივ დანგრეული იყო. მიცვალებულის ძვლები განლაგებული იყო უსისტემოდ და დაკრძალვის პოზა ვერ დადგინდა.

სამარხში აღმოჩნდა: (ტაბ. XVII №2-6)

**მშვილდსაკინძი;** ბრინჯაოსი.

**მონეტა;** ვერცხლის, სეპტიმუს სევერუსის. მონეტა დაზიანებულია. ავერსზე განიჩევა გვირგვინოსანი მამაკაცის პროფილი, ხოლო რევერსზე - მთის მწერვალი.

**ინტალიო;** სარდიონის. ამოკანრულია ურემზე მჯდომი მამაკაცი, რომელიც მიერეკება ხარს.

**მძივები;** მოზაიკური და სადა სარდიონისა და პასტის.

ძვერის სამარხების არქეოლოგიური მონაპოვარი არ გამოიჩევა მრავალფეროვნებით. ძირითადად წარმოდგენილია კერამიკა, ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები, სამკაულის მცირე ასორტიმენტი, მძივები და ორი მონეტა.

თუნის ნაწარმიდან გვხვდება მხოლოდ დოქები. მათი ნაწილი დამზადებულია ცუდად განლექილი, უხეში თიხისაგან, რომელიც ხასიათდება ქარსის მაღალი შემცველობით. არა-დამაკმაყოფილებელია გამოწვის ხარისხიც. ამ მიზეზის გამო ჭურჭლები ადვილად შლადი და აღდგენის უუნაროა. თუმცა, შეიძლება აღინიშნოს, გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს კერამიკას ზოგადად ახასიათებს მსხვილმარცვლოვანი თიხა და გამოწვის დაბალი დონე [ჯაფარიძე, 1984:21-32]. აღმოსავლეთ კოლხეთის სამაროვნებზე, კლდეეთსა [ლომთათიძე, 1957:27. ტაბ. XX] და ჩხარში [ბრაგვაძე, 1997:52-54], აღმოჩენილ დოქებს ახასიათებს სწორედ ანალოგიური ნიშან-თვისებები. ანალოგიური მდგომარეობაა

საკუთრივ ძვერში 1952 წელს გათხრილ საგვარჯილეს სამარხების მასალებშიც. კერამიკიდან აქაც ქარბობს სწორედ ისეთი დოქები, რომლებიც დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი, თითქმის განუღებავი თიხისაგან. დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკურ-ადრეული შუა საუკუნეების მასალაში თითქმის განუღებავი და სანახევროდ გამომწვარი დოქების სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ ისინი მზადდებოდა სახელდახელოდ, მიცვალებულისთვის სამარხში ჩასატანებლად.

ასეთი უხეში ნაწარმის გვერდით ძვერში, როგორც საგვარჯილეში, ასევე კორტების გორაზე მოიპოვება კარგად განღებული თიხით დამზადებული ეგზემპლარებიც. საგვარჯილეს ორი დოქის ზედაპირი ნაპრიალებიცაა. ამასთან დაკავშირებით რ. ფუთურიძე აღნიშნავს, რომ ეს გარემოება შესაძლოა იყოს საგვარჯილეს ორმოსამარხების შედარებით სიახლის ნიშანი [ფუთურიძე, 1959:70]. სამწუხაროდ, საგვარჯილის სამარხის მასალა დღემდე გამოქვეყნებული არ არის და მასზე დაწვრილებით მსჯელობა ამ ეტაპზე შეუძლებელია. თუმცა, ის ერთი დოქი, რომელიც გამოქვეყნებული აქვს რ.ფუთურიძეს [ფუთურიძე, 1959:69-70], საშუალებას იძლევა დავადგინოთ, რომ აღნიშნულ ძეგლზე საგულეებელია უფრო IV საუკუნის პირველი ნახევრის კომპლექსები და ამ შემთხვევაში ნაპრიალებზედაპირიანი დოქების არსებობა მოულოდნელი სულაც არ არის. ზემო იმერეთის IV საუკუნის პირველი ნახევრის სამარხებზე ამდგარი დოქები მოდინახესა [ნადირაძე, 1975:სურ. 5 და 8] და რგანის კომპლექსებშია გამოვლენილი [ბრაგვაძე, 2000:118].

კორტების გორის №№ 1,2, 6 და 7 სამარხებში აღმოჩენილი დოქები შედარებით დახვერილი ფორმების მატარებელია და თიხაც შედარებითკარგადაა განღებული და გამომწვარი. ჩამოთვლილთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეექვსე სამარხის ორყურა დოქი (ტაბ. XVI №3). ორყურა დოქები

დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მონაპოვარში უცხო მოვლენა არ არის. ამ ტიპის ნაწარმი მიკვლეულია ჩხორონყუსა [Хоштария, 1941:67-94] და ფერეთაში [ხარაბაძე, 2002:81-87, ტაბ. I], მაგრამ ძვერის ნიმუში კორპუსის შემკობის მხრივ საგრძობლად განსხვავდება მათგან და წარმოადგენს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ცალების ზუსტ ანალოგს [Иващенко, 1980:სურ.97-100]

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ დოქების პარალელებს, ძვერის კორტების გორის ქვევრსამარხებიცა და ორმოსამარხებიც თანადროული კომპლექსებია და მათი თარიღი განისაზღვრება II-III საუკუნეებით.

სამარხთა ამგვარ თარიღს არ ეწინააღმდეგება სამკაულიც. რომელიც, მართალია, მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, მაგრამ მაინც ხელშესახები ფაქტორია ძეგლის თარიღის განსაზღვრის საქმეში. ასეთია ბრინჯაოს თავგადახვეული სამაჯური, რომლის ანალოგები ბევრია აღმოჩენილი როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ისინი დაფიქსირებულია ურეკში [Хоштария, 1955:52], ჩხორონყუსი [ფუთურიძე, 1955:58], ბორში [Куфтин, 1950:77], კლდეეთში [ლომთათიძე, 1957:ტაბ. XIX], ალაიანში [მირიანაშვილი, 1983:64], ჩხარში [ბრაგვაძე, 1997:36-37], რგანში [ბრაგვაძე, 2000:სურ.33,85], ზღუდერში [Немсадзе, 1977:110] და სხვ. როგორც არქეოლოგიური ძეგლების არასრული ჩამოთვალიდანაც კარგად ჩანს, მსგავსი ტიპის სამაჯურები მოიცავს თითქმის მთელ საქართველოს. აღნიშნული ნივთის პოპულარობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ თავგადახვეული სამაჯურები მზადდებოდა ნებისმიერი ლითონისაგან (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო). გეოგრაფიულ არეალთან ერთად დიდია მათი გავრცელების ქრონოლოგიაც. ისინი გვხვდება მთელი გვიანანტიკური ხანის განმავლობაში და არსებობას განაგრძობენ ადრეულ შუა საუკუნეებშიც (VI-VIII სს.) [აფხაზავა, 1979:59].

თავგადახვეული სამაჯურები დიდი

რაოდენობით ჩნდება საქართველოს ფარგლებს გარეთაც. კერძოდ, სამკაულის ეს ტიპი წარმოადგენს ჩერნიახოვის კულტურის ერთ-ერთ უმთავრეს დამახასიათებელ სახეობას. ჩერნიახოვის კულტურის ქრონოლოგიური ჩარჩოები განსაზღვრულია II-IV საუკუნეებით [Барцева,... 1972:85]. ქართველ მკვლევართა ნაწილი სარმატული ელემენტისა თუ სარმატული წეს-ჩვეულებების გავლენასაც საქართველოში თავგადახვეული სამაჯურების არსებობას, მაგრამ იმასაც მიუთითებდნენ, რომ ამ საკითხის უფრო ღრმად გააზრება და ყურადღების იმაზე გამახვილება, თუ რა მომდინარეობდა საკუთრივ სარმატულ კულტურაში საერთო კავკასიური სივრციდან [ლომთათიძე, 1957:189-190]. ცნობილია, რომ ჩერნიახოვის კულტურის შექმნაში დაკუთრაკიულ და გოთურ ელემენტთან ერთად აქტიურ როლს ასრულებდნენ სარმატებიც. ჩემი აზრით, არავითარი საფუძველი არ არსებობს რათა თუნდაც ვარაუდის დონეზე დავუშვათ სარმატების უშუალო მონაწილეობა გვიანანტიკური ხანის ქართული კულტურის ფორმირების პროცესში და ამ მხრივ, რა თქმა უნდა, განსხვავებული ვითარებაა აღმოსავლეთ ევროპის სიტუაციასთან შედარებით, სადაც თავგადახვეული სამაჯურების არსებობა პირდაპირ უკავშირდება სარმატების გავლენას [Археология Венгрии 1986:282]. ჩვენს განკარგულებაში არსებული არქეოლოგიური მასალა საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ სარმატულ ტომებში თავგადახვეული სამაჯურები შეიძლება კავკასიიდანაც კი გავრცელდა, რადგან როგორც საქართველოში აღმოჩენილი ნიმუშები მონაწილეს, მსგავსი არტეფაქტები ჩვენში ჩერნიახოვის კულტურის ჩამოყალიბებამდე ადრე ჩნდება და I საუკუნეში ეს ნივთები უკვე მოიპოვება ქართლის სამარხეულ კომლექსებში [მირიანაშვილი, 1983:64].

ძვერის არქეოლოგიურ მონაპოვარში ყურადღებას იმსახურებს 0 სამარხში ფიქსირებული ბრინჯაოს საკიდი (ტაბ. XIII №2) და ინტალიო მე-8 სამარხიდან (ტაბ. XVII

№4). ეს ორივე ნივთი უნიკალურია იმდენად, რამდენადაც მათ თითქმის ვერ მოვუძებნე პარალელები. ბრინჯაოს საკიდის მსგავსი ცალი აღმოჩნდა ჩხარის მე-6 სამარხში [ბრაგვაძე, 1997:10-11]. სხვა ანალოგს ვერსად მივაკვლიე. ასევე ვერსად მოინახა ინტალიოზე გამოსახული სიუჟეტის ზუსტი ანალოგი. მხოლოდ არქეოლოგმა თ.ბიბილურმა მომანოდა ზეპირი ინფორმაცია, რომ რამდენიმე წლის წინ დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალში მიუტანიათ II-III საუკუნეების არქეოლოგიური კოლექცია საინგილოდან და სხვა არტეფაქტებთან ერთად ყოფილა ანალოგიური სიუჟეტის ინტალიოც. ამ ნივთის ამჟამინდელი ადგილმდებარეობა ჩემთვის უცნობია.

ამრიგად, განხილულმა მასალებმა ცხადყო, რომ ძვერის კორტების გორის სამარხების თარიღი II-III საუკუნეებია. ამ ეტაპზე თითქმის არ ხერხდება ქრონოლოგიის უფრო დაზუსტება და II და III საუკუნეების კომლექსების ცალკე გამოყოფა. კორტების გორა იმ იშვიათ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც ერთადაა წარმოდგენილი როგორც ორმოსარხები, ასევე-ქვევრსამარხები. თუ გავითვალისწინებთ იმ რეალობასაც, რომ საქართველოში ამ ტიპის სამაროვნები არც თუ ბევრია, შუა იმერეთში ასეთი ძეგლის გამოვლენა მნიშვნელოვანი ფაქტია. საერთოდ, დასავლეთ საქართველოში გვიანანტიკური სამაროვნების სიმწირის ფონზე (sic! აფხაზეთის გამოკლებით), ძვერის კორტების გორის სამარხებს შეუძლია გარკვეული წვლილი შეიტანოს საქართველოს ამ პერიოდის კულტურის ისტორიის კვლევა-ძიების საქმეში.

#### ლიტერატურა:

- აფხაზავა ნ. 1979:** ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბ.  
**ბარამიძე მ. 1998:** შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათას-ების I ნახევარში. სადოქ. დისერტაცია. თბ.  
**ბრაგვაძე ზ. 1993:** აღმოსავლეთ კოლხეთი ძვ.წ. V-I საუკუნეებში. თბ.  
**ბრაგვაძე ზ. 1997:** ჩხარის სამაროვანი. თბ.  
**ბრაგვაძე ზ. 2000:** რგანის სამაროვანი. - არქეოლოგიური ჟურნალი I. თბ.  
**ბრაგვაძე ზ. 2003:** ძვერის გვიანანტიკური ხანის სა-

მარხები, ძიებანი. №12. თბ.

**ბრაგვაძე ზ. 2009:** არქეოლოგიური გათხრები სოფელ ღვანკითში. ჟურ. იბერია-კოლხეთი №5. თბ.

**გამყრელიძე გ. 1982:** ცენტრალური კოლხეთის ნა-მოსახლარები. თბ.

**ლომთათიძე გ. 1957:** კლდეეთის სამაროვანი. თბ.

**ლორთქიფანიძე ოთ. 2002:** ძველი ქართული ცივილი-ზაციის სათავეებთან. თბ.

**ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ელ. კაჭარავა დ. ჭყონია ა. 1981:** ძვ. VI-IV საუკუნეების კერამიკა ვა-ნიდან. - ვანი V. თბ.

**მახარაძე გ. 2000:** ყვირილის ხეობის ნამოსახლართა ქრონოლოგია. - საქართველოს შ.ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები. V. თბ.

**მირიანაშვილი ნ. 1983:** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ.

**მიქელაძე თ. 1978:** არქეოლოგიური კვლევა-ძიება რი-ონის ქვემო ნელზე. თბ.

**მიქელაძე თ. 1985:** კოლხეთის ადრერკინის ხანის სა-მაროვნები. თბ.

**ნადირაძე ჯ. 1975:** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ.

**ნადირაძე ჯ. 1990:** საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. თბ.

**ფუთურიძე რ. 1959:** დასავლეთ საქართველოს გვიანან-ტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. - მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის II. თბ.

**ხარაბაძე ს. 2002:** გვიანანტიკური ხანის სამარხი ფერ-ეთადან. - ძიებანი №9. თბ.

**ძიძიგური ლ. 2002:** სამხრეთ კავკასიის მინათმოქმე-დების ისტორიისათვის. თბ.

**ჩუბინიშვილი ტ. 1953:** არქეოლოგიური ძეგლები "ციხ-ურას" მიდამოებიდან. - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVII-B. თბ.

**ჯაფარიძე ვ. 1977:** ძველი ვარციხე ("ვარდიგორა"). - ძეგლის მეგობარი. №46. თბ.

**ჯაფარიძე ვ. 1984:** კლდეეთის სამაროვანი და დასვლეთ საქართველოს გვიანანტიკური ძეგლების შესწავლის ზოგიერთი საკითხი. - ძეგლის მეგობარი №68. თბ.

**Археология Венгрии. 1986:** М.

**Барамидзе М. 1990:** Пичорское поселение. - Материалы симпозиума по древней истории Причерноморья. V. Тб.

**Барцева Т.Б., Вознесенская Г.А., Черных Е.Н. 1972:** Металл Черняховской Культуры. М.

**Гогадзе Е. 1984:** К вопросу о хронологии и периодизации памятников колхидской культуры. - საქართველოს სახ-ელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXXVII- B, თბ.

**Джапаридзе В. 1990:** Некоторые Памятники Восточной Колхиды Античной Эпохи. - Материалы международного симпозиума по древней истории Причерноморья. V. თბ.

**Иващенко М. 1980:** Самтаврские погребения первых трех веков н.э. - მცხეთა III. თბ.

**Куфтин Б. 1950:** Материалы к археологии Колхиды. Т. II. თბ.

**Микеладзе Т., Барамидзе М. 1976:** О Некоторых итогах полевых исследований в зонах новостроек. - Археологические исследование на новостройках

Грузинской ССР. თბ.

**Микеладзе Т., Хахутаишвили Д. 1985:** Древнеколхское поселение Намчедური. თბ.

**Микеладзе Т., 1995:** Колхидская Экспедиция. - Полевые археологические исследования в 1987 г. თბ.

**Микеладзе Т. 1990:** К Археологии Колхиды. Тб.

**Нариманишвили Г. 1991:** Керамика Картли V-I вв. до н.э. Тб.

**Немсадзе Г. М. 1977:** Погребения Иберийской знати из Згудери. - Советская Археология. №151. М.

**Толордава В. 1990:** Культурный комплекс VIII-VII вв. до н.э. из Вани. - Материалы международного симпозиума по древней истории Причерноморья V. თბ.

**Хоштария Н.В. 1941:** Чкороцку - могильник с трупосожжением (захоронения в урнах). - მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის II. თბ.

**Хоштария Н.В. 1955:** Археологические исследование Уреки. - მ.საქ. და კავ. არქ-თვის I. თბ.

#### ტაბულების აღწერილობა:


**ტაბ. I.** ფენაში აღმოჩენილი ნაგებობა და ატიკური სკი-ფოსის ყური; **ტაბ. II.** სტრატეგრაფიული ჭრილი და ნაგებობის გეგმა; **ტაბ. III.** ქოთნები (I ფენა); **ტაბ. IV.** დოქები (I ფენა); **ტაბ. V.** ჯამები (I ფენა); **ტაბ. VI.** ჯამე-ბი (I ფენა); **ტაბ. VII.** რკინის თოხი და ქვევრის პირების ფრაგმენტები (II ფენა); **ტაბ. VIII.** ორნამენტირებული ქოთნების გვერდები (II ფენა); **ტაბ. IX.** ორნამენტირე-ბული და კანელურებიანი ქოთნების გვერდები (II ფენა); **ტაბ. X.** სასმისები. მილიანი და გოფირებული ყურები (II ფენა); **ტაბ. XI.** ხუფები. კვირისტავი (II ფენა); **ტაბ. XII.** ზოომორფული და გრეხილრკალიანი ყურები (II ფენა); **ტაბ. XIII.** სამარხი №№ 0 და 1 სამარხების ინვენტარი; **ტაბ. XIV.** №№2 და და 3 სამარხების ინვენტარი; **ტაბ. XV.** №4 სამარხის ინვენტარი; **ტაბ. XVI.** №№5 და 6 სამარხ-ების ინვენტარი; **ტაბ. XVII.** №№7 და 8 სამარხების ინ-ვენტარი.

Z. Bragvadze

I



1






2

მეზო 1998  
 კორტაგის ზონა  
 აღმოსავლეთი შერეო

სტრატოგრაფიული ჩრილი


მ.1:50

-  კუმული
-  I შიგა
-  სტრატოგრაფიული შიგა
-  II შიგა
-  ძირი




1

მ.1:30





2

III







# IV




# V



# VI




# VII




# VIII




# IX



# X




# XI










# XII




# XIII





# XIV




# XV





# XVI




# XVII



1



2



6




1



3



4



## ახლადამოჩენილი სამარხები ვანიდან

### I ნაწილი (გაძარცვული სამარხები)

მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩატარებული საველე სამუშაოები წარმატებული აღმოჩნდა ვანის არქეოლოგიური ექსპედიციისათვის. გამოვლენილ იქნა სამარხების სერია, სამლოცველოები და მათთან დაკავშირებული ბრინჯაოს მცირე ზომის ანთროპომორფული ფიგურები, ბრინჯაოსა და რკინის ნივთების განძი, მასალით უხვად დახუნძლული კულტურული ფენები და სხვადასხვა კომპლექსები. ახალმა აღმოჩენებმა, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, დაადასტურა ზოგიერთი ადრე გამოთქმული მოსაზრება, ზოგიც უარყო. ახალი აღმოჩენებით მოხერხდა ზოგიერთი ნივთის რაობის დადგენა, წამოიჭრა ახალი პრობლემებიც. სტატიის მოცულობა არ იძლევა ყველა აღმოჩენისა და ყველა საკითხის განხილვის საშუალებას. ამჯერად შემოვიფარგლებით აღმოჩენების ერთი ჯგუფით – იმ ექვსი სამარხით, რომლებიც ზედა ტერასაზე, ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეებთან (ნაკვეთები 212 და 213) გამოვლინდა (ტაბ. I, 14; II). ორი მათგანი (სამარხები №№ 22 და 24) მოგვიანო პერიოდის მშენებლობამ დააზიანა მეტ-ნაკლებად, ოთხი კი (სამარხები №№ 21, 23, 26 და 28) ძველადვე გაძარცვული აღმოჩნდა. სწორედ ამ უკანასკნელი სამარხებით დავიწყებთ სტატიების სერიას.

213-ე ნაკვეთის  $c_2d_{1-3}-e_{1-3}$  კვადრატებში გამოიკვეთა კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი მოედანი, რომელიც სამი მხრიდან თირის კედლებით არის შემოსაზღვრული, ხოლო აღმოსავლეთი მხრიდან ის ღიაა და თირში ამოკვეთილ არხს ებჯინება (ტაბ. II-IV). ეს არხი ნაწილია კლდოვანი კომპლექსისა, რომლის რაობა ჯერჯერობით გაურკვეველია.

საფიქრებელია, რომ კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი მოედნის სახით საქმე გვაქვს

ძლიერ დაზიანებულ სამარხთან (სამარხი № 21). ამის საფუძველს გვაძლევს, პირველ რიგში, აქ აღმოჩენილი მასალის ხასიათი (მონეტები, სამკაული, იარაღი); მეორე რიგში, მოედნის ადგილმდებარეობა (ეს მონაკვეთი ხომ სამაროვნის ნაწილია). სამარხი ორმო (3,60 X 3,50 მ), როგორც ჩანს, დაზიანდა, მონგრეა აღმოსავლეთი კედელი იმ კომპლექსის მშენებლობისას, რომელსაც ეკუთვნის ზემოაღნიშნული კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი არხი და ამ არხიდან გამოსული, არხისკენ ღია ბუდეები. ორმოს სამხრეთ კედელს ბაქანი (3X1 მ) მიუყვება, ნაგრძელებული დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე.

ნასამარხალის არეზე დაფიქსირდა შავი მკვრივი ფენა, რომელიც საკმაოდ მრავლად შეიცავდა ელინისტური ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს. ნასამარხალის შევსებაში ადრეანტიკური ხანის თითო-ოროლა კერამიკული ფრაგმენტიც აღმოჩნდა (ტაბ. V-VI, კატ. №№ 1- 25).

კლდეში ნაკვეთ ორმოში აღმოჩენილი მასალიდან სამარხის კუთვნილად შეიძლება მივიჩნიოთ ვერცხლის მონეტები, ოქროს, პასტის, მინისა და ქვის მძივები, იოტები, რკინის იარაღი (ისრისპირი, დანა), რკინის აბჯრის ფრაგმენტები, რკინის ლურსმნები, ბრინჯაოს ზარაკები (კატ. №№ 26-55, ტაბ. VII-IX). მონეტა შვიდია. შვიდივე კოლხური თეთრია – ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლი (კატ. № 27, ტაბ. VIII). ერთი მათგანი აღმოჩნდა სამარხის იატაკის დონეზე, დანარჩენი კი – ორმოს შევსებაში. იატაკის დონეზევე აღმოჩნდა მინისა და მინისებური პასტის რამდენიმე მძივი (კატ. №№ 45-46, 53). ნასამარხალის შევსებაში აღმოჩნდა ოქროს ორი მძივი (კატ. № 26, ტაბ. VIII). ორივე მძივი ერთნაირია. ისინი ცვარათია გამოყვანილი: ერთმანეთთან მირჩიული ცვარა ოთხკუთხა მძივსა ქმნის. ამგვარი

მძივები აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე გათხრილ ქვევრსამარხში, რომელიც მასში ნაპოვნი სინოპური მონეტის მიხედვით ძვ. წ. III საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება [Лордкипანიძე О., Путиридзе Р., Матиашвили Н., Толордава В., Пирцхალავა М., Чконია А., Квирквелия Г., Инаури Г. 1991: 73-74]. ვანი კოლხეთის ერთადერთი ძეგლი არ არის, სადაც აღმოჩენილია ცვარას ერთმანეთთან მირჩილვით მიღებული მძივები. ასე მაგალითად, ცვარას ერთმანეთთან მირჩილვით გამოყვანილი რამდენიმე მილაკია ცნობილი საირხის სამაროვნის ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისის კომპლექსიდან [მახარაძე ზ., წერეთელი მ. 2007: 39, ფოტო 37]. ერგეტის სამაროვნის № 5 სამარხში აღმოჩენილი ყელსაბამის შემადგენელი (კოპებიან მძივებთან ერთად) ოთხკუთხა მძივები ასევე ცვარასგანაა შედგენილი [Микеладзе Т., Мигдисова Н., Папуашвили Р. 1985: 37-40, табл. LIV]. ამგვარი მძივ-მილაკები აღმოსავლური სამყაროდან უნდა შემოსულიყო – აქემენიდურ ხანაში ცვარასაგან შედგენილი, დიდი და მცირე ზომის, სხვადასხვა გეომეტრიული ფორმის ოქროსა და ვერცხლის მძივები ფართოდ იყო გავრცელებული ახლო აღმოსავლეთში [Kraay C.M., Moorey P.R.S., 1969: 205, cat. NN 145, pl. XXIII].

მინის მძივები წარმოდგენილია როგორც სადა მონოქრომიული ცალებით (კატ. №№ 43-48, 50, ტაბ. IX), ასევე თვალადი ნიმუშებით (კატ. № 49, ტაბ. IX). ამგვარი მძივები აღმოჩენილია ვანის № 16 სამარხში, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრით-III საუკუნის დასაწყისით თარიღდება [კაჭარავა დ., მჟავანაძე ზ. 1986: 21, 32, №№ 79-80], აგრეთვე № 24 სამარხში. ე.წ. ეგვიპტური პასტის მძივ-საკიდი (კატ. № 51, ტაბ. IX) წარმოადგენს მაღალ სავარძელში მჯდარი ღვთაების გამოსახულებას. ასეთი მძივ-საკიდები ვანის იმავე № 16 სამარხიდან არის ცნობილი [კაჭარავა დ., მჟავანაძე ზ. 1986: 21, 32, № 83]. ანალოგიური საკიდები პანტიკაპეონის ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის კომპლექსშია დადასტურებული [Алексеева Е. А. 1975: 36, ტაბ. 6, 6]. სა-

მარხში აღმოჩენილი პასტის მძივები სხვადასხვა ფერისაა (კატ. №№ 52-53). პასტის ორი მძივი ცილინდრულია (კატ. № 52, ტაბ. IX). პასტის იოტები ასევე სხვადასხვა ფერისაა – ყვითელი, მწვანე, მონაცრისფრო (კატ. № 54, ტაბ. VIII). სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე ქვის მძივი, მომრგვალებული ფორმისა (კატ. № 55, ტაბ. VIII).

სამარხეულ ინვენტარში, როგორც ჩანს, რკინის იარაღიც შედიოდა. კერძოდ, აქ აღმოჩნდა რკინის ფრაგმენტირებული დანები (კატ. № 31-34, ტაბ. VII), ისრისპირი (კატ. № 35, ტაბ. VII). ეს უკანასკნელი სამფრთიანია, მასრიანი. სამარხის არეზე სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა აბჯრის ნაწილები. შეგვხვდა აბჯრის კუთვნილი სხვადასხვაგვარი ფირიფიტები; რკინის ქერცლისებური ფირფიტები, რომელთაც მეტ-ნაკლებად მთლიანად შემორჩენილი ნიმუშის მიხედვით სიგრძივი ქედი გასდევთ (კატ. № 36); რკინის ქერცლისებური ფირფიტები, რომელთაც ბრინჯაოს გარსაკრავი აქვთ (კატ. № 37); ბრინჯაოს ქერცლისებური გარსაკრავები (კატ. № 29). სამარხში ბექთარის ჩატანების წესი ვანში ადრეელინისტურ ხანაში არის დადასტურებული [კაჭარავა დ., ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., ყიფიანი გ. 1979: 27, 79, კატ. № 501; კაჭარავა დ., მჟავანაძე ზ. 1986: 23, 31, № 56, სურ. 15, 4; Хоштариа Н. В. 1979: 117, рис. 186]. რკინის ქერცლისებური აბჯრის ფირფიტები დადასტურებულია საირხშიც [მახარაძე, წერეთელი 2007: 52, სურ. 26]. გარდა ჩამოთვლილი ნივთებისა, სამარხში აღმოჩნდა რკინის ნივთების ფრაგმენტები, რომლებიც ლურსმნებსა და სამაგრებს უნდა ეკუთვნოდეს (კატ. №№ 38-39). რკინის რგოლებიც დაფიქსირდა იმ ნივთებს შორის, რომლებიც სამარხს უკავშირდება (კატ. № 40, ტაბ. VII). აღსანიშნავია რაღაც ნივთის ბრინჯაოს გარსაკრავის ფრაგმენტები (კატ. № 30). ზოგიერთ მათგანზე ნახვრეტებია (რაიმეზე დასამაგრებლად?), შერჩენილია გაურკვეველი ორნამენტიც, ზოგზე კი - ხის ნაშთები (?).

სამარხი № 21, მისთვის მიკუთვნილებული



ნივთების საფუძველზე ადრეელინისტური ხანით შეიძლება დათარიღდეს. ოქროს ნივთები ამ თარიღის უფრო დაზუსტების საშუალებას იძლევა – ძვ.წ. III საუკუნის პირველი ნახევარი.

სამარხი № 23 მდებარეობდა 213-ე ნაკვეთის  $b_{4-6}$ - $c_{4-6}$ - $d_{4-6}$  კვადრატებში (ტაბ. II, X). სამარხი შედგება კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი ოთხკუთხა ორმოსა (2,2x3 მ) და წაგრძელებული პლატფორმისაგან, რომელიც ორმოს სამხრეთ კედელს გასდევს 2 მეტრის სიგრძეზე, კლდის ზედაპირიდან 1,2 მ სიღრმეზე. პლატფორმის სიგანე 1 მეტრია. ორმოს სამხრეთი კედელი თირის ზედაპირიდან 0,85 მ სიღრმეზეა ამოკვეთილი, დასავლეთი კედელი – 2,19 მ სიღრმეზე; ჩრდილოეთი კედელი დახრილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და მისი აღმოსავლეთი კიდე ზედაპირიდან 1,9 მ-ის სიღრმეზეა (ტაბ. X-XI). ორმოს აღმოსავლეთი კედელი არ არის შემორჩენილი. ის, საფიქრებელია, არხის გაჭრის დროს დაზიანდა, ისევე როგორც მთელი სამარხი: ვანისთვის ასე დამახასიათებელი სამარხის თავზე გამართული ქვაყრილის არავითარი კვალი არ დაფიქსირებულა (ტაბ. XII, 1). სამარხ ორმოში ადამიანის ჩონჩხიდან მხოლოდ თავის ქალის ნაშთები და კბილები დადასტურდა, აგრეთვე ცხენის ჩონჩხის ნაწილი, რომელიც პლატფორმიდან ჩამოცურებული ჩანს (ტაბ. XII, 2). სამარხის შევსებაში თიხის ჭურჭლის მცირეოდენი ნატეხები აღმოჩნდა (კატ. №№ 56-65, ტაბ. XIII). ესენია: ქვევრების, დერგის, ბადიის, დოქის, ჭურჭლის ყურის, იმპორტული ამფორისა და შავლაკიანი ჭურჭლის (სკიფოსის, თასის) ფრაგმენტები, რომლებიც ადრეანტიკურ და ადრეელინისტურ ხანას მიეკუთვნება.

სამარხის ინვენტარიდან შემდეგი ნივთები შემორჩა: თიხის ორი დოქი (კატ. №№ 88-89, ტაბ. XIV, XVI) და ჯამი (კატ. № 90, ტაბ. XV-XVI), ვერცხლის საყურეები (კატ. № 66, ტაბ. XV-XVI), რკინის სამაჯურები (კატ. № 71-72) – ფრაგმენტირებული და დაჟანგული, ბრინჯაოს სამაჯური (კატ. № 67), რკინის საკისრე

რგოლის ფრაგმენტები (კატ. № 69-70), ბრინჯაოს ზარაკები – ცილინდრული, ენიანი და ყუნწიანი (კატ. № 68, ტაბ. XV-XVI), მინისა და მინისებური პასტის მძივები (კატ. № 74-87, ტაბ. XV-XVI), ტყვიის გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტები (კატ. № 73). სამარხი ორმოს იატაკის დონეზე აღმოჩნდა ე.წ. ზოომორფული ყურის ფრაგმენტი (კატ. № 91).

სამარხში აღმოჩენილი ნივთებიდან დამატარილებელი მნიშვნელობისაა ნითელი საღებავით მოხატული თეთრანგობიანი დოქი. ამგვარი დოქი ვანში № 9 სამარხიდან არის ცნობილი [ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, თოლორდავა, ჭყონია 1972:208, სურ. 176]. დანარჩენი ინვენტარიდან აღსანიშნავია მინის მძივები – ლურჯი ბიკონუსური მოყვანილობის (კატ. №№ 75-77) და აგრეთვე თვალედი (კატ. №№ 78-83), მინისებური პასტის იოტები (კატ. № 87), რომლებიც ანალოგიურია № 22 და № 24 სამარხებში აღმოჩენილებისა (ამ უკანასკნელებზე საგანგებოდ სტატიის მომდევნო ნაწილებში ვისაუბრებთ). თითო-ორთა ნიმუშია თეთრი და შავი მინისებური პასტის მძივებისა, რომელთაგან ერთი თეთრი ძაფის ტალღისებური სახითაა შემკული (კატ. №№ 84-85).

ყურადღებას იქცევს სამარხში აღმოჩენილი წყვილი საყურე, დამზადებული ფირფიტოვანი ვერცხლისგან ჭედვით. საყურეები ბრტყელია, ნახევარმთვარისებური მოყვანილობის. ოქროს ნახევარმთვარის ფორმის საყურეები, გამოჭრილი ფირფიტისაგან, დავინროებული და გახვრეტილი ბოლოებით, აღმოჩენილია საირხის № 6 (ძვ.წ. IV საუკუნის შუახანები ან მესამე მეოთხედი) და № 8 სამარხებში (ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევარი) [ნადირაძე ჯ. 1990: 47 და 64, ტაბ. XXX, 1. მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: 59, სურ. 33, ფოტო 88; 65, ფოტო 98]. მსგავსი ოქროს საყურეები დადასტურებულია მინგეჩაურის სამაროვანზე, რომელიც ზოგადად ძვ.წ. VII-V საუკუნეებითაა დათარიღებული [Асланов Г. М., Голубкина Т. И., Садыхзаде Ш. Г., 1966: 12, კატ. №№ 2-3].

ნითელი საღებავით მოხატული დოქი სამარხს ძვ.წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედით ათარილებს (ვანის № 9 სამარხის მიხედვით).

სამარხი № 26 213-ე ნაკვეთის b<sub>9-10</sub> კვადრატებში გამოვლინდა (ტაბ. II, XVII). ესეც ორმო-სამარხი გახლავთ, შედარებით მცირე ზომისა (1.60×1 მ), ამოკვეთილი კლდოვან დედაქანში (ტაბ. XVII-XVIII). თირის ზედაპირი აქ არ არის ნიველირებული. ის დახრილია აღმოსავლეთისა და სამხრეთისაკენ. ამიტომაც ორმოს ჩრდილო-დასავლეთი კუთხე ყველაზე მაღალია, ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხეები კი – დაბალი. სამარხი ორმო სწორკუთხაა, წაგრძელებული სამხრეთ-აღმოსავლეთ-ჩრდილო-დასავლეთ ღერძზე. სამარხზე გადადიოდა ნაცრისფერი ჰუმუსნარევი ფენა. ამ ფენამ უფლიდან, რომელიც სამარხის თავზე იყო დატოვებული, ადრენტიკური ხანისთვის დამახასიათებელი კოლხური ქვევრების ფრაგმენტები მოგვცა, შემკული სავარცხლისებური იარაღით გამოყვანილი ორნამენტით (კატ. №№ 92-93). შესაძლოა, ეს ფრაგმენტები ამ ფენაში მოხვდა სამარხისთვის ორმოს გათხრის დროს. სამარხ ორმოში რიყის დიდრონი ქვები დაფიქსირდა (ქვაყრილის ნაშთი? - ტაბ. XVII-XVIII), რომელთა ქვეშ და რომელთა შორის თირის ფლეთილი ქვები იყო შერეული. რიყის ქვების გროვა ორმოს ზედაპირის ზემოთ ამოდიოდა. ორმოს პირის დონეზე, მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ადგილობრივი თიხის ორი ჭურჭელი აღმოჩნდა (ტაბ. XVIII, 1). ერთი მათგანისგან, რომელიც დერგისებურ, ყურიან ჭურჭელს წარმოადგენს (კატ. № 94, ტაბ. XIX), პირ-ყელის ფრაგმენტიღა შემორჩა. მეორე – ქოთანის (კატ. № 95, ტაბ. XIX) – თითქმის მთლიანად აღდგა, მხოლოდ ყური, და პირის კიდისა და ტანის მცირე ნაწილები აკლია. აღსანიშნავია, რომ ამ ქოთანის კუთვნილი ნატეხები რიყის ქვებს შორის აღმოჩნდა.

როგორც ითქვა, ორმო ამოვსებული იყო რიყის ქვებით, კიდეების გაყოლებაზე კი გასდევდა თირის ბელტები. სხვათა შორის,

ამგვარი რამ დადასტურდა № 22 სამარხშიც. სამარხი გაძარცვული აღმოჩნდა, რაც, ალბათ, გააიოლა იმ გარემოებამ, რომ ის თანამედროვე ზედაპირიდან ღრმად არ იყო ამოკვეთილი. ინვენტარიდან შემორჩა რამდენიმე ნივთი: მცირე ზომის ყურმილიანი დოქი (კატ. № 96, ტაბ. XIX), ვერცხლის ფიბულის რკალი, შემკული ნაჭდევებით (კატ. № 97, ტაბ. XX), ბრინჯაოს 2 საბეჭდავი-ბეჭედი (კატ. №№ 98-99, ტაბ. XX), 5 თვალადი მძივი, ლურჯი მინისა (კატ. № 103, ტაბ. XX), 1 თვალადი მძივი მწვანე მინისა (კატ. № 104), ყვითელი გამჭვირვალე მინის 2 (კატ. № 105) და სარდიონის 1 მძივი (კატ. № 101, ტაბ. XX), ქვის მძივ-საკიდი (კატ. 102, ტაბ. XX), პასტის იოტები (კატ. № 106, ტაბ. XX), რკინის სამაჯურის ფრაგმენტები (კატ. № 100). სამარხიდან ამოყრილი მინის გაცრამ გამოავლინა მინისებური პასტის იოტები (კატ. № 108) და ერთი წყლისფერი მინის მძივი (კატ. № 107). განსახილველ სამარხში აღმოჩენილი მძივები იმ ტიპისაა, რომლებმაც მრავლად იჩინა თავი № 24 სამარხში; უჩვეულოა მხოლოდ ქვის მძივ-საკიდი. ფიბულის რკალის ორნამენტი მოგვაგონებს №№ 22 და 24 სამარხების ვერცხლის საკისრე რგოლების შემკულობას. ბრინჯაოს საბეჭდავი-ბეჭდები საგანგებოდ შეისწავლა ქეთევან ჯავახიშვილმა. მან ერთი საბეჭდავი-ბეჭედი, რომელზეც ტახტზე მჯდომი ქალია გამოსახული, ხელში გვირგვინით, ძვ.წ. IV საუკუნის დასავლეთ ბერძნულ ნახელავად მიიჩნია. მეორე საბეჭდავი-ბეჭდის წარმომავლობა, რომელზეც ძვ.წ. V-IV საუკუნეების ბერძნულ გლიპტიკურ ძეგლებზე ფართოდ გავრცელებული სიუჟეტია გამოსახული (ტახტზე მჯდომი ქალი ერთ ხელში ეროტით), ჯერჯერობით გაურკვეველია [ჯავახიშვილი ქ. 2011: 121-123]. რაც შეეხება ყურმილიან დოქს, სფერული მოყვანილობა მას ძვ.წ. IV-III საუკუნის პირველი ნახევრით ათარილებს [ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ე., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა. 1981: 36]. ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ ეს სამარხიც აქამდე განხ-

ილულთა თანადროულია.

212-ე ნაკვეთის გ, კვადრატში (ტაბ. XXI-XXII) მცირე ზომის ადგილობრივი ქვევრის ფრაგმენტები (კატ. № 109, ტაბ. XXIII) აღმოჩნდა, რომლის მახლობლად ადამიანის კბილები დადასტურდა. კბილებს შორის ერთი კოლხური თეთრი იდო (კატ. № 114, ტაბ. XXIV). იქვე გაიწმინდა თიხის რუხკეციანი დოქი, რომლის ყელის ძირი ნაჭდევების რიგითაა შემკული (კატ. № 110, ტაბ. XXIII-XXIV); ვერცხლის ზურგშედრეკილი სამაჯურები (კატ. № 113, ტაბ. XXIV), რომელთა ბოლოები ირგვლივ დაღარულია; ოქროს ღილაკი (კატ. № 111, ტაბ. XXIV), რომელსაც კიდეზე დაკეჭნილი მავთული შემოუყვება; ოქროს სფერული მძივები (კატ. № 112, ტაბ. XXIV), დამზადებული ორი ნახევარსფეროს მირჩილვით; ბრინჯაოსა და ვერცხლის მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული რგოლები (კატ. № 115-118), რომლებიც, შესაძლოა, საყურეებად იხმარებოდა; პასტის და მინის (კატ. № 120, ტაბ. XXIV), აგრეთვე სარდიონის (კატ. № 119, ტაბ. XXIV) მძივები. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს დაზიანებული სამარხის ნაშთებთან. შემორჩენილი ინვენტარის ნაწილი, კერძოდ, ზურგშედრეკილი სამაჯურები და საყურე რგოლები, მას ზოგადად ძვ. წ. IV-III საუკუნეებით ათარიღებს. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ზურგშედრეკილი სამაჯურები ვანში ძვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევრიდან ჩნდება და ფართოდაა გავრცელებული ძვ.წ. III საუკუნეშიც [ჭყონია ა. 1981: 48-49]. მძივები იმავე სახეობებითაა წარმოდგენილი, რომლებიც № 24 სამარხში მრავლად აღმოჩნდა. იქნებ ეს სამარხიც მისი თანადროულია. სამარხის სიახლოვეს აღმოჩნდა ორი კოლხური ტრიობოლი ჩვეულებრივი ტიპისა (კატ. №№ 121-122, ტაბ. XXIV) და ვერცხლის ღერაკის ფრაგმენტი (კატ. № 124). არაა გამორიცხული, რომ ეს ნივთები ზემოთ განხილული სამარხის ინვენტარის შემადგენელი ნაწილია.

## კატალოგი

### შავი ფენა № 21 სამარხის ორმოში

1. დერგის პირ-ყელის ფრაგმენტები (№ 07:1-03:1331), რუხკეციანი; ისრისპირისებურგანივკვეთიანი; შემკული რომბული ბადით. 2 ფრაგმენტი. კეცის სისქე – 0,6 სმ.
2. დერგის პირ-ყელისა და მხრის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1333), რუხკეციანი; ყელიდან მხარზე გადასვლის ადგილი დაღარულია. კეცის სისქე – 0,8 სმ.
3. დერგის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1335), რუხკეციანი; შემკული ნაჭდევებიანი ქედით. კეცის სისქე – 0,7 სმ.
4. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1252), ყავისფერკეციანი, შავლაქებიანი; პირის კიდე სადაა, გარეთ გადახრილი; ყელი შეზნექილპროფილიანია, დაბალი. მხრები დახრილია, გამობერილპროფილიანი. პირის დმ – 12 სმ. ტაბ. V.
5. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1253), ნაცრისფერკეციანი, რუხზედაპირიანი; პირის კიდე სადაა; ყელი სწორხაზოვანპროფილიანია. პირის დმ – 22 სმ. ტაბ. V.
6. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1254), ნაცრისფერკეციანი, რუხზედაპირიანი. მოყვანილობით № 5-ის მსგავსია. პირის დმ – 22 სმ. ტაბ. V.
7. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1255), ნაცრისფერკეციანი, ყავისფერზედაპირიანი; პირის კიდე სადაა; ყელი შეზნექილპროფილიანია; მხრები დახრილია. პირის დმ – 24 სმ. ტაბ. V.
8. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1256), რუხკეციანი; პირის კიდე სადაა; ყელი შეზნექილპროფილიანია; მხრები დახრილია. პირის დმ – 26 სმ. ტაბ. V.
9. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1257), ნაცრისფერკეციანი, ყავისფერზედაპირიანი; პირის კიდე გარეთაა გადაშლილი; ღარი გასდევს. ყელი ცილინდრული ჩანს. პირის დმ – 16 სმ. ტაბ. V.
10. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი

(№07:1-03:1258), ნაცრისფერკეციანი, ყავისფერზედაპირიანი; პირის კიდე შესქელებულია; ყელი შეზნექილპროფილიანია; პირის დმ – 30 სმ. ტაბ. V.

11. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (№7:1-03:1259), ყავისფერკეციანი; პირის კიდე სადაა, გარეთ გადახრილი; ყელი შეზნექილპროფილიანია, ქვემოთ გაფართოებული. პირის დმ – 14 სმ.

12. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (№07:1-03:1265), ნაცრისფერკეციანი, ყავისფერზედაპირიანი; პირის კიდე სადაა, გარეთ გადახრილი; ყელი შეზნექილპროფილიანია, დაბალი. ტანი გამობერილია. ბრტყელგანივკვეთიანი, შუაში ჩაზნექილი ყური მიძერწილია ტანის ზედა ნაწილზე. ყურის სიგანე – 1,6 სმ, კეცის სისქე – 0,4 სმ. ტაბ. VI.

13. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (№07:1-03:1332), რუხკეციანი; ყელის ძირი შემკულია ჭდეებით. პირის დმ – 13,2 სმ.

14. ე.წ. ცრუყურიანი ქვაბის პირ-კედლის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1260), ყავისფერკეციანი; პირის კიდე დაბრტყელებულია; კალთა პროფილირებულია. პირის დმ – 21 სმ. ტაბ. VI.

15. ე.წ. ცრუყურიანი ქვაბის პირ-კედლის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1261), ყავისფერკეციანი, რუხლაქებიანი; № 14-ის ანალოგიურია, ოღონდ პირის კიდე სწორხაზოვანია. პირის დმ – 21 სმ. ტაბ. VI.

16. ე.წ. ცრუყურიანი ქვაბის პირ-კედლის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1262), ყავისფერკეციანი, შავლაქებიანი; პირის კიდე დაბრტყელებულია და გაფართოებული; კალთა პროფილირებულია. პირის დმ – 12 სმ. ტაბ. VI.

17. ე.წ. ცრუყურიანი ქვაბის პირ-კედლის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1263), ყავისფერკეციანი, შავლაქებიანი; № 16-ის ანალოგიურია. პირის დმ – 17 სმ. ტაბ. VI.

18. ჯამის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1334), შავკეციანი; პირის კიდე შიგნითაა გადახრილი, კალთა სწორხაზოვანპროფილიანია, ძირისკენ დახრილი. ძირი ბრტყელია. დმ – 7 სმ.

19. თეფშის პირ-კალთის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1264), ყავისფერკეციანი, შავზედაპირიანი; პირის კიდე სადაა; კალთა პროფილირებულია. პირის დმ – 18 სმ. ტაბ. VI.

20. დოქის ყურის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1267), რუხკეციანი; ოვალურგანივკვეთიანი; მიძერწილი პირის კიდეზე. სიგანე – 2,1 სმ. ტაბ. VI.

21. ჭურჭლის (დოქის?) კედლის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1268), ყავისფერკეციანი; შემკული წითელი საღებავის ზოლებით. კეცის სისქე – 0,4 სმ.

22. ჭურჭლის (დოქის?) ძირ-კედლის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1269), ყავისფერკეციანი; კედელი ძირისკენ ვიწროვდება; ძირი ბრტყელია; კედელზე წითელი საღებავის ჰორიზონტალური ზოლის ნაწილია შემორჩენილი. ძირის დმ – 10,7 სმ.

23. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტები (№ 07:1-03:1330); ბრტყელი, გრაფიტოიანი (?). კეცის სისქე – 2,7 სმ.

24. შავლაკიანი თასის პირ-კალთის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1266), ჩალისფერკეციანი; მქრქალი ლაკის კვალი ორივე ზედაპირზე არის შემორჩენილი. პირის კიდე გარეთაა გადახრილი. პირის დმ – 13 სმ.

25. იმპორტული ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (№ 07:1-03:1270), ჩალისფერკეციანი; კეცის სისქე – 0,8 სმ. ტაბ. VI.

#### № 21 სამარხი

##### ოქრო

26. მიძევები (№ 07:1-03:402); ოთხკუთხა მოყვანილობის; ერთმანეთთან მირჩილული ცვარათი გამოყვანილი; ცვარას ხუთ-ხუთი რიგია, გვერდებზე რიგში ოთხი ცვარაა; 2 ცალი. ზომები – 0,5×0,4; 0,6×0,4 სმ. ტაბ. VIII.

##### ვერცხლი

27. მონეტები (№ 07:1-03:181, 403-408); ჩვეულებრივი ტიპის კოლხური ტრიობოლები; 7 ცალი. ტაბ. VIII.

##### ბრინჯაო

28. ზარაკები (№ 07:1-03:182, 1271-1273); ცილინდრული, გვერდმეჭრილი; ყუნწიანი. 4 ცალი, ფრაგმენტული და ძლიერ დაზიანებული.

29. აბჯრის ფირფიტების ფრაგმენტები (№ 07:1-03:431); ქერცლისებური; ძლიერ დაზიანებული.

30. გარსაკრავის ფრაგმენტები (№ 07:1-03:429), ფურცლოვანი ბრინჯაოსი; ძლიერ დაზიანებული; ზოგზე შერჩენილია ნახვრეტები, ზოგზე ორნამენტი – ცენტრალური ბურცობი გარშემო პატარა ბურცობებით, ზოგზე – ხის ნაშთები. სისქე – 0,1 სმ.

#### რკინა

31. დანა ? (№ 07:1-03:418), ფრაგმენტირებული; ოდნავ მორკალული; პირი დაკბილული აქვს. შემორჩ. სიგრძე – 16,5 სმ, მაქს. სიგანე – 2,6 სმ. ტაბ. VII.

32. დანა (№ 07:1-03:418ა), ფრაგმენტირებული, დაჟანგული. სწორი, დაკბილული პირი აქვს. ტარის დასაწყისზე შერჩენილია ხის (?) ანაბეჭდი. შემორჩ. სიგრძე – 14,5 სმ, მაქს. სიგანე – 2,1 სმ. ტაბ. VII.

33. დანის (?) წვერი (№ 07:1-03:419), ფრაგმენტი; შემორჩ. სიგრძე – 6,5 სმ. ტაბ. VII.

34. დანა (№ 07:1-03:422); მოხრილი, დაკბილულპირიანი. შემორჩ. სიგრძე – 10,2 სმ. ტაბ. VII.

35. ისრისპირი (№ 07:1-03:421), სამფრთიანი, მასრიანი. სიგრძე – 2,6 სმ. ტაბ. VII.

36. აბჯრის ქერცლისებური ფირფიტები (№ 07:1-03:420), ძლიერ ფრაგმენტირებული; მომრგვალებულკიდიანი. ზოგს ქედი გასდევს სიგანე – 1,6-2 სმ.

37. აბჯრის ქერცლისებური ფირფიტები (№ 07:1-03:428), ძლიერ ფრაგმენტირებული; ბრინჯაოგადაკრული (?).

38. ლურსმნის (?) ფრაგმენტი (№ 07:1-03:425); წვერია შემორჩენილი. შემორჩ. სიგრძე – 2,5 სმ.

39. სამაგრი (№ 07:1-03:424); კუთხით მოხრილი; მრგვალგანივკვეთიანი; ზედა ბოლო ზეანეულია და მომრგვალებული. წვერი აკლია. შემორჩ. სიგრძე – 2 სმ.

40. რგოლები (№ 07:1-03:423, 430), მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი; 2 ც. ერთი მთელია, მეორე – გატეხილი. მთელი ნიმუში თავგახსნილია, ახლოს მიბჯენილი ბოლოებით. დმ –

.3,8 სმ. ტაბ. VII.

41. ღეროს ფრაგმენტები (№ 07:1-03:426), მრგვალგანივკვეთიანი; 4 ფრაგმენტი. ღეროს დმ – 0,4 სმ.

42. გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი (№ 07:1-03:427), მცირე ზომის.

#### მინა

43. მძივები (№ 07:1-03:411), ლურჯი გაუმჭვირვალე მინისა; ბიკონუსური, რამდენიმე ცილინდრულია; სხვადასხვა ზომის; 110 მთელი და ფრაგმენტები. მაქს. დმ – 0,5-0,6 სმ, არხის სიგრძე – 0,3-0,6 სმ. ტაბ. IX.

44. მძივები (№ 07:1-03:413), მწვანე გაუმჭვირვალე მინისა; სფერული (რამდენიმე ცილინდრულია). 101 მთელი და ფრაგმენტები. დმ – 0,3-0,4 სმ, არხის სიგრძე – 0,2-0,4 სმ. ტაბ. IX.

45. მძივები (№ 07:1-03:183), მწვანე გაუმჭვირვალე მინისა; № 44-ის ანალოგიური. 2 ც. დმ – 0,3-0,4 სმ, არხის სიგრძე – 0,2-0,4 სმ.

46. მძივი (№ 07:1-03:184), მწვანე გაუმჭვირვალე მინისა; ცილინდრული. დმ – 0,3 სმ, არხის სიგრძე – 0,4 სმ..

47. მძივები (№ 07:1-03:414), ყვითელი გაუმჭვირვალე მინისა; სფერული (ერთი ცილინდრულია). 20 მთელი და ფრაგმენტები. მაქს. დმ – 0,3-0,4 სმ, არხის სიგრძე – 0,2-0,4 სმ. ტაბ. IX.

48. მძივები (№ 07:1-03:412), ფირუზისფერი გაუმჭვირვალე მინისა; სფერული. 57 მთელი და ფრაგმენტები. მაქს. დმ – 0,2-0,4 სმ, არხის სიგრძე – 0,2-0,4 სმ. ტაბ. IX.

49. მძივები (№ 07:1-03:410), თვალედი: ლურჯი მინისა თეთრი მინის თვალეებით; არის ექვსთვლიანი და ცხრათვლიანი ცალები; დაბრტყელებულ-სფერული მოყვანილობის. სხვადასხვა ზომის; 9 მთელი და ფრაგმენტები. დმ – 0,5-0,9 სმ, სიმაღლე – 0,3-0,6 სმ. ტაბ. IX.

50. მძივები (№ 07:1-03:415), თეთრი მინისა; სფერული. 11 მთელი და ფრაგმენტები. დმ – 0,3-0,4 სმ, არხის სიგრძე – 0,2-0,4 სმ. ტაბ. IX.

#### მინისებური პასტა

51. მძივი (№ 07:1-03:409), მომწვანო-მონაცრისფრო; ტახტზე მჯდომი ღვთაების გა-

მოსახულებით. ორნახვრეტიანი. სიმაღლე – 1 სმ, სიგანე – 0,3 სმ. ტაბ. IX.

52. მძივი (№ 07:1-03:417), მოთეთრო; ცილინდრული. დმ – 0,4 სმ, არხის სიგრძე – 0,5 სმ. ტაბ. IX.

53. მძივი (№ 07:1-03:185), მოთეთრო; დამტვრეული.

54. იოტები (№ 07:1-03:416), მომწვანო, მონაცრისფრო და ყვითელი პასტისა; რგოლისებური. 170 მთელი და ფრაგმენტები. დმ – 0,2-0,3 სმ. ტაბ. VIII.

### ქვა

55. მძივი (№ 07:1-03:401), თეთრი ქვისა; დაბრტყელებულ-სფერული მოყვანილობის. დმ – 1,5 სმ, სიმაღლე – 1,1 სმ. ტაბ. VIII.

## № 23 სამარხი

### ა) სამარხის ორმოს კონტურის შიგნით 0,50-0,60 მ სიღრმეზე

56. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (№ 07:1-04:550), რუხკეციანი, ყავისფერსარჩულიანი, შავზედაპირიანი; შემკულია ჰორიზონტალური, შვეული და ნახევაროვალური ქედებით; შვეულ ქედებს შორის ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი ჰორიზონტალური და ირიბი ღარებია. კეცის სისქე – 1,3 სმ. ტაბ. XIII.

57. დერგის (?) პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1-04:551), რუხკეციანი, ყავისფერზედაპირიანი; პირის კიდე გარედან შესქელებულია – მომრგვალებული; ყელი ზემოთკენ ფართოვდება. კეცის სისქე – 0,9 სმ. ტაბ. XIII.

58. ბადის პირ-კალთის ფრაგმენტი (№ 07:1-04:552), რუხკეციანი, ჩალისფერზედაპირიანი; პირის კიდე გარედან შესქელებულია. კეცის სისქე – 1 სმ. ტაბ. XIII.

59. დოქის ყურის ფრაგმენტი (№ 07:1-04:553), რუხკეციანი, შავზედაპირიანი; ოვალური განივკვეთი აქვს; ძირთან თითოთ ფოსოა გამოყვანილი. სიგანე – 2,8 სმ. ტაბ. XIII.

60. იმპორტული ამფორის ქუსლის ფრაგმენტი (№ 07:1-04:554), მოჩალისფროკეციანი; კარგად განლექილი თიხისა; ქუსლსშიდა ზედაპირზე ფოსო აქვს. ქუსლის დმ – 7,3 სმ. ტაბ. XIII.

61. შავლაკიანი თასის პირ-კალთის ფრაგმენტი (№ 07:1-04:555), მოჩალისფრო-ყავისფერკეციანი; პირის კიდე სადაა, გარეთ გადმოხრილი; კალთა პროფილირებულია: შვეული და შემდეგ ძირისკენ დახრილი. ლაკით დაფარულია მთელი ზედაპირი, გარდა პირის კიდისა; ლაკი მქრქალია. ატიკური. შემორჩ. სიმაღლე – 3,5 სმ. ტაბ. XIII.

### ბ) ფენა № 23 სამარხის თავზე

62. ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1-04:873), ყავისფერკეციანი, შავლაქებიანი; პირის გვირგვინი ოთხკუთხაგანიკვეთიანია, გარეთ გადაშლილი; ყელი ზემოთკენ გაფართოებულია. შემორჩ. სიმაღლე – 4,3 სმ, პირის გვირგვინის სიგანე – 4,7 სმ.

63. ქვევრის ყელ-მხრის ფრაგმენტი (№ 07:1-04:872), რუხკეციანი, ყავისფერსარჩულიანი, შავზედაპირიანი; მხრები შემკულია ქედებით. კეცის სისქე – 1,5 სმ.

64. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტები (№ 07:1-04:874), ნაცრისფერკეციანი, ოვალურ-განივკვეთიანი; თანაბრად მოხრილი. ზედა ბოლო ქედითაა შემკული. 2 ფრაგმენტი შენებებული. სიგანე – 1,7 სმ.

65. შავლაკიანი სკიფოსის ძირ-კედლის ფრაგმენტი (№ 07:1-04:875), მოჩალისფრო-ყავისფერკეციანი; ძირზე წრიული, მომრგვალებულგანივკვეთიანი ქუსლია, გარეთა ზედაპირზე კედლისგან ღარით გამოყოფილი; ლაკით დაფარულია კედლები. ლაკი სქელია, გადაშლილი. ატიკური. შემორჩ. სიმაღლე – 1,8 სმ.

### გ) № 23 სამარხი

#### ვერცხლი

66. საყურეები (№ 07:1-04:845), ბრტყელი, ნახევარმთვარისებური მოყვანილობის, რკალგახსნილი. წყვილი; ორივეს ერთი ბოლო აკლია და გატეხილია; ერთი აღდგენილია. სიგრძე – 2,8 სმ, სიგანე – 2,8 სმ. ტაბ. XV-XVI.

#### ბრინჯაო

67. სამაჯური (№ 07:1-04:833); ფრაგმენტირებული და ნაკლული, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი; ბოლოები აკლია. ღეროს დმ – 0,3 სმ.

68. ზარაკები (№№ 07:1-04:843-844); ცილინდრული, გვერდწაჭრილი, ენიანი, ყუნ-ნიანი. 2 ც. ნაკლულებია. ტაბ. XV-XVI.

#### **რკინა**

69. საკისრე რგოლები (?) (№ 07:1-04:823); ფრაგმენტირებული, დაჟანგული. ერთ ფრაგ-მენტზე სამი ღეროა ერთმანეთზე მიჯანგუ-ლი.

70. საკისრე რგოლის ფრაგმენტები (№ 07:1-04:836); მცირე ზომის.

71. სამაჯური (№ 07:1-04:823); ფრაგ-მენტირებული, დაჟანგული.

72. სამაჯური (№ 07:1-04:842); ფრაგ-მენტირებული, დაჟანგული.

#### **ტყვია**

73. გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტები (№ 07:1-04:826, 828), უსახო.

#### **მინა**

74. მძივი (№ 07:1-04:832), წყლისფერი; სფერული მოყვანილობის. დმ – 1,9 სმ, არხის სიგრძე – 1,6 სმ. ტაბ. XV-XVI.

75. მძივები (№ 07:1-04:824) - 8 ც., ლურჯი; ბიკონუსური; ერთი გატეხილია. არხის სი-გრძე – 0,4 სმ.

76. მძივები (№ 07:1-04:834) - 119 ც., ლურჯი; ბიკონუსური; არხის სიგრძე – 0,4 სმ. ტაბ. XVI.

77. მძივები (№ 07:1-04:841) - 9 მთელი, 4 ფრაგმენტი; ლურჯი; ბიკონუსური; არხის სი-გრძე – 0,4 სმ. ტაბ. XV-XVI.

78. თვალედი მძივი (№ 07:1-04:825), ლურ-ჯი; თეთრი მინის ექვსი თვალი აქვს. დმ – 1 სმ, არხის სიგრძე – 0,8 სმ. ტაბ. XV.

79. თვალედი მძივები (№ 07:1-04:827); 5 ლურჯი მინისაა (ერთი გატეხილია), 1 – მწვანე მინის. ლურჯ მძივებს ცხრა-ცხრა თეთრი თვალი აქვს; მწვანე მძივზე სამი თვალია, რომელთა ცენტრში ლურჯი წერტილია. არხ-ის სიგრძე – 0,7-0,8 სმ. ტაბ. XV-XVI.

80. თვალედი მძივები (№ 07:1-04:830) - 2 მთელი და ნამსხვრევები. ლურჯი; მთელ მძივებს თეთრი მინის ცხრა-ცხრა თვალი აქვს ცენტრში ლურჯი წერტილით. არხის სი-გრძე – 0,7; 0,8 სმ.

81. თვალედი მძივები (№ 07:1-04:835) - 7

მთელი, 8 ფრაგმენტი; ლურჯი; 5 მძივს თეთრი მინის ცხრა-ცხრა თვალი აქვს, რომლის ცენ-ტრში ლურჯი წერტილია; ერთს – სამი თვა-ლი. არხის სიგრძე – 0,5-0,6 სმ. ტაბ. XVI.

82. თვალედი მძივები (№ 07:1-04:837), ლურჯი; 45 ცალი. ცხრა-ცხრა თეთრი თვალი აქვთ. ტაბ. XVI.

83. თვალედი მძივები (№ 07:1-04:840) – 2 ც.; ლურჯი; ერთს თეთრი მინის 9 თვალი აქვს, მეორეს – 8. თვალეების ცენტრში ლურჯი წერ-ტილია. არხის სიგრძე – 0,4 და 0,5 სმ. ტაბ. XVI.

#### **მინისებური პასტა**

84. მძივი (№ 07:1-04:839), თეთრი. არხის სიგრძე – 0,3 სმ.

85. მძივი (№ 07:1-04:829), შავი; ცილინ-დრული, შემკული თეთრი ძაფით. არხის სი-გრძე – 0,7 სმ. ტაბ. XV.

86. მძივების ფრაგმენტები (№ 07:1-04:831), შავი; 2 ფრაგმენტი. არხის სიგრძე – 0,4 სმ.

87. იოტები (№ 07:1-04:838), რგოლისე-ბური. 108 მთელი და ფრაგმენტები. დმ – 0,3 სმ, არხის სიგრძე – 0,2 სმ. ტაბ. XV.

#### **თიხა**

88. დოქი (№ 07:1-04:820), ყავისფერკე-ციანი, შავზედაპირიანი; პირის კიდე სადაა, ყელის ზედა ნაწილი ძაბრისებურია, ქვედა – შეზნექილპროფილიანი, ქვემოთკენ გა-ფართოებული; მხრები არ არის გამოკვე-თილი; ტანი მსხლისებური მოყვანილობისაა, ძირი ბრტყელი; თანაბრად მორკალული, ბრტყელგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლო პირის კიდეზეა მიძერწილი, ქვედა – ტანზე. აღდგენილია. სიმაღლე – 14,5 სმ, პირის დმ – 5,4 სმ, ძირის დმ – 7,4 სმ. ტაბ. XIV.

89. დოქი (№ 07:1-04:821), ჩალისფერკე-ციანი, მოყვითალოანგობიანი; პირის კიდე სადაა, ყელის ზედა ნაწილი ძაბრისებურია, ქვედა – შეზნექილპროფილიანი, ქვემოთკენ გაფართოებული; მხრები არ არის გამოკვე-თილი; ტანი მსხლისებური მოყვანილობისაა, ძირი - ბრტყელი; თანაბრად მორკალული ყურის ზედა ბოლო პირის კიდეზეა მიძერ-წილი, ქვედა – ტანზე. მოხატულია წითელი საღებავით (ნახატი გადაშლილია): ყელის

ქვედა ნაწილი შემკულია სამკუთხედების რიგით; ტანზე ირიბი ხაზების ორ-ორ ვიწრო სარტყელს შორის სამკუთხედების რიგისგან შედგენილი ფართო სარტყელია. პირის კიდეს შიდა მხარეს საღებავის ზოლი გასდევს. ორნამენტირებული ყოფილა ყურიც. სიმაღლე – 14,5 სმ, პირის დმ – 5,8 სმ, ძირის დმ – 7,4 სმ. ტაბ. XIV, XVI.

90. ჯამი (№ 07:1-04:822), შავკეციანი; პირი შიგნითაა გადახრილი, კალთა დახრილია, ძირი - ბრტყელი. სიმაღლე - 2,8 სმ, პირის დმ - 10,9 სმ, ძირის დმ - 7, 9 სმ. ტაბ. XV-XVI.

91. ზოომორფული ყურის ფრაგმენტი (№ 07:1-04:846), ყავისფერკეციანი; შემორჩენილია ზედა ბოლო რქისებური დანაძერწით. დანაძერწის სიგანე – 2,5 სმ.

#### **№ 26 სამარხი**

##### **ა) უღელში სამარხის თავზე**

###### **თიხა**

92. ქვევრის პირის გვირგვინის ფრაგმენტი (№ 07:1-05:69), რუხკეციანი, ყა-ვის-ფერზედაპირიანი; ოთხკუთხაგანივკვეთიანი; ზედა და გარეთა გვერდები შემკულია სავარცხლისებური იარაღით გამოყვანილი ნიწვისებური ორნამენ-ტით. გვირგვინის სიგანე – 3,3 სმ.

93. ქვევრის პირის გვირგვინის ფრაგმენტი (№ 07:1-05:70), რუხკეციანი, მონითალო-ზედაპირიანი; ოთხკუთხაგანივკვეთიანი; გარეთა გვერდი შემკულია სავარცხლისებური იარაღით გამოყვანილი რომბული ბადით. გვირგვინის სიგანე – 2,3 სმ.

##### **ბ) ქვაყრილში**

###### **თიხა**

94. დერგის პირ-ყელის ფრაგმენტი (№ 07:1-05:15), ნაცრისფერკეციანი, მოყავისფრო-ზედაპირიანი, შავლაქებიანი; შესქელებული პირის კიდე გარეთაა გადმოხრილი; ყელი სწორხაზოვანპროფილიანია, ზემოთკენ გაფართოებული; შემორჩენილია ოვალურ-განივკვეთიანი ყურის ზედა ბოლო, მიძერწილი ყელის ზედა ნაწილზე. შემორჩ. სიმაღლე – 6,8 სმ. ტაბ. XIX.

95. ქოთანის (№ 07:1-05:16-17), ყავისფერ-

კეციანი, შავლაქებიანი; პირის კიდე სადაა, ყელი დაბალია, შეზნექილპროფილიანი, ზემოთკენ გაფართოებული; ტანი მომრგვალებულია, ძირი – ბრტყელი. შემორჩენილია ოვალურგანივკვეთიანი ყურის ბოლოები, მიძერწილი მხარზე და ტანის მაქსიმალური დიამეტრის ადგილზე. აღდგენილი; აკლია ყურის ძირითადი ნაწილი, პირისა და ტანის ფრაგმენტები. სიმაღლე – 11,5 სმ, პირის დმ – 11 სმ, ძირის დმ – 10,5 სმ. ტაბ. XIX.

##### **გ) სამარხში**

###### **თიხა**

96. ყურმილიანი დოქი (№ 07:1-05:4), ლე-გაკეციანი; პირის კიდე მოტეხილია, ყელი შეზნექილპროფილიანია, ზემოთკენ გაფართოებული; ტანი მომრგვალებულია, ძირი – ბრტყელი. ყურის მილიანი ნაწილი მრგვალ-განივკვეთიანია, რკალისებურ ნაწილს ოთხკუთხა განივკვეთი აქვს. სიმაღლე – 11 სმ, ძირის დმ – 6,8 სმ. ტაბ. XIX.

###### **ვერცხლი**

97. ფიბულის ფრაგმენტი (№ 07:1-05:11); შემორჩენილია რკალის ნაწილი, მრგვალ-განივკვეთიანი; ცენტრალური ნაწილი შესქელებულია და ირგვლივ დაღარული. რკალის დმ – 0,2 სმ. ტაბ. XX.

###### **ბრინჯაო**

98. საბეჭდავი-ბეჭედი (№ 07:1-05:12); ფარაკზე გამოსახულია უზურგო ტახტზე მჯდარი მანდილოსანი, რომელსაც წინ განვდილ ხელში გვირგვინი უჭირავს. ფარაკი დაზიანებულია, რკალი - ნაკლული. ფარაკის ზომები – 11x8 მმ. ტაბ. XX.

99. საბეჭდავი-ბეჭედი (№ 07:1-05:13), ფარაკზე უზურგო ტახტზე მჯდარი მანდილოსანია გამოსახული, რომელსაც ერთ ხელზე უდგას ეროტი, პალმის ტოტით ხელში. რკალი ნაკლულია. ფარაკის ზომები – 18x11 მმ. ტაბ. XX.

###### **რკინა**

100. სამაჯურის ფრაგმენტები (№ 07:1-05:14), დაჟანგული. 7 ფრაგმენტი. მრგვალ-განივკვეთიანი. ღეროს დმ – 0,3-0,5 სმ.



### **ქვა**

101. მძივი (№ 07:1-05:6), სარდიონის; სფერული. მცირე ჩამონატეხი აქვს. დმ – 0,8 სმ, არხის სიგრძე – 0,6 სმ. ტაბ. XX.

102. მძივ-საკიდი (№ 07:1-05:8), გაურკვეველი მონაცრისფრო ქვის; მომრგვალებული. სიმაღლე – 0,7 სმ, არხის სიგრძე – 0,2-0,5 სმ. ტაბ. XX.

### **მინა**

103. მძივები (№ 07:1-05:5), თვალედი; სფერული; ლურჯი მინისა, ცხრა-ცხრა თეთრი თვალი აქვთ. 5 ც. დმ – 1,1 სმ, არხის სიგრძე – 0,8 სმ. ტაბ. XX.

104. მძივი (№ 07:1-05:9), თვალედი; დამსხვრეული; მწვანე, თეთრი თვალებით.

105. მძივები (№ 07:1-05:7), გაუმჭვირვალე ყვითელი მინისა; 2 ც. ერთი მთელია, ბიკონუსური მოყვანილობის, მეორე გატეხილია. არხის სიგრძე – 0,5 სმ.

### **მინისებური პასტა**

106. იოტები (№ 07:1-05:10), რგოლისებური; 40 ც. დმ – 0,3 სმ, არხის სიგრძე – 0,15 სმ. ტაბ. XX.

### **დ) სამარხიდან ამოყრილი მინის გაცრისას**

107. მძივი (№ 07:1-05:78), გამჭვირვალე წყლისფერი მინისა; მომრგვალებული. არხის სიგრძე – 0,3 სმ.

108. იოტები (№ 07:1-05:77), რგოლისებური; დმ – 0,3 სმ, არხის სიგრძე – 0,15 სმ. თანამედროვე ასხმის სიგრძე – 10 სმ.

## **№ 28 სამარხი**

### **ა) სამარხი**

#### **თიხა**

109. ქვევრი (№ 07:1-05:243), რუხკეციანი; პირის კიდე ოთხკუთხაგანივკვეთიანია, ყელს სწორხაზოვანი პროფილი აქვს; ტანი კვერცხისებური მოყვანილობისაა, ძირი – ბრტყელი, გამოყვანილი; სამი ნახვრეტი აქვს. აკლია პირ-ყელისა და მხრის ნაწილი. პირის დმ – 26 სმ, სიმაღლე – 80 სმ, ძირის დმ – 8 სმ. ტაბ. XXIII.

110. დოქი (№ 07:1-05:244), ნაცრისფერკეციანი, რუხზედაპირიანი, შავლაქებიანი; პი-

რის კიდე სადაა, ყელი ზემოთკენ ფართოვდება, ტანის მაქსიმალური დიამეტრი ზედა ნაწილშია; ოვალურგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლო პირის კიდეზეა მიძერწილი, ქვედა – ტანის მაქსიმალური დიამეტრის ადგილას; ძირი ბრტყელია. ყელის ძირს ირიბი ნაჭდევების რიგი გასდევს; ყურის ზედა ბოლოზე კოპია დაძერწილი, რომლიდანაც სამი ნაჭდევი გამოდის. აკლია პირ-ყელისა და ტანის ფრაგმენტები, აღდგენილია. პირის დმ – 11,9 სმ, სიმაღლე – 17,8 სმ, ძირის დმ – 10,1 სმ. ტაბ. XXIII-XXIV.

### **ოქრო**

111. ღილაკი (№ 07:1-05:248); ამობურცული შუაგული აქვს, რომლის ცენტრში ნახვრეტია; კიდეზე დაკეჭნილი მავთული შემოუყვება; შიდა ზედაპირზე ლენტისებური ყუნწია მიჩილული. დმ – 7 მმ. ტაბ. XXIV.

112. მძივები (№ 07:1-05:249), სფეროსებური, მიღებული ორი ნახევარსფეროს მიჩილვით. 2 ც. ერთი დაჭყლეტილია. დმ – 3 მმ. ტაბ. XXIV.

### **ვერცხლი**

113. სამაჯურები (№ 07:1-05:245-246), წყვილი; ოვალურგანივკვეთიანი ღეროსი; ზურგ-შედრეკილი, თავგახსნილი; რამდენადმე ასიმეტრიული. ბოლოები შემსხვილებულია და ირგვლივ დაღარული. ერთი სამადაა გატეხილი, მეორე – ოთხად. ღეროს დმ – 0,3 სმ, დმ – 5,2 ხ 4,7 სმ. ტაბ. XXIV.

114. მონეტა (№ 07:1-05:247); ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლი; შუბლზე – ხაზოვან რკალში ადამიანის თავი მარჯვენა პროფილში, ზურგზე – ხარის თავი მარჯვენა პროფილში ხაზოვან რკალში. ტაბ. XXIV.

115. საყურე რგოლის (?) ფრაგმენტები (№ 07:1-05:251); მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი. 6 ფრაგმენტი. ღეროს დმ – 0,2 სმ.

116. საყურე რგოლის (?) ფრაგმენტები (№ 07:1-05:253); მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი. 5 ფრაგმენტი. ღეროს დმ – 0,15 სმ.

### **ბრინჯაო**

117. საყურე რგოლის (?) ფრაგმენტები (№ 07:1-05:250); მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი. 2 ფრაგმენტი. ღეროს დმ – 0,2 სმ.

118. საყურე რგოლის (?) ფრაგმენტები (№ 07:1-05:252); მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი. 5 ფრაგმენტი. ღეროს დმ – 0,1 სმ.

#### სარდიონი

119. მძივები (№ 07:1-05:255), რგოლისებური; 2 ც. დმ – 0,6-0,7 სმ, არხის სიგრძე – 0,3-0,4 სმ. ტაბ. XXIV.

#### მინა

120. მძივები (№ 07:1-05:254, 256), ყვითელი, მწვანე, ცისფერი გაუმჭვირვალე მინისა; 69 ცალი მთელი და ფრაგმენტები. არხის სიგრძე – 0,3-0,5 სმ. ტაბ. XXIV.

#### ბ) № 28 სამარხის არეზე

121. მონეტა (№ 07:1-05:257), ვერცხლის; ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლი; დაზიანებულია. ტაბ. XXIV.

122. მონეტა (№ 07:1-05:258), ვერცხლის; ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლი. ტაბ. XXIV.

123. საყურე რგოლის (?) ფრაგმენტი (№ 07:1-05:259), ვერცხლისა, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი. ღეროს დმ – 0,2 სმ.

#### გ) სამარხის არედან აღებული მინის გარჩევისას

124. დისკოსებური ნივთი (მონეტა?), ბრინჯაოსი (№ 07:1-05:1352); ძლიერ დაზიანებული.

125. სამაჯურის ფრაგმენტები (№ 07:1-05:1353), რკინისა; ძლიერ დაჟანგული; 3 ფრაგმ.

126. იოტები (№ 07:1-05:1354), რგოლისებური; მინისებური პასტისა. 131 ც. დმ – 0,2 სმ.

127. იოტი (№ 07:1-05:1355), რგოლისებური; თეთრი ქვისა. დმ – 0,5 სმ.

#### ლიტერატურა:

კაჭარავა დ., ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., ყიფიანი გ. 1979: არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე (1970-1977 წწ.) – ვანი IV, თბილისი. ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი

ე., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა. 1981: ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან – ვანი V, თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა. 1972: არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, – ვანი I, თბილისი, გვ. 198-242.

კაჭარავა დ., მუჟაანაძე ზ. 1986: ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში, – ვანი VIII, თბილისი, გვ. 9-33.

მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: საირხე, თბილისი.

ნადირაძე ჯ. 1990: საირხე – საქართველოს უძველესი ქალაქი, 1990.

ჭყონია ა. 1981: ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, – ვანი VI, თბილისი.

ჯავახიშვილი ქ. 2011: ვანის ნაქალაქარზე 2003-4 წწ. აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები, ჟურ. იბერია-კოლხეთი, №7, თბ., გვ. 121-130.

Алексеева Е. 1975: Античные бусы Северного Причерноморья, – Свод арх. источников, в. Г1-12, Мос.

Асланов Г.М., Голубкина Т.И., Садыхзаде Ш.Г. 1966: Каталог золотых и серебряных предметов из археологических раскопок Азербайджана, Баку.

Лордкипанидзе О.Д., Путуридзе Р.В., Матишвили Н.Н., Толордава В.А., Пирцхალავა М.С., Чконია А., Квирквелия Г., Инаури Г. 1991: Ванская арх. экспедиция, – ПАИ 1986, Тб., сс.70-74.

Микеладзе Т., 1985: Основные итоги исследований Колхидской эксп., – ПАИ 1982, Тб., сс. 37-40.


Хоштариа Н.В. 1979: О раскопках на вершине холма в 1947-1959 гг., – Вани I, Тбилиси, сс. 115-134.

Kraay C.M., Moorey P.R.S. 1969: Two 5<sup>th</sup> century hoards from the Near East, Revue numismatique, 6<sup>e</sup> série, Tome X, pp. 131-235, pls. XIX-XXVII.


**ილუსტრაციების აღწერილობა:**

- I. ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასის გენგეგმა: 1. ცერემონიალური საკურთხეველი; 2. თლილი ქვის ნაგებობა; 3. თავდაცვითი კედელი; 4. სამარხები №№ 12-14; 5. ხის ტაძარ-სამლოცველო; 6. თავდაცვითი კედელი; 7. სამარხები №№ 2-4; 8-9. შამლოცველოები; 10. სამარხი № 17; 11. სამარხი № 16; 12-13. სამლოცველოები; 14. სამარხები №№ 20-24, 26; 15. სამჭედლო.
- II. სამარხების ჯგუფი. გეგმა.
- III. № 21 სამარხი. გეგმა და ჭრილები.
- IV. № 21 სამარხი. საერთო ხედები განმენდის შემდეგ.
- V. მასალა შავი ფენიდან № 21 სამარხის თავზე: კატ. №№ 4-10.
- VI. მასალა შავი ფენიდან № 21 სამარხის თავზე: კატ. №№ 12, 14-17, 19-20, 25.
- VII. № 21 სამარხის ინვენტარი: კატ. №№ 31-35, 40.
- VIII. № 21 სამარხის ინვენტარი: კატ. №№ 26-27, 54-55.
- IX. № 21 სამარხის ინვენტარი: კატ. №№ 43-44, 47-52.
- X. № 23 სამარხი. გეგმა და ჭრილები.
- XI. № 23 სამარხი. გეგმა და ჭრილები.
- XII. № 23 სამარხი. გათხრის პროცესი: 1. განმენდამდე, 2. განმენდის შემდეგ.
- XIII. № 23 სამარხის ორმოს შიგნით 0.50-0.60 მ სიღრმეზე აღმოჩენილი: კატ. №№ 56-61.
- XIV. № 23 სამარხი. ინვენტარი: კატ. №№ 88-89.
- XV. № 23 სამარხი. ინვენტარი: კატ. №№ 66, 68, 74, 77-79, 85, 87, 90.
- XVI. № 23 სამარხი. ინვენტარი: კატ. №№ 66, 68, 74, 76-77, 79, 81-83, 89-90.
- XVII. № 26 სამარხი. გეგმა და ჭრილები.
- XVIII. № 26 სამარხი. გათხრის პროცესი: 1. განმენდამდე, 2. განმენდის შემდეგ.
- XIX. № 26 სამარხი. სამარხის თავზე ქვაყრილში აღმოჩენილი მასალა: კატ. №№ 94-95; სამარხის ინვენტარი: კატ. № 96.
- XX. № 26 სამარხი. ინვენტარი: კატ. №№ 97-99, 101-103, 106.
- XXI. № 28 სამარხი. გეგმა და ჭრილი.
- XXII. № 28 სამარხი. გათხრის პროცესი.
- XXIII. № 28 სამარხი. ინვენტარი: კატ. №№ 109-110.
- XXIV. № 28 სამარხი. ინვენტარი: კატ. №№ 110-114, 119-122.

I




II







ქრტილი I - I



ქრტილი II - II



ქრტილი III - III



# IV




1




2

# V









# VI



# VII






# VIII






# IX



# X



# XI



# XII






1





2

# XIII





0 2 4








# XIV



# XV



66



74



68



79



78




85





77




87



# XVI



# XVII



# XVIII






1




2



# XIX



# XX



# XXI





# XXII





1





2

# XXIII



# XXIV



ნინო კალანდაძე, თეიმურაზ ფარჯანაძე, ნინო თავართქილაძე,  
მარიამ მჭედლიშვილი, სალომე ახალაძე

## დედოფლის გორაზე აღმოჩენილი არტეფაქტების რესტავრაცია და კვლევა

დედოფლის გორის ნამოსახლარზე 2013 წელს აღმოჩენილი ინვენტარის მაგალითზე, შეიძლება ითქვას, რომ რესტავრაცია-კონსერვაცია არ წამოადგენს მხოლოდ პროცედურებისა და მკურნალობის სხვადასხვა მეთოდების ერთობლიობას. ხშირად სწორედ წარმართული და დაგეგმილი რესტავრაცია შეიძლება განიხილებოდეს, როგორც პირველწყარო იმ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ არქეოლოგიური ძეგლის სამეცნიერო ღირებულებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ რესტავრაციის შედეგად შესაძლებელია მივიღოთ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე არანაკლებად მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ინვენტარის რესტავრაცია-კონსერვაციის სქემა შეიძლება დავყოთ შემდეგ საფეხურებად:

- საველე კონსერვაცია
- პირველადი დოკუმენტაცია
- ტექნიკური კვლევა
- საცდელი დამუშავება
- სარესტავრაციო-საკონსერვაიო სამუშაოები.

საველე კონსერვაციის პირობებში მოხდა ნივთთა ჯგუფების გამოყოფა (ტაბ. 1, სურ.1), არტეფაქტების პირველადი გამაგრება, გამოყოფილი ჯგუფების დეპოზიტიდან ამოღება, შეფუთვა და ლაბორატორიაში ტრასპორტირება. ლაბორატორიაში განხორციელდა შემოტანილი არტეფაქტების პირველადი დათვალიერება და ფოტო ფიქსაცია (ტაბ. 1, სურ.2-4).

განათხარი ლითონები ხშირად დაზიანებულია ოქსიდებით, ქლორიდებით, სულფიდებით, სულფატებითა და ფოსფატებით [MacLeod, 1991:222-234], [Jambor, 1996:61-

72]. სწორედ ამ დაზიანებების გამო ხშირად განათხარ ლითონებს “ყოფილ ლითონებად” მოიხსენიებენ, რადგან მათ დაკარგული აქვთ ლითონური თვისებები [Шемахенская, 1983:214; Oddy, 1970:188].

დედოფლის გორაზე აღმოჩენილ ლითონის არტეფაქტებს მართლაც ძალზედ ცოტა რამ ჰქონდა საერთო პირვანდელ სახესთან. არტეფაქტების დაცულობა (ცეცხლის კვალი, ერთმანეთთან შეზრდილი გაურკვეველი ფორმის და მასალის ერთობლიობა) არ იძლეოდა საშუალებას მომხდარიყო ნივთების ვიზუალური იდენტიფიცირებაც კი. სამომავლო სარესტავრაციო სქემების დადგენის მიზნით გადაწყდა პირველადი მცირე მასშტაბიანი ტექნიკური კვლევების ჩატარება. რენტგენოფლოუორესცენციული სპექტრომეტრით ჩატარებულმა პირველადმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ნივთთა ჯგუფებში გამოიყო ოთხი ძირითადი შენადნობის ტიპი: ტყვიით ლეგირებული სპილენძის შენადნობი, კალიანი ბრინჯაო, ვერცხლის შენადნობი და ოქროს შენადნობი (ცხრილი 1).

მასალის პირველადი იდენტიფიცირების შემდეგ მოხდა გამოვლენილი არტეფაქტების ერთმანეთისგან განცალკევება და ჩატარდა ნივთების საცდელი დამუშავება. დადგინდა, რომ სპილენძის შენადნობის არტეფაქტების (მცირე ქანდაკებები: ბრინჯაოს არწივი, აპოლონ-ფებუსი, არტემიდე-დიანა, ტიხე-ფორტუნა, სილენოსი, თავსახური, სადგარი მრგვალი, სადგარი მცირე, სადგარი მძივებიანი, მძივი) ზედაპირული დანალექი მასის მოშორება, შესაძლებელია მექანიკურად, დეიონიზირებული წყლისა და ეთილის სპირტის 1%-იანი ნარევის, როგორც დამარბილებლის, საშუალებით. კოროზიის მყარი ფენების მოსაცილებლად კი საჭირო

ნივთის დასახელება	Cu	Sn	Pb	Zn	Bi	Ag	Sb	As	Fe	Ni	Co	Au
არწივი	91.025	7.973	0.692						0.310			
აპოლონ-ფებუსი	92.246	2.074	5.680									
არტემიდე-დიანა	58.784	5.973	35.243									
ტიხე-ფორტუნა	77.979	3.162	18.859									
სილენოსი	92.904	5.403	1.693									
თავსახური	74.616	14.24	11.144									
სადგარი მრგვალი	84.439	4.223	11.337									
სადგარი მცირე	56.650	2.918	40.431									
მძივი	53.711	8.736	36.757			0.796						
სადგარი მძივებით (ზედაპირი)	4.262		1.501			93.764						0.473
სადგარი მძივებით (ძირი)	78.940	13,273	7,787									
ლექო-ლატონა	15.926		8.739			75.335						
ლექო-ლატონას გვირგვინი	1.847					73.439			3.287			21.427
ყორანი	3.368		2.124			94.508						
თიმიატერიონი	3.388		1.664			94.350						0.598
ფოთლოვანი გვირგვინი	8.003					21.504						70.493

იყო მექანიკური დამუშავება ლანცეტიტით, ბინოკულარის ქვეშ. ვერცხლის არტეფაქტების (თიმიატერიონი, მონეტები, ლექო-ლატონა, ყორანი) დამუშავება კი ქიმიურად, ტიტრიპლექსის (EDTA) წყალხსანარის გამოყენებით. (ნივთების იდენტიფიკაცია ეკუთვნის იულ. გაგოშიძეს [გაგიშიძე ი. 2015:124-125]).

**დამუშავება.**

**სპილენძის შენადნობისაგან დამზადებული არტეფაქტების რესტავრაციის პროცესი:** რესტავრაციის პროცესი თითქმის ყველა სპილენძის შენადნობისაგან დამზადებულ ნივთზე ერთნაირად წარიმართა. ნივთები დამუშავდა მექანიკური მეთოდებით. ბრინჯაოს ზედაპირის მექანიკური დამუშავება ძირითადად მიმდინარეობდა ბინოკულარის ქვეშ.

ხანდახან, განმენდის დაწყებამდე, კოროზიული ფენის მოცილების გაადვილების მიზნით, ნივთის ზედაპირი დამუშავდა დეიონიზირებული წყლისა და ეთილის სპირტის 1%-იანი ნარევით. ნივთების დასამუშავებლად გამოვიყენეთ – ლანცეტები, სტომატოლოგიური ინსტრუმენტები, ხის წკირები, მინის ბოჭკოვანი და სახატავი ფუნჯები და აშ.

დამუშავების დროს, ბრინჯაოს პატინის ყველაზე ღრმა ფენების გამოსაჩენად, ქვიშისა და მინის ფენის მოცილებისას რაიმე სპეციფიური პრობლემა არ წარმოქმნილა. სირთულე შეიქმნა ნივთის ორიგინალი ზედაპირის გამოჩენის მცდელობისას, რომელიც უმეტესად დაფარული იყო სპილენძის კარბონატისა და ქლორიდის ფენებით. ეს ფენები ხშირად საკმაოდ მკვრივი გახლდათ. ზოგი-

ერთ შემთხვევაში ზედაპირის ასეთი ფენა იმდენად ახლოს იყო ლითონურ გულთან, რომ მისი მთლიანად მოხსნა ვერ მოხერხდა, მოიხსნა მხოლოდ მექანიკური ნადები და კოროზიის პროდუქტების მცირე ნაწილი. რიგ შემთხვევაში არტეფაქტის ზოგიერთი დეტალი იმდენად იყო კოროზირებული, რომ არ ქონდა შენარჩუნებული ლითონური გული. აღნიშნულ შემთხვევაში მოხდა ასეთი დეტალების გამაგრება და კონსერვაცია პარალოიდ B-72-ის 10 %-იანი აცეტონხსნარით (ტაბ. I, სურ. 5-6; ტაბ. II, სურ. 7-8).

**ვერცხლის შენადნობისაგან დამზადებული არტეფაქტების რესტავრაციის პროცესი:** ვერცხლის ნივთების ძირითადი ნაწილი დამუშავდა ტიტრიპლექსის, იგივე EDTA-ას წყალხსნარით (EDTA-ნატრიუმის ეთილენამინოძმარმჟავა, კომპლექსური მარილი. ქიმიური ფორმულა:  $C_{10}H_{14}O_8Na_2X_2H_{20}$ ).

კონცენტრაცია: 40 გრადუს ცელსიუსზე 18,5 გრ. ტიტრიპლექსი — 500 მლ. დისტილირებულ წყალი. აღსანიშნავია, რომ ამ ტემპერატურაზე უფრო კარგად იხსნება კოროზიის პროდუქტები. არტეფაქტები რამდენჯერმე დამუშავდა ტიტრიპლექსის წყალხსნარით, რამაც უზრუნველყო კოროზიის პროდუქტების სრული მოშორება. ხსნარიდან ნივთის ამოღების შემდეგ არტეფაქტები ვადულეთ დისტილირებულ წყალში. შემდეგ ინდიკატორის (მეთილორანჟი) საშუალებით შევამოწმეთ წყლის რეაქცია და გაშრობის შემდეგ, საკონსერვაციოდ ნივთი დავფარეთ თერმოპლასტიური აკრილატის პარალოიდ B-72-ის 2%-იანი აცეტონხსნარით (ტაბ. II, სურ.9-13).

**ოქროს შენადნობისაგან დამზადებული არტეფაქტების რესტავრაციის პროცესი:** ვერცხლისა და ბრინჯაოსგან განსხვავებით, ოქროსგან დამზადებული ნივთები შედარებით მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი — ფოთლოვანი გვირგვინი, ორი მონეტა, ქანდაკების შესამკობელი მცირე ზომის დეტალები და ლეტო-ლატონას გვირგვინი.

აღნიშნული ოქროს არტეფაქტები

გაიწმინდა მექანიკურად მინის ბოჭკოვანი ფუნჯებითა და სპირტის წყალხსნარით. სარესტავრაციო პროცესი წარიმართა ბინოკულარის ქვეშ. დეფორმირებული დეტალები გასწორდა შეძლებისდაგვარად (ტაბ. III, სურ.14-15).

**მინის არტეფაქტის რესტავრაცია:** განათხარ მასალაში ასევე გამოვლინდა ერთი მინის ჭურჭელი. აღნიშნულ ჭურჭელს ნათლად ეტყობა ხანძრის კვალი. მაღალი ტემპერატურის გავლენით არტეფაქტს დაკარგული აქვს პირვანდელი სახე (დეფორმირებული, დამტვრეული) და მხოლოდ პირობათად არის შესაძლებელი მისი ორიგინალი ფორმის წარმოდგენა. ზედაპირი დაფარული იყო მექანიკური ნადებით.

ნივთის ფრაგმენტები გაიწმინდა მექანიკურად ბინოკულარის ქვეშ, ლანცეტიტა და სპირტის წყალხსნარით. დამუშავების პროცესში დაფიქსირდა ქსოვილის ნაშთი, ასევე ზედაპირზე გამოიკვეთა ქსოვილის ანაბეჭდი.

ნივთის რეკონსტრუქცია თავდაპირველად განხორციელდა წებოვანი ლენტისა და თითბრის დუგმების მეშვეობით. ფორმის აღდგენის შემდეგ დეტალების საბოლოო ფიქსაცია მოხდა - არალდიტი - 20/20 A/B საშუალებით. შემდეგ ნივთი გაიწმინდა აცეტონით და ჩაუტარდა კონსერვაცია პარალოიდ B 72-ის 2%-იანი აცეტონხსნარით (ტაბ. III, სურ.16-17).

**დასკვნა:** არტეფაქტების რესტავრაციისა და პირველადი კვლევების მიხედვით ჩანს, რომ არწივისა და სილენოსის ქანდაკება წარმოადგენს კლასიკურ ბრინჯაოს, კალის საშუალო შემცველობით, რაც დამახასიათებელია ანტიკური ბრინჯაოსთვის. მეორეს მხრივ, დიანასა და ქალის ფიგურურის ქანდაკებები და მცირე ზომის სადგარი დამზადებულნი არიან კალის დაბალი შემცველობისა და ტყვიის უჩვეულოდ მაღალი შემცველობის შენადნობებისაგან. ამავე ჯგუფში შეიძლება განვიხილოთ აპოლონის ქანდაკებაც, რომელიც დამზადებულია სამკომპონენტისანი Cu-Pb-Sn (სპილენძ-ტყვია-კალა) შენადნობისაგან, სადაც ტყვია თითქმის ორჯერ აღრემატება კა-

ლის შემცველობას.

ზემოთ ხსენებულ შენადნობებში ცხადია რომ ტყვია შეგნებულად არის დამატებული. ამ ანალიზების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია აღნიშნული არტეფაქტების შემადგენლობაში კალისა და ტყვიის რაოდენობის მკვეთრად განსხვავებული შემცველობა. ანალიზების შედარება კლასიკური პერიოდის ბრინჯაოს ქანდაკებების მონაცემებთან იძლევა საინტერესო კავშირს. კლასიკური პერიოდის ბრინჯაოს ქანდაკებებში სპილენძი და კალა წარმოადგენენ მთავარ ელემენტებს, ხოლო ტყვია არ ფიქსირდება. რომაული ბრინჯაოს ქანდაკებებში კი კალის შემცველობა, როგორც წესი მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე ბერძნულ ბრინჯაოში, ხოლო ტყვიის შემცველობა საკმაოდ მაღალია [Oberländer-Târnoveanu, 2008].

მათ უმეტესობაში ტყვიის შემცველობა მნიშვნელოვნად აღემატება კალის შემცველობას, რაც მიგვანიშნებს, რომ ტყვია გაზრახ იყო დამატებული შენადნობში, ძირითად მალეგირებელ კომპონენტად [Caley, 1951:6-12].

ტყვიის ოპტიმალური შემცველობა დამახასიათებელია რომაული ბრინჯაოს ქანდაკებებისათვის. არსებობს ისტორიულ წყაროთა დასტური, რომ ტყვია შეგნებულად დამატებული კომპონენტია რომაული ბრინჯაოს ქანდაკებებში. პლინიუსი ქანდაკებებისთვის გამოყენებული ბრინჯაოს შემადგენლობის ყველა ფორმულაში წარმოაჩენს ტყვიას, როგორც აუცილებელ კომპონენტს.

ანტიკური სამყაროს მხატვრული პროდუქცია ხშირად ერთფეროვანია და ძნელდება ამა თუ იმ ნივთის შექმნის ადგილის გარკვევა. ზოგჯერ სხვადასხვა ადგილას შექმნილი ძეგლები ისე ემსგავსებიან ერთმანეთს, რომ ძნელი ხდება მკაფიო ზღვარის გავლება რომაულ იმპორტსა და მისი მიზაძვით შექმნილ ადგილობრივ ნაწარმს შორის. ასეთ შემთხვევებში მკაფიოდ გამოხატულ ელინისტურ-რომაული ხასიათის ძეგლში უმცირესი ნიუანსების და დეტალების გათვალისწინებით

ხერხდება გარკვეულ მხატვრულ და ტექნიკურ თავისებურებათა გამოვლენა და ამ გზით ძეგლის წარმომავლობის დაზუსტება. ამა თუ იმ ძეგლის წარმომავლობის საკითხი წყდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. კვლევის ამ ეტაპზე თავს ვარიდებთ არტეფაქტების წარმომავლობის დაზუსტებას, თუმცა ტექნიკური მახასიათებლის გათვალისწინებით აშკარაა არტეფაქტების განსხვავებულობის (შენადნობის ტიპი) ფაქტი. ჩვენის აზრით, ეს განხვავება (ბრინჯაოსა და ტყვიით ლეგირებული სპილენძის შენადნობის გამოყენების ფაქტი) შესაძლოა მათი დამზადების განსხვავებულ თარიღზე მიუთიებდეს, კერძოდ ბრინჯაოს არწივი და სილენოსის ქანდაკება უფრო ადრეულნი არიან ვიდრე აპოლონის, დიანასა და ქალის ფიგურები.

მოცემული სტატიის მომზადებისას ჩვენ ვიხელმძღვანელებთ მხოლოდ პირველადი კვლევის შედეგებით და აქედან გამომდინარე დედოფლის გორის ინვენტარის ტექნიკური კვლევის სხვა მნიშვნელოვანი მონაცემები განხილული იქნება მომდევნო სტატიებში.

#### ლიტერატურა:

**გაგოშიძე ი. 2015:** 2013-5 წწ. არქ. გათხრები დედოფლის გორაზე, ჟურ. იბერია-კოლხეთი, № 11.

**Caley, Earle R. 1951:** Chemical Investigations of Two Ancient Bronze Statuettes Found in Greece, - Ohio Journal of Science: Volume 51, Issue 1.

**Oberländer-Târnoveanu Er., Niculescu Gh., Pâslaru M. 2008:** Migdonia Georgescu. Analyses on Romna " bronzes" found at Potassa, Abstract of 3 rd Archaeomet Symposium.

**Jambor J.L., Dutrizac J.E., Roberts A.C., Grice J.D., Szymanski J.T., Clinoatakamite, 1996:** A New Polymorph of  $Cu_2(OH)_3Cl$ , and it's Relationship to Paratakamite and "Anarakite", Canadian Mineralogist 34.

**MacLeod I.D., 1991:** Identification of Corrosion Products on Non-ferrous Metal Artifacts Recovered from Shipwrecks, Studies in Conservation 36.

**Oddy W. A., Hughes M. J., 1970:** The Stabiliza-

tion of Active Bronze and Iron Antiquities by the Use of Sodium Sesquicarbonate, Studies in Conservation, 15.

**Шемахенская М.С., Нацкий М.В. 1983:** Реставрация фрагментированного археологического металла. - Художественное Наследие. Хранение, исследование, Реставрация 8(38). Мос.

**ილუსტრაციების აღწერილობა:**

**ტაბ. I. სურ. №1** – დედოფლის გორა, ოთახი № 20, საკურთხეველი; **სურ. №№ 2-4** - საკურთხეველზე აღმოჩენილი არტეფაქტები რესტავრაციამდე; **სურ. №№ 5-6** – ტიხე-ფორტუნასა და არტემიდე-დიანას ბრინჯაოს ქანდაკებები რესტავრაციის შემდეგ. **ტაბ. II. სურ. №№ 7-8** – აპოლონ-ფებუსისა და სილენუსის ბრინჯაოს ქანდაკებები რესტავრაციის შემდეგ; **სურ. №№ 9-10** – ვერცხლის მონეტები რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ; **სურ. №№ 11-13** – ლეტო-ლატონას ვერცხლის ქანდაკება რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ. **ტაბ. III. სურ. №№ 14-15** – ოქროს ფოთლოვანი გვირგვინი რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ; **სურ. №№ 16-17** – მინის ჭურჭელი რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ.





ფოტო №1



ფოტო №2



ფოტო №3



ფოტო №4



ფოტო №5



ფოტო №6



ფოტო №7



ფოტო №8



ფოტო №9



ფოტო №10



ფოტო №11



ფოტო №12



ფოტო №13



ფოტო №14



ფოტო №15



ფოტო №16



ფოტო №17

## რეცენზია - ძველი ქართული სამკაული

ნინო ლორთქიფანიძე, თბ., 2015 „ქარჩხადის გამომცემლობა“

სამკაულისადმი ინტერესი უძველესი ხანიდან დასტურდება და ამის პირველი მაგალითები უკვე შუა პალეოლითის ეპოქაში ჩანს. თანდათანობით სამკაული გახდა ადამიანის ყოფის განუყოფელი ნაწილი — მისი მატერიალური და სულიერი მდგომარეობის გამომხატველი.

საქართველოს ტერიტორიაზე სამკაულის ყველაზე ადრეული ნიმუშები ჯერჯერობით ზედა პალეოლითის ხანის მღვიმეებიდანაა ცნობილი. აქედან მოყოლებული ყოველი ეპოქა მრავალფეროვან და საინტერესო სამკაულს წარმოაჩენს. მათი შესწავლა არაერთი გამოჩენილი მეცნიერის სახელთანაა დაკავშირებული, რომელთა კვლევის შედეგები მეტად მნიშვნელოვანია და ნინო ლორთქიფანიძის სარეცენზიო ნაშრომში ავტორის მიერ სათანადოდ არის შეფასებული და გათვალისწინებული.

ამჟამად დაბეჭდვით უნდა აღინიშნოს, რომ ნინო ლორთქიფანიძის ნაშრომი - “ძველი ქართული სამკაული” (ქარჩხადის გამომცემლობა, თბილისი, 2015) სრულიად გამორჩეულ ადგილს იკავებს ქართულ ისტორიოგრაფიაში. ფაქტობრივად ესაა პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც მოიცავს სამკაულის ფართო სპექტრს ანუ სხვადასხვა სახის ძვლის, ქვის, ლითონის სამკაულს, დანყებულ ძველი ქვის ხანიდან ახ. წ. I-IV საუკუნეების ჩათვლით; ეჭვგარეშეა ნაშრომის დიდი მეცნიერული მნიშვნელობა და აქტუალობა.

წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული. ქართულ ტექსტს (352 გვერდი) დართული აქვს ფერადი ილუსტრაციები (327 ფოტო) და, შესაბამისად, საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციების მიხედვით მათი საინვენტარო ნომრების სია; ინგლისურ-ენოვანი ილუსტრირებული რეზიუმე (32 შავ-თეთრ ფოტოსთან ერთად); შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურის სია. ნაშრომში თავების სახით ერთმანეთს ენაცვლება ეპოქები — ძველი ქვის ხანა, ნეოლითი, ენეოლითი, ბრინჯაოს დიდი ეპოქის ყველა საფეხური, ანტიკურობა...

წიგნის პირველი გვერდებიდანვე ავტორს შეეყავართ სამკაულის სამყაროში, სამკაულისა, რომელიც, როგორც ავტორი წერს, ადამიანის სიმბოლური აზროვნების ერთ-ერთი პირველი ნიშანია; სამკაულით თავის მორთვა მისი პირველი სულიერი სურვილია, რომელიც უკვე შუა პალეოლითის ხანაში ჩნდება და ამ პირველი სურვილიდან მოკიდებული, ნაშრომის გვერდებზე თანამიმდევრულად, ისტორიულ და რელიგიურ ფონზე, სათავიდან მოდის ინფორმაცია, გზადაგზა იერთებს სხვადასხვა მასალის სამკაულის სხვადასხვა სახეობებსა და მათ ტიპებს, მოსაზრებებს მხატვრულ კონცეფციებსა და ტექნიკურ ხერხებზე, მათ ფესვებზე, მდიდრდება და ფართოვდება... ნაშრომის გაცნობისას მკითხველი თანდათან იგებს, თუ როგორ ხდებოდა სამკაულისთვის სხვადასხვა მასალის ათვისება, ეცნობა სამკაულის დამზადების ტექნოლოგიურ მხარესა და სამკაულის ადგილობრივი ნედლეულისაგან დამზადების ფაქტებს და თვალს ადევნებს, თუ როგორ აისახებოდა სამკაულში ყოველი ახალი ეტაპი საზოგადოების განვითარებისა. რთულია ერთი რეცენზიის ფარგლებში დეტალურად შესწვე მთელ ნაშრომს, სადაც ყოველი თავი ცალკე დამოუკიდებელ განხილვას და შეფასებას იმსახურებს. წიგნში სამკაულის განხილვის ფონზე არაერთი მნიშვნელოვანი საკითხია წინ წამოწეული, რომელთაგან ზოგიერთზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ნაშრომის ერთ-ერთი ღირსებაა, რომ სამკაული განხილულია კონკრეტულ ეპოქასთან უშუალო კავშირში; განხილულია, როგორც მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოვლინება. მკაფიოდაა ნაჩვენები სამკაულში არეკლილი გარკვეული ქრონოლოგიური ეტაპის

განმსაზღვრელი ნიშნები და სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული ხასიათის ყველა პროცესი; გამჟღავნებულია თავისი დროის ყველა სიახლე — ახალი ფორმების, მასალის თუ მხატვრული სტილის სახით. ავტორი ზუსტად ამახვილებს ყურადღებას ეპოქის ძირითად მახასიათებლებზე: მაგალითად, ნეოლითის ეპოქისათვის არსებითია სამკაულის მასალის მრავალფეროვნება — ავტორის სიტყვებით, მასალის თავისუფალი არჩევანის ტენდენცია (აღსანიშნავია, რომ ამ ხანიდან იწყება საქართველოს ტერიტორიაზე სარდიონის ათვისება); ენეოლითისთვის — ახალი ფორმების გაჩენა (სამაჯური, სასაფეთქლე ხვია, საკინძი) და ის, რომ განვითარების ამ ეტაპზე სამკაული გარკვეული სოციალური სტატუსის მანიშნებელი ხდება; ხაზგასმულია მტკვარ-არაქსის ეპოქის სამკაულის სტილისტური ერთიანობა. ნაშრომში არის არაერთი მომენტი, როდესაც ახალი არგუმენტებით არის გამდიდრებული ამა თუ იმ სამკაულის, ვთქვათ, მთლიანობის დასაბუთება (მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ თრიალეთის ცნობილი ყელსაბამი).

წიგნის ავტორი არ იფარგლება მხოლოდ სამკაულით — ნაშრომში სამკაულის ფონზე ფართო თვალსაზრისით არის დანახული ყოველი ეპოქა. ამის ერთ-ერთი კარგი მაგალითია თავი კოლხური ბრინჯაოს კულტურის შესახებ, სადაც მხოლოდ სამკაულის ევოლუციას კი არ ვხვდებით, აქ “კოლხური კულტურის ფენომენის” განხილვის ფონზე მიდის მსჯელობა. შთამბეჭდავია ი.ი. ბახოფენის სიტყვები, რომლებიც ეპიგრაფის სახით წინ უძღვის კოლხური ბრინჯაოს კულტურის განხილვას: “ისტორიულობის უარყოფა თქმულებას მნიშვნელობას ვერ წაართმევს. ის, რაც შეიძლება არ მომხდარიყო, ნაფიქრი მაინც არის”. მკითხველი ამ გამონათქვამს გარკვეული განწყობით შეჰყავს თქმულების სამყაროში და ახალი კუთხით გვთავაზობს თქმულების გააზრებას.

ასეთი შესავლის შემდეგ ავტორი წერილობითი ცნობებისა და ლინგვისტური და არქეოლოგიური მონაცემების მოხმობით გვთავაზობს დავინახოთ არგონავტების ციკლის თქმულების ისტორიული ფონი და აქცენტს აკეთებს ლითონის ცხოველსახოვან სამკაულზე — კოლხური კულტურის ამ განუყოფელ ნაწილზე, კერძოდ კი ბრინჯაოს ვერძისგამოსახულებიან საკიდებზე კოლხეთის ტერიტორიიდან, რომელთა არსებობა მას ამ მითის გამოძახილად მიაჩნია, და დასძენს, რომ ვერძის მოტივი ერთმანეთთან აკავშირებს მითს და რეალობას და რომ ამ ფენომენით მითს არგონავტების შესახებ მეტი “ისტორიულობა” ენიჭება, რაშიც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ.

ეს განწყობა თან სდევს მთელ თავს და შემდეგ გადაინაცვლებს მომდევნო თავში ოქრომრავალი კოლხეთის შესახებ, სადაც ავტორი სვამს კითხვას, თუ რატომ დაუკავშირეს ბერძნებმა თავის ცნობიერებაში კოლხეთს ოქროს საწმისი და რატომ იხსენიებდნენ კოლხეთს “ოქრომრავალის” ეპითეტით? პასუხს ავტორი კოლხური ოქროს სამკაულში ხედავს. ამის საილუსტრაციოდ ავტორი განსაკუთრებული სიღრმით იკვლევს ოქროს სამკაულის ნიმუშებს, რომლებიც ასე უხვად არის წარმოდგენილი ანტიკური ხანის კოლხეთის ცნობილ ცენტრებში.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ძვ.წ. V ს. — ძვ.წ. IV ს.-ის პირველი ნახევრის სამკაულის განხილვას — კოლხი წარჩინებული ფენის წარმომადგენელთა სამკაულის სრულ კომპლექტს, რომელიც შედგება დიადემების, საყურეების, ყელსაბამების, სამაჯურების, საბეჭდავი-ბეჭდების, დასაკერებელი ფირფიტებისაგან და სხვ. ავტორის მითითებით, ძვ.წ. V-IV საუკუნეების კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშები, როგორც ფორმების, ასევე მხატვრული დამუშავების მიხედვით, ძველ ქართულ სამკაულს შორის განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. დასახელებულია, სხვა დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად, გეომეტრიზაციისკენ მისწრაფება – წმინდა გეომეტრიული სტილის არსებობა, რაც იშვიათია იმ დროის სხვა ცენტრების (ბერძნულ, ეტრუსკულ) ოქრომჭედლობაში.

ავტორის დამსახურებაა, რომ უმეტეს შემთხვევაში სამარხში ერთ მიცვალებულთან დადასტურებული სხვადასხვა სამკაული განხილულია კომპლექტის („გარნიტურის“) სახით და გარკვეულწილად აღდგენილია დაკრძალული პირის შემკულობის საერთო სურათი. მაგალითად, თავსამკაულის სხვადასხვა — დამოუკიდებელი — ელემენტი (ვანი, №11 და №24 სამარხები) წარმოდგენილია მთლიანობაში, როგორც ერთი კომპლექტი და ერთი კონცეფციის გამოსატყულება.

სამკაულის ცალკეული სახეობის დახასიათებისას გათვალისწინებულია ადრე განხორციელებული კვლევის შედეგები და ამავე დროს დამატებულია ავტორისეული ხედვის საინტერესო დეტალები. მაგალითის სახით შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

ავტორის დაკვირვებით, ვანის ნაქალაქარზე №11 და №6 სამარხებში აღმოჩენილი ოქროს დიადემების რომბისებურ ფირფიტებზე სარკის პრინციპით შესრულებული ცხოველთა ბრძოლის გამოსახულების ერთობლიობა აღიქმება მბრუნავ კომპოზიციად და ეთანხმება სამკაულის საერთო ფორმას, აგრეთვე, სპირალურ რკალს, რომელიც მუდმივი მოძრაობისა და მარადიულობის იდეის გამოსატყულებაა.

ბუნებრივია, ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა სამკაულებში არსებულ რელიგიურ სანყისს — გამოსახულებათა სიმბოლიკას. რელიგია ხელშეუხებელს არ ტოვებდა არც ერთ ასპექტსადამიანისარსებობისადაესვითარებაგანსაკუთრებითცხადადალიბეჭდასამკაულში. ავტორი რიგ შემთხვევაში თავის დამოკიდებულებას გამოსატყულებს სამკაულის „რელიგიურ ფონთან“ დაკავშირებით. კვლავ ოქროს დიადემების მაგალითზე, განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ავტორის შენიშვნა, რომ ლომებთან ბრძოლის სცენებში სხვადასხვა ცხოველებს — ხარს, ჯიხვს (თხას), ტახს ნეგატიური სიმბოლოური დატვირთვა არ ჰქონდა მინიჭებული. ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ მათი გამოსახულებები ლომის გარეშე — დამოუკიდებელ სამკაულად — დადასტურებულია საირხის და ვანის სამარხებში. ავტორის მითითებით, კოლხი ოსტატი ცხოველთა ბრძოლის სცენას სხვა მნიშვნელობით გამოსატყულებს, ვიდრე ეს მოტივი წარმოდგენილი იყო აქემენიდურ და ბერძნულ ხელოვნებაში.

აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ ნ. ლორთქიფანიძის დაკვირვებით, კოლხურ ოქროს დიადემებთან სამარხში დასტურდება სხივანა საყურეები; გარდა ამისა, თანადაკრძალულთა სამარხებშიც ამავე ტიპის ვერცხლის დიადემებთან ერთად აღმოჩენილია ოქროს სხივანა საყურეები. ავტორის აზრით, დიადემებისა და სხივანა საყურეების ერთობლიობა უკავშირდება მზის სიმბოლიკას და თვალსაჩინოდ ასახავს კოლხური ოქროს სამკაულის რელიგიურ ფონს. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ავტორის შენიშვნა ვანის №24 სამარხში აღმოჩენილი სამკაულის შესახებ: მისი აზრით, თავსამკაულის შემადგენელ ნაწილებზე წარმოდგენილი გამოსახულებები აერთიანებს ყველა იმ ელემენტს, რომელიც აქამდე კოლხური ოქროს სამკაულის რელიგიურ ფონს ქმნიდა.

მეტად მნიშვნელოვანია ავტორის ინტერპრეტაცია ზოგიერთი სამკაულის დანიშნულების შესახებ. საერთოდ, სამკაულის კონკრეტული ფუნქციის დადგენა უმეტესად რთულია და ზოგჯერ — შეუძლებელიც (აუცილებელია აღმოჩენის ზუსტი ადგილის ცოდნა, იკონოგრაფიული პარალელების მოშველიება და ა.შ.). არქეოლოგიური გათხრების დროს არტეფაქტების *in situ* ფიქსაცია მრავალელემენტიანი შედგენილი სამკაულის, ნაწილობრივ მაინც, რეკონსტრუირების საშუალებას იძლევა. ამის საუკეთესო მაგალითია ვანის №11 სამარხის ოქროს ე.წ. მსხლისებური საკიდებისაგან შედგენილი თავსამკაული (საკიდებისა და მძივების გარკვეული ჯგუფის თავსამკაულად განსაზღვრა მოხერხდა *in situ* საკიდებისა და მძივების მდებარეობის და თანამიმდევრობის ზუსტი ფიქსაციის საფუძველზე). ავტორი ითვალისწინებს არსებულ მონაცემებს, რაც ნათლად გამოჩნდა ვანის №11 სამარხის

თავსამკაულის განხილვისას. ანგარიშგასანევია, აგრეთვე, ავტორის ვარაუდი, რომ ვანის №11 სამარხში აღმოჩენილი მოკეცილი სწორკუთხა ფირფიტა, შემკული ცვარათი გამოყვანილი გეომეტრიული სახეებით, თავსამკაულის ცენტრალური ნაწილი უნდა ყოფილიყო, მსგავსად ოქროს ჭვირული სამკაულისა ვანის №24 სამარხიდან; აღმოჩენის პირობების მიხედვით კი ამ უკანასკნელის ფუნქციის გარკვევა სირთულეს არ წარმოადგენს.

ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა სამკაულის გარკვეული სახეობის განვითარების ხაზის დადგენას (ზოგიერთ შემთხვევაში ვერ ხერხდება სამკაულის გარკვეული კატეგორიის მოქცევა კონკრეტულ ქრონოლოგიურ საზღვრებში სავსებით გასაგებ მიზეზთა გამო — მთავარი აქცენტი გადატანილია განვითარების პროცესზე). მაგალითად, ავტორი სამართლიანად მიიჩნევს, რომ ანტიკური ხანის კოლხური ოქროს სამკაულიდან ყველაზე გავრცელებული ფორმა — საყურე (სასაფეთქლე) — ძვ.წ. VIII-VII საუკუნიდან მოყოლებული კოლხური ოქრომჭედლობის განვითარების ერთიანი ხაზის საუკეთესო მაჩვენებელია; წარმოადგენს ერთ სისტემას მხატვრული გაფორმებისა თუ სიმბოლიკის თვალსაზრისით. ავტორის მიერ გამოყოფილია სხვადასხვა დროის სამკაულის დამაკავშირებელი საერთო ელემენტები; კერძოდ, აღნიშნულია, რომ ძვ.წ. V-IV საუკუნეების კოლხური საყურეების სიახლოვე საქართველოში აღმოჩენილი წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ნიმუშებთან მჭიდროდ უკავშირდება ცვარათი (გავარსით) შედგენილი გეომეტრიული ორნამენტული სახეებით, ჭვირული ეფექტით და სხვ.

მეტად მნიშვნელოვანია ავტორის მოსაზრებები საყურეთა განვითარების პროცესთან დაკავშირებით, დაწყებული ძვ. წ. VII ს.-დან ძვ.წ. IV ს.-ის ჩათვლით, განხილულია ყაზბეგისა და ილმაზლოში (ქვემო ქართლი) აღმოჩენილი საყურეების თავისებურება; მითითებულია, რომ მათ ანალოგები არ მოეძებნა ბერძნულ ოქრომჭედლობაში (მხედველობაშია საკიდები), თუმცა, ცალკეული ელემენტებით მსგავსებას ავლენს არქაული ეპოქის (ძვ. წ. 600-480წწ.) ბერძნული ოქრომჭედლობის ნიმუშებთან.

ავტორი ასკვნის, რომ ეს საყურეები ძვ.წ. VI საუკუნეში აქემენიდური და ბერძნული სამყაროს ოქრომჭედლობის ცენტრებში ჩამოყალიბებულ ტენდენციებს ასახავს, მაგრამ მათი თავისებურად გადამუშავებით გამოირჩევა. ამასთან, ცვარათი (გავარსით) თითქმის მთლიანად დაფარული ზედაპირით ყაზბეგის საყურეები კოლხური ოქრომჭედლობის უძველეს ნიმუშებს უკავშირდება. მათ ტრადიციას კი კოლხური ე.წ. დაცვარულბურთულიანი საყურეები აგრძელებს, რაც განვითარების ერთიან ხაზზე მეტყველებს. ავტორი სწორად შენიშნავს, რომ ძვ.წ. V-IV საუკუნეების დაცვარულბურთულიანი საყურეების რგოლზე ჩნდება ახალი დეტალი – ორნამენტირებული სარტყელი – კოლხური სხვადასხვა სახის საყურეების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ ნაშრომში ცალკეული ეპოქის განხილვისას ავტორი ყოველთვის გამოყოფს ადგილობრივად ჩამოყალიბებული სკოლის არსებობას და ამავდროულად თვალს ადევნებს სხვადასხვა კულტურებიდან მომდინარე ნაკადების გავლენას ადგილობრივ ნაწარმზე. კიდევ ერთი მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიტანოთ ავტორისეული დასკვნა, რომ კოლხეთსა და მისი მოსაზღვრე ქართლის ტერიტორიაზე მოქმედ სახელოსნოებში ხდებოდა ძვ.წ. პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში ოქრომჭედლობის წამყვან ცენტრებში (ბერძნულ და ეტრუსკულ სამყაროში) არსებული მხატვრული ტენდენციების არა პირდაპირი გადმოღება, არამედ მათი თავისებურად გადამუშავება. ამ მიმართულებით კვლევის არსი შესანიშნავადაა გამოხატული ავტორისეულ შემდეგ გამონათქვამში — “ძველი ქართული სამკაული, თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვან გზაზე, უკანასკნელ ეტაპზეც კი — იბერიულ ოქრომჭედლობაში — ასახავს ეპოქის ყველა მთავარ ტენდენციას, მაგრამ

თვითმყოფადობით გამოირჩევა...”

ნაშრომი მრავალ ინფორმაციას მოიცავს, რაზეც მეტყველებს გამოყენებული ლიტერატურის ვრცელი სიაც. ამასთან ერთად, ავტორი მხოლოდ ფაქტების აღნუსხვით არ იფარგლება – ყოველი საკითხის განხილვისას ჩანს ღრმა ანალიზის უნარი, მისი საკუთარი ხედვა: კერძოდ, მხატვრულ-სტილისტური და ისტორიული ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია სამკაულის განვითარების პროცესი; კონკრეტული მაგალითების მიხედვით ზუსტადაა განსაზღვრული, ერთი მხრივ, კავშირი წინა პერიოდის ძეგლებთან, ტრადიციულობა და, მეორე მხრივ, გარე სამყაროდან შემოსული სიახლეები. თხრობა დამაჯერებელია, დახვეწილი, თავისუფალი და მიმზიდველია მკითხველისათვის. სახეზეა მაღალი პროფესიული დონის მეტად მნიშვნელოვანი მეცნიერული შენაძენი — ჩვენ არა ვართ განებივრებული ამ სახის ნაშრომებით, როცა ერთ წიგნში იქნება მოცემული, ქრონოლოგიური ხარვეზის გარეშე, ქართული ნივთიერი და სულიერი კულტურის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის განვითარების გზა ქვის ხანიდან მოკიდებული ქრისტიანობამდე.

და ბოლოს, ნაშრომი დაფიქრების, განსჯის, აგრეთვე, დისკუსიის საშუალებას იძლევა და სწორედ ეს არის მისი მთავარი ღირსება. მეცნიერული კვლევა-ძიება ხომ დაუსრულებელი პროცესია, დაუსრულებელი სწარფვა ჭეშმარიტებისაკენ. ვუსურვებდით ავტორს ასეთი სულისკვეთებით მომავალშიც წარმატებულ საქმიანობას დაახალსაინტერესოპუბლიკაციებს.

*ისტ. დოქტორი — ანა ჭყონია*

*ისტ. დოქტორი — მარინე ფირცხალავა*



ქართულმა არქეოლოგიურმა ლიტერატურამ კარგი შენაძენი მიიღო. საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა გამოსცა ვერა ჩიხლაძის მონოგრაფია „ჟინვალის სამაროვანი.“ წიგნი გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ძველი ჟინვალის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამაროვნის მონოგრაფიულ შესწავლას ეძღვნება.

ჟინვალის სამაროვანი ანტიკური-ადრე შუა საუკუნეების ერთ-ერთი ეტალონური ძეგლია და სასიხარულოა, რომ ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ მივიღეთ ანტიკური ეპოქის სამარხების სრული გამოკვლევა.

ნაშრომი სქელტანიანი მონოგრაფიაა. იგი აღჭურვილია სათანადო სამეცნიერო აპარატურით. ერთვის 112 ტაბულა, გამოყენებული ლიტერატურის ვრცელი სია, საძიებელები, ტაბულების აღწერილობა და რეზიუმეები ინგლისურ და რუსულ ენებზე.

მონოგრაფიაში შესწავლილი და განხილულია ძვ.წ. I-ახ.წ. IV საუკუნეების სამარხეული კომპლექსები, რომლებიც დახასიათებული და განხილულია დეტალურად: აღმოჩენის პირობები, სამარხთა ფორმა და ზომები, მიცვალებულთა დაკრძალვის პოზა. ასევე დეტალურად არის განხილული არქეოლოგიური მასალა, რომელიც შესწავლილია საქართველოსა და კავკასიის თანადროული არქეოლოგიური ვითარების ფონზე. ავტორი დეტალურად განიხილავს სამარხეულ არტეფაქტებს ჯგუფებისა და ტიპების მიხედვით. მის ყოველ მსჯელობას საფუძვლად უდევს თანადროული და პარალელური არქეოლოგიური მასალის საფუძვლიანი ცოდნა, რაც მიღებული დასკვნების სანდოობას უფრო თვალსაჩინოს ხდის.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჟინვალის სამაროვანი გაითხარა ექსტრემალურ პირობებში. არქეოლოგების ყურის ძირში ყოველდღიურად მუშაობდა მძიმე ტექნიკა და მიმდინარეობდა წყალსაცავის დამბის თუ სხვა საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში მუშაობა იყო უაღრესად მძიმე და ხშირ შემთხვევაში, აუტანელიც კი. ვ.ჩიხლაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან არათუ ღირსეულად გაართვა თავი საკმაოდ რთული და ინტენსიური სამაროვნის გათხრების პროცესს, არამედ – სავსე პირობებში სკრუპულოზურად შეისწავლა თითოეული კომპლექსი, თან ისე, რომ არავითარი კითხვის ნიშანი ამ მხრივ არ არსებობს. ძეგლი საკმაოდ კარგად არის დოკუმენტირებული და ეს კარგად ჩანს წარმოდგენილი მონოგრაფიითაც.

ჟინვალის სამაროვანმა და საერთოდ, ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ არაერთ ახალგაზრდა არქეოლოგს დაულოცა გზა და დღევანდელი არქეოლოგების არაერთმა წარმომადგენელმა მიიღო „არქეოლოგიური ნათლობა“ სწორედ აღნიშნულ ძეგლზე. ძალიან ბევრისთვის ეს იყო პირველი არქეოლოგიური ობიექტი, რომელიც საკუთარი თვალთი იხილა, სადაც პირველად შეეხო არქეოლოგიურ არტეფაქტს. ამ არაერთ არქეოლოგთა შორის მეც ვიყავი და ჩემი პირველი შეხება რეალურ არქეოლოგიასთან სწორედ ჟინვალის სამაროვანზე მოხდა, შორეულ 80-იანი წლების დასაწყისში. ამიტომ ეს ძეგლი პირადად ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია და დიდი ხნის მანძილზე ველოდებოდი, როდის ეღირსებოდა გამომზეურება და დღის სინათლე მეცნიერულად შესწავლილ არქეოლოგიურ მასალას. დასამალი არ არის, რომ ამ ძეგლის პუბლიკაციამ ცოტა არ იყოს და დაიგვიანა. თუმცა, აქ ავტორის ბრალი ალბათ, ყველაზე ნაკლებია, რადგან თუ არა მისი, აბა ვის ინტერესში იქნებოდა ამ უნიკალური მასალის სათანადო მეცნიერული პუბლიკაცია. თუმცა, როგორც იტყვიან, ყინული გალღვა და იმედია, ჟინვალის სამაროვნის ადრე შუა საუკუნეების კომპლექსების პუბლიკაციასაც მალე იხილავს დაინტერესებული მკითხველი.

ისტ. დოქტორი, პროფ. — ზურაბ ბრაგვაძე

# **PAPER IN ENGLISH**

Gela Gamkrelidze, Vakhtang Shatberashvili, Marine Pirtskhalava,  
Maia Charkviani, Revaz Davlianidze

## **TYPOLOGICAL ANALYSIS AND STATISTICAL DATA OF WEAPONS FROM THE CEMETERIES OF 5TH-4TH CENTURIES BC EXCAVATED IN GEORGIA.**

*The article was prepared by the support of Shota Rustaveli National Science Foundation.*

Modern Georgia lies in the central and western part of Transcaucasia (see the map). Since ancient times Georgia was the transportation cross- road linking countries from east to west and from south to North. Georgia's physical- geographical boundaries are: the Caucasus Mountainson the north, *Ajara-LazeTi-Arsiani* highlands *Javakheti* Range and r. *Debeda* basin on the south, *Agrichai-Mingechauri* on the east and the Black sea on the west. The *Likhi* range divides the territory of Georgia into western and eastern parts. West of this range lies Colchian lowland and the *Rioni* basin and to the east there is lowland Iverian with *Mtkvari* (*Kura*) basin. Between these two parts *Shida Kartli* and *Alazani* valley are located.

The natural environment of Georgia is suitable for settlements. Its mild climate, rich flora and fauna and fertile soils assisted the development of agriculture and livestock breeding. Building material such as wood, stone, clay and sand were important for construction works, and iron, copper, gold, etc. for metallurgy – namely for the military engineering.

At the original stage of development, the Georgians or the *Kartvelian* ethnos settled in the basins of three rivers – *Mtkvari* (*Curos*), *Rioni* and *Chorokhi*, - the territory from the Lake *Van* up to the Black sea and to the Caucasian mountains. Approximately this territory was inhabited by ancient *Kartvelians*. The various unions are referred to by different ancient written sources (Herodotus, Xenophon, Strabo, Arrian, Leonti Mroveli, and others), namely *Colchians*, *Iberians*, *Mossinoeci*, *Chalybes*, *Sasperes*, *Heniochi*, *Taochoi*, *Saniges* [Georgia and ... 1993: 16].

In the Classical period the political hegemony on Georgian territory was attained by the kingdoms of Colchis and Iberia, on whose place and basis Georgia was formed [Gamkrelidze 2008].

Surrounded by mountains the relief of Colchis and Iberia with its gorges, ranges, ravines and hills-constituted very convenient defensive, military and strategic environment. The ancient population was connected with the rest of the world by the roads that passed through the Greater and Minor Caucasus.

The *Rioni-Qvirila* (the *Phasis* of the Greco-Latin written sources) and the *Mtkvari* (the *Curos* of the Greco-Latin sources) constituted an advantageous transit and strategic route owing to their physical-geographic location. Evidence on this is largely preserved in the writings of Strabo and Pliny (see Strabo, XI, II, 17; VII, 3; Pliny, *NH*, VI, 52). Classical and early medieval settlement sites are situated precisely along this route, their archaeological study showed imported foreign items (pottery, ornaments, coins, and metal and glass vessels).

There are several written sources referring to the Georgia's military history of the Classical period. For studying the military history of Early Classical period (5<sup>th</sup>-4<sup>th</sup> centuries BC) of Georgia one of the most important works is Xenophon's "Anabasis".

In 401 Cyrus, ruler of *Cappadocia* and *Lydia* (in Asia Minor) started a war against the Iranian king Artaxerxes II to deprive him of his throne. In this war, Xenophon was the military leader of one detachment of Greek mercenaries. He described the battles and the territories where people of Georgian stock lived. In a battle near Babylon, Prince Cyrus was killed, and his army dispersed; 10000 Greek fighters took the

road back home. On their homeward path they passed through south-western Transcaucasia – at times negotiating their passage with the local *Kartvelian* population but mostly fighting their way with difficulty. The army needed considerable provisions, leading to clashes with the local population. Some fortified towns had to be stormed, while others were too strong to take and were bypassed. According to Xenophon, the numerous fortified cities they passed differed in their defenses. Thus, failing to take one stronghold the Greeks lost many men and they had to retreat (see *Anabasis*, V, 2, 7). It is clear from Xenophon's records that the Kartvelian population of south-western Transcaucasia had a good mastery of the basic elements of warfare of the times. In particular, they had special fortifications – moats, wooden walls, towers, inner fortresses, embankments; they possessed advanced weapons of the period: spears, daggers, axes, arrows; means of individual defense: shields, helmets, armor; and knowledge of military-tactical stratagems: quick attack, regrouping, advantageous use of the terrain; were courageous in battle, adroit and fierce (*Anabasis*, III-V). The Kartvelian mercenaries (*Chalybes* and *Taochoi*) were mentioned in 400 BC. They were serving in the army of Achaemenid Iran under the command of Persian Satrap Tiribazus (*Anabasis*, IV, 4, 18) and were professional warriors, just as Greek mercenaries of Kyros.

Lying at the juncture of Asia and Europe, Georgia for many centuries was engaged in permanent warfare and was the arena of hostilities between military and political-economic forces of eastern and western worlds. The military and fighting experience, strategy and tactics and armament was developed and perfected in battles.

Armament constitutes one of the principal sources for the study of military art of Classical-period Georgia, and generally of the ancient World. Its development is directly proportional to the development of the society.

In the so called Early Classical period that involves 5<sup>th</sup>-4<sup>th</sup> centuries BC different kinds of weapons were spread in Georgia. The various characteristics of weapons enable us to single out the main types of them and to define which form of armament is typical for each step of the given epoch. The main source of the research is archaeological finds- weapons and their representation on different artifacts.

Further we will review typological and statistical data of the weapons that were discovered in the burials dated to the 5<sup>th</sup>-4<sup>th</sup> centuries BC of Georgia.

The weapons of attacking types are represented by spears, battle axes, daggers, swords, bows and arrows. While classifying typologically these kinds of weapons the main point are their shapes and the differences among their separate segments.

The **spear** was the main weapon of battle in Georgia throughout the Early Classical period (5<sup>th</sup>- 4<sup>th</sup> centuries BC). According to archaeological evidence, iron spears were most numerous in comparison with other weapons. The same is confirmed by written sources (see Herodotus, Xenophon, Strabo).

The spear is one of the throwing and thrusting weapons among other kinds of weapons. It consists of a spearhead and a handle. While classifying spears the main characteristic is a spearhead as wooden handles have not survived. A spearhead itself consists of a socket that fixes a blade to the handle and a two sided head that has a point, sides and shoulders.

According to the features characteristic of the spearhead, eight types are known in Classical-period Georgia (pls: II, III).

Type I -The **narrow- bladed** spearheads (Pl. III, 5-7).Spearheads from this group have long and narrow blades, which have evenly narrowing sides toward their points and conical, opened sockets that gradually slide towards the narrowing blade; its width is a bit bigger than the socket's itself. This type of spearheads is called the Transcaucasian Type. Such spearheads were uncovered at archaeological sites in Kartli dating back 5<sup>th</sup>-4<sup>th</sup> centuries BC: Beshtasheni grave # 55 [Menabde, Davlianidze 1968: 139, pl. XV

inv. # 534], Gomareti grave # 7 [Davlianidze 1983: 132, pl. XVI 2], Etso grave # 96 [Shatberashvili 2005: pl. XXXIV<sub>12</sub>], Kanchaeti [Gagoshidze 1964: 52-53, pl. XI, 35], Shavsakdara I, grave # 16 [Margishvili, Narimanishvili 2004: 72, 88 pl. CIX<sub>5</sub>], Chkhikvta [Kvijnadze 1975: pl. XXVIII 6], Tsnori [Mamaishvili 1980: pl. XXX 1].

